


საქართველოს საგარეო ურთიერთობების სახელმწიფო უწყისების საგარეო ურთიერთობების სახელმწიფო უწყისების



1

(25-ე)

საქართველოს საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო უწყისების
თბილისი - 1989



ჯვარი ვახსა – შექმული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვახსაო,
დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ.



ქრისტი

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლიცენზიით






ገጽ ገጽ ገጽ

በገጽ ገጽ ገጽ

ገጽ ገጽ ገጽ ገጽ ገጽ

ገጽ ገጽ ገጽ ገጽ ገጽ




გან-რაა-ელს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და შე ქედადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვად ქროდის,
მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემეწყალე, იესუ ჩემო!

მ ე ჟ ე ს ა ღ ა ვ ი თ ე ს – მ ო ნ ა ზ ო ნ ი ა რ ს ე ნ ი

სიბრძნის – მოქუარეპე შენ, უფროდსად ბრწყინვალეო, თუალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამოგისაო, რო-მელი-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამჯარო ხილულსა სო-ფელსა შორის; საჩინო, ვითარცა მზე, კარსკულავთა შო-რის; ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის: ნათ-ლისვერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის: ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის; ტკბილ, ვითარცა არე ჰამთა შორის: ღმერთის სახე, ვითარცა საყუარელი სათნოეგათა შორის: გულის-სათქუემელ, ვითარცა ოქროდ მიწათა შორის: ელვარე, ვითარცა იაკინთი ქვათა შორის: მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერბთა შორის: შუენიერ, ვი-თარცა კარდი ყუავილთა შორის: აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანასა შორის: ძლიერ, ვითარცა ღოგი გვეც-თა შორის: მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუთმელთა შორის: სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ გვირთა შო-რის: ახოვან, ვითარცა ისო წინამგბრძოლთა შორის: მო-შურნე, ვითარცა ფინეზ მღვდელთა შორის: მხნე, ვი-თარცა საფხსონ მსაჯულთა შორის: უბრძოლველ, ვითარ-ცა აქილევ ელენეთა შორის: ბრძენ, ვითარცა სოლო-მონ მეფეთა შორის: მუჴდ, ვითარცა ღავით ცხებულთა შორის: შურისმძიებელ, ვითარცა იოსია შარაკანდელთა შორის: უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლოგელთა შო-რის: განმადიდებელ ფლოგისა, ვითარცა ავღუსტოს კვი-სართა შორის: კაცთმოქუარე, ვითარცა ჩემი ი ე ს ო ღმერ-თთა შორის: გუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთ-ქმნულთა შორის: მკურვალე, ვითარცა კეტრე მოწაფეთა შორის: საყუარელ, ვითარცა ირანე მებოგართა შორის: მკრცხელ, ვითარცა კავლე მოციქულთა შორის: სახის დასაბამ უცთო-მელისა ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვთეაქროგელთა შორის: სიმტკიცე კეთილად მსახურეგის-სა, ვითარცა თევოდონი სკიპტრის-გვქროგელთა შორის... ყოველთა ვედრეგად, ყოველთა ლიტანიოგად, ყოველთა ერთგვოგად, ვითარემელ ღ ა ვ ი თ კეთილად მსახურისა და ღმერთივ-დაცვულისა მეფისა, ჩუენისა მრავალგვა არიან წელიწადნი!..



დავით აღმაშენებელი. გელათის ფრესკიდან.



სობის საწინამძღვრო ჯვარი. წარწერით: პატიოსანო ჯვარო, ადიდე
უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა
მეფე დავით და შემიწყაღე გლ...

ტ რ ო პ ა რ ი ღ ა ვ ი თ ი ს ა

საკვირველება რომელ ქმენ, უფალო, წმიდისა შენისა შორის, კეთილმსახურისა მეფისა დავითისა. ზესთა აღხთების გონებასა სიტყვის მოქმედთასა, რამეთუ აღიდე იგი სახელისათჳს შენისა, ვიდრე დახსნადმდე. სარკეთა ბრწყინულეთა მიერ ძლევათა ყოვლად საკურველთა, ხოლო შემდგომად დაქსნისა სარკეთასა დიდებულ-ჰყავ ნიშთა მიერ დიდი წყალობა.

კ ო ნ დ ა კ ი

ზესთა მბრძოლსა უძლეველსა დავითს და შეშწესა ურცხვენელსა კეთილმსახურებისასა, ვითარცა მის მიერ განათლებულნი, სამწყსოჲსა მისისანი ერნი და ქალაქნი, შესხმისა გვირგვინსა შეუთხზვიდეთ, განმათავისუფლებელსა მას ჩუენსა ყოველთაგან ვნებათა, და ვიტყოდეთ მისდამი სიხარულით, გიხაროდენ კმაო მფარველო ჩვენო.

ა რ ა დ ი დ ი მ ა ვ ა ქ ი ლ ე ვ ი , ა რ ა მ ე ღ
დ ი დ ს ა მ ი მ მ თ ხ ჯ მ ა მ ა მ ბ ლ ს ა ო მ ი რ -
ო ხ ს ... ჰ ქ ო ნ ე ბ ო დ ე ს მ ც ა ა მ ა თ ბ რ ძ მ ნ თ ა
თ ხ რ ო ბ ა თ ა ნ ი ვ თ ა დ ს ა მ მ ე ნ ი ღ ა ვ ი -
თ ი ხ ნ ი , დ ა მ ა თ მ ც ა ა ღ წ მ რ ნ ე ს ჯ მ რ ო ვ -
ნ ა დ მ ა თ ი ხ ა მ ბ რ რ ი ტ ო რ ო ბ ი ს ა , დ ა მ ა -
შ ი ნ დ ა მ ც ა დ ი რ ს ქ მ ნ ი ღ ი მ ვ ნ ე ს ჯ მ -
რ ო ვ ა ნ ს ა ქ მ ბ ა ს ა .

მართლის ცხოვრება



ქ რ ი ს ტ მ ს მ ხ ე ლ ა რ ი

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე 11 საუკუნით ადრე ღმერთი, დიდი წინასწარმეტყველის, ისრაელის მეფე დავითის, პირით ასე ბრძანებდა: „აღვაშალო რჩეული ერისაგან ჩემისა“. მართლაც, ღება დრო და ჟამი, როცა უფალი ირჩევს თავის რჩეულს, რომელმაც უნდა იტვირთოს ჯვარი ერისა.

ადამიანისათვის ძნელია ჯვრის ტარება; უმრავლეს შემთხვევაში, იგი იტვირთავს თავის ჯვარს, თავის განსაცდელსა და ტანჯვას. მაგრამ არიან რჩეულნი ღვთისანი, განსაკუთრებული ადამიანები — ტაძარნი ღვთისა, რომელთაც ღმერთი აძლევს ჯვარსა ერისასა; აი, ასეთი რჩეული ერისა ჩვენისა იყო დიდი მეფე დავით აღმაშენებელი.

რთული იყო მისი დრო. საქართველოს მეფეს წინააღმდეგობას უწევდნენ დიდგვაროვანნი, არ ასვენებდნენ თურქ-სელჯუკნი... შინაური და გარეშე მტერნი. ხმალჩაუგებნი იბრძოდნენ ჩვენი მეფეები, მთელი ხალხი სამშობლოს გადასარჩენად. ძლივსა და სუნთქავდა სისხლისგან თითქმის მთლიანად დაცლილი ქვეყანა და აი, ასეთ დროს, საქართველოს გადარჩენა ღმერთმა დავით აღმაშენებელს დააკისრა. მისი ღვაწლი აღწერილია „ქართლის ცხოვრებაში“. მრავალი ომი, მრავალი განსაცდელი გადაიტანა დიდმა მეფემ, მაგრამ ყველაზე მტკივნეული, ყველაზე მძიმე მისთვის, ალბათ, შინაურ მტრებთან ბრძოლა იყო.

ისტორია გვაუწყებს, რომ ასეთნიც მრავლად იყვნენ საქართველოში.

როდესაც ვკითხულობთ დავით აღმაშენებლის ცხოვრებას, ჩვენს წინაშე წარმოდგება არა მარტო ბრწყინვალე მეფე, არა მარტო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ მოძღვარი საქართველოსი, სულიერი მამა საქართველოსი.

იმ დროს საქართველოს ჩინებული სასულიერო პირნი ჰყავდა, ჰყავდა კათალიკოსი, მაგრამ ნამდვილ მამობას ჩვენს ერს მეფე უწევდა და დამადასტურებელი ამისი არის მისი „გალობანი სინანულისანი“.

ეს არის საოცარი ნაწარმოები, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ ანდრია კრიტელის კანონს, ანდა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებას“. იგი შესანიშნავი სარკეა დავით მეფისა, მისი სულისა, მისი შინაგანი ცხოვრებისა.

თუ გადახედავთ დავით აღმაშენებლის მოსაგონებლად და-

წერილ სძლისპირებს, ნახავთ საყურადღებო მინაწერს: „გულსავსე ვიქმენ დავით, ვითარმედ ყოვლად სრულ ხარ“ — ღმერთს მიმართავს ასე დავით აღმაშენებელი.

მიუხედავად იმ მძიმე ჯვრისა, რომელიც უფალმა მას დააკისრა, მაინც მადლიერებით ამბობს: „გულსავსე ვიქმენ დავით, ვითარმედ ყოვლად სრულ ხარ“.

დავით აღმაშენებელი თავისი ცხოვრებით, თავისი მოღვაწეობით ავიდა სრულყოფის კიბეზე. მან იცოდა, რომ ადამიანი გულსავსე შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გული გახდება ტაძარი ღვთისა, ტაძარი სულისა წმიდისა. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ პიროვნება იგრძნობს და მიუახლოვდება ღმერთს.

და მან იგრძნო, რომ ღმერთი ყოვლად სრულ არს, იგრძნო ისიც, რომ ამ სრულყოფას, გულის ამ სისავსეს ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ სინანულით, მხოლოდ აღსარებით.

თქვენ იცით, ძალიან ბევრი წიგნია დაწერილი დავით აღმაშენებლის შესახებ. თითქმის არ არსებობს ჩვენში მეცნიერი, მწერალი, ისტორიკოსი, რომელიც არ შეხებოდეს მის ნათელ სახეს. მაგრამ დღემდე კიდევ ერთი რამ არის გასაკეთებელი: უნდა დავინახოთ დავით აღმაშენებელი, როგორც თეოლოგი, როგორც უდიდესი ღვთისმეტყველი.

ეს შესაძლებელი იქნება, თუკი ჩვენი თბილისის სასულიერო აკადემია, ჩვენი ღვთისმეტყველები ამ კუთხით დაამუშავებენ მის შესანიშნავ ნაწარმოებს — „გალობანი სინანულისანი“.

თვითონ დავით აღმაშენებელი ამბობს, რომ ეს არის მისი აღსარება. საოცარია მისი დასაწყისი. მეფე წერს, რომ ღვთის წინაშე ქედღადრეკილია ყოველი:

„რომლისაცა წინაშე ქედღადრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების
და ენაჲ ყოველი შენსა გამობს აღსარებასა;
მეცა, სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედე“.

რა თავმდაბლობაა! ვის მიმართავს წმიდა მეფე? — სიტყვას, იესო ქრისტეს. როგორი შინაგანი სიახლოვეა ღმერთსა და მეფეს შორის!

აღსარება საიდუმლოა. ყოველი თქვენგანი მოძღვართან ამბობს აღსარებას და იგი საიდუმლოდ რჩება. იგი არავინ იცის, გარდა ღმერთისა. მოძღვარი მხოლოდ შუამდგომელია თქვენსა და უფალს შორის. უფალი ამბობს: „ვისაცა შეუნდობთ ქუეყანასა ზედა, შენდობილ იყოს იგი ცათა შინა“.

პირველ საუკუნეებში ხშირი შემთხვევა იყო, როცა ადამიანი მიდიოდა ტაძარში და ხმამაღლა ამბობდა თავის საიდუმლოს, თავის ცოდვებს. ამაში იგრძნობოდა უდიდესი რწმენა და თავდადებული სიყვარული იმ პირველი ქრისტიანობისა. სწორედ მათ ემსგავსება ჩვენი დიდი წინაპარი, როცა საქვეყნოდ ამბობს თავის აღსარებას.

რა ცოდვა ჰქონდა მეფე დავითს ისეთი, ასე რომ იმდაბლებს თავსო? — ხშირად კითხულობენ ადამიანები და ჩაჰყურებენ მისი ცხოვრების წიგნს.

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ადამიანი, რაც უფრო მაღლა ადის სრულყოფის კიბეზე, რაც უფრო უახლოვდება ღმერთს, მით მეტად გრძნობს თავის ცოდვებს.

ჩანს, დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალედ იცოდა ლოცვა დიდი სულიერი მამის, ეფრემ ასურისა: „ჰე უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდაა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“. დავით მეფეს ჰქონდა განსაკუთრებული „განცდა თვისთა ცოდვათა“ და გრძნობა არაგანკითხვა ძმისა თვისისა.

დავით აღმაშენებელი წერს, რომ ღმერთმა იგი მსგავსად თვისსა ჰყო, მაგრამ ამის შემდეგ ამბობს: „ხოლო მე ვნებათა ლირწთა მონებად მივჰყიდე თავი“ და მივემსგავსე ისრაელის ცოდვილ მეფეთო. ეს სიტყვები ბრწყინვალედ ღაღადებს მის სულიერ სიმაღლეზე.

ვის ძალუძს თქვას: „ხოლო მე ვნებათა ლირწთა მონებად მივჰყიდე თავი“? — მხოლოდ წმიდანს, მხოლოდ სულით ამაღლებულს. ხოლო ვინც ცოდვილია, ვინც ჩაფლულია მიწიერ ვნებებში, ის ვერ ხედავს თავის ცოდვებს, იგი ხედავს მხოლოდ სხვისას და საკუთარი თავის გამოსწორებას კი არ ცდილობს, სხვისი გამოსწორებით იწყებს.

საერთოდ, სიმდიდრე იზიდავს და ამდაბლებს ადამიანს, დავით აღმაშენებელმა ყოველივე მოიხვეჭა — აგარაკიც, სიმდიდრეც, მაგრამ მან შეინარჩუნა სულიერი სიმაღლე. იგი გრძნობს — ყოველივე წარმატება, ამაოა, სიკვდილი ყოველივეს განაქარვებს.

მეცხრე საგალობელი არის მსოფლიო შედეგრი, არასოდეს შემხედრია ასეთი განცდა, ასეთი გრძნობა, ასეთი სიახლოვე ღმერთთან. დავითი თითქოს ღვთის წინაშე დგას და ამბობს: როცა ყველაფერი დამთავრდება, „ოდეს ხარი მეფობისაა წარხდეს და დიდებაა დაშრტეს, ვნებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაა დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაა, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემოწყალენ, მსაჯულო ჩემო“.

აღბათ, არც ერთ მეფეს არ წარმოუთქვამს ასეთი სიტყვები. დავითი ითხოვს შეწყალებას მაშინ, როცა ყველაფერი წავა, როცა სხვა მეფე მიიღებს სკიპტრას, სხვას შეუდგებიან სპანი, როდესაც სულ მარტო დარჩება იგი თავისი ერთადერთი მსაჯულის — ღმერთის წინაშე, რომელსაც მიმართავს საოცარი სიტყვებით: „მარტივო, სრულო, სამშხეო, ერთცისკროვნებაო“, — მხოლოდ წმიდანს შეეძლო ასე ეთქვა.

ღვთის მაღლით, ღვთის ლოცვა-კურთხევით, დავით აღმაშენებლის შუამდგომლობით ჩვენ მოვესწარით იმ დღეს, როცა აღვნიშნავთ დიდი მეფის აღსაყდრების 900 წლისთავს. ნუ დაგვაფიწყდება, რომ ჩვენ სისხლი და ხორცი ვართ დავით აღმაშენებლისა, ჩვენში იგივე გენებია, რაც იყო მასში, ჩვენს დიდებულ წინაპარში, მაგრამ ის ნიჭი, ის სულიერება, ის რწმენა, ის სიყვარული, ის თავმდაბლობა, ის სიწმიდე, რომელსაც ვხედავთ მასში, დღეს სრულად არ არის გამოვლენილი ჩვენს ერში და მე დარწმუნებული ვარ, იგი გამოვლინდება.

არაერთხელ მითქვამს, რომ არის წინასწარმეტყველება, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან მოისმინეს ჩვენმა წინა-

პრეზმა ათონის ივერთა მონასტერში: „საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს“.

ამას ველით ჩვენ, ამ სულიერ გაბრწყინებას. სახარებიდან ვიცით, რომ უკანასკნელ ჟამს მთელი ქვეყანა დაეცემა სულიერად. ხალხი დაკარგავს ჭეშმარიტ რწმენას, მშობელი შვილს აღარ დაინდობს და შვილი მშობელს. და აი, ამ დროს, ამ უკანასკნელ ჟამს, გაბრწყინდება საქართველო. გაბრწყინდება თავისი სულიერობით, იმიტომ, რომ ჩვენი მფარველი არის ღმერთი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ I საუკუნეში იყო ჩამოტანილი კვართი უფლისა ჩვენი საიესო ქრისტესი. და ეს იყო პირველი ნიშანი ღვთის ღოცვა-კურთხევისა; შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო წილხვედრია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში იქადაგეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა; შემთხვევითი არ არის, რომ IV საუკუნეში წმიდა ნინომ გააგრძელა ანდრია პირველწოდებულის ქადაგება.

არაფერი არ არის შემთხვევითი არც ერის ისტორიაში და არც აღამიანის ცხოვრებაში — ყველაფერი კანონზომიერია. მაგრამ ამ მაღლს, ღვთის ამ ღოცვა-კურთხევას მზად უნდა შევხვდეთ. უნდა ვიყოთ ღირსნი ამ დიდი წყალობისა.

როცა ვფიქრობთ, თუ რა სჭირდება დღეს ჩვენს ერს, ყველანი დამეთანხმებიან, რომ გვჭირდება ის, რაც ჭირდებოდა 900 წლის წინანდელ საქართველოს. ჩვენ გვჭირდება მართლმადიდებელი, ნამდვილი, ჭეშმარიტი სარწმუნოება. ჩვენ გვაკლია ერთსულოვნება, სიყვარული და ურთიერთთანადგობა. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ღვთის მაღლი ტრიალებს ჩვენს მოყვასში — ახლობელსა თუ შორეულში, მტერი კი არ უნდა დავინახოთ მასში, არამედ მეგობარი. როგორც შენს ძმას, ღუდას და მამას ვერ გაიმეტებ ცუდისთვის, ბოროტისთვის, ისევე არ უნდა გაიმეტო სხვა. ეს გრძნობა გვჭირდება დღეს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, გათიშვის, გაყოფის ცოდვა მოგვდევს. ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი კი აერთიანებს. მე მწამს, ღმერთი გაგვაერთიანებს ჩვენ!

დავით აღმაშენებელმა, ჩვენმა დიდმა წინაპარმა და დიდმა მეფემ, დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. დავით აღმაშენებელმა მოგცეთ თქვენ და სრულიად საქართველოს ჭეშმარიტი, მტკიცე სარწმუნოება. დავით აღმაშენებლის ღოცვით ღმერთმა მოგცეთ ის სიწმიდე, ის განცდა თვისთა ცოდვათა, რომელიც სუფევდა ჩვენს წინაპრებში.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ თქვენ და სრულიად საქართველო!

0802 I I სრულიად საქართველოს
კათალიკოს — პატრიარქი

ქ ა ლ ა ბ ე ბ ა ნ ი , ს წ ა ვ ლ ა ნ ი

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ დ ა ვ ი თ , მ ე ჟ ე ო ღ ვ თ ი ვ ვ ვ ი რ ვ ვ ი ნ ო ს ა ნ ო

ქრისტეს მიერ საყვარელნი! დღეს ჩვენ ყველანი დიდი წინაპრის — წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ომახიანმა შეძახილმა მოგვიხმო: ნეტავი რაშია საქმე, მტერი ხომ არ მოადგა კვლავ საქართველოს? ან იქნებ თბილისი უნდათ ურჯულოებს ხელთ იგდონ? დმერთო დიდებულო, ნუთუ კვლავ ხმალი უნდა ავიღოთ და სისხლი ვღვართ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა გადავარჩინოთ? გვიხსენ კურთხეული ღვთისშობელი, იხსენ შენი წილხვედრი საქართველო... მესაყვირენი კი ისევ და ისევ მოგვიხმობენ: დიდ მეფესა და მბრძანებელს ჩვენთან შეხვედრა სურს. ჩვენც ნუ დავაყოვნებთ და მისკენ გავეშუროთ. ვის არ ნახავთ მისკენ მიმავალს, ახალგაზრდასა თუ მოხუცს, საეროსა თუ ღვთისმსახურს? ყველა დიდი ხელმწიფის უხეიარესი ბრძანების შესრულებასა ჩქარობს. მეფემ, ალბათ, დიდი საქვეყნო საქმის გამო თუ მოგვიხმო. ამ რწმენით ვიკრიბებით ნეტარხსენებული მეფის გარშემო. ზღვა ხალხი შემოხვევია დავითს: თეთრ ცხენზე ამხედრებული შორს გასცქერის თავის სამეფოს, თითქოს იმას ადევნებს თვალს, ხომ არავინ მოაკლდა ამ შეკრებასო. სიხარული აღბეჭდვია სახეზე, უცხო სხივი დაჰნათის მის ნათელ შუბლს. მეფის სიხარული გადასდებია მის გვერდით მყოფთაც. ყოველივე ეს ნამდვილად არ ჰგავს საბრძოლველად შეკრებილ მხედრობას. მტრის შიში არავის ახსოვს, პირიქით, ყველაფერი მოუცავს რაღაც უცხო სიხარულსა და სითბოს. მადლობა დმერთს, რომ ჩვენს თავს ცუდი არაფერი ხდება და წმიდა მეფემ კეთილ საქმეზე მოგვიხმო. დიდება სახიერებასა შესწა უფალო!

ხალხი მოუთმენლად ელის მეფის სიტყვას, სურს შეკრების მიზეზი შეიტყოს. და აი, დადგა ნანატრი წუთი, დიდმა ხელმწიფემ ხელი აღმართა და ირგვლივ თვალი მიმოავლო. ხალხი გაინაბა და მეფემ სიტყვა იწყო. პოი საკვირველებავ, მეფის სიტყვა არ ჰგავს მის მიერ ადრე წარმოთქმულს, ბრძოლის წინ გასამხნეველად რომ მიმართავდა მხედრობას. ეს არის ლოცვა, მამის ლოცვა, რითაც ის ავედრებს დმერთს თავის სამწყვს: „დმერთო დიდებულო, შენ დაიფარე ჩემი სამეფო, მაინიჭე ბოროტსა ზედა ძლევა საქართველოს“. ჩვენს წინ დგას მეფე წმიდანი, ერის მამა, რომელიც შადაა საწყისისათვის თავი დასდოს. ყველა მოწიწებით ვიდრეც მის წინაშე მუხლს და შევთხოვთ, დაგვლოცოს და შეიხებება უფალთან არ მოგვაკლოს. გვინდა მისგან კურთხევა მივიღოთ და მის ბრწყინვალე სამეფო ბისონს მოწიწებით ვვაიმოროთ.

დღეს შენი ხსენების დღეს დასალოცავად მოსულხარ, წმიდა მეფეო და გვსურს მეფეთა საკადრისი პატივისცემა და სითბო მოგაგოთ, მაგრამ შენ, დიდო ხელმწიფეო, უფალო, ვინაც ზეცას გაგაბრწყინა, მარტო ქვეყნიური პატივით როგორ გაგახაროთ? შენ, რომელი ანგელოზთ გალობასა ისმენ, ქვეყნიური სიტყვებით როგორ შეგამ-

კოთ? ისევ ანგელოზთა მსგავსად შევეცდებით გიგალობოთ: გიხაროდენ ქართველთ ნათესავთა მხიარულ მყოფულო; გიხაროდენ ქუხილო, მტერთა განმკვეთულო; გიხაროდენ, თურქ-სელჩუკთა ჩვენი მიწა-წყლიდან მოტეხილო; გიხაროდენ, დიდგორზე ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვების სულიწინამდგემლო; გიხაროდენ, თბილისს ქალაქის ურჯულოთაგან განმთავისუფლებულო; გიხაროდენ, ქართული მიწების ერთი სკიპტრის ქვეშ გამაერთიანებულო; გიხაროდენ გელათის, ვითარცა მეორე იერუსალიმად და ახალ ათინად დამაარსებელი და ქართველთა მრავალთა მეცნიერებითა განმანათლებელი; გიხაროდენ, სინანულის დიდო მგალობელი; გიხაროდენ, ივერიელთ ქვეყნის აღმაშენებელი; გიხაროდენ, დავით, მეფეო ღვთივგვირგვინოსანო და უძლეველო!

ცხრაასი წლის შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენი დავაწლის გახსენება, დიდო მეფეო. შენ შეპქმენ ძლევამოსილი ქართული სახელმწიფო. უცხო ტომის ხალხიც კი გამოიყენე საამისოდ. აქ გამოჩნდა სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა შენი, ხელმწიფეო. ეს სიბრძნე დღეს განსაკუთრებით არ უნდა დავივიწყოთ და საჭიროა გავეფრთხილდეთ ყველას, შინაურსა თუ უცხოს, ვინც კი შადაა საერთო ქართული საქმისათვის დაიხარჯოს.

საკვირველი იყო დიდგორის ბრძოლა ქართველთათვის, დიდო მეფეო. მას უნდა გადაეწყვიტა ჩვენი ერის მომავალი. ამ ბრძოლას უწოდეს „ძლევია საკვირველი“. ჭეშმარიტად საკვირველი გამარჯვება მოიპოვა მაშინ საქართველომ. აღნიშნულმა გამარჯვებამ ცხადყო ერთი დიდი ჭეშმარიტება, რომ ქართველთათვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში ზეცა მონაწილეობს. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ქართველთა ლაშქარში თვით წმიდა გიორგი იქნედა მახვილს და მუსრავდა მტერს. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ვისმინოთ, რომ ყოველი დიდი ეროვნული საქმე ჩვენი ზეციით უნდა იკურთხოს. როცა გვექნება ასეთი კურთხევა, მხოლოდ მაშინ უნდა შევეჭიდნეთ უხარმაზარ ლოდს. დმერთმა ქნას, რომ ეს ჭეშმარიტება ჩვენმა ხალხმა საპუღამოდ გულში დაიმარხოს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საგანმანათლებლო მოღვაწეობა შენი, წმიდაო მეფეო. შენს დროს დაარსდა უმაღლესი სკოლები ჩვენში, შენს დროს განათლდა საქართველო. შენ, ერთ-ერთმა პირველმა, აღიარე, რომ ცოდნა აუცილებლად სულიერობით უნდა შეიმოსოს, რომ მხოლოდ სულიერობასა და ცოდნას ერთად შერწყმულს შეუძლია ქვეყანას ნამდვილი სიკეთე მოუტანოს. ამიტომაც იყო, რომ შენი მეოხებით ჩამოყალიბებულმა აკადემიებმა ბინა მონასტრების კედლებში დაიდო. ესეც უნდა ყურად ვიღოთ დღეს, დიდო ხელმწიფეო.

და ბოლოს, გვინდა შევეხებოთ ყველაზე მჭირფასსა და სათუთს, შენ რომ გვიბოძე — სინანულს. რა დიდებული

საგალობელი მიუძღვენი მას, რამდენი ჩააქსოვე მასში
სიყვარული და სიბოძო. ამითაც მაგალით ექმენ შენს
ხალხს, დიდო მეფეო, რამეთუ ჭეშმარიტად მხოლოდ სი-
ნანულის გზას შეუძლია ერი შემოქმედთან მიიყვანოს:
„და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯულო მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვა ქროდის,
მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა ჭკუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!“
სინანულით ქედდადრეკილი შეწყალეებასა სთხოვდი

უფალს, დიდო ხელმწიფეო და მისმა უსაზღვრო სახიე-
რებამ არა მარტო შეგიწყნარა, არამედ სხვათა შემწყნარე-
ბელიც გყო. საქართველოსათვის ლოცულობდი ამ ქვეყ-
ნად და გვჯერა, უფალთან სიახლოვეში მყოფსაც უმთავ-
რეს სალოცავად გვეოლება საქართველო. ამიტომაც ვხა-
რობთ და ვიშვებთ ხსენებას შენსას, წმიდაო მეუფეო
და ვევედრებით უფალს, რომ შენი შეწყენა და მეოხება
ზეციური ჩვენს ერსა და ეკლესიას არასდროს მოგვი-
შალოს. მრავალ დავითობას დაგვასწროს ღმერთმა, საყ-
ვარელნო. ამინ!

წილენელი ეპისკოპოსი ზოსიმე

**თუ არა ქართველთა ოდენ სკითბა,
ვერცა რას აღქმანდ რე იქმოდ აკარ-
გსა. და თუმცა დავითს სკარსთა ქო-
ნებოდა მეფობა, ანუ ბერქმთა და
ჰრომთა ქალა, ანუ სხუათა დიდთა
სამეფოთა, მაშინცა გენახნის საკ-
პირონი მიხნი, უადრესნი სხუათა
ქეპულთანი.**

ქართლის ცხოვრება

**ხოლო მეფესა დავითს ამისთვის
იწოდებდნენ ადგაშენებელი, რამეთუ ოდენ
იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრუ-
ლიად ოხერი; ამან განავსნა და ად-
აშენა, რომელ არდარა მტეოდა ამით,
რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე
ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობ-
ოლთა მოწყალე, სწეულთა თვითმსა-
ხური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშე-
ნებელი.**

**ვანუშთი გაგრათიონი
აღწერა სამეფოს საქართველოსა**



დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი
დღისათვის — 26 იანვრისათვის

არ ვიცი, სხვა როგორ ჰგვიქრობს და ჩვენ გი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს—ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც დღემთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ,—რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან—რა, თუ ერის გულის -ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და განმახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქოს შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტკერსავით ასაკველად არ გადაუდგია თავი. დავიწყება ამათი—საკუთარის ვინაობის დავიწყებაა. და თუ კაცს ვინაობა არ ახსოვს, რიდასი მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ბუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამით სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ—წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ

გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მომქმედი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანება ხშირია რომელისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამით სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმიდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდელითა, და თავყვანსა სცემს სასოებით და მაღლობითა. ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, აღამიანებისათვის, საჭიროაო, — ამბობს ბრძენი სენეკა, —იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისათვის. მისი ხსენების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვან დავით მეფეს, რომელსაც

უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებელის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა — და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, — ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდებულებოვან კაცობითაც. იგი თავგადასხვადი მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-და დიდ-ბუნებოვანება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვანჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსაცემდა! ჩვენს მატთანებებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემბტიანენი. ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

სომეხი მათე ედესელი ამბობს:

„დავით იყო წმიდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი(გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება“.

ვარდან დიდი წერს:

„დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

გვ კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი ასე ქცეოდა სომეხებს, რომელნიც, რაც უნდა იყოს, ქრისტიანები იყვნენ და არიან. დიდ-ბუნებოვანი კაცთმოყვა-

რობა დავით მეფისა მაჰმადიანებსაც მიეფინათ, და მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფესა და მისის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად. მაჰმადიანთა შწერალი ალ-აინი აი, რას წერს:

„დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილის დიმიტრიოთურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტვილისის დატყვევებას, გულსავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსაცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“.

ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგამელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სწეულთა, უღონოთა და საპყარათათვის დავითმა ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი, ეს დიდებული მეფე რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი, ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ბუბუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი: — ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა, წაიყოლია სახელი წმიდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

(1888 წ.)

ილია მართალი





გიხაროდენ

იხარებს მსოფლიო ხსენებასა მართლ-მადიდებელთა ეკლესიისა ლამპარისასა, აღიკვევლენით ხელითა ყოველი სულდგმული ქვეყანასა ზედა. ნუგეშინისცემულ-იქმნენ მართლმადიდებელი ეკლესია დიდისა მებრძოლისა და ყოვლად ქებულისა და მფარველისა დიდისა დავითის მიერ. შეუვრდეთ ჩვენცა ძენი შეურყვევლისა ეკლესიისა დიდებულსა დავითს და ვევედრნეთ დაგვიფაროს ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მხურვალე გულითა გვექმნას წინაშე საყდრისა მეფისა მეფეთასა და უფალთასა და ესრეთ სიხარულით უგალობდეთ: გიხაროდენ, ნუგეშინისცემო ივერიისაო, გიხაროდენ, ერისა შენისა დიდებო. გიხაროდენ, მეფობათა შვენებო, გიხაროდენ, მართლ-მადიდებლობისა მცველო. გიხაროდენ, ერისა შენისა კეთილ მორწმუნებასა ზედა დამამყარებლო, გიხაროდენ, ქრისტეს ეკლესიისა ზღუდეო და სიმტკიცეო, გიხაროდენ, დიდებო საყდართაო

და თვითმპყრობელო, მებრძოლო ერთთავრობისათვის ქრისტეს მოყვარეთა ხელმწიფებო. გიხაროდენ, სულითა და ხორციითა, ყოვლად ბრძენო, გიხაროდენ, თავ-ხარ-დამცემო და მძლეველო ქრისტეს მოძულეთა აგარიანთაო, გიხაროდენ, შემმუსვრელო ჰოსიანთა ერისა უკეთურებისაო, გიხაროდენ, საღმრთო საყვირო მართლმადიდებლობისაო, გიხაროდენ, ღვთისამიერ შეყვარებულო და ქებულო პირსა ზედა ქვეყნისასა. გიხაროდენ, სამეფოისა შენისა ანგელოზო მფარველო. გიხაროდენ, სუნნელო სამოთხისაო და სანთელო სახარებისაო, გიხაროდენ, ჩვენის ცხოვრებისა შემამკობელო, გიხაროდენ, დიდო დიდებო და სიქადულო ერისა შენისაო. გიხაროდენ, სულთა ჩვენთა განმანათლებელო, გიხაროდენ, **და ვ ი თ!**

პ ი რ ი თ ნ II

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. 1899 წ.

..... რ ო მ ე ლ ს ა შ ი ნ ა ვ მ რ ვ ი ნ ძ უ მ ლ თ ა
და ა ხ ა ლ თ ა გ ა ნ მ ე შ ე მ ა ე მ ს გ ა ვ ს ა, ვ ი -
თ ა რ ც ა ს ა ქ მ ე ნ ი წ ა მ ე გ ე ნ მ ზ ი ს ა შ ა -
რ ა ვ ა ნ დ ე მ თ ა უ გ რ წ ე ი ნ ვ ა ლ ე ს ე ნ ი და
ც ხ ა დ ე ნ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა თ შ -
ი ს ი თ ა ქ მ ნ ა“.

(ქართლის ცხოვრება, ანასკული, 225.)

მოძღვრება წმიდა ღვთის აღმაშენებლის ხსენების დღეს.



ჩვენ დღეს ვასრულებთ, ძვირფასო მსმენელო, წმ. მეფის ღვთის აღმაშენებლის ხსენებას. ხსენებული წმიდა იყო მეფე საქართველოსი. იგი სცხოვრობდა შორეულს დროს,—რვაასის წლით უწინარეს ჩვენი სა. ადვილი და სასუბუქო როდია, სულიერო შვილებო, სავსებით, ცხოველად და ნათლად გათვალისწინება იმ სატირალის მდგომარეობისა, იმ განადგურებისა და მიწასთან გასწორებისა, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენი სამშობლო ღვთის აღმაშენებლის ტახტზედ ასვლის დროს.

ეხლა სულ პატარა ბავშვებსაც გაგონილი აქვთ თურქების სახელი და ბევრმა თქვენგანმა იცის, რა თვისების ხალხია იგი. ასე არ იყო ძველად, ღვთის აღმაშენებლის წინადაც ნაკლებად იცნობდა ვინმე თურქებს, ისინი მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ ისტორიაში და თავიანთი ვერაგობით, გაუკითხაობით და ბარბაროსობით შიშისა და ძრწოლის ზარსა მსცემდნენ ყველას. მათ დაიპყრეს საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები, სისწრაფით უახლოვდებოდნენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და, ბოლოს, ღვთის აღმაშენებლის მამის დროს, საშინელი გრიგალივით გადუარეს მას, გაღვინეს და ამოაგდეს ძირიანად ყველაფერი, რაც კი რამ შეხვდათ გზაზედ, დასწვეს, დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები და ქალაქები, ამოაგდეს, გაატიალეს ყანები და მიწებები, გაჩეხეს და გაანადგურეს ვენახები, გაუღიტეს და მუსრი გაავლეს მცხოვრებლებს, რომლებმაც ვერ მოასწრეს შორეულ მთებში გახიზვნა, ან შეუვალს ციხე—კოშკებში ჩაკეტვა. ადვილად წარმოიდგენთ, რა ძნელი მოსახლეობელი იქნებოდა ამ გახიზნულების მდგომარეობა, რა გაუნებლებელ ცეცხლს უნდა ეტრიალა მუდამ დღე მათს გულში იმ აზრის წარმოდგენაზედ, რომ იქ, ბარში, მტერი ანგრევდა, იკლებდა და შეურაცხებას აყენებდა მათს სალოცავებს, რომ ბინძური ხელი ურწმუნოსი ჰბღალავდა მამა—პაპათა სამარეს და მათის კუბოს ფიცარს. ცრემლი,—ეს გულის საკირის გამანელებელი ცვარი,—ესეც კი ამოეშრიტა და დაეკარგა მათ. ტანჯულის ხელების ზე—აპყრობა და გულით, სიტყვების წარმოუთქმელად, მხურვალე ვედრება ღვთისა, რომ მოხედოს განწირულთა,—აი, რაღა დარჩენოდათ ამ საცოდავებს საღსრად და რა მიანიდათ ერთად—ერთ ფარხმალად ამ საშინელ გაჭირვებაში!

მაგრამ მოიგონეთ, საყვარელო, რომ ღმერთმა არ იცის მის მავდრებელთა სრულებით გაწირვა და სა—

მუდამოდ დავიწყება. გაიხსენეთ, რამდენჯერ ყოფილან ამგვარსავე გაჭირვებაში, ამისთანა განსაცდელში ებრაელები და, როდესაც გულით შევედრებიან უფალს, დაუყოვნებლივ მოვლინებით მისგან მტრის შემშუსრეული მძლავრნი, გონიერნი და სიმართლით აღვსილნი კაცნი. ასევე შეიბრალა და შეიწყალა ყოვლად მოწყალე უფალმა განწირულებაში მყოფი ქართველები და თურქთაგან ანუ ძველებურად სარკინოზთაგან გამოხსნელად აღუდგინა მათ ღვთის მოსავი, ადვსილი სიმძლავრით და აღჭურვილი ნათელ—მოსილის გონებით მეფე ღვთისთ.

მე არ შეგაწუხებთ და არ დაგიდლით ყურადღებას ამ მეფის ცხოვრების დაწვრილებითი აღწერით. აღვნიშნავ მოკლედ, რომ ტახტზე ასვლისავე უმაღლ, მეფემ მიმართა გახიზნულს ხალხს გულითადის თხოვნით და მამობრივის ხეწნით, რომ გამოსულიყო სამალავეებიდან, დაპბრუნებოდა თავის ვაცვივებულ კერას, ხელი მოეკიდა მტრისაგან განადგურებული მამულისათვის და ღვთის სახელის ხსენებით შესდგომოდა ვაჟაკურ ცხოვრებას. გმირული ხმა მეფისა დრმად ჩასწვდა ხალხის გულს, გაუღვიძა მას მხნეობა, შთაჰპერა გულადობა და ხალხმაც ნელ—ნელა იწყო მთა—დრედან გამოსვლა, გახიზნულები დაუბრუნდნენ გაოხრებულ ოჯახებს, ხელი მოჰკიდეს კვლავ გუთანს და შრომა—მხნეობის მოძრაობა—ხმაურით მათ გამოაღვიძეს უდაბნოდ ქცეული ქვეყანა. ღმერთმა ხელი მოუმართა მეფეს და მან ჩქარა სრულებით გააძევა თავის სამფლობელოდან სარკინოზნი, ამის შემდეგ ალაგმა და დააშვიდა შინაური მტრები, შემოიერთა ქართლი, კახეთი, იმერეთი და აფხაზეთი, განსდევნა და განკვეთა თანამდებობიდან უღირსნი მღვდელთ—მთავარნი და ხუცესნი, განაახლა, განამშვენა და აღადგინა დანგრეული ტაძრები, აღაშენა იმისთანა დიდებულნი ძეგლნი, როგორც არის გელათის ტაძარი, დააარსა ეკლესიებთან დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელნი, მოიწვია ყოველი მხრიდან სწავლულნი და ბრძენნი ხალხში მეცნიერების მოსაფუნად. ალაგო სიმრავლით გლახაკათათვის სასტუმრონი და საავადმყოფონი, ერთის სიტყვით, განაძლიერა, აღამაღლა, აღაყვავა და იმ გვარად დააყენა სამეფო ამ ღვთივ—ცხებულმა მეფემ, რომ თვითეული ქართველი უშიშრად და ლაღად განისვენებდა „ქვეშე ვენახსა თვისსა და ქვეშე კერძო ღვდივისა თვისისა“.

აი, რის გამო-უწოდა დავითს მადრიელმა შთამომავლობამ აღმაშენებელი! აი, რის გულისთვის შერაცხა იგი დავალებულმა ეკლესიამ წმიდათა შორის! ანკი როგორ შეიძლება არ აღეარებინათ წმიდად ის, რომლის სი-ცოცხლესაც ყველასთვის ცხადად და მისახვედრად ინახავდა მარჯვენე ღვთისა. ერთხელ მტრებმა შიგ გულში სტყორცნეს დავითს ისარი, მაგრამ არ გასწირა უფალმა სათნო მონა თვისი და არა ევნო რა მას, რადგანაც ისარი მოხვდა მაცხოვრის ოქროს ხატს, რომელსაც დავითი არას დროს არ იშორებდა მკერდიდან. ერთხელ კიდევ წმ. მეფე გადმოვარდა გელათის ტაძრის მაღალი კედლიდან და კაცობრივი ანგარიშის მიხედვით, მტვრად უნდა ქცეულიყო, მაგრამ თითქმის არცკი რამ უტყენია...

წმ. მეფე დავითი ღვთის სიტყვის სწავლას ჰსთვლიდა ყოველ სწავლაზე უფირფასესად. მის ხელს არ შორდებოდა. საღმრთო წერილის წიგნი, თუ კი მოცლილი იყო სამეფო საქმეებისაგან. მისი ცხოვრება აღნიშნავს, რომ ერთის წლის განმავლობაში დავითს წაუკითხავს სამოციქულო ოც-და-ოთხ-ჯერ. „ესოდენ შეიყვარა (დავითმა) და შეითვისნა საღმრთო-წერილის წიგნებით, კვითხულობთ ამავე ცხოვრებაში, რომელ ჰსთქვამცა თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძვრის. იგინი იყვნეს


მისდა საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელ-ტკბილ და საწადელ, იგინი შვება და განცხრომა, საწვრთელ და სარგებელ დღე და ღამე“... წიგნების კითხვას ვერ სთმობდა მოგზაურობისა და ნადირობის დროსაც კი, წიგნებს იმძვანებდა წინ აქლემებით და ჯორებით ლა-შქრობისათვის გამოწყობის დროს! აჰა, თქვენთვის აღ-მაფრთოვანებელი, გამამხნეველები და ბეჯითობის შემქენი დიდებული მაგალითი. იქონიეთ იგი განუშორებელ მნათობად გონებრივი თვალის მხედველობის წინ, შეიყვარეთ ეკლესიური განათლება, გულთ შეითვისეთ ღვთის სიტყვა, შრომა-მეცადინეობაში ხედავდეთ ბედნიერება-სიამოვნებას, უფროსდეთ, როგორც სენს, სიზარმაცეს, ბეჯითად იკითხეთ სასარგებლო წიგნები, და გწამდეთ, რომ ამითი დაიმსახურებთ წმ. დავითის მფარველობას.

წმიდაო კეთილ-მსახურო მეფეო დავით! მოხედე მოსიყვარულე გულთ სულიერთა ძეთა ამათ შენთა და შენი მხურვალე მეოხებით წინაშე ღვთისა გამოუთხოვე მათ მამისაგან ნათლისა სული სიბრძნისა და გულის-ხმის ყოფისა, სული მეცნიერებისა და ღვთის მსახურებისა, სული შიშისა ღვთისა. ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი.

ს ი ტ ყ ვ ა დავით აღმაშენებლის დღეს თქმული

მოიხსენენით წინამძღვარი იგი
თქვენნი... და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13,7).



პრძანებს მოციქული პავლე და მოგვიწოდს, მიუბამოთ იმ ჩვენს წინამძღვარს, ვისაც ლოცვითა და ვედრებით, გრძნობითა და გალობით იხსენებს დღეს მთელი საქართველო...

რამი უნდა გამოიხატოს მიბაძვა წმიდის მეფის დავითისა, გვიჩვენებს ზედწოდება ა დ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, რომელიც დაუსაკუთრა მას ქართველმა ერმა და წმიდა ეკლესიამ...

დაისახა რა მიზნად ცხოვრებისა მშობელის ერის სამსახური, წმიდა დავითი სიყრმითგანვე განიბრძნო თანამედროვე სწავლა-მეცნიერებით: საღმრთო წერილი და ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა ან სჯულმდებლობა, ფილოსოფია და ისტორია ზედმიწევნით შეისწავლა წმიდა მეფემ და დაუდვა საფუძვლად ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და შრომას...

აკი ამისთვის იყო ნაყოფიერ და კურთხეულ ერთიცა და მეორეც; — უტყუარი ისტორია მოგვითხრობს: წმიდამან დავით კვერთხი მეფობისა აღამაღლა, სარწმუნოება

განამტკიცა, სამართალი დაამყარა, ზნეობა განაბრწყინვა, ცოდნა განამრავლა, ზიენი აღაშენა, გზანი ქვაფენილ-ჰყენა, აღებ-მიცემობა განავრცელა, მოკლედ — საქართველო აღაყვავა და ა დ ა შ ე ნ ა ...


საყვარელნო! ამ ჟამად სამშობლო ჩვენი მოგვაგონებს დავითის წინადროის საქართველოს: სარწმუნოება შელახულია, ზნეობა დაცემული, ცოდნა დაკნინებული, ქვეყანა პარტახქმნილი, ერი დაქსაქსული და დაწყლულებული...

მერმე, ვინ უნდა დასდოს ჩვენს წყლულს წამალი განმკურნებელი, დაასხას ერის ჭრილობებს ზეთი მცხონებელი და შეიქმნას ქვეყნის აღმაშენებელი, თუ არა თქვენ, დავითის პატარა ძენო და ასულნო, რომელთაც წმიდა მეფე გიცისკროვნებთ გზას ცხოვრებისა და ვიხატავთ გემას მოქმედებისა!..

მაშ, ხშირად და ხშირად მოიხსენიეთ წინამძღვარი ესე თქვენნი და ბაძევდით სარწმუნოებასა მისსა. ამინ.

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე

დავით აღმაშენებლის პიროვნება,
შინაური პოლიტიკა და
საგარეო მოღვაწეობა



დავით აღმაშენებელს თავისი თავი „უსწავლელ“, „მსოფლიონ“ და „მკედრობათა შინა აღზრდილ“ კაცად მიაჩნდა (ცხოვრება მეფისა დავითისი 559, გვ. 326-327), მაგრამ, რასაკვირველია, ეს თავდაბლობით მოსდიოდა, თორემ ნამდვილად იგი ნასწავლი და განათლებული ადამიანი ყოფილა; მხოლოდ, როგორც მას ჰშვენიდა კიდეც, საეკლესიო ღვთისმეტყველების მაგიერ საერო მეცნიერება ჰქონია შეთვისებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელი, როგორც მის საკუთარ სიტყვებითგანაც ნათლად ჩანს, თურმე სხვათა შორის ვარსკვლავთ მრიცხველობის მცოდნე ყოფილა. ერთს თავის თხზულებაში დიდებული გვირგვინოსანი ამბობს: „ზენაჲსა მოძრაობისა ასურასტანელი ზნობაჲ და ცთომილთა ვარსკვლავთა და უცთომელთა კრებაჲ (და) განყრაჲ, სუჴ და ბედი და შობის დღე“ ვიცო) („გალობანი სინანულისანი“, ქ-ები, II, 104). შავთელსაც მეფე დავითის შესახებ ნათქვამი აქვს:

„იკითხვენ, სწერენ
თაყუშსა სჩხრეკენ,
რამღს ჰკერენ, არჩევენ
ბედთა მათთა-გან“ (ნ. მარრი,
ტრ. IV, (СПБ., 1902. წ. I, გვ. იბ; 17)
მეფემ „უწყის ყოველნი
ჟამნი და წელნი,
შეყინვა ნივთთა
ცით მომგვრველებულთა“ (იქვე, გვ. მ, 69).

იგი ბუნებითაც უხვად ყოფილა დაჯილდოვებული და მთელს თავის თავისუფალს დროს სიკვდილამდე წიგნების კითხვას და გონებრივ მუშაობას ანდომებდა. კითხვა-ფიქრი იყო „მისსა საზრდელ... შუება და განცხრომა, საწურთუელ და სარგებელ“ (ცხოვრება მეფისა დავითისი 547, გვ. 314-315). დიდებულ მეფისათვის წიგნები აუცილებელი სულიერი საზრდო იყო; „შემდგომად სერობისა ნაცულად ძილისა ანუ სხუასა რასამე ხაქმისა“ ჩვეულებად ჰქონდა „კითხვა წიგნთა“; ამასთანავე წიგნები ყველგან თან დაჰქონდა ხოლმე „დღე და ღამე მიმოსვლათა შინა „მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტურთა სიმრავლესა ჯოროთა და აქლემთასა და, სადა გარდახდის ჰონესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან კელითა“ (იქვე 547, გვ. 315). ნადირობის დროსაც კი საკითხავი

წიგნები თან ჰქონია (იქვე 548, გვ. 315). არამცთუ ქართული საერო მწერლობა, არამედ მან „საღმრთონი წერილი“-ც... „მდიდრად შეიკრიბნა რაოდენნი პოვა გარდამოღებულად ენასა ქართულსა სხუათა ენათა-გან ძუელნი და ახალნი ვითარცა სხუამან პტოლემეოს“ (იქვე 547, გვ. 314) და სტკებოდა მათის კითხვით.

გასაოცარი ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებანიც. მუჰამედი აღ-ჰამაზნი ამბობს, რომ მეფე დავითი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადს ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა, თუ კურანი როგორ და საითგან წარმოსდგაო (Brosset, Additions, 237 და ნ. მარრი, Древне-грузинские описцы, Тр. I V, გვ. 19).

დავით აღმაშენებელს ჩვეულებად ჰქონია, წიგნს რომ წასაკითხავად აღებდა თურმე, „რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა“ და ამ ნიშნების მიხედვით შეიძლებოდა ადამიანს გამოერკვია ან რომელი წიგნი, ან რამდენჯერ ჰქონდა წაკითხული. ზოგიერთი თხზულება, რომელიც უფრო საგულისხმოდ მიაჩნდა, თურმე რამდენჯერმე ჰქონია გადაკითხული და შესწავლილი. დავით აღმაშენებელის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს მაგ., რომ სახელოვან გვირგვინოსანს ერთ-ერთ ამგვარ სავეარელ წიგნად „წიგნი სამოციქულო“ ჰქონია და მას, ისტორიკოსს, ამ წიგნის ბოლოში დასმული ნიშნები ერთხელ დაუთვლია და გამოერკვეულა, რომ „მოქცევასა წელიწადისასა“, ერთს წელიწადში მეფეს ეს თხზულება თურმე „ოცდა-ოთხ-ჯერ წარეკითხა“ (იქვე 548, გვ. 316), როდესაც თითონ დაიღლებოდა და „თულნი დაშურნიან, სასმენელნი ანაცვალნი“ და სხვას გადასცემდა ხოლმე ხმა-მაღლა წასაკითხავად იქვე 547, გვ. 315).

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელი წიგნების კითხვას გასართობად კი არა სთვლიდა, არამედ წანაკითხს უფიქრდებოდა და აკვირდებოდა, ხოლო როდესაც სხვას აკითხებდა ხოლმე, მაშინ „ფრიალცა ფრთხილად ისმენენ წინაშე თუსსა მკითხველისასა, გამოიძიებდენ, ჰკითხვენ და უფროს-და თუთ განმარტებენ ძალსა და სიღრმესა“ წაკითხულისასა (იქვე 547-548, გვ. 315); საუბარი და კამათი, მსჯელობა და განმარტება თან სდევდა მეფის ამ მაღალს გონებრივს სამუშაოს.

**შეფუთვით ამახსენებენ ამტკიცებს და ამბობს:
უნ მეფე**

**„მოგვეფხვან სიბრძნესა
წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ
მადლთა მთხრობელი**

(**6. მარტი. ტ. I V, გვ. მე. 63**).

ქართველი მეომარი დავით აღმაშენებელს „ფრიად აბრალებდეს“ (იქვე 550, გვ. 318), რომ მეფეს ასე თავდავიწყებამდე უყვარდა წიგნების კითხვა და მუდამ კითხვით იყო გართული, მაგრამ მის მამბრალბელთ ვერ გაეგოთ დიდებულ მეფის გულისა წადიერებანი და მალაღობის სულის კრთომანი. ჩვენს გვირგვინოსანს განსაკუთრებით საისტორიო თხზულებების კითხვა პყვარებია, რომლებშიც „გარდასრულთა საქმეთა... და პირველთ ყოფილთა მეფეთა... შემთხუეული“ ამბები იყო მოთხრობილი (იქვე 550, გვ. 318). ამ საისტორიო თხზულებებში საქართველოს სახელოვანს მეფეს თურმე თანამედროვე ცხოვრებისათვის „წინაგანსაკრძალვლად და სახედ“ გამოსადეგარი მაგალითები ამოუკითხავს, იმიტომ რომ იქ მოთხრობილი „და აწერილი იყო „პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილდღეობულთა“ და ქვეყნის გამაბედნიერებელთა ცხოვრება, და „ვერას წარმართებულთა“, ბედუკუდმართ მმართველთა „შემთხუეული“ თავგადასავალიც და ეს წარსულის გაკვეთილი ზოგი გასაფრთხილებლად „წინაგანსაკრძალვლად“, ზოგი კიდევ სამაგალითოდ და „სახედ“ გამოუყენებია. მაშასადამე, დავით აღმაშენებელი ცდილობდა წარსულის ცოდნისდა მიხედვით ბრძნულად „გარდასრულთა შემსგავსნი მომავალნი“ განეჭვრიტა, ისტორიულის მაგალითით და გამოცდილებით ესარგებლნა და იმისდა გვარად ემოქმედნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს გონებრივი მუშაობა და საისტორიო თხზულებების შესწავლა, „წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი“ ჰშველიდა სახელოვანს მეფეს და იმდენი შუამდებინა, რომ „უუერთხი მეფობისა“ საქართველოში „ესეოდენ დამაბლბელი, ესეოდენ ძნელი და ნამდვილვე დიდი განსაგებელი, ეყრა ესრეთ მადლად“ და სახელმწიფო უადრეს ძლიერებასა და აყვავებამდე მიიყვანა (იქვე 550-551, გვ. 318). ამ მხრივ დავით აღმაშენებელი მართლაც რომ ბრძენი და განათლებული მმართველი, შეგნებული და შორსგამჭვრეტავი პოლიტიკოსი იყო.

დავით აღმაშენებლის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალურ წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წესწყობილების ის დიადი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა. ხანგრძლივ გამოცდილებამ მეფე დაარწმუნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმდროინდელი საეკლესიო წესწყობილება იყო, რომლის წყალობითაც საქმე ისე დატრიალდა, რომ — „უფროსნი საეპისკოპოსონი“, სამღვდელ-მთავრობათა მომეტებული ნაწილი უდიდს მამათ-მთავრებს ჩაუვარდათ ხელში, „მამულობითა ვიდრე ღირსებით დაეპყრნენ“ (იქვე 523, გვ. 290). წოდებრივობა გაბატონებული იყო და უმთავრესი მნიშვნელობა პირადს ღირსებას კი არა

ჰქონდა, არამედ ჩამომავლობას. რა გასაკვირია, რომ ამ ეპისკოპოსებს „მთინივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოზნი დაედგინეს“ (იქვე 523, გვ. 291). ამ წესის ამოკვეთა იყო საჭირო, იმიტომ რომ იგი ეკლესიისთვისაც და სახელმწიფოსათვისაც მეტად მავნებელი იყო. ჩვენ ვიცით, რომ ამის წინააღმდეგ უკვე ბაგრატ I V დროს გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი ამხედრდა და თვით წესიც დაარღვია (იხ. გვ. 190-191). მისმა ქადაგებამ, რასაკვირველია, ნიადავი მოუშადა, რომ ქართულ ეკლესიის წესწყობილება ამ მხრივ შეცვლილიყო, მთელი სამღვდელთა სათვის სავალდებულო გამხდარიყო და ადამიანის პირადს ღირსებას სათანადო უფლება მიანიჭებოდა. მაგრამ ამის განხორციელება და დაკანონება მხოლოდ ადგილობრივის საეკლესიო კრებას შეეძლო. მეფე დავითმაც მოიწვია (მეგლის წერა, ქრონიკები, I I, 56) საეკლესიო კრება, რომელიც შეიკრიბა 1103 წ. „სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოთარუისისა და ურბნისისათა“ (იქვე I I, 61). ამ კრების „მეგლის წერა“ — ში ნათქვამია, რომ კრების მონაწილედ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკონნი, მონაზონნი, დაყუდებულნი და მუდამბოიანი (იქვე) ყოფილნი; მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უფრო ვრცელი და უჭველია, უფრო სწორი ცნობები აქვს. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა თურმე „ერი მრავალი“ და ზემო ჩამოთვლილ პირთა გარდა მონაწილედ ყოფილან „კათალიკონნი“, „მოძღუარნი და მეცნიერნი“ (ცხოვრება მეფისა დავითისი, 524, გვ. 291).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისათვის უმთავრეს გასარჩევ საკითხად წამოყენებული იყო სწორედ წოდებრივობის უპირატესობის მოსპობა ეკლესიაში და პირადის ღირსებისდა მიხედვით ეკლესიისათვის მღვდელმსახურთა არჩევა. თვით „მეგლის წერა“ — ში ნათქვამია: „პირველად ეპისკოპოსნი (ვინმე ვერ) ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა... განუუთენითო“ (ქრონიკები I I, 62). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ამბობს: „უდიდსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართა-გან“ — ო (ცხოვრება მეფისა დავითისი 524, გვ. 291). მაგრამ ვიდრე ამახს დაადგენდნენ, დიდი ბრძოლა და მხნეობა შეაღიეს ამ საკითხის მომხრეებმა, ამას ბევრი დრო და ხერხი დასჭირდა და მხოლოდ „მრავალ დღე გამოწულილვითა ფრიადითა“ შესძლეს ამ საქმის დაგვირგვინება. თუმცა „მეგლის წერა“ — ში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველი ისტორიკოსი არ მალავს, რომ უდიდს ეპისკოპოსთა გადაყენება „არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა“ — ო (იქვე 524, გვ. 281), იმიტომ რომ უდიდსი ეპისკოპოსები, „მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით“ მჯდომარენი სამღვდელმთავრო საყდარზე „იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შეილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები“ (ანა დედოფლის ქართლის ცხოვრება; შუად. მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება 524, გვ. 291). რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მაშასადამე, გადააყენა უდიდსი მღვდელმთავრები მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერი პატივი და უფლება მიანიჭა. ამგვარად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორ-

ციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცის წლის წინათ ჰქადაგებდა ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი.

მაგრამ ამ გადაწყვეტილებას მეფისა და სახელმწიფოსათვის მარტო საეკლესიო ცხოვრების მხრივ არა ჰქონია მნიშვნელობა, არამედ იგი იმდროინდელს ქართულს საზოგადოებაში წინამორბედსავით იმ აზრის განმტკიცებას მოუზადებდა ნიადაგს, რომ სახელმწიფო და სამოხელეო წესწყობილებაშიაც პირად ღირსებას გვარიშვილობაზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რაკი საეკლესიო სფეროში პატრიარქული და წოდებრივი წესი ძლიერი იყო, დავით აღმაშენებელს უფრო ადვილად შეეძლო მეორე დიდი ცვლილება შეეტანა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში: სახელმწიფო ცხოვრებაში დიდგვარიან მეკვიდრეობით მოხელეთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმა, ხოლო სამოხელეო წეს-წყობილებაში წოდებრივი უპირატესობა მოესპო და მოხელეთა პირად და არა „მამულობით“ ღირსებისათვის შესაფერისი პატივი დაედო.

ავიდა თუ არა დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე, იმთავითვე მან ხასიათის დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და როგორც უკვე აღნიშნული იყო (გვ. 195), ლიპარიტ ამირა ორგულონისათვის „ორ წელ ჰყრობილი“, შემდეგ საქართველოთგან ექსორია ჰყო და საბერძნეთში წასვლის ნება მისცა.

მაგრამ დავით აღმაშენებლის სახელმწიფო სიბრძნე და შორსგაშვრეტელობა იმითაც მტკიცდება, რომ მან აზნაურთა ურჩობის ჭეშმარიტი ბუნება და თვისებები შეიგნო. ძველ ქართულ მატიაზეების გაღივებამ და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებამ დიდებული მეფე დაარწმუნა, რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგან თვსთა უფალთა. რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოვონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“. სახელოვანი მეფე, მამასადამე, დაარწმუნებულა, რომ დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ურჩობა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ საზოგადო. მართლაც დიდებული აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი უპირატესობა შეენარჩუნებინათ. ხოლო რაკი სრულიად საქართველოს მეფის უფლების გაძლიერებას შედეგად მათი ბატონობისა და გავლენის შეზღუდვა მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომ დიდგვარიანი აზნაური-მოხელეები ცდილობდნენ, რომ მეფე მეტიმეტად არ გაძლიერებულიყო და მუდამ მათი ნების ყურისმგდებელი ყოფილიყო. დავით აღმაშენებელი ხედავდა, რომ უჩინი აზნაური-მოხელეები ხშირად შვერთებულის ძალით ებრძოდნენ საქართველოს ბატონს და მეფის ლაშქრის წინააღმდეგ თავიანთ შვერთებულს ჯარს წამოაყენებდნენ ხოლმე და ამ გვარს გარემოებაში მეფეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გაემარჯვნა, თუ რომ ძლიერს საკუთარს და მუდმივს მხედრობას გაიჩინადა. რაკი დიდებულმა მეფემ ეს შეიგნო, ის ამ აზრის განხორციელებას შეუდგა. სხვათა შორის, ამისთვის შემოიღო დავით აღმაშენებელმა საქართველოში 40 000 ყივჩაყთა მუდმივი მხედრობა. როდის და როგორ გადმოიყვანა მეფემ ყივჩაყთა ლაშქარი საქართველოში, ამაზე ზემოთ იყო უკვე საუბარი და აქ საჭიროდ მიმანია მხოლოდ განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მუდმივი ჯა-

რის შემოღება დავით აღმაშენებლისათვის მარტო ვარაუდით მტერთან საომრად არ იყო საჭირო, არამედ შინაურ მტრისათვის, ურჩ და თვითნება აზნაურებთან საბრძოლველად და ასალაგამავლად. თავისი მუდმივი ჯარის დახმარებით მეფემ ქედფიცხელ და მოღალატე დიდგვარიან მოხელეებს შვერთების ნება არ მისცა და შუქმულების მოწყობის საშუალება მოუსპო: „არა ოდეს მოაცალა ამისად განზრახვად... ანუ შვერებად ერთად და ქმნად რასამე ესე ვითარისა“. მეფე დიდებულ აზნაურთა მოძრაობას გულდასმით თვალყურს ადევნებდა და როდესაც კი საჭირო იყო მსწრაფად გაუძლეველებოდა ხოლმე მათ. ისტორიკოსი ამბობს კიდევ, რომ „მრავალი განპატივებულცა იყუნეს და მხილებულ ესე ვითართათუს“-ო. დავით აღმაშენებელს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე, რომ მან დიდებულ აზნაურთა შვერთებულ წინააღმდეგობის დასამხოვად გარკვეულს, ტაქტიკურს ბრძოლას მიჰმართა, თავის წინაპრებსავით შემთხვევითი საშუალებით არ დაკმაყოფილდა და ძალას შეგნებულად შესაფერისი ძალა დაუპირდაპირა. ამასთანავე, მეფე ყოველთვის ცდილობდა, რომ თავგასულ დიდებულ მოხელეებისათვის თანამებობა ჩამოერთმია და მათ მაგიერ პირადის ღირსებით და ერთგულის სამსახურით განთქმული „უგვარო“ დაწინაურებინა. ერთის სიტყვით, მეფე სამოხელეო წესწყობილებაში იმავე მოძღვრების განხორციელებას ცდილობდა, რაც მან რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დახმარებით საქართველოს საეკლესიო წესწყობილებაში განახორციელა (იხ. ჩემი „ქართული სამართლის ისტორია“, წ. I).

ყივჩაყთა მოწვევა საქართველოში თუმცა შეიძლება აღამიანს მეტად გაბედულ საშუალებად ეჩვენოს, მაგრამ სხვა მხრივაც ბრძნული და სასარგებლო ზომა იყო. ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი ნაქირავებ ლაშქარსავით კი არ მოიწვია, არამედ მთელის ოჯახობით „დედაწულითა მათითა“ გადმოასახლა საქართველოში და დააბინავა, „დააყენა ადგილთა სამთოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა“. ხოლო ეს ლაშქრის დაქირავება კი არ არის, არამედ გადმოსახლება. თუ სათვალავად ოჯახზე სულ ცოტა 5 კაცს მივიღებთ და გავიხსენებთ, რომ „წყობად განმავალი რჩეული“ 40000 და 50000 მონა სპა ოჯახობას მოკიდებული მხედარი იყო, გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს საქართველოში გადმოუსახლება სულ ცოტა 225000 სული ყივჩაყთათავე სქესისა. ამოდენა უცხო ტომის ხალხის ჩათვლენა საქართველოში, დიდაც რომ გაბედული საშუალება იყო, მაგრამ ამასთანავე „სამეფოთა გონებითა“ ნაზრევი, „სივრცითა გონებისათა“ განზრახული, მეტად ბრძნული და გმირული საშუალება გახლდათ! ქართველობისათვის 225000 სულის შექენა იმ დროს, როდესაც იგი დიდებულებოვან სარდლისა და მეფის წინამძღოლობით შეუჩერებელი წინ მიისწრაფოდა და იზრდებოდა, დიდაც რომ დიდ შემატებად ჩათვლებოდა. ქართველთა კულტურა მაშინ იმდენად ძლიერი იყო, რომ ამოდენა უცხო თესლის ერთბაშად ჩასახლება ეროვნულს საფრთხეს არ წარმოადგენდა; თანდათან გადმოსახლებულეებმა ქრისტიანობა მიიღეს: მონა-სპის 5000 კაცი „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი“ იყვნენ, ხოლო „თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქნებოდეს დღითი-დღე

და სიმრავლე ურიცხვი შექმნილობდა ქრისტესა“ (ცხოვრება მეფისა დავითისი 535, გვ. 302); თანაც ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ. გაქართველებული ნაყიფაყარნი შემდეგში ზოგნი სახელმწიფო მოღვაწე-დაც იყვნენ. ხოლო იმ 225000 გადმოსახლებულ ყივჩაყთაგან არცერთი მათი შთამომავალი ყივჩაყად აღარ შერჩა, არამედ ყველანი ძალდაუტანებლივ, უნებლიედ გაქართველდნენ, საქართველოს კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის იღვწოდნენ. აი, ამ შრივაც დავით აღმაშენებლის გაბედულმა საშუალებამ და მოქმედებამ სამშობლოს ფასდაუდებელი, საშვილიშვილო სამსახური გაუწია.

დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორსგამჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უბრო სარდალი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი. ზევით ორიოდე მაგალითი იყო დასახელებული, რომელნიც დიდებულ მეფის გასაოცარს პირადს განათლებას ცხად ჰყოფენ; მაგრამ როგორც სახელმწიფოს მუხრნესა და მოამაგეს შეეფერებოდა, იგი ცდილობდა, რომ ერის განათლებისა და დაწინაურებისათვისაც ხელი შეეწყო. ამისათვის მან ზოგი ახალი დაწესებულება შექმნა და ამასთანავე მუდამ ძველს დაწესებულებასაც ეხმარებოდა და ხელს უწყობდა.

დავით აღმაშენებელმა ამ მიზნით ქრონიკონსა 326 (იხ. შემოქმედის კვკლოსი, დ. ბაქრაძე, АИГА, გვ. 151) ანუ 1106 წ. „მოიგონა აღშენება მონასტრისა“ და „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა“ გელათს ტაძარი ააგო, „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა“; განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შესწორებულობითა“ (ცხოვრება მეფისა დავითისი 526—527, გვ. 293—294). ამ შესანიშნავ მონასტერში დავით აღმაშენებელმა საქართველოსა და უცხოეთში მყოფ ქართულ სხვადასხვა მონასტრებითგან „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა“, რომელთა შესახებ „სადათ ცა ესმა ვიეთიმე სიწმიდე; სიკეთე და სისრულე, სულიერითა და გორციელითა სათნოებითა აღსავსებოდა“ და ახლად აგებულს გელათის მონასტერში დაამკვიდრა (იქვე 527, გვ. 294). ამასთანავე დიდებულმა მეფემ თავისი ღაერა ქონებრივადაც უზრუნველყო. ასე შექმნა დავით აღმაშენებელმა გელათი „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა. (იქვე 528, გვ. 295) ისედაც არამცთუ თვით საქართველოში, არამედ ყველგან უცხოეთში, სადაც-კი ქართული მონასტერი იყო, საბერძნეთში, ბოლღარეთში, ასურეთში, თუ კვბრში, შავს მთას თუ პალესტინაში მეფე თავის უხვს წყალობას არ აკლებდა; ხოლო თვით „მთასა სინასა ზედა, სადა იხილეს ღმერთი, მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი, დამოსაკიდელნი ოქსინონი და წიგნები საეკლესიონნი სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“ (იქვე 553, გვ. 321).

მაგრამ დავით მეფე მარტო ქართველ მწერლებსა და მეცნიერებზე ხომ არა ზრუნავდა, მარტო თავის თანამომკეებს ხომ არ ეხმარებოდა და ამხნევებდა. საგულის-

ხმერო ეს არის, რომ დიდებული გვირგვინოსანის სულიერი თვისება ყოველმხრივი და ფართო ყოფილა: თვით მეფე ხომ კეთილმორწმუნე და უერთგულესი მართლმადიდებელი ქრისტიანე იყო; მაგრამ მაინც მას სხვა მომდევნებისა და სჯულის კაციც უყვარდა და პატივისცემა იცოდა. ამიტომაც იყო, რომ მაჰმადიან ისტორიკოსთა სიტყვით, იგი უცხო ეროვნების შვილებსაც თავის განათლებულ და ძლიერს მფარველობას არ აკლებდა; მას, ქრისტიანეს, მაჰმადიანთა პოეზიისა და მეცნიერებისადმიც უძგერდა სიყვარულით გული.

დავით აღმაშენებლის იმ დროისათვის გასაოცარი და მრავალმხრივი განათლება, სხვათა შორის, იმითაც კარგადა მტკიცდება, რომ არაბ ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის მოწმობით მას სუფიებისა და პოეტებისათვისაც თავშესაფარი აუგია, ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია და სადღესასწაულო მეჯლისებსაც უმართავდა (დევრემერი. Frag., 486).

დავით აღმაშენებლის მადლიანი გავლენა მარტო სოციალურ და სახელმწიფო ან ერის სწავლა-განათლებას არ დასტუბობა; ქართულ სამართლის მდგომარეობასაც მან ყურადღება მიექცია, განსაკუთრებით უმაღლეს სასამართლოს წარმოებას. წინადა საქართველოში უხენაეს მსაჯულად თვით მეფე იყო; მას უნდა გაერჩია ყველა საქმეები, რომელიც-კი უმაღლეს სასამართლოში იყო შეტანილი. რასაკვირველია, ამგვარი მარტივი წესი მანამ იქმნებოდა გამოსადეგი, სანამ საქართველო პატარა სამეფო იყო; მაგრამ როდესაც საქართველო გასაოცრად გაიზარდა და დიდ სახელმწიფოდ იქცა, საქართველოს მეფეს მრავალი განსაკუთრებული საქმეები გაუჩნდა და საჩქარო სამხედრო საქმეების გამო მეფე იძულებული იყო ხოლმე ხშირად ხანგრძლივ მოშორებოდა თავის სატახტო ქალაქს და სამეფოს ხან ერთ კუთხეში, ხან მორგეში, ხან მესამეში წაბრძანებულყო. რა გასაკვირველია, თუ ასეთს გარემოებაში უხენაეს სასამართლოს წარმოება შეფერხებულიყო და მომჩივანნი იძულებული ყოფილიყვნენ მეფისათვის ეცადნათ ყველგან, სადაც-კი იმ ჟამს ეგულებოდათ და ხან გორაკებზე „ბორცუსა ზედა რასამე გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა ხესა“ ასულიყვნენ, რომ ამნაირად მეფის ყურადღება როგორმე მიეპყრათ და „მუნით საცნაურ ვვის ჭრტინვა თვისი“, თავისი გაჭირვება ეცნობებინა და საჩივარი ან არაბ მიერთმია. რომ მომავალში ამგვარი რამ აღარ მომხდარიყო, დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული უხენაესი სამოსამართლო დაწესებულება შექმნა და დააღვინა „კაცნი მართლად ცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი, რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა“. ამ ახალ დაწესებულების შექმნას დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა: იმის გარდა, რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უხენაესს საფეხურშიც მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართულ სასამართლოს დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს. (იხ. ჩემი ქართული სასამართლოს ისტორია, წ. I.)

დავით აღმაშენებელი საქართველოს კონომიურს წარმატებაზეც დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონის-

ძიებას ხმარობდა, რომ აღებმცემობა გაცხოველებულ-
იყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭ-
რებს; მაჰმადიანებს საზოგადოდ ხომ საქართველოში
ისეთი ხელშეწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰ-
მადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთ ერთმორ-
წმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი პატივისცემა, რაოდ-
ენს შრუნველობასაც იჩენდა და პატივისცემით ეკიდე-
ბოდა საქართველოს ქრისტიანე მეფე (იბნ ალჯაუზი,
დეფრემერი, Frag., გვ. 486). პარასკევობით სამლოცვე-
ლოში ჯამეში შედიოდა, ლოცვას, კორანის კითხვას და
ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელეობას ბევრს ოქროს
უწყალობებდა ხოლმე (იქვე). ჩვენი დიდებული გვირგვინ-
ნოსანი სომხებსაც მფარველობას უწევდა: მან სხვათა
შორის ქ. გორი ააშენა და შიგ სომხები დაასახლა
(მათე ურპაველი, გვ. 447—448).

მიმოსვლა რომ გაეადვილებინა, დავით აღმაშენებელ-
მა ააშენა მრავალი „ხილნი მდინარეთა სასტიკთა ზედა“
და „გზანი საწყინოდ სავალნი ქუაფენილ ყუნა“ (იხ. ჩემი
„საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 23) და გზის
პირას ქარვასლები და თავშესაფრები ააგო (იბნ ალ-
ჯაუზი, დეფრემერი, Frag., გვ. 486).

დავით აღმაშენებელი მამაცი მეომარი და გულადი
მხედართმთავარი იყო: მას მოულოდნელი და მსწრაფი
სამხედრო მოქმედება უყვარდა, მაგრამ ომში უშიშარი
იყო და თავის ჯარს ყოველთვის თავგანწირულად წინ
მიუძღვოდა ხოლმე და პირადის მაგალითით ამხნევებდა
და პიხილავდა ყველას. ამიტომაც არის, რომ მისი თანა-
მედროვე ისტორიკოსი აღტაცებით ამბობს: „თვით მეფე
არა თუ ვითარცა სხუა ვინმე, ზურგით უდგა ოდენ
სპათა თვსთა, ანუ შორით უხახებდა ვითარცა ერთი
მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა
თვით წინა-უვიდოდა და ვითა ლომი შეუხახებდა ხმითა
მადლითა და ვითა გრიგალი მიდამო-იქცეოდა და თვით
გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა ძლიერითა დაამ-
ხობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინაღამთხუე-
ულთა ყოველთა“-ო (ცხოვრება მეფისა დავითისი 225, გვ.
292—293, შეად. ანა დედოფლის ქართლის ცხოვრებას).

დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარე და გულშემატკი-
ვარი აღამიანი ყოფილა; იგი ავადმყოფთა და დავრდო-
მითა შესახებაც ზრუნავდა და განუკურნებელ სენით
შეპყრობილთათვის მან „აღაშენა ქსენონი ადგილსა
შემსგავსებულსა და შეუნიერსა, რომელსა შინა შეკრიბა
ძმანი თვითო-სახითა სენითა განცდილნი“ და ამ სასნე-
ულში „მოუშადა ყოველი სახმარი მათი უნაკლულოდ
და უხუებით, განუუჩინა შესავალნი და საღუაწნი მათ-
ნი“, თანაც მომვლელები და „ხედამდგომელნი“ მიუყენა
(ცხოვრება მეფისა დავითისი 528, გვ. 295). სახელოვანი
მეფე დიდ ურადლებას აქცევდა ამ კაცთმოყვარეობით ნა-
კარნახევ დაწესებულებას, რომელიც დავით აღმაშენ-
ებელს შემოუღია გელათის მონასტრის აგების შემდგომ,
სანამ სამშვილდეს აიღებდა, ანუ 1106—1110 წ.; იგი
ხშირ-ხშირად მიდიოდა და ათვალიერებდა ხოლმე თავის
დაწესებულებას: „მონახის თვსითა კელითა ცხედრები,
სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი საგ-
მარი მათი“, რომ ავადმყოფებს ყველაფერი სუფთა და
შესაფერისი ჰქონოდათ და თვისი თვალით დარწმუნე-

ბულიყო, სვინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეო-
ბას „ხედამდგომელნი“, თუ არა. ყოველთვის, როდესაც
მეფე ქსენონში მივიდოდა ხოლმე, ავადმყოფებსაც „მოი-
ხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვს თუთუღსა“, კე-
თილის სიტყვითა და თანაგრძნობით ანუგეშებდა და
ამხნევებდა, „განამხნის მოთმინებისა მიმართ“ (იქვე).

დავით მეფე კერძო ქველმოქმედებასაც ძალიან მის-
დევდა და ამისათვის განსაკუთრებული ქისა, „კისაკი
მცირე“ ჰქონდა და მას „დავსებდის დრაჰკნითა დღე
სარწმუნოთა კელითა თვსითა“, გავიდოდა და სადამოთი
„სამწუხროდ ცარიელი მოაქუნდის იგი მხიარულსა სუ-
ლითა და პირითა.“ თუ ოდესმე მთელს ქისას ვერ დაური-
გებდა და ან „ნახევარი წარაგის მისი“, ან „ოდესმე არაგის
პოვნის“, შეწუხდებოდა ხოლმე და იტყოდა: „დღეს ვერ
მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვითა“-ო და
დაურიგებელს ფულს მეორე დღისათვის დასარიგებლად
შეანახვინებდა (იქვე 554, გვ. 321—322). საყურადღებო
და საგულისხმო ის არის, რომ დავით აღმაშენებელი
ქველმოქმედებას თურმე სახელმწიფო საჭურჭლეთგან
აღებული ფულითგან-კი არ ეწეოდა, „არამედ ხელთა
თვსთა ნადირებულთა“, საკუთარის შრომით შექმნილ
ქონებითგან (იქვე).

საზოგადოდ ეტყობა, რომ მეფე ზნეობრივად მეტად
ფაქიზი, უმწიკვლო აღამიანი ყოფილა და უსამართლობის
ჩაღენასა და მიმძლავრებას ერიდებოდა. ამ მხრივ მეტად
საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებელი, საქართვე-
ლოს სამხედრო ძლიერების შემქმნელი და მისი საზღვ-
რების გამაფართოებელი, თავისს მშვენიერ „გალობანი
სინანულიანი“-ში ჰგოდებს: „ვერ მაძღარი სხუათა სოფ-
ლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზ-
ღუართა ვაბრალედი ვითარცა მცირეთა... ბოროტად გა-
რდავკედ საზღუართა და შევრთე სახლი სახლსა და აგა-
რაკი აგარაკსა და უშულურესთა მივხუჭე ნაწილი მათი
და ვიდუწიდ უმეზობლობასა, ვითარცა მარტოა მე ვმკ-
ვდრობდ ქუეყანასა ზედა“. იგი, მაშასადამე, სწუხს, რომ
თავის სახელმწიფო მოღვაწეობაში მეზობელთა ქვეყნები
დაიპყრა და თავის სამფლობელოს შემოუერთა. მეტად
დამახასიათებელია ჩვენის სახელოვანის მეფის დიდე-
ბულის სულია და ფაქიზის სვინდისისათვის, რომ ასეთის
გმირსა და რაინდს — მეომარს გულის სიღრმეში თურმე
ამგვარი ფიქრები აწუხებდნენ!..

ყურადღების ღირსია, რომ მეფე დავით აღმაშენებელს
რადაც „სიჭაბუკის“ ცოდვა ჰქონია ჩაღენილი. (ცხოვრება
მეფისა დავითისი 552, გვ. 320). თავის „გალობანი სინა-
ნულიანი“-ში მეფე ამბობს სხვათა შორის „მბროლ
ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილ(ი)თა-
მიერ ხენეშ(ი)თა ვმძლავრე საწოლსა ჩემსა და სახეთა-
მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა
იგი მეფეთა მისთა ისრაელი“. ამ წინადადებითგან
ჩანს, რომ ჩვენს გვირგვინოსანს რადაც უწევს ჩაუდ-
ენა ქორწინებაში. მის ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს
მხოლოდ ერთი მისი თანამეცხედრე, ყოვწყათა მთავრის
ასული; მაგრამ სომეხი ისტორიკოსის მათე ურპავლის
სიტყვებითგან ირკვევა, რომ მეფეს სხვა ცოლიცა ჰყო-
ლია, სომხის ქალი, რომლისგანაც დაჰბადებია უფლის-
წული და ტახტის მემკვიდრე დიმიტრი (მათე ურპავლის

ისტორია, გვ. 448). იქნებ იგი დავით აღმაშენებლის ისტორიაში იმიტომ არ არის მოხსენებული, რომ მეფე მას გაეყარა და მეორე ცოლი, ყივჩაყთა მთავრის ასული, შეირთო? იქნებ სწორედ ეს საქციელი იყოს დავითის „ბრალნი სიყრმისა“ და „სიჭაბუკისა“-ნი? ასეა თუ ისე, სინამდვილე ჯერ საიდუმლოებით არის მოცული, დავით აღმაშენებელი მთელ თავის სიცოცხლეში ამ ცოდვის მონანიებაში იყო და შიო-ძღვისმის მონასტრისადმი ბოძებულს ანდერძში ბერებს საგანგებოდ ავალებდა კიდევ, რომ ყოველ ღიღმა მისთვის ასე ელოცნათ: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი“-ო (შიომღვ. ისტ. საბ. 17 და თ. ჟორდანიას, ქრონიკები I I , 105). საზოგადოდ სახელოვანი მეფე, რომელსაც ეგოდენი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოს წინაშე, თავისი თავის მკაცრი მსაჯული ყოფილა და „გალობან“-ში თავის თავს ყოველგვარს ბრალსა სდებს და მართოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარობის იმედი-და აქვს; როდესაც ჩემი აღსასრულის წამი დადგესო, მომხიბლავის გულწრფელობით და შეშხარავის ძლიერებით აქვს ნათქვამი „გალობანი სინანულისან“-ში, და „უამი რაჲ წულილთა ამოფშვრვათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარკდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს

სკიპტრამ, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო! განრაჲდლოს წიგნი ღღესა-შინა სასჯელისასა და მე ქედდარეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუაჲ ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, — მაშინ შემიწყალე, იესო ჩემო!“ (ქრონიკები. I I , 106).

მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და უღმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე, და მან დიდხანია უკვე, რაც თავისი პირუთენელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსონას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს.

ივანე ჯავახიშვილი



გელათის აკელმა



დავით აღმაშენებელი

გალობანი სინანულიანი

უგალობდითსა

1. რომლისაცა წინაშე ქედ-დადრეკილ არს ყოველი, მუჭლი ყოველი მოდრეკების და ენაა ყოველი შენსა კმობს აღსარებასა¹, მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ!

2. ხატსა თვსსა მამგავსე² და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმაღლო გექმენ.

3. ბუნებითი რაა ძალნი არა სჯულთაებრ ვიკუმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დაეპბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა — მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

4. ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაა განაზრქე კორციითა და კარვითა მიწისაჲთა, სიზრქე უსასოებისაჲ განმბარცუე, რაჲთა მონაწილი შეგივრდე შენ!

განძლიერდითსა

1. ბუნებითსა რაა პორფირსა თვთმფლობელობასა თანა მეფობისაცა შარავანდნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონად მიეპყიდე თავი, რამეთუ „რომლისაგანცა ვინ ძლუელ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.“³

2. კაენის მკვლელებრი ცნობაჲ⁴ სეთის ძეთა ღირწებაჲ⁵, გამირთა სიღოდით მავალბობაჲ⁶ ხუთ-ქალაქელთა

შეგინებისა მწურე⁷ უფროჲს ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მღინერემან უკეთურებისამან.

3. მეგვბტური გულმძიმობაჲ⁸, ქანანელთა ჩუუულეზანი⁹, მსხუერპლგაჲ ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ, კოწოლი თმათაჲ და სხუანი, რომელთაჲ შენ კბრძანე არა მსგავსებაჲ, უწარმდეგესად მოვიგენ თუთ მათ პირმშოთა სახეთასაცა.

4. ამისთვის იყო ქალწული და ვორც-ქმნაჲ სიტყუსაჲ, რაჲთა დედობრივთა ოხათა მიერ ცხოვრდენ ცოდვილნი, რომელთა პირველი, საშუალი და დასასრული, მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ.

მესმასა

1. ისრაელისა მეფეთა ეპბაძევედ, გარნა უსჯულოთა, და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე მაღალთა ზედა კუმევისა, და წარმართთა აღრევისა მიერ,¹⁰ და ძალთა ცისათა თაყუანისცემისა¹¹.

2. ზენაჲსა მოძრაობისა ასურასტანული ზმნობაჲ, და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაჲ და განყრაჲ, სუწ და ბედი, და შობის დღე, ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

3. ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ¹² და შემოქმედისაგან შექმნილთა მიმართ ცვალებაჲ თაყუანისცემისაჲ სრულ- ვყავ, რაჲჲმს თითოეულისა ვნებისა კერპსა ვჰმსახურენ.

4. ამისთვის ღმერთ-მამაკაცებზე მოქმედ იქმნა ზეშთა ღმერთთაჲ, რაათა კაცებზე უწყოდნის ვნებანი ჩუენნი და ღმრთეებზე იკსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ.

ღამითგანსა

1. შჯულნი დაეთრგუნენ წიგნისა (ნი), და ახალი ბუნებითურთ, და შჯულისა შენისა მოწამე, შჯული გონებისაჲ, ცოდვისა და გორცთა შჯულსა დავამონე.
2. თითოეულთა მკეტაგან შეზავებულსა მკეცსა ვემსგავსე, მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა და სხუა ჟამ სხუებზე ხილულსა და მკსენარსა ბუნებისაგან თითოეულისა.¹³

3. არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰკიდის,¹⁴ რომელი ჩემებზე მიმდემად ცრულ შუცვიდენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

4. ამისთვის სისხლთა ქალწულებრივთაგან გორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებაჲ, ღმერთი და კაცი, რაათა, იოხდეს დედაჲ ჩემებზე განწირვით უსასო-ქმნილთა.

ღაღადჟავსა

1. სოლომონისაჲსა წურბლისა¹⁵ მსგავსად ვერ-მამდარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ¹⁶, ვითარცა მცირეთა და უნდითა ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქუმისა.

2. ბოროტად გარავჰკედ საზღვართა¹⁷ და შევძრთე სახლი სახლსა, და აგარაკი აგარაკსა¹⁸, და უუძღლურესთა მივძხუეჰე ნაწილი მათი, და ვიდუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოჲ ვძკვდრობდ ქუეყანასა ზედა.

3. მბრძოლ ვეძქენ ყოველთა წესთა სჯულისა შენისათა და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა¹⁹, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ვრი ჩემი. ვითარცა შეფეთა მისთა — ისრაელი.

4. ამისთვის ქალწული დედაჲ და შობაჲ ახალი სიტყვსაჲ, რაათა ახალი ხატყუფაჲ მეორედ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა მისთა,

დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმელითა დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ.

კურთხეულ არსა

1. ვერცხლი, ვითარცა მიწაჲ, და ოქროჲ, ვითარ თიკაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ,²⁰ თაყუანის-ვეც ანგაპრებისა მამონას, ვითარ-იგი ძუელთა მათ — ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.²¹

2. სიტყუაჲ წმიდაჲ და ბაგეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა მმაცული სივერაგე ვითნე, და შემასმენელთანი დავიტკებენ ზრახვანი, და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

3. ცრემლნი ქურივთანი და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწვალე²², არა განუხუენ ნაწლავნი მოქენეთა, უფრომსდა, შენ, ქრისტეს, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა²³.

4. ამისთვის შობაჲ ღმრთისაჲ აღამაინისაგან დედაკაცისა, რაათა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღმრთისა დედაჲ დაჰკსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა.

აკურთხეულითსა

1. ესენი ვცოდენ, სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა მცემელთა რაჲ ყურბლისა მიპყრობასა, და გლახაკათთს განშიშულებასა,²⁴ და რაათურთით არა ფიცსა შენ, სჯულის-მდებელი ჩემი, ჰბრძანდები²⁵ და გულისთქუმით მიმხედველობასა განსრულებულად მრუშებად დასდები.²⁶

2. დაღათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ კელნი არცა დავდე სასოებაჲ ჩემი²⁷ ღმრთისა მიმართ უცხოასა, არცა უცხო-თესლი რაჲმე სარწმუნოებაჲ საწურთელ ვჰავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა!

3. და აწ, მომდრეკელი მუკლთა გულისათაჲ ვგმობ, ვითარცა სხუაჲ მანას²⁸, მილხინე, მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შენა²⁹, და ნუ იკსენებ ძურთა ჩემთა,³⁰ და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ ამადლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან!

4. საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნლო

ქალწული, და გურწამს, ვითარმედ
პატრიუ ხატისა შენისაა შენდამო
წილმოვალს, ღმრთისმეტყუელთაებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს
თუატრომ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,
სიკეთე ეგვპტისაჲ, ღირსი მარიამ!

ადიდებდითსა

1. ჟამი რაჲ წულილთა და ემელთა აღმოფშვნიათაჲ წარმოდგეს,
ზარი შეფობისაჲ წარკდეს და დიდებაჲ დასრტეს,
შუბანი უქმ იქმნენ,
ყუაგილოვნებაჲ დაჭნეს,³¹
სხუამან მიიღოს სვიპტრაჲ,
სხუასა შეუდგენ სპანი,³²
მაშინ შემეწყალე, მსაჯულო ჩემო!

2. გან-რაჲ-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისაჲ³³
და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,³⁴
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი³⁵,
მაშინ შემეწყალე, იესუ ჩემო!

3. ვინათგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განკმელთა მოპბერა
სული კუალად შობისაჲ,³⁶
მრწამს, ვითარმედ ადვსებაჲ
სრულ-ჟოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ!

4. მარტო, სრულო, სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაათა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა³⁷,
სულითა ღმრთისაჲთა ძე
გამოგვპყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა!

5. არაჲ უხილავს მხესა ქალწული დედაჲ თვნიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა-ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისაჲ
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!

ტექსტი დადგენილია **ლასრა**
პრიგოლაშვილის მიერ

¹ შდრ. ესაია 45, 24; რომ. 14, 11; ფილიპ. 2, 10-11.

² დაბად. 1, 27.

³ 2 პეტრე 2, 19.

⁴ დაბად. 4, 1-12

⁵ შდრ. დაბად 4, 25-26; 6, 5.

⁶ შდრ. დაბად 6, 4.

⁷ შდრ. სიბრძნ. 10, 6; დაბად. 01. 19.

⁸ შდრ. გამოსლ. 1, 13-22.

⁹ შდრ. გამოსლ.; 34, 11; 2 შჯ., 7, 1-2.

¹⁰ შდრ. ფსალ. 105, 35.

¹¹ შდრ. 4 მეფეთა 21, 3; 2 ნეშტთა 33, 3.

¹² შდრ. 1 კორინთ: 1, 21.

¹³ შდრ. გამოცხ. 13, 2; 19, 20.

¹⁴ შდრ. გამოცხ. 14, 14-16.

¹⁵ შდრ. იგავნ. 30, 15

¹⁶ შდრ. 2 შჯულთა 19, 14; იგავნ. 22, 28.

¹⁷ შდრ. ფსალ. 73, 17, 103, 9.

¹⁸ ესაია 5, 8.

¹⁹ შდრ. ფსალ. 35, 5; ებრ. 13, 4.

²⁰ შდრ. ეკლეს. 2, 8; 1 ტიმ. 6, 10; ფსალ. 17, 43.

²¹ შდრ. მსაჯ. 13; 3, 7; 10, 6; 1 მეფეთა 12, 10; 3 მეფეთა 11, 5-7; 4 მეფეთა 21, 3-7.

²² შდრ. ფსალ. 9, 35; ფსალ. 145, 9; იაკობ. 1, 27; 1 ტიმ. 5, 3;

²³ შდრ. მათე 25, 40.

²⁴ შდრ. მათე 5, 39; ლუკა 6, 29.

²⁵ შდრ. მათე 5, 34.

²⁶ შდრ. მათე 5, 28.

²⁷ შდრ. ფსალ. 27, 7.

²⁸ შდრ. 2 ნეშტთა 33, 12.

²⁹ შდრ. ფსალ. 27, 3.

³⁰ შდრ. ფსალ. 78, 8.

³¹ შდრ. 2 პეტრე 3, 10.

³² შდრ. იოანე 5, 43.


³³ შდრ. გამოცხ. 20, 12.

³⁴ შდრ. გამოცხ. 19, 11.


³⁵ შდრ. 2, ტიმ. 2, 19; მათე 25, 34; 25, 41.

³⁶ შდრ. ებკ. 37, 7-10, რომ. 8, 11.

³⁷ შდრ. ფსალ. 35, 10.



გალობანი სინანულიანი XII ს. ხელნაწერი



იქცისკურეიქუიქ

დავით აღმაშენებლის პოეზია

ქართული შუასაუკუნეობრივი პოეზიის გვირგვინია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

ქართული შუასაუკუნეობრივი სული ყველაზე მკვეთრად და რელიეფურად გამოიხატა დავით აღმაშენებლის ამ საგალობლით. ეს მაღალპოეტური ნაწარმოები დირსია განსაკუთრებული ყურადღებისა.

ქართველი ერის პოეტური გენია XII საუკუნის დასაწყისში გამოიხატა რელიგიური ხასიათის პოეტური საგალობლით, ხოლო საუკუნის ბოლოს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემით.

ამრიგად, XII საუკუნე გვევლინება მწვერვალად შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, სადაც რელიგიურიცა და საერო პოეზიაც განუმეორებელ სიმადლებებს აღწევს და მთელი ერის კულტურაზე და სულიერ ძალებზე ახდენს არნახულ გავლენას. ქართული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის ეს პერიოდი განსაკუთრებულია იგი მოჰყვება ერის არსებობას, როგორც მისი მანათობელი მეგზური მომავალ ეპოქებში.

„გობრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით, ... უკვდავი და ღიღების მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედეგ ბუნება და არამოდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისოდ მისღვისა ჩემისასა და ვერ უძლე დატევებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთოგან“¹.

XII საუკუნე იწყება დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობით და მთავრდება თამარის ხანით. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ძლიერი სახელმწიფო იყო საწინდარი თამარის ოქროს ხანისა. მაგრამ დიდებული მეფე დავით უკვდავია არა მარტო თავისი სამეფო საქმეებით, არამედ ასევე თავისი პოეზიით. ჟამთა სვლამ ისტორიას შემოუნახა დავით მეფის ერთადერთი ლირიკული საგალობელი, „გალობანი სინანულისანი“, რომელშიაც გამოიხატა დიდბუნებოვანი მეფის სულიერი ცხოვრება და მარადიულ იდეალთადმი სწრაფვა.

დიდი პოეზია ქართველი ხალხისა, მისწრაფებანი და პოეტური ხმა ყველა დროში თავისებურ ფორმას და მიმართულებას იღებდა ეპოქის შესაფერისად. ადრეული შუასაუკუნეების ფილოსოფია გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიიდან და პოეზიაც სულის განწმედისა და ხორცის უარყოფის პოეზია იყო. ძველი ქართული სასულიერო პოეზია გამოდის ქრისტიანული ფილოსოფიიდან. ამ რელიგიის ფილოსოფია დაედო საფუძვლად ჩვენი წარსულის იმ დიდ პოეზიას, რომელმაც დავით აღმაშენებელს „გალობანი სინანულისანი“ დააწერინა.

კაცობრიობის ცოდვათა თავს დება, რაც ასე კარგადაა გამოთქმული დავით აღმაშენებლის საგალობელში, დამახასიათებელია მსოფლიო რანგის დიდ მისტიკოსთათვის. მსოფლიო სევდის, მისტიკოს სათავეები ქრისტიანულ პოეზიაში სამეხარია ნეოპლატონიკოსებთან, ხოლო ყველაზე ადრე „ეკლესიასტეში“. ნეოპლატონიკოსთა მისტიკა მოდის ანტიკური მისტიკიდან, კერძოდ, პლატონიდან. შემდეგ ამ ხაზს თავისებურად ავითარებს ქრისტიანული მწერლობა, პოეზია. ამავე განწყობილების ტიპური გამომხატველია ქართული საგალობლები და საერთოდ ქართული სასულიერო პოეზია.

მისტიკის შემდგომი, თავისებური და განსხვავებული ფორმა შეიმუშავეს რომანტიკოსებმა.

ქართულ სინამდვილეში ქრისტიანული პოეზია სხვადასხვა ხასიათს იღებს. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ გვერდით, რომელიც უმაღლესი საკაცობრიო სევდის გამოხატულებაა, არსებობენ სახელმწიფო ინტერესების შემცველი რელიგიური საგალობლები, ნიკოლოზ გულაბერისძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ და იოანე შავთელის „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

ამათგან სრულიად განცალკევებით დგას ღმერთე მეფის იამბიკოები. ღვთისმშობლისა და წმიდა შიოს სახელისადმი მიძღვნილი ეს სადიდებელი ჰიმნები სრუ-

3.5.1962

77573A

ძვირფასო ლიდა!

პირობებში N. კაპაძისგანაც არ
არაა - თანაგრძობა დაწერილი.
ერთ სტავს ცვლილია აწერილი.
მეს ვარ ვამოყვანილი - ქართულ
ნაღებში: შენაწიწავე!

მივიღე აწერილი ჩვეული „მე-
თომისა“! ლიდა იწყებდათ წა-
ვივითხე წერილი ვინა მანა
საქამაძისა: „დავით აღმაშენ-
ებელი და დამაგრე მეფის ლიდა-
ვა“! ძალიან კარგი. ნაშრომი რა-
ხარა საგანში. ვადაეცი მეც ე-
ღვი აწარ- თუ ცვლილიში ცხომ-
არა, ნახვ და ეყვი - თუ სხვა-
გან, მაშინ მიღწეა, მისამართ შუ-
ყომ „მნათობი“ არაქცილი სავა.
იყავი კარგად!

შენი ვარგული

ლიად განსხვავდება იმდროინდელი სასულიერო პოეზიის სტილისაგან. საოცარი სიახლოვე ხალხურ მეტყველებასთან ამ ჰიმნებს ხდის ფრიად საანტირესოსა და საგულისხმოს. დემეტრე მეფის ღვთისმშობლის სახე სრულიად არ გავს იმ პერიოდის ქრისტიანული მწერლობისათვის ცნობილ და მიღებულ ღვთისმშობლის გაგებას. დემეტრეს იამბიკო თავისი ნათელი, ხალისიანი ფერებით ახლო დგას „ქებაჲ ქებათაჲს“ სიცოცხლის სიყვარულთან. ასეთმა განწყობილებამ მოუპოვა მას საერთო სახალხო სიყვარული და განაპირობა მისი გახალხურება.

სასულიერო ფილოსოფიურმა მწერლობამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისათვის, მაგრამ საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი თანდათან პრიორიტეტს უთმობს საერო მწერლობას, რომელმაც ეს ეპოქა ესოდენ გააღია „ვეფხისტყაოსნით“.

ამრიგად, XII საუკუნეში საქართველომ მიაღწია თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქების შექმნით. ამავე საუკუნეში მწერლობაში მოხდა არანახული აღმავლობა, შეიქმნა საერო და სასულიერო პოეზიის შედეგები. დავით მეფის „გალობანი სინანულისანი“ ამ აღმავლობის ბრწყინვალე ნიმუშია.

დავით აღმაშენებელი გამეფდა XI საუკუნის მიწურულში, 1089 წელს. მან სახელმწიფო ჩაიბარა დასუსტებული და გაპარტახებული. დავით მეფის მემკვიდრე ასე აგვიწერს იმდროინდელ საქართველოს ყოფას: „მოხრდა ქუეყანა და ტყეჲ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა, სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათაჲსა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა, ... ცეცხლი უცხო და მრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი... ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არაყოფისათჳს მათ ზედა მედღესასწაულეთაჲსა“.²

ასეთ ვითარებაში გამეფდა თექვსმეტი წლის დავით და, ამიერიდანო, — წერს მემკვიდრე — „იწყეს ნიათა ცხოვრებისათა მობერად“³ ვინაიდანო, — „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ მოღვაძე მან დავით, დმრთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეათურამეტემან შვილმან დავითისამან დავით“.⁴ ეს მოხდა ქრონიკონ 309-ს, ე.ი. 1089 წელს.

ტახტზე ავიდა დვთაბერივი შთამომავლობის მქონე მეფე. ასე აღიარა იგი მატთანემ და შემდგომმა ლიტერატურამ და ისტორიამ.⁵

დაუცხრომელი ენერგიით, ნიჭით, უამრავი ბრძოლებითა და გამარჯვებებით გააძლიერა დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო. ააშენა ეკლესია-მონასტრები, აავლიდი ტაძარი გელათი, ააყვავა კულტურა. საქართველო მის ხელში ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო შეიქმნა. სამაგიეროდ დაიმკვიდრა უკვდავი სახელი — აღმაშენებელი.

დავით მეფის მოძღვარი და მემკვიდრე, აღტაცებული დავითის სამეფო საქმეებით, წერს, დავითს რომ ღირსეული აღმწერელი ყოლოდა, მისი სახელი აქილევსივით პოპულარული გახდებოდაო.

დიდგორის გამარჯვების გამო მემკვიდრე ამბობს: „არა დიდ იყავ აქილევო, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უშიროსს... ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა (იგულისხმება ჰომეროსი და არისტოტელე -მ. კ.) თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვანად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინდამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“.⁶

მემკვიდრის თხზულებას მკვეთრ ზოლად გასდევს დავით აღმაშენებლის ერთი მხრივ — ბიბლიურ დავითთან შედარება და ამ გზით მისი დვთაბერივი წარმომავლობის მტკიცება, და, მეორე მხრივ — ალექსანდრე მაკედონელთან დაპირისპირება.

დავით მეფის ცხოვრება აღსავსეა საზრუნავებით, მოქმედებით, გამარჯვებათა სიხარულით, მაგრამ არა მოწყენით და პასიური უმოქმედობით. მას, როგორც მეფეს, არ გააჩნია მიუღწეველი ოცნებები. მაგრამ მის სულში აღუსადგურებია მისტიკას, სინანულს, პესიმისტურ განწყობილებას აღამიანთა არსებობის საკითხებზე. დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევი ამ გრძნობის, თუ სხვა რამ? სად უნდა ვეძებოთ მისი ფესვები? იქნებ მეფის პირად ცხოვრებაში? მაგრამ მან ხომ ყველაფერი გააკეთა, როგორც მეფემ, მან ხომ ყველა საწადელი აღისრულა. მისი მოღვაწეობა იყო საფუძველი „ქვეყნის აღშენებისა“. ყოველი დიდებული მეფე იქნებოდა კიდევ უფრო სვებედნიერი თუ ამგვარ უმაღლეს სახელწოდებას მიანიჭებდა ხალხი — „აღმაშენებელი“. ეს სახელი კიდევ ერთხელ დავითის მეფობის ბედნიერების ნათელიყოფაა.

მაგრამ, რა ტკივილი აწუხებდა მეფეს? რა ცოდვები ჰქონდა ასეთი სასტიკი? ყველა ისტორიკოსი, ჩვენი თუ უცხო, აღტაცებულია მეფის სიქველით, ვაჟაცური ღმობიერებით. რა ადარდებდა ბედნიერ ხელმწიფეს, ან, რა ადარდებდა საუკუნეთა წინათ ბიბლიურ სოლომონს, „ეკლესიასტესა“ და „ქებაჲ ქებათაჲს“ ავტორად აღიარებულს? იქნებ, ამ ორ ძლიერ ხელმწიფეს, რომელთა განწყობილება ასე წააგავს ურთიერთს, სადარდელი ერთი და იგივე ჰქონდათ.

„უკვდავი და დიდების მოყვარე და მეფობისა ტრფიალი მეღვა ბუნებაჲ“ — ასეთია დავით აღმაშენებელი თავისი დაუცხრომელი საზრუნავებით, შენებით და ომებით, სიცოცხლით და სინანულის საგალობლით. იგი გრძნობდა ტკივილს, როგორც მეფე, რადგან გრძნობდა პასუხისგებას ქვეყნისა და მომავლის წინაშე. მას უნდა ეგრძნო აღამიანთა ნაღველი და სიხარული ყველაზე მეტად, რადგან ის იყო მათი ჭეშმარიტი მეფე, შემქმნელი მათი ბედისა.

სიცოცხლის მოყვარე მეფე, რომელსაც იმდენი საზრუნავი ჰქონდა, ჰპოვებდა ერთგვარ სიმშვიდეს მისტიკურ-რელიგიურ განწყობათა პოეტურ ხმაში ამტეტველებით.

შემდეგ, მე-17 საუკუნეში, დიდებულმა მეფე-პოეტმა, თეიმურაზ პირველმა, რომლისთვისაც ცხოვრება გულმოდგინედ არ ყოფილა, თავისი სევდიანი ხმით მთელი

ქვეყანა მოჰყვანა და, თუ სვებედნიერ პოლიტიკოსად არა, დიდ პოეტად მაინც დარჩა. თეიმურაზის პოეზიაში საკაცობრიო სევდის განცდა კავშირშია მეფის პირად უბედურებასთან, მაცდური ბედი თავის ქვეყნისა და პირადი უბედურება თეიმურაზისათვის თითქმის განუყოფელია. მუხთალი ბედის სისასტიკე მთელი სიძაგერით განიცადა მეფისაზე მეფემ.

მაგრამ დავით აღმაშენებელი, ეს დიდებულების და ძლიერების შარავანდელით მოსილი მეფე, საღდაც, სულის სიდრემში ფილოსოფიურად განწყობილი, სიმშვიდეს „გალობათა სინანულში“ ეძებს. და, მართალია, მას არ უთქვამს სოლომონით, „ამაოება ამოთა და ყოველივე ამო“, მაგრამ თუ არ არის „ყოველივე ამო“, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ამბოების იქით შეიძლება იხსნა თავი მარადისობაში. ეს ქვეყანა კი მაინც დარჩა „ამაოებად ამოთა“.

სოლომონს ეს საიდუმლოებით მოცული მარადისობა არ გააჩნდა დამხსნელად სულისა და როცა ქვეყნის ყოველგვარ სიტკობებს მიაღწია და აღარაფერი დარჩა სანატრელი, მისთვის ყველაფერი „ამაოებად“ იქცა, „რამეთუ ყოველივე ამოა და ყოველივე ერთსა აღვილსა მივალს. ყოველივე შეიქნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწად.“⁷ დიდი სევდაა წარმავლობისათვის, რომ ყველა მის საქმეს წაიღებს და დაივიწყებს დრო. გინდა ის, და გინდა უგუნური ვინმე, დროისათვის ყველა ერთია, — და ვინ იცის, ვინ იხელმწიფებს ჩემს ნაშრომ-ნაღვაწ-ზე-ბრძენი თუ უგუნური, რომელი გააპარტახებს ყოველივეს, და ყოველივე ამოდ იქცევა, რამდენიც არ უნდა განვადიდო საქმენი ჩემნი...

ქართულ მეფეთა გენეალოგიის გამოყვანა ბიბლიურ დავითისაგან მრავალმხრივ არის საგულისხმო. დავითისა და სოლომონის სიბრძნე და ფილოსოფია მათ შთამომავლად წოდებულის, მეფეთა მეფის დავითისათვის განსაკუთრებით მახლობელი და საინტერესო ყოფილა. ფილოსოფოსი სოლომონ ბრძენი, დიდი დავით, ავტორი ფსალმუნთანი, და მათი მემკვიდრე, მეფეთა მეფე ქართველთა დავით, — ბიბლიურ ღვთაებრივ მეფეთა შთამომავლად აღიარეს.

დავით აღმაშენებლის რწმენა ძლიერია. ძლიერია მისი პიროვნება. თავისი რწმენით იგი მიდის ღმერთამდე, ღმერთის რწმენით — ადამიანის მარადიულობამდე. მას სწამს ადამიანისა და სამყაროს ძლიერება. სწამს ცხოვრება. და მაღალი იდეალი ადამიანის მიერ შექმნილი, სწამს ქვეყნად სიკეთის სიღიადე.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი იღვენებოდა მრავალგზის, ხოლო დავით აღმაშენებელი მას თანაუგრძობდა, მფარველობდა. პეტრიწს სწამს აბსოლუტური „კეთილობა“ ღმერთისაგან, აბსოლუტური ერთი.

აღმაშენებელს სწამს ღმერთი — შემოქმედი კეთილი-სა, მისთვის ბოროტი მეორეული მოვლენაა, წარმავლობა, კეთილი მარადიულია.

დავით აღმაშენებლის გაგებით, ბოროტი შეიქმნა იქ, სადაც კაცი ვერ ავიდა თავისი სახის სრულყოფამდე. მიზანი ადამიანისა არის სრულყოფა ღმერთის დარად. აქ უკვე კაცში იმარჯვებს მხოლოდ აბსოლუტური „კეთილობა“ (მარადიული კეთილი).

ეს უმაღლესი იდეალი, უმაღლესისადმი სწრაფვა უნდა განხორციელდეს ადამიანში ღმერთის აღდგომით.

მრწამს ვითარმედ აღვსება

სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის

ყოველისავე სინანულით აღდგომისაჲ.⁸

აქ ადამიანი ხდება მარადიული, როგორც სიკეთე, როგორც ნათელი, როგორც საუკუნეთა სვლა; — „ნათელი ზეშთა საუკუნეთა“.

ღმერთმა შექმნა კაცი თავის ხატად. მისცა თავისუფალი ნება და ნათელი გონება, ხოლო კაცმა ვერ დაუმბლდა.

ხატსა თვისსა მამსგავსე

და საკრველად გრძობადისა

და გონიერისა მყოფობისა დამაწესე,

შენებრ არსთა სიტყუებითა

ჩემ შორისცა შეკრებითა,

ხოლო მე უმაღლო გექმენ.

ბუნებითი რაა ძალნი

არა სჯულთაებრ ვიხუმიენ,—

მსგავსებისაგან და ვაკლი და დავკ-
ჰბადე ბოროტი.

ბოროტის დაბადება კაცისეულია და არა ღმერთისეული. ბოროტი დაიბადა იქ, სადაც კაცმა ვერ შეძლო ღმერთის მსგავსებამდე ასვლა.

ადამიანი ცოდვილია, ბუნება კაცის ცოდვისადმი მიდრეკილია.

ამიტომ ღმერთ-მამაკაცად მოგვევლინა ზეციური უფალი, რომ გვიხსნას ცოდვებისაგან. მან, რომელსაც ადამიანი, წმიდა ქალწული დედად ჰყოლია.⁹

მე, ადამიანმა, კანონი გონებისა ცოდვებსა და ხორციელ ვნებების კანონს დავემორჩილე!¹⁰

აქ ავტორი წარმოგიდგება აღმწერლად ადამიანთა ცოდვებისა „დასაბამითგან დასასრულამდე“, თუ რატომ იყო საჭირო ქვეყნად ღმერთის ადამიანად მოვლინება, რა ჩაიღინა კაცობრიობამ, ადამიანმა, რომელიც შემოქმედმა თავისი სახის მსგავსად შექმნა და მისცა მას. გონება და შესაძლებლობა ქვეყნის სრული მფლობელობისა.

დავითი გვევლინება იმ ცნობილი თეოლოგიური მოძღვრების გადმომცემად, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დედაზრს შეადგენს. მთავარი მიზანი ქვეყნად ღმერთის კაცად მოვლინისა იყო აღდგომა, როცა მე კაცისა აღდგა ღმერთად, და როგორც ღმერთმა, დაიბრუნა თავისი პირველი სახე, ხოლო რადგან ის ამავე დროს იყო კაცი, და მაინც აღდგა, მასთან ერთად აღდგა მთელი კაცობრიობა და გოლგოთის გზით მას მიეცა გზა ხსნისა. ამიტომ ადამიანებმა ამ ქვეყნად უნდა იზრუნონ იმ ქვეყნისათვის, მარადისობისათვის და ტანჯვისა და მოთმინების გზით მათთვის გაიხსნება გზა სამოთხისა. მაგრამ რომ არ ყოფილიყო აღდგომა, მაშინ პავლე მოციქულის სიტყვებით, ამო იქნებოდა ადამიანთათვის მოთმენაც და ცოდვების ჩადენაც; რადგან, თუ სულერთია, ვერ ვედრისებთ მარადიულ ხსნას, რა საჭიროა მაშინ გოლგოთა, რა საჭიროა მონანიება.

აქვე გავიხსენოთ სოლომონის „ეკლესიასტეს“ მთავარი ხაზი — ამაოება ამოთა, რომელიც ფარავს ყველა-

ფერს და რომლის იქით არ არსებობს არაფერი. ხოლო ერთადერთი, რაც გვაქვს, სოლომონის გაგებით, ეს არის დღევანდელი, დღევანდელი სიამე და სიხარული, ეს ერთადერთი მისცა ღმერთმა მზის ქვეშეთში კაცს, „და ვაქე მე სიხარული. ვითარმედ არარაჲ არს კეთილ კაცისა მზისა ამას ქუეშე: გარნა ჴამაჲ და სუმაჲ და მხიარულე-ბაჲ: და ესე თანავეოს მას შრომათა მისთა შინა დღეთა ცხოვრებისა მისისათა რავდენი მისცნა მას ღმერთმან მზესა ამას ქუეშე“.¹¹

მივეცეთ დღევანდელი დღის სიტყვებებს, რადგან იმის იქით მხოლოდ ამოუბაა — „რამეთუ ძალდი ცოცხალი, იგი უკეთეს უფროს ღმერთისა მკუდრისა. ვინაჲ-დან ცოცხალნი სცნობენ რამეთუ მოკუდებიან, ხოლო მკუდარნი არა არიან მეცნიერ არამაჲ, და არა არს სახსენებელი მათი, და სიყუარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი ეგერა წარწყმდა და ნაწილი მათი არღარა არს უყუნისადმე ყოველთა ქმნულთა მზისა ამას ქუეშე“.¹²

ხოლო პავლე მოციქული ამბობს: „ანუ ჩვენ რამაჲმედ ვიჭირებთ ყოველსა ჟამსა?.. რაჲთმე სარგებელ არს ჩემდა, უკეთუ მკუდარნი აღსდგებიან? ვსსჭამოთ და ვსსუათ, რამეთუ ხველე მოვკუდებით!“¹³

ვხოცოთ ერთმანეთი, დავღვაროთ სისხლი მოყვასისა, დავლიოთ, დავთვრეთ და ავაოხროთ მოყვასი ჩვენი, თუკი ყოველივე ამო იქნება. მაგრამ, რადგან ერთხელ აღდგა ადამიანი, ეს ყველას აღდგომაჲ, ვინც იმის საქმეს ირწმუნებს და ადამიანებმა უნდა ვიზრუნოთ მარადიული ხსენისათვის.

დავით აღმაშენებლისათვის გზა სინანულისა არის გზა აღდგომისა, —

მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოველივე სინანულით აღდგომისაჲ.

დავით აღმაშენებლის ღირსება ამ თემის თავისებურად გაგებაშია. ეს ცნობილი კონცეფცია ქრისტიანული რელიგიისა, დავითს აღუქვამს თავისებური პოეტური ხედვით და ღრმა ადამიანური განწყობილებით. მართალია, სასულიერო შწერლობისათვის დამახასიათებელია და ცნობილი ფორმა ლოცვა-ვედრება ღმერთისადმი ცოდვათა შენდობისათვის, მაგრამ დავითისეულ „სინანულის გალობაში“ არის სხვა, რითაც ის ჩვეულებრივობისაგან განსხვავდება.

მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება. შიომღვიმისადმი მიცემულ დავით აღმაშენებლის ანდერძში გვხვდება ფრაზა, რომელმაც დააფიქრა მკვლევარები.

რა ცოდვა ჰქონდა დავითს ისეთი, რაღაც ცოდვა უნდა ჰქონოდა ახალგაზრდული, — წერს თ. ჟორდანი და შემდეგ ზოგიერთი სხვა მკვლევარი. ქრისტიანული გაგებით ყველა კაცი ცოდვილია, და უცოდველი მხოლოდ ღმერთია. ადამიანები შენდობის ითხოვენ უფლისაგან ცოდვათა გამო, რომელიც მათ ადამიანურ არსებობას უცილობლად თან ახლავს.

... და მილოცენ ესრეთ: უფალო ღმერთო, დავითს მიუტყვევ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი!¹⁴

ხოლო ფსალმუნი ამბობს, „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ; წალობითა შენითა მომიხსენებ მე სიტკბოებისა შენისათვის უფალო“.¹⁵

იქნებ აქედან მოდის ესოდენ გავრცელებული ფორმა ქრისტიანული სითავმდაბლისა უფლის წინაშე. იქნებ ასეთივე დავით აღმაშენებლის ფრაზა სიყრმის ცოდვებზე? იქნებ ასეც იყოს, ან, არა მთლად ასე.

ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვილაპარაკოთ დავით მეფის ცოდვებზე, როცა ამის საბუთი არა გვაქვს, ანდა გამოვაცხადოთ უცოდველად, როცა თვითონ გრძნობდა თავს კაცად, და მოითხოვდა შენდობას. ეს ყოველი უფრო მეტად გასაგები ხდება, როცა უფიქრდებით დავით მეფის მსოფლგაგებას, როგორც ქრისტიანისა, და როგორც „გალობანი სინანულისანის“ ავტორისა.

ყოველ დიდ გაცდლაზე და განწყობილებაზე გავლენა აქვს ადამიანის პირად ცხოვრებას. პირადი გაცდლით, პირადი სიხარულითა და წუხილით იწყება შესვლა ზოგადსაკაცობრიო ცხოვრებაში, მის გაგებასა და განცდაში.

ასეთი წუხილი ჰქონია ჩვენს მეფესაც, დავით აღმაშენებელს. მაგრამ ავტორი „გალობანი სინანულისანისა“ გვეკვლინება, როგორც საერთოდ კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ც ო დ ვ ა თ ა თ ა ვ ს მ დ ე ბ ი. მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება. ეს არის ვედრება რელიგიური კაცობრიობისა, რომელსაც არსებობის მანძილზე ამდენი ცოდვა ჩაუდენია. იგი ევედრება ღვთისმშობელს, შეუნდოს ცოდვები, მაგრამ ეს არის ცოდვები საერთოდ ადამიანებისა დასაბამიდან დასასრულამდე. და ის ხომ მეფეა, მფლობელი და პატრონი ადამიანთა ქვეყნად, ამიტომ ყველა იმით უბედურებას, იმით ცოდვებს ეხიარება. სწორედ ამიტომ არის ის ცოდვათა „პირველი, საშუალი და დასასრული, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“¹⁶.

შემოსეს პირფირით, მეფობის შარავანდელით, ხოლო მე ბილწთა ვნებათ მივეც თავი, რადგან ვინც მძლე-თა-მძლეა, ყოველივე მას ემონება, მძლეა მძლე იმონებს ძლეულს.¹⁷

კაცის ცოდვა, სეთის ძეთა ურცხვობა და ხუთქალაქელთა შეგინების სიბინძურე, —

უფროსად ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ დაღმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.¹⁸

ყოველი ცუდი ადამიანური, სხვადასხვა დროის ხალხთა და ცოდვილთა, ჩემში ჩაწურულან.

მე — ყველა ცოდვილთა შორის უცოდვილესი ვარ. ხალხთა სიყვარულით, მისი ხსენისათვის ქვეყანას წმიდა ქალწული მოველინა, რომ თავი სიწმიდით, ქალწულებრივი დელობის შუამდგომლობით იხსნას ცოდვილნი,

... რომელთაჲ პირველი,
საშუალი და დასასრული, —
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ.

დავითის ფსალმუნში კვითხულობთ: „გარე მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი და ღუართა უსჯულოებისათა შემადრწუნეს მე“.¹⁹

ხოლო ეკლესიასტე ამბობს: „ყოველნი ღვარნი შეს-
ლიან ზღუასა შინა და ზღუა არა არს აღვსებულ, ადგილსა
ზედა, სადაცა ღვარნი მივლენ, მუნცა იგინი მიიქცევიან
მისლვად.“²⁰

ყველა ცოდვილი მე ვარ, რადგან მე ვარ ადამიანი,
აღამიანი პირველ ყოვლისა, ერთი და ყველა ადამიანი
ერთად. მე ვარ თვით კაცობრიობა, გაძლიერებული ხელ-
მწიფე ცხოვრების სიტკობებით და ცოდვებით სავსე.
შობთურგნი სუსტთა, მოძალადე და მფლობელი კაცთა,
მათი ცოდვების მფლობელიც მე ვარ. აი, ამიტომ არის
იგი დასაწყისი და დასასრული ცოდვის,
„პირველი, საშუალო და დასასრული“. მისგან მოდის
ცოდვა, და მასშია ყველა ცოდვა. როგორც მეფეს და
როგორც ადამიანს, მას თავის თავზე გადააქვს ყველა
ადამიანური ცოდვა, რაც კი კაცობრიობაში იცის. სწო-
რედ ამიტომ არის—„ვითარცა უფსკრული შესაკრებელი
ბილწებისა ღუართთა“.

ელინთა მიერი ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისათა ღმრთისაჲ,
და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ
ცვალებაჲ თავუანის-ცემისაჲ, სრულ ვჰყავ, რაჟამს
თითოულსა ვნების კერასა ვჰმსახურე.
ელინთა სიბრძნე ღმრთისეულია. ის ეთავყვანება კერ-
პებს ელინთა და მათ სიბრძნეს, რომლებმაც ვერ ცნეს
ჭეშმარიტი ღმერთი.

ის იყო, ისრაელთა მეფეს რომ ბაძავდა, ბაძავდა
ურჯულოებს, უსმენდა წარმართთა ვარსკვლავთმრიც-
ხეულებს.

სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მამდარი
სხუათა სოფლის—

კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობად, და ღმრთისა-
ხღვართა ვაბრალობდ.

სახლვარი არ არის ღმერთის დადებული, უსახლვროდ
მისცა მან კაცს ყოველი, ხოლო თვით შექმნეს სახ-
ლვრები სახელმწიფოთა და ღვთის დაწესებული დაარ-
ქვეს.

მე გადავლახე სახლვარი მეზობლების სახელმწიფო-
თა, ძალით დავიპყარ. სახლები და მამულები ვიმრავლე,
არ მივდიე წესებს სარწმუნოებისას, ძალმომრეობით
შევიღწე ქორწინების სარეცელი.²¹

ვერცხლი, როგორც მიწა და ოქრო, როგორც უბნის
თიხა მოვიხვეჭე და ანგარებას მივეც თავი.²²

ეკლესიასტე ამბობს: „განვადიდენ საქმენი ჩემნი, ვი-
შენე მე სახლები. დავნერგენ მე სავენახენი.

ვიქმენ ჩემდა მტილი და სამოთხენი, და დავნერგენ
მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა.

მოვიგენ მონანი და მხევალნი, და სახლისა ნაშობნი
შესხნენ მე და მონაგები ველთანი და პროწუულთაჲ.
ფრიადი იყო ჩემი უფროის ყოველთა რაოდენი იყვნეს
უწინარეს ჩემსა იერუსალემს.

შევიკრიბე მე ვერცხლი და ოქრო, სიმდიდრე მეფეთა
და ქუყნისა.²³

—ხოლო დავითნი: „დავაწულინენ იგინი ვითარცა
მტყუერი წინაშე პირისა ქარისასა და ვითარცა თიხაჲ

უბნისაჲ დავთრგუნე იგინი.“²⁴

სიტყუაჲ წმიდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქვნელთა მძაცული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტყენ ზრახვანი,
და ცრუნი გავსცენ მსჯავრნი.
ცრემლი ქურივთანი

და ობოლთა ბრგუნილი ტირილი არაჲ შევიწყალე.
ამ ცოდვათა განსაწმედად ქალწულის სისხლისაგან
ხორციელი ღმერთი შეიქმნა.

„ამისათუჲს ქალწული დედაჲ და შობაჲ ახალი სიტყ-
ვისაჲ (იქმნა)“, რომ დედობრივი შუამდგომლობით „და-
აღნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ“.

და როცა მეფობის დრო გარდამივა, დიდება ჩემი
მტვრად იქცევა, სხვამ მიიღოს სკიპტრა ჩემი,—

„მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო!“²⁵

როცა მოვა დღე განკითხვის და მე ქედრეკილი
განსაკითხავად წარვდგები, როცა მსაჯული მართლად
სჯიდეს,—

მართალნი ნეტარებდნენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

...
მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის

ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ.
ასეთია მისტიკურ-რელიგიური განწყობილებით და-
წერილი „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებ-
ლისა, სადაც უკვდავი პოეტური ფორმით გამოხატულია
ზოგადსაკაცობრიო სულიერი ტკივილები. ეს ტკივილები
განცდილია როგორც საკუთარი, და ვედრება ხსნისათვის
არის ვედრება ერთისა ყველასათვის ყველას ცოდვების
თავსმდებისა.

XII საუკუნის საქართველო შეიქმნა და აშენდა დავით
აღმაშენებლის მეფური ტალანტით და პოეტური აზროვ-
ნებით. მანვე მისცა დიდი გასაკანი ქართულ ფილო-
სოფიურ მწერლობას. მისი თანამდგომლობითა და თანა-
მშრომლობით აყვავდა ქართული აზროვნება და მწერ-
ლობა. ის ამავე დროს, თავისი ეპოქის დიდი პოეტი
და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

დავით აღმაშენებლის საგალობელი არის შესანიშნა-
ვი ნიმუში თავისი დროის მოწინავე იდეების გამომსახ-
ველი პოეზიისა. დავით აღმაშენებლის პოეზია გამოდის
ქრისტიანული ფილოსოფიიდან და ძველი აღთქმის წიგ-
ნებიდან. მისი პოეტური აზროვნების მასაზრდოებელი
ლიტერატურული წყარო არის ბიბლიური დავითისა და
სოლომონის პოეზია. ეს კარგად იგრძნობა „ფსალმუნ-
თან“ და „ეკლესიასტესთან“ „გალობანი სინანულის“
შეპირისპირებით.

დავით აღმაშენებლის საგალობელი თავისი განწყო-
ბილებით, იდეით, სახეებით მოდის მსოფლიო მისტიკური
მწერლობიდან. მისი პოეზია უმაღლესი რანგის პოეზიაა.
მისი სევდა მსოფლიო სევდაა.

დავით აღმაშენებლის საგალობლის „მსოფლიო სევ-

და“ ქართულ რომანტიზმს დახვდა როგორც წინაპირობა თავის ეროვნულ ლიტერატურაში.

ქართველმა რომანტიკოსებმა მასში პოვეს საყრდენი იმ მისტიკური სევდისათვის, რომელიც მათ სულის-კვეთებას ასე კარგად შეესატყვისებოდა.

ქართული შუასაუკუნეების მისტიკური პოეზია მა-ღალმახტვრულ ღირსებებს ატარებს, ხოლო ზოგი ამ ლი-ტერატურულ ქმნილებათაგან მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია. მათ შორის პირველ რიგში დავით აღმაშე-ნებლის საგალობელს დავასახელებთ.

მ ა ნ ა ნ ა კ ა კ ა ბ ა კ ი

¹ იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძი, თ. ჟორდანიას ქრონიკები, II, 1897 წ.
² ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 320
³ იქვე, გვ. 323
⁴ იქვე, გვ. 324
⁵ მარს ქართველ მეფეთა ღვთაებრივი შთამომავლობის პირველ ამღიარებლად ლიტერატურაში იოანე შავთელი მიანნია.
⁶ ქართლის ცხოვრება, გვ. 324
⁷ იხ. ეკლესიასტე, თავი ბ. „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“ გვ. 185–191
⁸ იხ. დავით აღმაშენებელი, „გალობანი სინანულიანი, III, გ. III-ანტისტრ. პ. ინგოროვია, „გიორგი მერჩულე“, 1954 წ. გვ. 600–606
⁹ იხ. „გალობანი სინანულიანი“, III. გალობა, 4 ანტისტრ.
¹⁰ იქვე II. გალობა
¹¹ ეკლესიასტე თავი იხ. „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“. გვ. 215.
¹² იქვე, თავი თ, გვ. 217.

¹³ იხ. ახალი აღთქმა, პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი XV. თბილისი, 1879, გვ. 364–365
¹⁴ დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი მიცემული, იხ. „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“, თ. ჟორდანიას გამოცემა, 1896 წ.
¹⁵ ფსალმ. 24, იხ. მ. შანიძე, „ფსალმუნნი“, გვ. 55
¹⁶ „გალობანი სინანულიანი“, გალობა II, ანტისტრ. I
¹⁷ იქვე, გალობა II, სტროფი I.
¹⁸ იქვე, გალობა II, ანტისტრ. II
¹⁹ ფსალმ. ფ. 17, გვ. 33, 1960 წ.
²⁰ ეკლესიასტე, თ. ა. გვ. 181, 1920 წ.
²¹ „გალობანი სინანულიანი“ გ. ანტისტრ. 2
²² იქვე, გ. სტრ. I.
²³ ეკლესიასტე, თავი ბ. გვ. 184–285
²⁴ ფსალმ. გვ. 17, გვ. 38.
²⁵ „გალობანი სინანულიანი“ გ. VIII, ტ... I.



დიდი ჯვაროსანი რაინდი



დავით აღმაშენებლის დროს საქართველომ დიდი წარმატებები მოიპოვა პოლიტიკური თავისუფლების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-იდეოლოგიური პროგრესისათვის ბრძოლაში.

მიმდინარეობდა არა ჩვეულებრივი ომი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა თავისი განვითარებული სამეურნეო (სასოფლო, საქალაქო დარგები) და სოციალური (მოწიფული ფეოდალური) წყობა, რომელსაც ქართველთა სამოსახლო სივრცეზე შემოჭრილი და აქ დარჩენის მოსურნე, პრიმიტიული უოფის თურქი სელჩუკები მოშლით ემუქრებოდნენ. დავითი საქართველოსა და მის სამეზობლოში თურქობას, ამ სოციალურად და კულტურულად ჩამორჩენილ ელემენტს ებრძოდა, მაგრამ არა მაჰმადიანურ კულტურას, რომელსაც იგი შესანიშნავად იცნობდა და პატივსაც სცემდა.

იმთავითვე დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქრისტიანობას, რომელიც მძლავრ იდეოლოგიურ ფარად ედგა ქართველი ხალხის თვითარსებობისათვის ბრძოლას და აღრმავედა ქართველობის სარწმუნოებრივი და, ამდენად, ეთნიკური ინდივიდუალობის გრძნობას.

სარწმუნოება დაეხმარა, აგრეთვე, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დავითს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე დაკავშირებოდა მსოფლიოს ქრისტიანულ ძალებს და ამით უფრო განემტკიცებინა ქართველთა საგარეო პოლიტიკური კურსი.

ამ გზით ჩაეყარა საფუძველი დავით აღმაშენებლის ჯვაროსნებთან ურთიერთობას, რაც ჩვენ სარწმუნო ცნობებით ვიცით. ჯვაროსანთა ომების მიზეზებსა და მსვლელობაზე უმდიდრესი ლიტერატურაა, სადაც სხვადასხვა შეხედულებები ემიჯნებიან ერთმანეთს. ამ ომების მიზეზებად მიიჩნევენ სოციალურ, ეკონომიკურ და სხვ. ფაქტორებს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მათში უდიდეს როლს ასრულებდა რელიგიური შეგნება ქრისტიანი ხალხებისა, რომლებიც მაცხოვრის საფლავის განთავისუფლებისათვის საბრძოლველად აღდგნენ.

ჯვაროსანთა I ლაშქრობა, რომელიც დამთავრდა 1099 წ., თურქ-სელჩუკებზე ჯვაროსანთა გამარჯვებით და ჯვაროსნული სამეფო-სამთავროების სირია-პალესტინაში დაარსებით (იერუსალიმის სამეფო, ანტიოქიის სამთავრო, ედესის და ტრიპოლის საგრაფოები), სადაც ევროპულის მსგავსი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება იქნა დამყარებული.

დავით აღმაშენებელმა იმთავითვე გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება და ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს, ეს კი უკვე პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა.

თურქებთან მებრძოლმა დავითმა ჯვაროსნებთანაც დაამყარა კონტაქტი, რის შესახებაც მოგვაპოვება წერილობითი

ცნობა, რომლის ავთენტურობაში ეჭვი არ გვეპარება. ცნობა აქვს თამარის ისტორიკოსს (ავტორს თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“), რომელიც ხატონად აღწერს, რომ შამქორის ომში (1195 წ.) სულიერი სიმხნევის მოსაპოვებლად მოიერიშე ქართველები იხსენებდნენ გარდასულ გმირთა სიმამაცესა და სიქველეს. საამისოდ მათ ისიც გაიხსენეს, რომ სპანი „ახლისა დავითისანი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს“. კ. კეკელიძე თამარის ისტორიის ამ ადგილის კომენტარებისას თვლიდა, რომ აქ „ახალ დავითად“ იგულისხმება დავით აღმაშენებელი, ხოლო დავით წინასწარმეტყველის რაზმებად... ალეგორიულად იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის, იერუსალიმის გათავისუფლება. ამდენად, მაშასადამე, ჯვაროსანთა რაზმები, დავითის რაზმები იყო. საბოლოოდ, ამ ფრაზიიდან ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის რაზმები ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდნენ იერუსალიმის მიწაზე.

კ. კეკელიძის კომენტარის მიხედვით თამარის ისტორიკოსის ეს ცნობა რამდენჯერმე იქნა გამოყენებული ქართველი ისტორიკოსების მიერ, მაგრამ იგი ყოველთვის შეიცავდა ზოგად აზრს დავითისა და ჯვაროსანთა ურთიერთობებზე.

ვფიქრობთ, ამ ცნობის შინაარსში მეტი კონკრეტული აზრითა შესაძენვეი, რისთვისაც უურადდება იმას უნდა მიექცეს, რომ დავითის მებრძოლები უბრალოდ ჯვაროსნები კი არ უნდა იყვნენ, არამედ ჯვაროსანთა განთქმული საშვედრო-სასულიერო ძმობის, ტამპლიერების, ძველი ქართული გამოთქმით, ტაძრელთა ორდენის წევრები. 1118 წ. ტამპლიერების ორდენი დააარსა ფრანგმა პუგო პაიანსმა. თავდაპირველად მცირერიცხოვანი ტამპლიერები მალე რიცხოვრებულნი გამარჯვდნენ და ქონებრივადაც მოღონიერდნენ. იმთავითვე ტამპლიერებმა თავისი სამყოფელი გაიჩინეს იერუსალიმის იმ უბანში, სადაც დავით წინასწარმეტყველის ტაძარი იყო. ამიტომაც ისინი ტაძრელებად, ფრანგულად—ტამპლიერებად, იწოდნენ სიტყვისაგან „ტამპლ“ („ტაძარი“). საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლის მხედრობის მხარდამხარ მებრძოლი „წყობანი დავითისანი“ სწორედ „ეს დავითის ტაძრის უბნელები“ იქნებოდნენ. ამ ვარაუდს ემთხვევა 1156 წ. იერუსალიმში გადაწერილი ქართველთა ჯვრის მონასტრის აღაპები, საიდანაც ირკვევა, რომ ტამპლის ძმები, მათ შორის ორდენის ხელმძღვანელებიც, ქართველთა მონასტრის ქონებრივად ასაჩუქრებდნენ, რის სამადლოებლოდაც ქართველი ბერები ტამპლიერთა სახელებს სააღაპე სიეპში წერდნენ. ტამპლიერებს გულუხვი შესაწირავების გაცემა ჯვრის მონასტრისთვის გაცილებით იმაზე ადრე უნდა დაეწყოთ, ვიდრე 1156 წ. მათი აღაპების შემცველ ნუსხას გადაწერდნენ. ასე იმება ხაზი დავით აღმაშენებლის მოკავშირე ტამპლიერებსა და იერუსალიმის სეი-

ნაკსარში მოხსენებულ რაინდ—ძმებს შორის, რომელთა ერთი ნაწილიც, გამოირჩეული არაა, ტამპლიერთა პირველი ნაკადის წევრებიც იყვნენ. ალაბეში მოხსენიებულია, მაგალითად, ვინმე პუგო. ხომ არაა ეს პუგო პაიანის?

დავით აღმაშენებლის და ტამპლიერების ურთიერთობაზე ფიქრისას, ალბათ, იმის აღნიშვნაც იქნება საჭირო, რომ იგი ვერ დაჟვარდებოდა 1118 წლამდე, რადგანაც მანამდე ტამპლიერები ჯერ ორდენად არ იყვნენ ორგანიზებული. დავითსაც ამ დრომდე, ალბათ, არც შეეძლო თავისი მხედრობის შორეულ ლაშქრობაში გაგზავნა, რადგანაც, ზოგადი ვითარების გათვალისწინებით, ის უმთავრესად საქართველოდან თურქების განდევნით იყო გაართული. ამასთანავე, მისი ისტორიკოსის მონაყოლის თანახმად, დავითს აშკარად აკლდა მხედრობა ფართო საომარი ოპერაციებისათვის, რისთვისაც, დიდი ოპოზიციის მიუხედავად, ჩრდილო კავკასიის ტრამპლებიდან ყივჩაყთა 40 000 კომლიანი ურდო გადმოიყვანა და სწრაფად გაზარდა საქართველოს სამხედრო კონტიგენტი.

თამარის ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ შაშქორის გმირები იერუსალიმში დავით აღმაშენებლის ლაშქრის ბრძოლას ძველი დროის ფალანგთა ბრძოლის ანალოგიად წარმოადგენდნენ. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლის მხედრობის წინააღმდეგ ადგილებსათვის ბრძოლაც თავგანწირული და წარმატებული ყოფილა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ს. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა ტამპლიერებთან ურთიერთობები ერთგვარად დავითის სამხედრო რეფორმებშიც აისახა. ბერნარდ კლერგოელის ცნობით, ტამპლიერები იზოლირებული უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი ამქვეყნიური სიაშინებისგან. მათ ეკრძალებოდათ შავარდნით ნადირობა, კამათლისა და ჭადრაკის თამაში, სანახობათა ცქერა და ხმამაღალი გაცინებაც კი. ამ ცნობის გათვალისწინებით ს. კაკაბაძე თვლის, რომ ალბათ ტამპლიერების გავლენით იყო, რომ დავით აღმაშენებელმა თავის ლაშქარში დისციპლინის გასამტკიცებლად აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“.

მახვილგონიერული დაკვირვებაა, მაგრამ მაინც ზოგადია, რადგანაც გამოირჩეული არაა, რომ დავითს დამოუკიდებლად ევოქრა საკუთარი მხედრობის დისციპლინის ამადღების გზებზე. დავითის ისტორიკოსის კითხვის დროსაც არ ჩანს, რომ დავითს თავის ლაშქარში აკრძალვები მაინცდამაინც ტამპლიერების ორდენის შექმნის დროიდან, ე.ი. 1118 წლის შემდეგ, შემოეღო.

დავით აღმაშენებელი იმთავითვე ოსტატურად იყენებდა ჯვაროსანთა მიერ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და მათ მიერ დასუსტებულ თურქებს კავკასიიდან უპირისპირდებოდა. ამის ერთ-ერთი უადრესი აქტი ის იყო, რომ ჯვაროსანთა მიერ ანტიოქია—იერუსალიმის აღებისთანავე დავითმა ხარკი შეუწყვიტა თურქებს.

დავითი შემდეგშიც აგრძელებდა ჯვაროსნებთან კონტაქტებს, რაც გარდა მისი მხედრობის ტამპლიერებთან ერთად ბრძოლის ფაქტისა, იმითაც მტკიცდება, რომ, როგორც ერთი ძველი ლათინურენოვანი ქრონიკა გვაუწყებს, იგი ზშირად უგზავნიდა საჩუქრებს მეფე ბალდუისს, იგულისხმება იერუსალიმის მეფე ბალდუინ I.

ქართველი ხალხის დიდ ბრძოლაზე თურქების წინააღმდეგ, შესაფერისად იყვნენ ინფორმირებული ჯვაროსნებიც, რომლებიც ალტაცებით მოიხსენიებდნენ დავითის სახელს. მაგალითად, იერუსალიმში მყოფი ფრანგი კანტორი (მეფსალმუნე) ანსელუსი (მდაბურად მას ანსოსაც ეძახდნენ) პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღოლისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც მან საჩუქრად მიართმულ ჯვარს, ძელი ჭეშმარიტს,

ახლა, იტყობინებოდა, რომ დავით მეფე ჯვაროსნებისათვის „წინა ბურჯია“, ე.ი. მათი მოკავშირე იყო, რომელიც კავკასიაში იმავე საქმეს აკეთებდა, რასაც ფრანგები სირია—პალესტინაში. ანსელუსისავე სიტყვებით, დავით მეფეს საკუთარ მხრებზე ეკავა გოგისა და მაგოგის ბიბლიური ველური ხალხის, გამოსასვლელი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დავითს კონტროლი ჰქონდა დაწესებული ჩრდილო კავკასიის მთიან გამოსასვლელზე, საიდანაც მან ჩვენში ყივჩაყთა ურდოც კი გამოიყვანა.

დავით აღმაშენებლის წარმატებებმა მძიმე მდგომარეობაში ჩაავლო თურქები, რომელთა თავგაცემა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჯერ უნდა დავითისათვის მოეველოთ, რის შემდეგაც საშუალება მიეცემოდათ ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნებისთვისაც მიეხედათ. ამ ცნობას გვაწვდის იმეამინდელი სირია—პალესტინის პოლიტიკური ვითარების შესანიშნავი მცოდნე—ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი გოტეი, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი და საინტერესო თხზულება—„ანტიოქიის ომების შესახებ“.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მამულიანთა უზარმაზარი ლაშქარი საქართველოსაკენ დავით აღმაშენებლის დასასჯელად გაიშობინა. 1121 წლის აგვისტოს ეს შედრობა საქართველოს ტერიტორიაზე, დიდგორის მიდამოებთან, შეხვდა დავით აღმაშენებლის ჯარებს. ეს ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

პატარა ქვეყნის საარაკო გამარჯვებამ ახლო აღმოსავლეთის მძლავრ კოალიციაზე, იმეამინდელ ქრისტიანულ მსოფლიოში დიდი რეზონანსი იქონია. დავითის სახელიც კიდევ უფრო შემოსა შარავანდელით. განსაკუთრებული სიყვარული და აღტაცებით წარმოთქვამდნენ მას ჯვაროსნები, რომლებიც დავითის გამარჯვებას ქრისტიანობის საერთო წარმატებად მიიჩნევდნენ. ამ სულისკვეთებით დაახსიანთა დავით მეფე გოტეი კანცლერმაც, რომელმაც თავის ქრონიკაში საგანგებოდ აღწერა დიდგორის ბრძოლა და ძვირფასი ცნობაც შემოგვინახა იმის თაობაზე, რომ დიდგორთან ქართველების ლაშქარში, მოწინავეებთან, ჯვაროსანთა რაზმიც იბრძოდა. ამ ცნობას ემორჩილება და ამტკიცებს სომეხი მემატიანის მათთვის ურპაელ-ედესელის მონათხრობიც.

დავითის დიდი ავტორიტეტი საერთაშორისო ქრისტიანობაში იმითაც იყო გაპირობებული, რომ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას იგი მძაფრად გამოხატული ქრისტიანული მესიანიზმის ნიშნით წარმართავდა. თავის მონეტებზე იგი, მაგალითად, აკეთებინებდა წარწერებს: „მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი“ (ჰუსამ ულ-მასიჰ).

ეს ფორმულა იდეოლოგიური თვალსაზრისით ასახავდა დავითის საგარეო პოლიტიკის არსს.

დავითის ამავე მონეტებზე გამოსახული იყო გვირგვინოსანი მხედარი, რომელიც, ცხადია, წარწერის მიხედვით დავით აღმაშენებლადაც აღიქმებოდა.

ასე იკვეთებოდა ქრისტიანი, ჯვაროსანი მეფის სახე, რომელმაც ევროპის ხალხებში სათავე დაუდო შუა საუკუნეებში განთქმულ ლეგენდას მეფე—ხუცეს იოანეს შესახებ, რომლის უძველეს ვერსიაშიც ჯერ კიდევ იყო შერჩენილი მითითება იმაზე, რომ ეს საარაკო მეფე, რომელმაც ერთ-ერთ სისხლისმღვრელ ბრძოლაში სპარსეთისა და მიდიის მეფე მძემბე დაამარცხა და მერე იერუსალიმის დასახმარებლადაც გაემართა, მეფობდა „სპარსეთისა და სომხეთის“ იქით. ამ ლეგენდამ კარგა ხანია მიიქცია ყურადღება ევროპელი და ქართველი მკვლევარებისა, რომლებსაც სამართლიანად მოაჩინათ, რომ მას საფუძვლად დაედო დავით აღმაშენებელზე ჯვაროსანთა შორის გავრცელებული მრავალფეროვანი ხმები.

დავით აღმაშენებლის საერთო წარმატებები და ის როლი,

რასაც იგი სირია-პალესტინის ჯვაროსნულ სამყაროში ასრულებდა, თანამედროვეთა შორის მისი განსაკუთრებული პანეგირიხაციის საფუძველსაც ქმნიდა. ეს გარემოება კარგად გამოაჩინა დავითის ისტორიკოსმა, რომელიც აღტაცებით წერდა: „(დავითის) აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისანი და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შირვანისა და სპარსეთისანი“.

უეჭველია, რომ აქ მეფენი „ფრანგეთისანი“ სირია-პალესტინის ჯვაროსანი მეფეები არიან. ჩვენ საშუალება არ გვაქვს მეტი კონკრეტულობით დავინახოთ, თუ რაში გამოიხატებოდა ჯვაროსანი მეფე-მთაგრების „დავითის აჩრდილის ქვეშ“ ყოფნა, თუმცა ჩანს, რომ ისტორიკოსი, თავისი კონცეფციიდან გამომდინარე, ალბათ, რაღაც დროში მაინც, დავითის ჯვაროსან მეფეებზე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რიგის უპირატესობაზეც მიგვანიშნებს, ასეთი რამ ხომ კონკრეტულადაა ცნობილი დავითის ურთიერთობით ოვსებთან, ყივჩაყებთან, სომხებთან, შარვანელებსა და სპარსელებთანაც, ალბათ, პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მაჰმადიან მფლობელებთან.

X X X

დავითის დიდ ყურადღებას ქრისტიანობის და წმიდა ადგილებისათვის, კარგად აჩვენა მისი განსაკუთრებული ზრუნვა უცხოეთის ქართული მონასტრებისადმი, რომლებიც მაშინ დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ და საქართველოსათვის საგარეო-პოლიტიკური კონტაქტების უმნიშვნელოვანეს არხებსაც წარმოადგენდნენ.

დავითის ისტორიკოსის სიტყვებით, მეფემ „ღავრანი და საკრებულნი და მონასტრნი არა თუსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავი მთისა, პალესტინისანი, ადავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი თუთოფერითა მიერ შესაწირავთა განაჰდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი“.

სხვა ცნობები კიდევ უფრო გვიკონკრეტებენ დავითის წმიდა ადგილებისათვის ზრუნვის ფაქტს. დავითს, ისტორიკოსის სიტყვებით, სინის მთაზე აგებული მონასტრისთვის გაუგზავნია „ოქრო მრავალდასკული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულითა“. ეს ადგილი „ქართლის ცხოვრების“ სომხურ ვერსიაში ასე იკითხება: დავითმა „სინის მთაზე ააშენა მონასტერი და მრავალ განძს ათასობითა და ათიათასობით უგზავნიდა ყოველწლიურად: აგრეთვე წიგნებსა და სიწმიდეთა სამსახურებელს, რომლებიც არვის შეუძლია დასთვალოს“.

დავითის ამ ზრუნვის პატივსაცემად მისი მოსახსენებელი შეტანილი იქნა სინის ქართველთა მონასტრის სულთა მატიაწეში. აქვე საპატივცემოდვე იყო მეფის პორტრეტის ხატი, რაზეც ქვევითაც შევჩერდებით.

დავით აღმაშენებლის და მისი სამეფოს საერთაშორისო ქრისტიანულ ოჯახში დიდი ავტორიტეტის გამო მოხდა, რომ

ჯვაროსნებმა, რომლებმაც იერუსალიმში დაიკვიდრების შემდეგ აქ განლაგებული ყველა ქრისტიანული მონასტერი თავის საკუთრებად აქციეს, მხოლოდ ქართველებს დაუტოვეს ჯვრის მონასტერი, წმ. მელაანი და საბაწმიდის მეტოქი, ამათ კი დავით აღმაშენებელს გაუადვილა იერუსალიმის ქართულ ძეგლებზე ზრუნვა. უეჭველად ამიტომაც იყო, რომ თუ ჯერ კიდევ 1102—1103 წწ. ზევულფმა ჯვრის მონასტერი „წარმართთაგან“ დაზიანებული ნახა, 1106—1108 წწ. რუსი დანიელ მოძღვრის მოწმობით ეს ძეგლი უკვე განახლებული და მოხატული ყოფილა.

X X X

ქართველი ერი, ცხადია, შეეცდებოდა დავითის, თავისი ამ დიდი კეთილისმყოფელის სახის დამახსოვრებას.

სიკეთითა და სათნოებით შემოგვცქერის დავითის სახე საისტორიო ძეგლებიდან.

ქრისტიანი მეფე.
მეფე აღმაშენებელი.

სამშობლოსა და სარწმუნოების ჯვრით, წიგნით და მახვილით დამცველი.

პირშეწვენიერებით დაგვეურებს იგი გელათის ფრესკიდან, სადაც მას ძველბურთი სამეფო ტანსაცმელი — ბისონი შოსავს. ხელთ უპყრია გელათის ტაძრის მაკეტი, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ დავითი გელათის ღვთისმშობლის ტაძრის მამულებელია.

გელათის ფრესკა XVI საუკუნეშია შესრულებული, მაგრამ, უეჭველია, იგი ძველი ნახატის მიხედვითაა გაკეთებული, რის გამოც მეფე აქ ცოცხალი გამომეტყველებითაა.

წარსულ საუკუნეშივე ცნობილი გახდა დავითის ერთი სურათი სინური ქართული მონასტრის ხატზე. იგი პირველად ნახა და გადმოხატა აღმოსავლეთის ქრისტიანული სიძველეების ცნობილმა მკვლევარმა პორფირი უსპენსკიმ, რომლის ხელშეწობითაც დავითის ეს სურათი გადაადგებინა, ჩანს, ძალზე უხეიროდ, ა. ცაგარელმა, რომელმაც გამოაქვეყნა კიდევაც იგი. ჩვენი საუკუნის დამდეგს ეს ხატი და მისი წარწერები ნახა და მისი აღწერილობაც გამოაქვეყნა ვ. ბენეშევიჩმა. დავითის გამოსახულებიანი ეს ხატი მის სიცოცხლეშივე შეუსრულებიათ, რაც იქიდან ჩანს, რომ დავითს ჯერ კიდევ შარავანდედი არა აქვს გამოსახული.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმის ნუმისმატიკურ ფონდში დ. ლენგმა მიაკვლია და პირველმა გამოაქვეყნა სპილენძის იშვიათი მონეტა, რომელზედაც დავით აღმაშენებლის სახეა ამოკვეთილი. დავითი სამეფო ტანსაცმლითაა მოსილი. იქვეა დაქარაგმებული ზედწერილი: „დავით მეფე“. მონეტის ზურგზე ჯვარია და ასევე დაქარაგმებული ზედწერილი: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. ჩანს, მონეტა მოუჭრიათ 1118 წლის შემდეგ, როცა დავითის ტიტულატურაში მის მიერ ლორის აღებიდან, გაჩნდა სიტყვები „მეფე სომეხთა“. ადრე ლორე, ერთხანობას, ლორე-ტაშირის სომეხ მეფეებს ეკავათ.


ბრიტანეთის მუზეუმის მონეტისეული დავით აღმაშენებლის პორტრეტი ჩვენთვის ცნობილთაგან ყველაზე ადრინდელი, დათარიღებული და თანაც, რეალისტური შტრიხების შემცველია.

შ ო თ ა ბ ა ღ რ ი ძ ე





სინის მთა.
ფერწერული ხატი წმ. გიორგისა და ქართველ-
თა მეფეთ მეფის (ვარაუდით დავით აღმაშენებ-
ლის) გამოსახულებით.



კუნძულ კვიპროსის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები
ქართული წარწერის ფრაგმენტები

მემატიანე გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებელმა „ლაზრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ, საბერძნეთისაცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა... აღავსნა კეთილითა“.

იგი საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია — მონასტრებს არათუ მხოლოდ მატერიალურად ეხმარებოდა (უგზავნიდა მრავალ შესაწირავს, ფულს, საზრდელს, უყოფდა მიწებს საქართველოს ტერიტორიაზე და სხვა), არამედ თავადაც აშენებდა სალოცავებს... ამ ეკლესია — მონასტრებში ქართველთა განათლების ჩაუქრობელი კერა ენთო...

დღეს წარმოუდგენელია არა თუ მხოლოდ ქართული ეკლესიის, თვით საქართველოს ისტორიის შეცნობა ათონის, პეტრიწონის, შავი მთის, სინის მთის, კვიპროსისა და სხვა ქართულ სავანეთა გარეშე...



ათონი

ჰ ზ რ ი თ ა

მ ტ რ ი ს ა მ ძ ლ ე ვ ე ლ ი



ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულ წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება სულ იმ ნათლით არის განსხივებული, იმ შარავანდელით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“ წმიდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოპყინა მთელს ჩვენს ქვეყანას. ამ ძელზედ სხივოსანის ასოებით ქრისტეს წმიდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველს სხვა მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქუეყანა და იმას აუნთო გული თვისი წმიდა სანთლად, რომელიც დღეს — აქამომდე არ გამქრალა და არც გაპქრება, მანამ არ გაპქრება თითონ ქართველიცა“.

(ილია ჭავჭავაძე, ქართველი ერი და ღვაწლი წმიდა ნინოსი, 1888 წელი).

გონებაურცელი, განსწავლული, ბრძენმსიტველი, ღვთისმეტყველი, ზე-შედეგელი, უმეტნაკლებო, ტანგარდვეულთა და სულით დაცემულთა ნუგეში, ქერივ-ობოლთა გამკითხავი, უმშენიერესი სახით, ტანად ახოვანი, ფაქიზი მეუღლე, მოსიყვარულე მამა, სამართლიანი მსაჯული, სჯულმდებელი, უბაღლო ტოლერანტი, იმიერ და ამიერ საქართველოს გამაერთიანებელი, საქართველოს რკინის კარი, დაუმარცხებელი სარდალი, ვალმოხდილი მამულიშვილი, მესიის მახვილი...

„საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; შვენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის; ვითარცა სიყვარული სათნოებათა შორის; ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის; ბრძენ,

ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის; მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის; უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; საყვარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის; მსურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის; მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის...“—ასე უგალობს დავით აღმაშენებელს მისი მოძღვარი და თანამდგომი არსენ (ბერი) იყალთოელი.

საქართველოს ისტორიაში ჩახედული ადამიანი არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს იმ მიზეზებს, თუ რა იწვევდა ხშირად ამ ხალხის უიმელო მდგომარეობიდან ხსნას, ნაფუძარიდან მის აღდგენა—აღორძინებას და განახლებას. მადლი განგებას, მა-

დლი ბუნების წესს, რომ უკიდურეს გასაჭირში ჩვენს ხალხს არ აკლდება მაშვრალი თვალი, არ აკლდება ჭეშმარიტების მაუწყებელი ადამიანი. შემდგომში მოვლენებმა მალე დაამტკიცეს დავითის ნიჭის სიდიადე.

ამ მართლაც დიდებულმა მეფემ „მისსა ჩრდილსა ქვეშე შეკრება, გააერთიანა, ააშენა ჟამთა სიავით აოხრებული ქვეყანა, მტერი დაუფრთხო, გაუფანტა, და თუ დღეს ჩვენ ჩვენს მიწაზედ ვართ და ქართველებს გვეძახიან, ეს მისი დამსახურებაც არის.

„მღვკაა საკვირველი“ უწოდეს ისტორიკოსებმა დიდგორის ველზე გამარჯვებას. „ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული უძლეველი ხმალია და შეუღწეველი ფარი მტრის წინაშე. ამიტომ რჯულის დაცვა საქართველოს დაცვას ნიშნავდა და მიწა—წყლის დაცვა — რჯულის დაცვას“ — ბრძანებს ილია მართალი. ეს სული ქართველებს არც დღეს დაუკარგავთ.

დიდგორის ბრძოლის (1121 წ.) პერიპეტტიდან მოჩანს ერთი რგოლი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელობისაა, ვიდრე მისი შედეგი. საქმე ეხება ამ ომში ჯვაროსანთა (მეტადრეთა) მონაწილეობას. ეს შორს მიმავალი თემა ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელია ჩვენი ისტორიისა, რომელიც დიდი გულისყურით უნდა იქნეს შესწავლილი.

„ქართლის ცხოვრებაში“ კვითხულობთ: „კულად ამაჲს ჟამსა გამოვიდეს ფ რ ა ნ გ ი, აღიდეს იერუსალემი და ანტიოქია და შეწყენითა ღმრთისაჲთა მოეშენა ქუეყანა ქართლისა“. „ფრანგნი“, რომელთა გამოჩენას გვაუწყებს დავითის ისტორიკოსი, ევროპელი ჯვაროსნები არიან.

თავის ქრონიკაში „Bella Antiochena“ დიდგორის ბრძოლას საგანგებოდ შეეხო ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს ბიბლიოთეკარი ფრანგი გოტიე, რომელიც გვაუწყებს: „მეფემ (დავითმა) თითოეული რაზმი გაანაწილა, ხოლო ორასი ფრანგი შემოძარი მოწინავეთა რიგებში დააყენა პირველ შეტევათა განსახორციელებლად. ამ ფაქტის უტყუარობას ადასტურებს იმჟამინდელი მრავალი აღმოსავლეთის მწერალი. სწავლა-ცოდნით განახლებულმა და ზნეობრივად გაძლიერებულმა ქართველობამ ეს ამოცანა თავის სასარგებლოდ გადაჭრა, რითაც დასაბამი დაუდო ტრიუმფალური ეპოქის ხანას. დიდგორთან გამარჯვებით დავითმა ქრისტიანულ სამყაროს ამცნო, რომ უკიდურეს აღმოსავლეთში მათ ქრისტიანობის ძეგლები მდებარეობდა. მსოფლიო ისტორიაში არის ფუძე იდეები მარადიულ ხასიათს რომ ატარებს; ვერც ჩვენს დროში აუვლით მათ გვერდს.

ვინ იყვნენ ის „ფრანგნი“ დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს გვერდით რომ ედგნენ? 1118 წელს ჯვაროსანთა წრეს გამოეყო დვითისმოსავ რაინდთა ჯგუფი, რომლებმაც ჩამოაჯალიბეს სამხედრო-სასულიერო ორდენი. მათ ფიცი დადეს ემსახურონ დვითისმშობლისა და მაცხოვრის წმიდა საქმეს. იერუსალიმის მეფე ბალდუინ I-მა ბერ-რაინდებს საკუთრებაში გადასცა შენობა, რომელიც მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც ოდესღაც სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო აღმართული. აქედანაა მათი სახელიც-მეტადრები, ფრანგულად — ტამპლიერები.

მოიპოვება უტყუარი ცნობები, რომლებიც გვამცნობს ამ უდიდესი ორდენის დამოკიდებულებას იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტერთან (შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები). გიორგი ათონელის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარზე“ მიწერილია ტაძრის წარჩინებულ რაინდთა ალაპები, რომელიც ატარებს ქართველთა და მეტადრეთა ურთიერთობის კვალს. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, — 1661). თედო ჟორდანიას დარწმუნებული იყო, რომ სოფ. ჯრუჭში იერუსალიმიდან ჩამოტანილ წიგნში მეტადრე რაინდთა სახელები ამოიკითხება (ქრონიკები, II, გვ. 522—524). ამ საკითხს გვერდი ვერც მიქელ

თამარაშვილმა აუარა (ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 68). ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ზ. ავალიშვილი ნაშრომში „ჯვაროსანთა დროინდ“. ხოლო საგურამოში ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახლ-მუზეუმს ამშვენებს მხატვარ გრანიეს სურათი ჟაკ გი მოლეს მიღება ტამპლიერთა საზოგადოებაში. ჩანს, ამ თემას ჩვენი სახელოვანი წინაპრები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ, თუმც, როგორც დავინახეთ, ცნობები არც თუ ისე ბევრი მოგვეპოვება.

ტაძრის ბერ-რაინდთა ორდენი თავისი ღრმა არსით წარმოადგენდა გრალის ძიების ჯახს, რომელსაც წინ უსწრებდა ჯვაროსანთა ცნობილი მოძრაობა თავისი სტიქიური შეფურობილით.

ერთმა ევროპელმა მეცნიერმა გვაუწყა: „ჩვენ გვსურდა გულისყური მიგვეპოო, გაგვეხსენებინა პარსიფალის თქმულების გაგრძელება, რომელიც მოგვითხრობს, რომ იმ დროს, როცა გრაალი ევროპისათვის გაუჩინარდა, იგი გადატანილ იქნა იონანე ხუცესის გარემოში, რომლის სამეფო ჯვაროსანთა მიერ მიღწეულ ქვეყნების მიღმა მდებარეობდა. ჯვაროსანთა ლაშქრობის პერიოდში ჯერ კიდევ წმიდად მიიჩნეოდა იონანე ხუცესის, პარსიფალის მემკვიდრის გარემო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანული ინიციაციის ეპოთურული ცოდნა კვლავ უნდა ყოფილიყო მოპოვებული. მეტადრე რაინდებმა ეს ცოდნა აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. პირინეებში განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას პირველი გრაალის ტაძარი ააგო გრაფ როჟერ დე ჟუაპ 1136 წელს.

არ ბედი ეწიათ ერთ დროს ქართველთა ქრისტესმეორე ძეგლს მეტადრე-ტამპლიერთა ორდენს? ისტორიამ შემოგვინახა ცნობები მათი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ტრაგიკული დასასრულის შესახებ. 1314 წლის გაზაფხულზე პარიზის „Notre Dame“-ს მოედანზე საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზის და მისი დაბჯერე პაპის, კლიმენტი V-ის შეთანხმებით ინიკვიზიციური პროცესი აღიძრა და კოცონზე შეთავსებით დასჯა მიესაჯათ ორდენის უკანასკნელ მაგისტრს იაკობ მოლეს და მის მგობრებს.

X X X

როცა საუბარია ქართულ რენესანსულ კულტურაზე, საჭიროა თვალის მიდევნება, თუ საიდან მომდინარეობენ სულიერი ნაკადები წინა პერიოდის აზროვნებისა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართული რენესანსი, უპირველეს ყოვლისა, იყო განახლება იმ მდიდარი აღმოსავლური სობრძინისმეტყველებისა და ანტიკური ტრადიციებისა, რომელმაც გასულ საუკუნეებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენში. რენესანსმა კიდევ ერთხელ სცადა ესარგებლა ბერძნულ-რომაულ იდეათა სამყაროს სიმდიდრით. ამ მოძრაობის ცენტრი (სხვა მრავალ კერათა შორის) უპირატესად გახდა გელათისა და იფალითის აკადემიები, სადაც გაიშალა რენესანსული კულტურის მაუწყებელი იმპულსები. ჩანს, მაშინდელი ქართველობის განათლება უფრო გამოკვეთილ სულიერ მოთხოვნილებებს და მიზნებს ისახავდა. იმ ნეტარსხენებულ დროში პატრიოტული იდეა მტკიცედ დაუკავშირდა საწმუნოებრივს, რამაც არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ამაღლება გამოიწვია, არამედ ერი ზოგადსაკაცობრიო იდეალისკენაც გაახედა. როგორი იყო ქართული რენესანსული იდეოლოგიური ფორპოსტი, მთლიანობაში ძნელი აღსადგენია, მაგრამ ერთი „საიდუმლო“ კვალი მინც არის დასახაზი და იგი ევროპულ მემატიანეთა ქრონიკებში ამოიკითხება.

დიდგორის ბრძოლიდან არ გასულა დიდი დრო და ევროპაში ფართოდ გავრცელდა ხმა აღმოსავლეთში ვინმე იონანე ხუცესის შესახებ. ეს სახელგანთქმული და საიდუმლოებით მოცული იონანე ხუცესი და დავით მეფე ერთსა და იმავე პირად იხსე-

ნიება იმდროინდელ ევროპულ მემატიანეთა ქრონიკებში.

გერმანელი ოტონ ფრაიზინგენის ქრონიკაში, რომელიც 1145 წელს ჩაიწერა, ნათქვამია: უკიდურეს აღმოსავლეთში სპარსეთისა და არმენიის მიღმა ცხოვრობს ძლიერი ქრისტიანი ხელმწიფე იოანე, რომელიც თავის ხელქვეით აერთიანებს, როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას. იგი მეფეცაა და ხუცესიც.

შუა საუკუნეებში ევროპაში მძაფრად წამოიჭრა იდეა მღვდელ-მეფისა. გერმანელ მეფეთა შორის ამ იდეის განხორციელების ცდა ცდად დარჩა, რადგან მღვდლის და მეფის ერთ პიროვნებაში შეერთება არ მოხერხდა. მარცხი ამ ცდასა საბედისწერო გამოდგა მთელი დასავლეთისათვის. საქართველოში ჩვენ ვხვდებით მეფე-მღვდელს. (გ. რობაქიძე).

და, აი, 1228 წლის ერთი ინგლისური ქრონიკა გვაუწყებს: „საქრისტიანოში ხმა გავრცელდა მეფე დავით — იოანე პრესვიტერად (ხუცესად) წოდებული ინდოეთიდან უდიდესი ჯარით წამოვიდა“... (ხ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 151).

შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ძეგლში „ფორტუნატუსში“ საუბარია სამ ინდოეთზე (დიდი, შუა, და მცირე ინდოეთი). ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარსიფალში“ კავკასია ხან ინდოეთის მეზობელ ქვეყნად მოიხსენიება, ხან ინდოეთის ნაწილად არის მიჩნეული. ჩანს, ინდოეთის ცნება ევროპელთა წარმოდგენაში ძალზე ფართო ყოფილა, სადაც მეფობდა იოანე ხუცესი, — აღნიშნავს ნ. კაკაბაძე („ვინ იყო იოანე ხუცესი?“, ლიტერატურული საქართველო, 15 მაისი, 1970 წ.).

ზემოთმოხმობილი საბუთების თანახმად იოანეს ქვეყანა „სპარსეთისა და არმენიის“ მიღმა მდებარეობს. ინგლისური ქრონიკა საიდუმლოებით მოცული იოანე პრესვიტერად და ვით მეფეს ერთი და იმავე პირად მიიჩნევს. „ფორტუნატუსის“ მიხედვით იოანე ხუცესი მეფობს ინდოეთში. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარსიფალში“ კავკასია ხან ინდოეთის მეზობელი ქვეყანაა, ხან ინდოეთის ნაწილი. იბადება კითხვა: სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო აღმოსავლეთში ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო მმართველი, თუ არა დავით მეფე (იოანე-ქრისტიანობის მცველი), სიცოცხლეში „მესიის მახვილად“ წოდებული, დასავლეთში იოანე-ხუცესად მიჩნეული, „პარსიფალის შემეფიქრე“, გრაალის რაინდი, რომელიც ფართო მასშტაბის გადამწყვეტ ბრძოლებს აწარმოებდა ურჯულთა წინააღმდეგ.

X X X

რა არის გრაალი? გრაალი (თასი) აზროვნების ევოლუციის ეზოთერული სახელია. თასი წინაქრისტიანული კულტურული ეპოქების მანძილზე მზადდებოდა. მისი ფორმა სიბრძნის ემანაციით იძურწებოდა. გოლგოთაზე თასი კოსმიური მე — სუბსტანციით აღივსო და გადაეცა ადამიანებს, როგორც სიყვარულის იმპულსი.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარსიფალში“ გრაალის სამი ასპექტია წარმოდგენილი: ნივთი-სისხლის საიდუმლო, ქვალუციფერის გვირგვინიდან გადმოვარდნილი კრისტალი და თასი.

პოემის „ომი ვარტურგში“ მიხედვით თასი გამოჭრეთილია იმ ძვირფასი ქვისაგან, რომელიც ლუციფერს გვირგვინიდან გადმოუვარდა, როცა შის მხედართმთავარ მიქაელთან პაქრობის დროს დაშობილმა დასტოვა უწინდელი ადგილსამყოფელი. ერთ დროს თასს ფლობდა ნოე. შელქისედეკმა თასით ღვინა ასვა აბრაამს. საბანელმა დედოფალმა იგი სოლომონ ბრძენს უბოძა. სოლომონმა თასი ხუროთმოძღვარ ხირამს გადასცა. იოსებ არიმთიელმა თასი საიდუმლო სერობის მაგიდაზე მიიტანა. სახლი იდეა სიონის მთაზე სოლომონის ტაძრის ნანგრევებთან.

ქრისტიანული გადმოცემის თანახმად საიდუმლო სერობის

ჟამს იესო ქრისტემ მოწაფეებს „სასუმელი“ მიაწოდა და ამცნო: „ეს არს სისხლი ჩემი ახლისაა სჯულისაა მრავალთათვის დანთხელი“ (მარკოზი, 14, 23—24). ახალი აღთქმის წიგნების თანახმად ჯვარზე გაკრულ იესოს „ლონგინოს სტრატოტიკოს შუბით უგმირა გუერდსა მისსა“ (ნიკოდიმოსის სახარება აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსიები, 1985, თბ., გვ. 71). ჭრილობიდან მომდინარე სისხლი იოსებ არიმთიელმა თასში დაავრთა. შუა საუკუნეების მწერლობაში თასი იგი წმიდა გრაალის სახელით მოიხსენიება და ქრისტიანული ინიციაციის სიმბოლოდ არის მიჩნეული. მას მოაქვს ცნობიერების განახლების ძალები, რაშიც ეზოთერული ქრისტიანობა ხედავდა თავის უმაღლეს იდეალს, საკაცობრიო სოციალური სიყვარულის იმპულსს. თასი სიყვარულის უკეთილშობილესი სუბსტანციით განახლდა. სიბრძნე და სიყვარული შეერთდა. ნოვალისის ხატოვანი თქმით: „სიყვარული — არის მე“. ქრისტემ დაამკვიდრა მე-ს ინიციაცია.

არსებითად წმიდა გრაალის ცნებაში იგულისხმება ის, რაც ღრმა ჭეშმარიტ სიტყვებში განაცხადა ავგუსტინემ: „რასაც ახლა ქრისტიანობას ვუწოდებთ, იგი უწინაც არსებობდა“. თასი დაკავშირებული იყო შის მისტერიებთან, რომლის ინსპირატორად იმ არსებას მიიჩნევდნენ, ვისაც რიშების ინდოეთი იცნობდა ვიშვა-კარმანის, ხარატუსტრას კულტურა — აპურა-მაზდას, ევგვიპტური საფარო — ოზირისის, ებრაული — მესიის, ბერძნულ-რომაული კულტურა-ლოგოსის სახელით.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში „ნათელი ჭეშმარიტი ხორციელ იქმნა, დაემკვიდრა ჩვენ შორის, ნათელი სცა ქუეყანასა სულითა წმიდითა“ (იოანე) და ქრისტოლოგიაში ცნობილი გახდა როგორც ჯვარცმული „სიტყვა“. იგი უფაბო ძველთაძველი და მარად ახალი სიბრძნეა. უფაბო ჟამში მოექცა, დედამიწის ძალებს დაუკავშირდა, ადამიანის პირველცოდვილი ხეული მიიახლოვა და გოლგოთაზე სიკვდილითა სიკვდილით დათრგუნა. „და ვითარცა იგი ადამის გამო ყოველი მოწყვდიან, ევრეთცა ქრისტეს მიერ ყოველი ცხოველ იქმნენ“ (1 კორინ. 15, 22). დედამიწამ ღვთიური სიყვარულის მაღლი მიიღო. მე და ღმერთი ერთმანეთს დაუახლოვდა. „განიპო კრეტსაბმელი“ (ლუკა, 23, 45).

შუა საუკუნეებში გრაალი იყო ინიციაციის სიმბოლო და იგივე შინაარსს ატარებდა, რასაც ანტიკურ ეპოქაში ოქროს საწმისი და ორივე მისტერიის ცენტრი ერთ გეოგრაფიულ ადგილს — კავკასიას — უკავშირებდა. წინასიტორიული პერიოდის საქართველოში უფრო დიდი სახელი, ვიდრე მეფე — ქურუმი აიქთია, ჩვენ არ გვგუგულება. ქრისტიანულ საქართველოს მეფეთაგან მას უტოლდება დავით აღმაშენებლის ნათელი სახე. ერთი ფლობდა ოქროს საწმისის ცოდნას, მეორე — გრაალის მისტერიის საიდუმლოს. კოლხური მისტერიების შესწავლის გარეშე ძნელი იქნება აზროვნების ევოლუციის ზუსტი სურათის შეფასება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, უნდა აღინიშნოს: ქართული ტაძრების სარკმელთაგან მრავალმა სულიერმა მისწრაფებამ გაიხედა ევროპაში. ჩანს დასავლეთი ჩვენში თავისი კულტურის აღმოსავლურ ძირებს ეძებდა და ეცნობოდა. დავითისდროინდელი ქართული სულიერი ფონი იყო მიჯნა წინამორბედ და მომავალ ეპოქებს შორის. იგი ამ კულტურათა შემაერთებელ ცისარტყელას ქვეშ იდგა, როგორც ძველი ბერძენი ატლანტი.

აი, ერთი საკითხი „დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა“, რომელიც ემსახურებოდა მარადისობას, იდეა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შესაყართან, ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი, ვისი სიბრძნე მარტო ჩვენ არ გვანცვიფრებს.

დავით აღმაშენებელს ჭაღაროსან მეფეს ვერ ვუწოდებთ,

რადგან მან ჭადაროსან ასაკს ვერ მიაღწია. ღვთისმოსაე მეფეთა მსგავსად თავმოდრეკილი, უჩუძრად გაეყარა ქვეყანას და შეუერთდა ზესთა სოფელს, რომლის მშენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა. ჟამის აღსრულებით იგი თავის თავს კი არ მოუკვდა, არამედ — თავის, ერს და მისივე ანდერძის თანახმად დაიკრძალა გელათის კარიბჭესთან, მონასტრისა და აკადემიისკენ მიმავალ გზაზე.

36 წლის მანძილზე, ქრისტეს ჯვრით ხელში, თავგამოდებით იღა იგი ჩვენი ერის მწედ და მფარველად, რომლის მიცვალეზამ გლოვის ზარივით გაიხმაურა მთელ სამყაროში, მაგრამ ერთი ნუგეში კი დაუტოვა თავის სამშობლოს: ძლევისა და აღორძინების ძალა არ ეკარგება ქვეყანას, სადაც იბადებიან მისნაირი შვილები.

ჩვენი საუბარი გვინდა დავასრულოთ ილია მართლის შეგონებით: „აი, ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა

და ამისთანა კაცის არხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩათვალოს ერსა... ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომ 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ქართველთათვის თავმოსაწონებელი დიდებული კაცი“.

X X X

გადმოცემით ყინწვისის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის საკურთხეველის აბსიდის კედელში ღვთისმშობლის ფრესკას ერთმა მონღოლმა ისარი სტყორცნა. ისარი ასცდა წმიდა მარიამის მარცხენა თვალს და კედელში შეიჭრა. ნაიარევი ადგილი დღესაც კარგად მოჩანს. ღვთისმშობლის მადლით სავსე და მარად გახელილ თვალებს კი ქართველი ხალხის დარდისა და სიყვარულის ცრემლები შეერჩენია.

თენგიზ ბურჭულაძე



გელათი, ტაძრის ჩრდილოეთის კედელი. ქტიტორთა ჯგუფი. ზევი დავით აღმაშენებელი ტაძრის მოდელით ხელში. XVI ს.

* დავითის მემბტიანე „ძლევაი საკვირველს“ ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებას უწოდებს. მაგრამ ვინაიდან, დავითის მოგებულ ომთა შორის ყველაზე საკვირველი დიდგორის ომია, თანამედროვე ისტორიკოსებმა სწორედ მას უწოდეს ეს სახელი. ჩვენც ასევე მოვიხსენიებთ.

x x x

მეტი დამატებით,
კვლევით დამატებით მეტი ყოველგვარ,
წყობილი მყარად,-

საქონლურად ყოველგვარ შემადგენლობა
ვითარდება, სავსე,-
მეტივეთ გაქვითვით სავსედაც სილი
ყვითელი შევსებული...

- ისეთი ცოდვა... ხო გაქვს, შევსე,
შეგვსებ?

სიხშირით დასრულებული შენ-წყობილი,
ხო გაქვს დასრულებული?

გაქვს იგი "სავსეობისთვის"
დასრულებული დამატებით...

მეტივეთ... შენც იგივე დამატებით
იღებ და იღებ?

მეტივეთ სხვა შენც, შევსე,
ხო შენც ცოდვით,

სავსედაც სავსედაც, სავსედაც სავსედაც
შევსებ შევსებ?

- მეტი დამატებით, კვლევით დამატებით:
მეტივეთ ყოველგვარად...

სხვადასხვა



1125 წლის 24 იანვარს, ორმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა ოცდათექვსმეტი წელი საქართველოს მეფედ ყოფილი (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა) „მესიის მახვილად“ შერაცხული დავით IV აღმაშენებელი. იგი დაკრძალულია მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველი, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, დავით აღმაშენებლის ასეთი წარწერაა:

**ესე არს განსასუენებელი ჩემი
უკუნითი უკუნისამდე; ესე მინაფს:
აჟა დავემკვიდრო მე.**

საფლავის ქვას არსენ იყალთოელის მიერ დავითისადმი მიძღვნილი ეპიტაფიაც აშუენებდა:

**ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე
გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა
შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედა ხელნი დამესხნეს.**


**ზურაბ ავალიშვილი. წიგნიდან: ჯვაროსანთა
ღროიდან. 1929 წ. პარიზი.**

აღმავნებლის ქება დიდი მკვირვებულებით უკვე
ქველად მისის ცხოვრების აღწერა აღამაღლა; მას აქეთ,
საისტორიო ხელოვნებით გაზვიადებულმა და სარწმუნო-
ბრივი შარავანდელით მოწინილა, მემკვიდრეობით ჩვე-
ნადე მოაღწია მისმა სახემ.

... ღვით აღმავნებელი საქართველოს მკლესიამ წვი-
დანად აღიარა. ეს სარწმუნოებრივი შარავანდელი მის ხელ-
მწიფურ სახეს საიდუმლო საგაგულით ამოწმებს...

... აღმავნებელი, მხურვალე მართველი ქრისტიანია,
სომხებთან სულით და გულით დაახლოებული; მაკმადიან-
თაც უპატრონებს. იგი პირველად ყოვლისა, ხელმწიფა,
პოლიტიკურად მოღვაწე, შმახრთებელი, ზოგადზე და არა
კერძოზე მოვიქრე.

... 1125 წ. მუჟამ უანდერძა თავის მემკვიდრეებს დიდი
სახელმწიფო, სიცოცხლით სავსე პრი – უკეთ ვსთქვათ,
ერები, და – ნიჭი უძვირფასესი; პოლიტიკური სიბრძნე –
ხელოვნების რთული და სრული გაკვეთილი.



დავით აღმაშენებლის სიტყვა
წარმოთქმული დიდგორის ომის წინ

„ჰჰა, ეგოგარნო ქრისტესანო! თუ ღვთის
სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძო-
ლები, არამცთუ ეშაქის ურიცხვ მიმდუ-
ვართა, არამედ თვითი ეშაქებსაც აღვილად
დავაგარცხებო, და ერთს რასემ გირჩევო:
რაც ჩვენი კატიონებისა და სარგებლობი-
სათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველა, ხელე-
ბის ცისკენ აყრობით, ძლიერ ღმერთს აღ-
თქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათ-
ვის ამ ბრძოლის ველზე დავინოცებოთ და
არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს
გაქცევა, კიდევ რომ მოვიწოდოთ, ამ ხე-
ობის შესავალი, რომლითაც შეგოვსულ-
ვართ, ხმით ხშირი ხორგებით შევკარით
და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე
იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით და-
უნდობლად შევუტიოთ“.



გოტიე — კანცლერის „ანტიოქიის ომები“*

თბილ. მუხლი XVI

III. კერძოდ რას (გეტყვი)? (ალაბით) წამოსულმა ელდაზიმ) თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეპყრობა და ამ შეკრებულთა სიმრავლე რომ ნახა, უაღრეს ამპარტავნებით გათამამებულმან, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადასწყვიტა, ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა მისი დაქცევის ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანეთა ამოწყვეტას. ხოლო მას სიამაყით მოლაშქრეს ღვთის რისხვა წინ ედგა. იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ელდაზი ექვსასი ათასი მეომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, ესე დავით, წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელ და ქრისტიანე მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ: დადგა და წარმოსთქვა ესრეთ:

„უა, მეომარნი ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დაეამარცხებთ, და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატრონებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ვველამ, ხელების ცისკენ ააყვრობით, ძლიერ დმერთს ალექსანდრეს, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვიწოდოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოუსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შეგვკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შეუვტით“.

„ზოგი მკვლევარის აზრით, გოტიე ფრანგი იყო. მას მონაწილეობა მიუღია პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ერთხანს ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ანტიოქიის სათავროს კანცლერიც კი ყოფილა. ზოგი ცნობით, 1119 წელს ჯვაროსანთა ლაშქრის ერთ ნაწილთან ერთად იგი ტყვედ ჩაგვრდნილა, მაგრამ 1122 წლიდან განთავისუფლებულა ტყვეობიდან და ისევ გაუგრძელებია მოღვაწეობა ანტიოქიაში. მისი ცხოვრების ბოლო წლები უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ გოტიემ თავისი სიცოცხლის უმთავრესი ნაწილი აღმოსავლეთში გაატარა და კარგად იცნობდა ვეულაფერ იმას, რაც მაშინ აღმოსავლეთში ხდებოდა. გოტიეს მნიშვნელოვანი მასალები ჰქონია არა მარტო ევროპელი ჯვაროსნების, არამედ იმ ბრძოლების შესახებ, რა-


ამისთანა მეფის ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებული ყოფილა.

IV. არც დაუგვიანდა: მეფემ თვითველი რაზმი დაარსა, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკრათა მისაცემად; მყისვე ხეობის მეორე ნაწილში, ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით ურჯულთა ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან და იმავე დროს, სხვადასხვა გვარ საკრავთა ხმაურებით მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხვეცეს მოთმინებით განიცდის, და თავისიანებს მამაცი სულით ამხნეებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულთა გაამაყებული სიმრავლე ძალითა და შეწყვენითა წმიდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით ხწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უაღრესი ყიჟინით თავს დაესხნენ მათ. ხოლო უფლის ძალით, პირველ შეტაკებისთანავე ბრძაღებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ღვთის თითის ქნევით, ბოროტნი ქრისტესმსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცვიან; და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა.

თვით ელდაზი თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებით, მცირედენ ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა ნახევრად მკვდარი.

საც იმდროინდელი საქართველო აწარმოებდა მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ. საქართველოს ბრძოლა თურქ-სელჩუკების პატრონობის წინააღმდეგ თავისთავად ეხმაურებოდა ჯვაროსანთა ინტერესებს აღმოსავლეთში და, ბუნებრივია, რომ ჯვაროსნების პირველი ლაშქრობის ისტორიკოსი დაინტერესებული იყო საქართველოს ამგებობა და, კერძოდ, დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის განადგურებით. ამიტომაც, რომ გოტიემ თავის ცნობილ ლათინურ ქრონიკაში — „ანტიოქიის ომები“ — მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო დიდგორის ბრძოლას. მართალია, გოტიე თვითმხილველი არ ყოფილა ამ ომისა, მაგრამ მას საინტერესო მასალები ჰქონია 1121 წელს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ.


„ნიკოფსიტიგან ღარს“



„განდისა ზღუადედე“



- კალაქი
- ⊙ დედაქალაქი
- χ ბრძოლის ადგილი
- - - - - საქართველოს სამეფოს საზღვარი 1089 წლისთვის
- — — — საქართველოს სახელმწიფო საზღვრები 1125 წლისთვის
- სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი



I-ნაწილი დას „ერთი ჯვარის
გარშემო“

1108 წლის წერილები

ანსელის წმიდა საფლავის კანტორისაგან,
პარიზის ღვთის მშობლის კრებულს.

იერუსალიმი თვან.

I

ანსელუსი, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი, გალონ ეპისკოპოსს, სტეფანე მთავარ დიაკვანს და პარიზის ღვთის მშობლის სრულიად კრებულს პატივისცემას და სიყვარულს უცხადებს. მერე დასძენს:

... იმ ნიჭთაგან ღმერთმა რო მომცა, ნიჭი ერთი, ზრიალი და შეუდარებელი, ესე იგი, ჯვარი, წმიდა ჯვარის ძელთაგან ქმნილი, მე თქვენმა მოყვარემ თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელოს ერთგულსა თქვენსა გავატანე, რომლისგან თქვენი წიგნი, ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი თთ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზეც პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორეზედ იესო ქრისტეს გაშლილი ძელაგანი და ხელები მიმაგრებული იყო: მესამე, რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე, რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით გავლილია და კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის, რომელზეც ეკიდა: სადაც ჩართულია, იმ ძელისაა, ფეხთ ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა: ორივე პატიოსანი, ორივე წმიდა.

ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, ხანამ იცოცხლა, უადრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა: ის დავით, რომელს მისი წინაპრებით, კასპიის კარიბოზსა და მბოზს რომ ზღუდავს-გჭირა და ედარაჯნა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარი შვილობისათვის სათაყვანობ, თავი მოიკრიჭა, სარწმუნოების სამოსელი იხედა და მცირედენ (შლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით ... იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშობილობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთაგან წმიდა ქალაქის მონასტრებს დაურიგა, აგრეთვე, გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა, უფალ პატრიარქ

გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც დათა და პატრიარქის თხოვნით წ-სი მოლოზნობისა მიიღო.

ბოლოს სულ წამოღებული დაერიგა, გაეცა და მონასტრის საჭიროებისათვის დაეხარჯა და ოდეს შიშვილობამ ჩვენი ქვეყანა შეაწუხა, თითონ მის ხელქვეითებით იწყო გაჭირვება, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ანუ სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებით, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არას გზით არ მოიმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა, და ამა, გამოგიგზავნეთ.

გვედრებით ჰქონდეთ პატივი, როგორ გმართებთ, ხოლო რომ სახსოვარ იყოს შემდეგთ და მეძვედრეთათ თქვენთა საითგან და როგორ გაქვთ. დაიწერეთ თქვენ წიგნთა შინა: „ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელთაგან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალიმით მოგვაწოდა“.

II

... იკითხეთ რა მიზეზით, რა საჭიროებით იგი ნაწილი უფლისა ჯვარისა წამოღებულ იქმნა. მე რაც ამისათვის ასურთა წერილითგან და მოხუცთა ნაამბობიდან ვისმინე და ვისწავლე, თქვენ გამოგიმდგინებთ.

იკითხება სახარებაში: მრავალნი სხვანიცა სასწაულნი ჰქმნა ი მ ს () წინაშე მოწაფეთა თვისთა, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას.

თქვენც მრავალი წაგიკითხავთ, ხოლო არა ყოველი. ბერძენებს ხომ ბევრი აქვთ, რაც ლათინებს არა აქვთ. მაინც წაკითხული გექნებათ, რომ წმიდა ელენემ უფლის ჯვარი შუაზე გააჭრევინა, და (ერთი) ჯვარი კონსტანტინეპოლს შვილთან წამოიღო, (მეორე) ჯვარი კი იერუსალიმს დატოვა: დატოვებული, ქასრემ, იერუსალიმი რომ ააოხრა, მოიპარა და სპარსეთს წაიღო: ქასრე რო მოკლეს, ერეკლემ კეისარმა იერუსალიმს წამოიღო და აღგილსა გოლგოთისასა დასვა, რათა ქრისტიანე ხალხმა თაყვანი სცეს: ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ კი, ურწმუნოთა ერმა ისე შეაწუხა ქრისტიანენი, რომ ქრისტეს სახელის წაშლასაც სცდილობდნენ და ჯვარის და საფლავის ხსოვნის აღმოფხვრას. ამისათვის ხეთა ხორა დააყარეს და საფლავის ნაწილი დაწვეს და ჯვარიც ამგვართ მოსურვეს დაეწვათ, მაგრამ ქრისტიანებმა იგი დამალეს, რის გამოც ბევრი მათგანი მოკლულ იქნა.

ხოლო ქრისტიანებმა, ითათბირეს რა, გასჭრეს და განაწილეს მრავალ კერძ და მორწმუნეთა კკლესიებს დაურიგეს და ასე რომ, თუ კი მის ერთ ნაწილს დასაწვავად წამოიღებდნენ, სხვა ნაჭრები ამგვარად შეენახათ. მაშასადამე, კონსტანტინოპოლის ქალაქს, გარდა კეისრის ჯვარისა, არის 3 ჯვარი, კიპროსს-2, კრეტს-1, ანტიოქიას-1, ედესსას-1, ალექსანდრიას-1, ასკალონს-1, დამას-

კოს-1, იერუსალიმს-4; ასურებს აქეთ-1, წმ. საბას ბერძნებს-1, იოსაფატის ხევის ბერებს-1: ჩვენ ლათინთ წმიდა საფლავთან-1 გვაქვს, სიგრძით ერთი მტკაველი და ნახევარი სიგანით ერთი ცერი და იმავე სისქით: აგრეთვე ქართველთა პატრიარქს აქვს-1: და ქართველთა მეფესაც ჰქონდა ერთი, რომელი ღვთის მადლით თქვენ გაქვსთ...

X X X

დავით აღმაშენებელი (1089—1125) საქართველოს ისტორიის უდიდესი სახელმწიფო პიროვნებაა. თამარი უფრო განთქმულია, უფრო სიმბოლოდ ქცეული ეროვნული ოცნების მიერ: თამარი მშვენიერი, სათნოიანი და მდიდარი მეგვიდრეა გმირ, მებრძოლ, სისხლსა და ოფ-

ლში დაქანცულ თაობათა და წინაპართა. დავითი კი, ამ წინაპართა რიგში, საქართველოს დამცველ აბჯრის მთავარი მჭედელია. მისი გონიერი გამბედავობა, მისი ცხვებზე დიდი შემოქმედება.

„წმიდა მოწამე გიორგი განსხადებულად და ქოველთა სახილველად წინ უძღოდა „ქ ლ ე ვ ა დ ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ს“

წიგნიდან „ღიღობის ომი“

საკაზირო და მწიგნობართუხუცესი

ს ა რ ბ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ი

თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ საშვედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ფეოდალური მალაღი საზოგადოებისა და ხალხის ფართო მასების ძალების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სახელმწიფოს სჭირდებოდა ეკლესიის ავტორიტეტის აწევა. ამით აიხსნება, რომ დავითმა მწიგნობართუხუცესად დანიშნა თავისი აღმზრდელი ბერი გიორგი. გადმოცემით კი დავითი იზრდებოდა რუსის ში ახნაურ მამაცაშვილის სახლში. ამიტომ გიორგი შესაძლებელია, რომ მამაცაშვილი ყოფილიყო. მემატიანე არსენ ბერის სიტყვით, ეს გიორგი იყო „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულითა და ხორცთაჲსა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი (ე. ი. მრჩეველი), სვიანი და ფრთხილი. თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა (ე. ი. დავით აღმაშენებლისა) და თანაგანაკაფული ყოველთა გზათა საქმეთა და ღუაწლთა მისთა („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 336).

მწიგნობართუხუცესად მანამდის (მაგალითად, გიორგი II-ის დროს) იყვნენ ერისკაცები. მწიგნობართუხუცესის თანამდებობა კვლავ წამყვანი მნიშვნელობისა იყო. მაგრამ მისი ახალი თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ გიორგი, როგორც სასულიერო პირი, ვალდებული იყო თავისი მდგომარეობა გამოეყენებინა ეკლესიის ძალისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამასთან ერთად, ამით მეფის ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლეოდა ჩართულიყო ეკლესიის საქმეებში. ასეთივე ვითარება იყო საქართველოს ცხოვრებაში უფრო გვიანაც, რაც ჩანს შემდეგიდან:

თამარ მეფე თავისი გამეფების პირველსავე წელს იწვევს საეკლესიო კრებას, რომელსაც მიმართავს ასეთი სიტყვებით: „წმიდანო მამანო, თქვენ დმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩუენდა და მმართებლად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათჳს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემს ზედა... თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით; თქვენ წერთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა სადმრთითა შეუკინებლად, რათა არა ზოგად ვიზღუვნეთ: თქვენ ვითარცა მღვდენი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა მწინი, ხოლო მე ვითარცა ებგური (ე. ი. დარაჯი)“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 118).

მწიგნობართუხუცესის მოვალეობას შეადგენდა მწიგნობრის მუშევრებით ცალკე უწყებათა განმგებლობაზე თვალ-ყურის დაჭერა და, გარდა ამისა, საშვედრო საქმის ხელმძღვანელობა.

ის, როგორც ბერი, ბრძოლაში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მას ეკითხებოდა საშვედრო საქმის „მართებანი და განსაგებენი“. ფაქტიურად ის იყო, ახლანდელი ტერმინოლოგიით, საშვედრო შტაბის უფროსი, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. მაგალითად, ლიპარიტის მთავარციხეს, კლდეკარს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იცავდა მისი მწიგნობართუხუცესი ანომარი, ასევე, დავით აღმაშენებლის დროს — ახალი მწიგნობართუხუცესი გიორგი. თუმცა ის ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იყო, ხშირად ხელმძღვანელობდა საშვედრო საქმეებს და ციხეების აღებას. ასე, მისი ხელმძღვანელობით 1110 წელს ქართველებმა აიღეს სამშვილდის ციხე და სხვ.

დიმიტრი I-ის დროს იოანე მწიგნობართუხუცესი მიდიასა და ეკატანაზე ლაშქრობის დროს მეფესთან ერთად იხსენიება, როგორც მისი უახლოესი მრჩეველი და არსებითად, ლაშქრობის ფაქტიური ხელმძღვანელიც.

ასეთივე მდგომარეობა არის გიორგი III-ის დროსაც. ხსენებული მწიგნობართუხუცესი—იოანე თან ახლავს გიორგი III-ს ქალაქ ანისის შესანარჩუნებლად წარმოებული ომის დროს და იძლევა საშვედრო რჩევებს.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარი, გიორგი რუსის სასარგებლოდ მოწოდებით დიდი აჯანყების შემდეგ, „იკონებდა, თუ ვის მიანდოს დავითი (თავისი ქმარი) და სპა თჳსი, და განსაგებელი სახლისა თჳსისა... და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თჳსისა მთავართა და განიცადა თუალითა გონებისათა... მოიყვანა ანტონი გლონისთავის ძე გარეჯით... ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ხევი და მწიგნობართუხუცესობა“ („ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 122—123).

მხოლოდ ათაბაგობის შემოდგომით, 1212 წელს, მწიგნობართუხუცესმა თითქმის დაკარგა თავისი ფუნქციები საშვედრო საქმეში.

ფეოდალურ ხანაში ეპისკოპოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ომებში. დასავლეთ ევროპის მიმართ ეს ცნობილია, დაწვებული კარლოს დიდის დროიდან. ბრძოლა 955 წელს ქალაქ აუგსბურგთან ითვლება გერმანელების პირველ ნაცინალურ ბრძოლად გარეშე მტრის, ამ შემთხვევაში, უნგრელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დროს ეპისკოპოსი ულრიხი ახმნევებდა თავის მებრძოლთა ქადაგებით დავითის შესაღმუნის თემაზე და ქალაქის გალავნიდან რაზმის ერთ-ერთი გამოხეტომის დროს მიჰყვებოდა მეომრებს საეპისკოპოსო შესამოსელში, უჩაფხუტოდ და უჯავშნოდ.

1214 წელს მოხდა დიდი ბრძოლა საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სა და გერმანიის იმპერატორ ოტტონ IV-ს შორის გერმანიელთა ჯარში იყვნენ ინგლისელებიც). ორივე მხრიდან ომობდა 150—210 ათას კაცამდე (რაინდები, მსუბუქი ცხენოსანი და კვეთი ჯარი). ფილიპე II-ის შტაბის უფროსი იყო ეპისკოპოსი გარენი. მან შეიმუშავა ფრანგების ჯარის დისპოზიცია და ხელმძღვანელობდა ამ ჯარს ბრძოლის დროს, თუმცა ფილიპე II თვითონაც იმყოფებოდა ბრძოლის ველზე, ფრანგების მხრივ დიდ აქტივობას იჩენდა ეპისკოპოსი ბოვე თავისი მილიციით. ეს ეპისკოპოსი შეიარაღებული იყო ლახტით, რათა, კანონიკური წესების მიხედვით, ადამიანის სისხლი ხმლით არ დაეღვარა. მან შეუტია ინგლისელების რაზმს, რომელთაც აყენებდა საშინელ დარტყმებს ლახტით — მარჯვნივ და მარცხნივ. ვერაფერი შესძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწვევა. თავისი დარტყმით მან მოკლა ინგლისელი რაინდების მემშვილდეებისა და ცხენოსნების უფროსი — სალისბერი და ტყვედ შეიპყრო გრაფი ბულონი. ფრანგებმა გაიპარჯვეს, მაგრამ დაკარგეს თავისი ლაშქრის 25—28%, ანუ 15 ათასი კაცი, მათ შორის ათასი რაინდი. მათი მოწინააღმდეგის ზარალი იყო 25—35% ანუ 35 ათასი კაცი¹.

1262 წ. ქალაქ სტრასბურგის რაინდები და მოქალაქენი, მაშინდელ გერმანიაში თავს იცავდნენ ეპისკოპოსის რაინდებისაგან. ეპისკოპოსი, რომელიც თვითონაც წარმოშობით რაინდებისაგან იყო, როგორც „კეთილმორწმუნე რაინდი“, მონაწილეობას ღებულობდა ბრძოლაში. მას მოუკლეს ჯერ ერთი ცხენი, გადაჯდა მეორე ცხენზე. ესეც მოუკლეს, და მაშინ უკვე საბოლოოდ დამარცხებულმა ეპისკოპოსმა ძლივს გადაირჩინა თავი მესამე ცხენზე².

სასულიერო პირთა, სახელდობრ ეპისკოპოსების, მონაწილეობა საშედრო საქმიანობაში საქართველოში დადასტურებულია XI ს. ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში ბიზანტიელების მიერ საქართველოზე მოწყობილი ლაშქრობის დროს. სუმბატის სიტყვით, „აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან მახლობლად ტბეთის კელესიასა და სახელსდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი და შევიდეს მას შინა თვთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანწელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი. და განძლიერდა მას შინა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 386). საბა მტბევარმა გაუძლო ბიზანტიელების იერიშებს და გადაარჩინა შავშეთი ბერძნების მიერ დაპყრობისაგან. ამის შედეგად ტბეთის ეპისკოპოსი გახდა შავშეთის ერისთავად.

ხელმწიფის კარის გარიგებაში ვკითხულობთ: „მტბევარსა ზედა (სამეფო) დარბაზს, მისსა საჯდომსა უკანით მისსა მოღარეთ—უხუცესსა ფარი და ხმალი აქუს უკანით, ამაღ რომე ერისთავიც არის შავშეთისა“³. ბუნებრივია, რომ როგორც შავშეთის ერისთავი, ტბეთის ეპისკოპოსი შავშეთის მხედრობა-ჯარსაც წინამძღოლობდა.

კახეთში XVI—XVIII ს. პირველ ნახევარში საშედრო სადროშოების სათავეში, მეფის სადროშოს გარდა, ეპისკოპო-

სები იყვნენ (ბოდბის, რუსთავის და ნეკრესის), მაგრამ ასეთი ვითარება მოდის უფრო ძველი დროიდან. ეს ჩანს შემდეგიდან: ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ბოდბელი არის პირველი ეპისკოპოსი კახეთისა პატრიუსათვის წმიდის ნინოსი“. მაგრამ, ამასთანავე, ნათქვამი აქვს, რომ ალავერდს 1466 წელს „ყვეს ეპისკოპოსი... და უპირველეს კახთა ეპისკოპოსად“. მართლაც, 1466 წლიდან, ვიდრე XIX ს-ნის დასაწყისამდე, ალავერდელი ითვლებოდა კახეთის პირველ ეპისკოპოსად, თუმცა სადროშო მას არ ჰქონდა. ბოდბელის პიროვნება და მისთვის სადროშოს მიკუთვნება უნდა მიეწეროს 1466 წელზე ადრინდელ დროს, XIII—XV ს. მაინც, თუ არა უფრო ადრინდელ ხანას. უფრო სწორი იქნება, თუ ორგანიზაციულად კახეთის ეპისკოპოსების საშედრო საქმეში ფაქტიურ სპასპეტებად ჩაბნას მივაწერთ დავით აღმაშენებლის დროს მაინც, თუ მტბევარი ეპისკოპოსის მსგავსად, უფრო ადრეულ ხანას არა.

ეპისკოპოსები მონაწილეობას ღებულობდნენ ჯიქების წინააღმდეგ ომში, რომელიც ოდიშისა და გურიის მთავრებმა წამოიწყეს 1533 წელს.

ცნობილია, რომ ქართლის მეფის, ლუარსაბის მიერ 1557 წელს სპარსელების წინააღმდეგ ომში, რომელშიც დაიღუპა თვით ლუარსაბი, ქართველი ეპისკოპოსები იბრძოდნენ ლახტებით.

ბანძის ომში, 1658 წელს, იმერლების ჯარიდან აზნაურმა იოსელიანმა ტყვედ შეიპყრო ოდიშარ-გურულთა ჯარში შემოსილად მყოფი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ილა-რიონი.

კახეთის ეპისკოპოსები თავიანთი რაზმებით მონაწილეობას ღებულობდნენ ლაშქრობებში, ვიდრე 1754 წლამდის, მის შემდეგ კიდევ ცოტახანს, მაგრამ უკვე იშვიათად (ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა).

ხელმწიფის კარის გარიგებაში (§ 9) ვკითხულობთ: „გელა თისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და, რაც საეკლესიონი დასნი არიან,— ყველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საკელოისა“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 82). ეპისკოპოსნი, მონასტრები და ეკლესიები ხომ კათალიკოსს ემორჩილებოდნენ. ჭყონდიდლის მიმართ რა მორჩილება უნდა იგულისხმებოდეს აქ? ხსენებული გამოთქმა უნდა გულისხმობდეს, რომ განათლების საქმის მხრივ საეპისკოპოსო საყდრები და მონასტრები ჭყონდიდლის ხელქვეით იმყოფებოდნენ. გელათის საყდარი ცალკე გამოყოფილი, რადგან ის უშუალოდ მომდევართ—მომდევარს ემორჩილებოდა. მომდევართ—მომდევარი იყო გელათის მონასტერში, ვიდრე იმერეთის მეფის ბაგრატ III-მდე (1510—1565 წწ.), რომლის დროს მომდევართ—მომდევარს მავივრად გელათში დასმულ იქნა ეპისკოპოსი.

ამგვარად, მწიგნობართუხუცესის ხელთ იყო საეკლესიო განათლების მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა თითქმის მთელ საქართველოში. მხოლოდ მომდევართ—მომდევარი არ ემორჩილებოდა მას.



ფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. კახეთის დაპყრობისას მეფემ საშინლად დაამარცხა შეერთებული კახთა და თურქთა ჯარი. მეფე ისეთის გაშმაგებით იბრძოდა; რომ „ხრმლითა მისითა უკომდინართა სისხლითა წელნი აღსავსედ ეტვირთნეს. რაჟამს შემდგომად ომისა გარდახდის და სარტყლისა გახსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად რა დაითრია ვსეოდენისა მტყნარისა სისხლისა შეყინებულისასა, რომელსა პირველ განხილვისა თუით მისგან ვპონებდით გამოსრულად“⁴. „ჭეშმარიტად ვერცა ამბთანი (ალექსანდრე მაკედონელი, აქილევით და ბაკამ—ჯური) შეუსწორებდა ამას ვითარცა გვიხილავს“⁵. „მრავალ გზის გვიხილავს იგი დამტკობლად დაწვთა თუასითა ცრემლითა ხილვასა ზედა თუითო სახეთა სენთა მიერ განცდილთასა“⁶.

მატიანე დაწერილია შემდეგ ტფილისის აღების 1122 წელს. „ქალაქი ტფილისი, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყვანებულიყო უდელსა ქუეშე მორჩილებისასა ვითარცა აწ; არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა“⁷. მეორე ადგილიდან კიდევ ცხადია, რომ მატიანე დაწერილია მაშინ, როდესაც გელათის ტაძარი უკვე დამთავრებული იყო. „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა... ადგილსა ყოვლად შევნიერისასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანა მოწამედ ქონან თვალნი ყოველთა ხორციელთა მხედველთანი“⁸. „რომელიცა (გელათი) ან წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად...“ გელათის ტაძარი კი დამთავრდა 1130 წელს. აქედან ცხადია, როგორც უკვე შენიშნა თეოდორე, რომ დავით აღმაშენებლის მატიანე დაწერილია შემდეგ 1130 წლისა. რომ მატიანე მართლაც დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ არის დაწერილი, ეს ცხადია სხანს კიდევ შემდეგ გარემოებიდან. დავით აღმაშენებელმა შირვანზე გალაშქრების შემდეგ „გამგებლად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა (შირვანისა) აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თუასი სუომონ, ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ—ალავერდელი...“⁹ მწიგნობართ-უხუცესი სვიმონ ამ დროს მართლაც ბედიელ-ალავერდელია იყო, ეს ცხადად ჩანს დავითის ანდერძიდანაც.⁸ მატიანის დაწერის დროს კი ის უკვე ჭყონდიდლად ყოფილა, რაც დავითის გარდაცვალების შემდეგ იქნებოდა. ახლა საინტერესოა გამოვარკვიოთ, ვინ უნდა ყოფილიყო მატიანე. თავისის თხზულების ერთ ადგილას მატიანე ამართლებს დავით აღმაშენებლის სიჭაბუკის შეცდომით და ამბობს: „ნუ მეტყვი მისთა სიჭაბუკის შეცდომით, რომელი არცა ღმერთმან მოიხსენიეს. უწყით ჭეშმარიტებით, რამეთუ, ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმენდილითა გონებითა მიიღებდა უზრუნველთა ქრისტეს საიდუმლოთა, თანამოწამებითა სვიმონისათა და არა მხილებითა გონებისათა და რომლისა მოწამე

არს სარწმუნოება იგი ცათა შინა“⁹. ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ თვით მეფის მოძღვარს, რომელიც მეფისგან აღსარებას ღებულობდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. რადგან დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 24 იანვარს 1125 წ. მაშასადამე, მატიანე მეფის მოძღვრად ყოფილა 1115—1125 წლებში. ვინ უნდა ყოფილიყო ეს მოძღვარი? ეს არ უნდა იყოს ის იოანე მოძღვარი, რომელიც მოხსენებულა მატიანეში — „თუხსსა მოძღუარსა იოანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი ვითარ ოცდა ოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკათა“¹⁰. რადგან აქ იოანეზე შესამე პირით არის ნათქვამი, მატიანე უნდა იყოს არსენი, მეფის მოძღვარი, მოხსენებულ დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც დაწერილია შიომღვიმისათვის მისი მეფობის უკანასკნელ წლებში. (იოანე, ალბათ, იქნებოდა წინამოადგილე არსენისა). „მე დავითს მაწვიეს ჟამსა ჩემსა შირვანდსა ზედა გამართვისასა, შევეკვდრე შეწვევად ჩემდა შესაკვერებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს... და სასომან და განსანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“¹¹.

რომ მატიანე სამღვდლო პირია, ეს, თ. ჟორდანიას სიტყვით, ყოველ სტრიქონში გამოჩვენდებოდა. „მთელი მისი მოთხრობა აღბეჭდილია ღვთის—მეტყველურის ბეჭდით. მოქმედება მეფისა განყოფილია ორ ნაწილად: სახორციელოდ და სასულიეროდ. უკანასკნელს უჭირავს თითქმის ნახევარი მატიანისა და გვიხასიათებს მეფის ღვთისნიერებას. შესავალიც ღვთისმეტყველური ხასიათისაა. თვით სახორციელო ნაწილიც უმეტესს ყურადღებას აქცევს არა საეროვნოს, არამედ სასულიერო საქმეებს მეფისას. ხოლო სახორციელო „სვიანობა“ მეფისა, მატიანეს აზრით, შედეგი იყო ანუ „სანაცვლო“ იყო მისი ღვთისნიერებისა, გინა ნაყოფი მისის სულიერად წარმართებისა“¹².

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: მატიანე თავისს მატიანის პირველ ნაწილში ძლიერ მოკლედ მოგვითხრობს ისტორიულ ფაქტებს, ქრონოლოგიური ცნობებიც იშვიათად, ან სრულებით არ მოჰყავს. 1115 წლიდან კი მატიანე უფრო დაწვრილებით აღწერს მეფის მოღვაწეობას, წლითიწლად მოგვითხრობს მეფის ღვაწილობათ. ეს გარემოება ჩინებულად ამტკიცებს ზემოდ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მატიანე უნდა იყოს არსენი ბერი, რომელიც 1115 წლიდან დავით აღმაშენებლის მოძღვრად ითვლებოდა.

ამ არსენის შესახებ ცნობები ვერ კიდევ საძიებელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემის აზრით მას უნდა ეკუთვნოდეს რუის-ურბნისის კრების დროს დავით აღმაშენებლისათვის მიერთებული შესხმა—„მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. თავის შედარებით მოკლე მატიანეში არსენი საკმაოდ ვრცლად აღნიშნავს რუის-ურბნისის კრების მოწვევას, რაც, შესაძლებელია, თვით არსენის იმ კრებაზედ თანდასწრებას მიეწეროს.

„სოლო კუალად სავსოთოთა სათინო-
პკითა და სულიერთა საქმითა მისთა ვიეთი
გუნება მისუთიმს, ანუ მოუბონებელსა ვის-
მან შეუძლოს მხრობად.“

დავითის მხრობის

ბ ი ო რ გ ი ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი



XI საუკუნის დასასრულსა და XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტი დავით IV აღმაშენებელს (1089—1125) ეკავა, მეფის თანამდგომ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის გამორჩეული იყო გიორგი ჭყონდიდელი.

მეფე დავითის უდიდესი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე ძლიერი ცენტრალისტური ძალაუფლების შექმნა, მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დამკვიდრება იყო. ქვეყნის მართვის სადავეების ცენტრალიზაციით იქნა უმთავრესად მიღწეული ის დიდი შედეგები, რის გამოც მას მადლიერმა მემკვიდრეებმა აღმაშენებელი უწოდეს.

ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როდესაც ვრი და ბერი ერთად იღვწის, როდესაც საერო და საეკლესიო ხელისუფლების ინტერესები ერთ საქმეს ემსახურება.

ქრისტიანულმა ეკლესიამ დიდი ღვაწლი შეიტანა დაქსაქსული ქართული ქვეყნის ერთ სამეფოდ გაერთიანების ეროვნულ საქმეში. ფოცხელური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, საეკლესიო გაერთიანება უსწრებდა წინ და ქართული ეკლესია შხარში ედგა ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლ მეფე ბაგრატ III-ს (975—1014).

მაგრამ თანდათან ქართულ ეკლესიაშიც იჩინა თავი საერთოდ, ქრისტიანულ ეკლესიაში დამკვიდრებულმა ისეთმა არასასურველმა მოვლენებმა, როგორცაა სიმონია, უდირს მღვდელმთავართა ანგარებით კურთხევა, სიმდიდრის მოხვეჭა... რის წინააღმდეგ ჯერ კიდევ XI საუკუნის 60-იან წლებში გაილაშქრა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, მწერალმა, ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც ერთნაირად დაუნდობლად ამხილა მღვდელმთავრებიც და თვით მეფეც.

მდგომარეობა უფრო გაუარესდა თურქ-სელჩუკთა შემოსევების ვითარებაში (XI ს.-ის 70—80-იანი წლები).

დავით მეფეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ დამპყრობთა განდევნა არ კმარა, რასაკვირველია, უმთავრესი ამოცანა ქართული მიწა-წყლის უცხო დამპყრობთაგან გათავისუფლება იყო, მაგრამ ამ დიდი საქმის განსახორციელებლად ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება და მთელი ძალების საერთო მიზნისაკენ მიმართვა იყო აუცილებელი. ამისათვის აუცილებელი იყო თვით ეკლესიაში დამკვიდრებულ „შეშლილ“ წესთა აღმოფხვრა. დარღვეული იყო ხელდასხმის წესი, გახშირდა საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება. მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე უკანონოდ, „არადირსები საშებრ“ მოკალაათბული დიდგვაროვანი ფოცხელთა სახლის წარმომადგენლები ზურგს უმაგრებდნენ მეფის წინააღმდეგ მებრძოლ დიდაზნაურებს.

იმ მრავალ რთულ საკითხთა მოსაგვარებლად, რაც დავითმა მიზნად დაისახა და რომელთა გარეშე შეუძლებელი იყო მომავალ „დიდ საქმეთა“ სისრულეში მოყვანა, მას ისეთი თანამშრახველნი ესაჭიროებოდა, ვინც შხარში ამოუდგებოდა შინა თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობა იყო ეკლესიასთან ურთიერთობაში, რადგან მეფეს, როგორც საერო ხელისუფალს, მასზე არ ხელეწიფებოდა. განსაკუთრებით ესაჭიროებოდა სასულიერო პირთა შხარდაჭერა. ასეთთა შორის გიორგი ხუცესმონაზონი იყო, რომელიც ისტორიაში გიორგი მწიგნობართუხუცესის, ჭყონდიდლის სახელწოდებით შევიდა.

ჭყონდიდლის საეპისკოპოსო კათედრა X საუკუნის შუაწელში დააარსა აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე გიორგი II-მ (922—957). გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაარსება ერთი მნიშვნელოვანი აქტი იყო იმ დიდ ქართულ ეროვნულ საქმეში, რასაც აფხაზთა მეფეები დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის სამწესოდან გამოყოფის და მცხეთის ტახტთან გაერთიანების მიზნით ახორციელებდნენ.

ჭყონდიდის ეპარქიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართული ეკლესიის სისტემაში და ამიტომ იყო, რომ დიდი საეკლესიო რეფორმა, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დაიწყო, მეფის უპირველესი მოხელის, მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდის ეპისკოპოსის თანამდებობათა ერთი პიროვნების ხელში გაერთიანებით დამთავრდა.

ამ რეფორმას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და სახელმწიფოს გაძლიერებისათვის და შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ პირველი მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი გიორგი ხუცესმონაზონი იყო.

გიორგი ხუცესმონაზონი ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში პირველად რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „მეგლისწერაში“ იხსენიება.

„მეგლისწერის“ სინოდიკონში მეფისა და სამეფო ოჯახის წევრებს შემდეგ კრებაზე დამსწრე სასულიერო პირთა „მრავალჯამიერია“ მოთავსებული, სადაც აღნიშნულია: „იოანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ჩუენისა კათალიკოსისა და ყოვლისა საქართველოსა ყოვლად ღირსისა მამამთავრისა მრავალმცა არიან წელნი.“

წმიდისა ბერისა და სულიერისა მამისა ჩუენისა ვსტრატეი მონაზონისა მრავალმცა არიან წელნი.

ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმცა...“

მეფისა და სამეფო ოჯახის წევრების შემდეგ კათალიკოსის მოხსენიება სრულიად გასაკვირია. საგანგებოდ გიორგი მწიგნობართუხუცესის წინ მოხსენიებული მონაზონ ვესტრატის პიროვნება ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ჩანს, ის იმსახურებს იმ საპატრიარქოსად, რომელიც „ქველსწერის“ სინოდიკონში აქვს მიკუთვნებული.

ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „ქველსწერის“ სინოდიკონი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გიორგი მწიგნობართუხუცესისადმი, ის მას ამ წმიდა კრების „თულად“ თვლის.

იმ მიზნების განხორციელება, რასაც მეფე რუს-ურბნისის კრების საშუალებით აპირებდა, ძნელი იყო. მეფე დავითი ამ კრებისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. მას ეკლესიაში თავისი ძლიერი მომხრეები უნდა ჰყოლოდა, ასეთ მომხრეთა შორის, ჩანს ერთ-ერთი უმთავრესი გიორგი მონაზონი იყო. ამიტომ უწოდებს მას სინოდიკონი კრების „თულს“, ის, ალბათ, კრების მიწვევასა და ორგანიზაციაშიც მონაწილეობდა.

რუს-ურბნისის საეკლესიო კრება XII საუკუნის დასაწყისში იქნა მოწვეული (1103, 1104 ან 1105 წელს). ამ კრებაზე, როგორც უკვე ითქვა, გიორგი მხოლოდ მწიგნობართუხუცესი, ხოლო 1110 წ. უკვე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია, ახე რომ, ეს ორი დიდი თანამდებობა ერთი პირის, გიორგის ხელში ამ კრების შემდეგ მალე უნდა გაერთიანებულიყო. ამიერიდან, გიორგი მწიგნობართუხუცესი—ჭყონდიდელი, რომელიც სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველი პირია, თავის ხელში აერთიანებს საერო და სასულიერო ხელისუფლებას, ხოლო მწიგნობართუხუცესის მეშვეობით მეფესაც მიუწვდება ხელი ეკლესიაზე, მეფე და ეკლესია ერთად მოქმედებენ.

ის გარემოება, რომ ჭყონდიდის ეპისკოპოსი იმავდროულად მწიგნობართუხუცესი იყო, ზრდიდა ჭყონდიდლის მნიშვნელობას საეკლესიო იერარქიაში და მის წინასააკუთრივ საეკლესიო საკითხების გადაწყვეტაში. გიორგი ჭყონდიდელი შეიქნა აგრეთვე პირველი ვაზირი მეფისა. მისი გავაზირება საგანგებო მნიშვნელობის აქტი იყო.

საქართველოს სახელმწიფო კარზე უძველესი დროიდანვე არსებობდა მრავალ „უხუცესთა“, სხვადასხვა უწყების მეთაურთა (მჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი, მსახურთუხუცესი...) ინსტიტუტი. ამ „უხუცესთა“ შორის გიორგი პირველი იქნა დავითის მიერ ვაზირად აღზევებული. მართალია, შემდეგ ჩვენში გრძელდება „უხუცესთა“ შორის სახელმწიფოს მმართველობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უხუცესების გავაზირების პროცესი, მაგრამ რამდენიმე ვაზირის არსებობის პირობებშიც მწიგნობართუხუცესი ვაზირთა შორის უპირველესის მდგომარეობას იმკვიდრებს.

გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, პირველი ვაზირი მეფისა სულ დავითის გვერდით დგას და უშუალოდ მონაწილეობს ყველა საქვეყნო მნიშვნელობის საქმეებში.

როდესაც დაიწყო გენერალური შეტევა თურქ-სელჩუკებზე, გიორგი ჭყონდიდელი ამ ბრძოლების უშუალო მონაწილე, დარეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ბრძოლების წარმმართველია.

საქართველოს ლაშქარს, როგორც წესი, ბევრად მასზე უფრო მრავალრიცხოვან თურქ-სელჩუკებთან უხდებოდა ბრძოლა. ამასთანავე, დამპყრობლები ძნელად მისაღვამ ციხესიმაგრეებში იყვნენ გამაგრებულნი, საიდანაც საკმაოდ ძნელი იყო მათი განდევნა. ამიტომ აუცილებელი იყო ბრძოლის სათანადო ტაქტიკური ხერხის გამოძიება. დავითის ერთი ასეთი ხერხი დამპყრობლებთან ყურადღების მოდუნებას იხსავდა მონადე. მეფე გადავიდოდა დასავლეთ საქართველოში, ამ ამბის გაგებისას, ჩანს სელჩუკების შხადყოფნა სუსტდებოდა. ასე იქნა

ადებული მათი ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი საშვილდის ციხე და ეს საომარი ოპერაცია გიორგი ჭყონდიდელმა განხორციელა 1110 წელს. „შეკრებს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართ-უხუცესსა წინაშე თვედორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“, წერს ჩვენი მემბტანე. ასევე 1115 წელს „წარიღო გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიცა, მეფისა მუნხარს ყოფასა“.

მეფე დავითმა რთული პრობლემის გადაწყვეტა განიზრახა: ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაყთა ურდოს ჩამოსახლება, ქვეყნის სახმედრო პოტენციალის გაზრდის მიზნით, რაც აუცილებელი იყო, როგორც დამპყრობთაგან უკვე გათავისუფლებულის შესანარჩუნებლად და გასამაგრებლად, აგრეთვე; იმ დიდი გეგმის განსახორციელებლად, რასაც მეფე ისახავდა. ამ აქციას ბევრი და ჩანს, ძლიერი მოწინააღმდეგენი ჰყავდა. ამ დიდი საქმის შესრულებაშიც მას გვერდში ედგა გიორგი ჭყონდიდელი.

1118 წელს, როდესაც ამ დიდი ღონისძიების უანასენელი და ყველაზე რთული ეტაპი უნდა განხორციელებულიყო, რისთვისაც მეფე ოგესოს წარემართა, „თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თვისი“. გიორგის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ფოთალურ სახელმწიფოში, როგორც წესი, ყველა დიდი მდგომარეობის მქონე პირი თავისი თანამდებობის და ამ თანამდებობასთან დაკავშირებული სამფლობელოების მემკვიდრეობით გადაცემას ცდილობს. ეს თავის მხრივ ქმნის პირობას მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისათვის, რადგან მეფეს არჩევანის შესაძლებლობა ესობა. მაგრამ დავითმა აქაც თავისი ხაზი გაატარა და სახელმწიფო მმართველობაში მწიგნობართუხუცესი დააწინაურა. ამ გადაწყვეტილებისათვის, ალბათ, დიდი და შეიძლება, გადაწყვეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას ჰქონდა, რომ მწიგნობართუხუცესი ბერი, მონაზონი იყო. ბერს, ვითარცა უმეკვიდროს, ასეთი ტენდენცია და სურვილი არ შეიძლება ჰქონოდა. ამ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი იყო დავითის აღმზრდელი, მრჩეველი, თავიდანვე მის გვერდით მდგომი, რომელიც დავითის ისტორიკოსის სიტყვით „თავს ადგა სიერმითაგან პატრონისა (ე.ი. დავითის, მ. ლ.) მსახურებისათვის“.

გიორგი ჭყონდიდელი სახელმწიფოსათვის დიდად მნიშვნელოვანი საქმის, ყივჩაყთა ჩამოსახლების მოსავაგრებელ საბოლოო სამუშაოთა შესრულების დროს გარდაიცვალა ოსეთში, როდესაც იქ მეფე დავითთან ერთად იმყოფებოდა. ქვეყანამ და მეფემ ის დიდად იგლოვეს, „იგლოვა ყოველმან სამეფომან“, წერს დავითის ისტორიკოსი, „და თვით მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავითა ორმეოც დღე“. გლოვა უფლისწულ ვახტანგის დაბადებამდე გაგრძელდა, „რომლისა ხარებითა დაიხსნა გლოვა“.

გარდაცვლილი გიორგი ჭყონდიდელი დავითმა „პატივითა დილითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დამარხა“. დავითის ისტორიკოსის ეს ცნობა ქმნის საცთურს ვარაუდისათვის, რომ გიორგი დავითის მიერ დაარსებულ გელათის ტაძარში დაკრძალეს. მაგრამ დავითის მიერ „ახალ“ დაარსებული იყო შიომღვიმის მონასტერიც, ხოლო გელათი სამეფო სამკვლავდ ითვლებოდა. არა სამეფო პირის, ან უშუალოდ სამეფო ოჯახის წევრისაც კი იქ დაკრძალვა არაა მოსალოდნელი. ამასთან, XIII-XIV საუკუნეებში გიორგი ჭყონდიდლის საუკუნო მწიგნოლო შიომღვიმეშია და ალბათ, გასაზიარებელია მოსაზრება, მისი შიომღვიმეში დაკრძალვის შესახებ.

ისტორიას პიროვნებანი არ ქმნიან, მაგრამ დიდი პიროვნებები, არსებული ვითარების სწორად შეფასებით და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი გონივრული პო-

ლიტერატურის ხაზის გატარებით, დიდ გავლენას ახდენენ მოვლენების განვითარებაზე და ხალხისა და ქვეყნის ბედსა და ისტორიაზე.

დიდი ისტორიული პიროვნება ის კი არ არის, რომლის საქმენი მას თან გადაჰყვებიან, დიდი ისტორიული პიროვნება ისაა, რომლის საქმენი მის შემდეგ განაგრძობენ არსებობას ქვეყნის სასიკეთოდ.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ მრავალ ღონისძიებათაგან მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის თანამდებობათა ერთი პირის ხელში გაერთიანება იმდენად აუცილებელი

ლი, დროის მოთხოვნით ნაკარნახევი და საქართველოს შემდგომი ისტორიისათვის აუცილებელი ღონისძიება იყო, რომ სანამ ერთიანი საქართველო არსებობდა და არსებობდა მისი ერთიანი ეკლესია (XV ს.), ეს ორი თანამდებობა, როგორც წესი, ერთი პირის ხელთ იყო.

ამ ორი დიდი თანამდებობის ერთი პირის ხელში გაერთიანების გადაწყვეტილების მიღებისათვის, ალბათ, იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ არსებობდა ისეთი ყოველმხრივ შემკული პიროვნება, როგორც გიორგი მონაზონი ბრძანდებოდა.

პარიამ ლორთქიფანიძე

გ ა მ ი ყ ე ნ ბ უ ლ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი დ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, 1955.
2. მტკიანე ქართლისა, იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, 1955.
3. „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, 1967.
4. ძეგლისწერაა წმიდისა და ღვთივ შერებულისა კრებისა, იხ. „დიდი სჯულისკანონი“, 1967.
5. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წ. II, 1948.
6. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. 1.1928.

7. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ვეფხისტყაოსნის ისტორიისათვის, იხ. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, 1966.
8. რ. მეტრეველი, „დავით IV აღმაშენებელი“, 1986.
9. პ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეთხედში. დავით IV აღმაშენებელი. იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, 1979.
10. ე. გაბიაშვილი, „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა“, თბ., 1979.
11. პ. ლომინაძე, „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში.“ თბ., 1966.

მეფეთ-მეფისა დავითისი

ქართული სამართლის ისტორია

საქართველოს ისტორიის საკითხები



რუის-ურბნისის სამკლესიო

პრეზა

დავით აღმაშენებლის გენიის გამობრწყინება ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე მდგარი XI საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოში იმ საღვთო განგებებს ჰგავს, რომელმაც გვაგონო, რომ ქართველი ერი არ იყო განწირული საბოლოო დაღუპვისათვის. დავითის მიერ შემკვიდრებით მიღებული ქვეყანა თურქ-სელჯუკთა თარეშის შედეგად სახარელი სანახავი იყო. დღეს შეიძლება გადაჭარბებულადაც კი მოგვეჩვენოს დავითის ისტორიკოსის სიტყვები, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობას აღწერს: „მოისრა და ტყუე იქმნა ამით ქუეყანათა მკვიდრი ყოველი ... მოჭამეს ქუეყანა და მოწყვედეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და გურელთა ქუეყანისათა... მოოგრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვალად კაცთა მტეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა მშენილთა და გარდასრულთა ოკრებათასა, რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად პუნეთა თვსთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა და მდღელნი რომელნიმე თუთ შესაწირავსავე შინა საღმრთოთა მსხუერპლისასა მუნვე მახვლითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირიფეს მეუფისა თანა... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყევლენი ქუეყანისანი“ (ქართლის ცხოვრება, I, 319—320). მომხდურთა მხეცობას ერთოდა გადაგვარებულ, მედროვე და ხარბ ქართველ საერო და სასულიერო პირთა ზნედაცემულობა: „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაეღვინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწუართიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა და თუთ სახლით უფლისაათ და მდღელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისაჲ ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო“ (იქვე, გვ. 327).

ფიზიკურად და სულიერად დასნეულებულ ქვეყანას მკურნალი ესაჭიროებოდა. სწორედ დავით აღმაშენებელი აღმოჩნდა ის დასტაქარი, რომელმაც თავს იდგა ეს მისია და ბრწყინვალედ შეასრულა იგი.

დავითის უპირველესი საზრუნავი სიკვდილის შიშით გახიზნული მოსახლეობის თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნება და დასახლება იყო. ოპოზიციაში მყოფ ფეოდალთა დამორჩილებამ და ჯვაროსნების მიერ შევიწროებული თურქ-სელჯუკებისათვის ხარკის შეწყვეტამ ქვეყანა თანდათანობით მოამძლავრა პოლი-

ტიკურად, ეკონომიკურად და პირობები შექმნა დამპყრობელთა წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლისათვის. შიდაპოლიტიკურ პრობლემათაგან, რომელთა გადაჭრა აუცილებელი იყო ასეთი ბრძოლის დაწყებისათვის, უმნიშვნელოვანესი იყო საეკლესიო საკითხები. დავითის გონებაში მომწიფდა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევის აუცილებლობა, რომელსაც სრულიად მოშლილი საეკლესიო ცხოვრება უნდა აღედგინა და ისეთ დონეზე უნდა აეყვანა, რომ იგი ქვეყნის იდეური დასაყრდენი ძალა გახდარიყო. საეკლესიო კრებას მორწმუნეთა თვალში უნდა აღედგინა და გაემდიერებინა ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრა დროის უკუღმართობის მიზეზით ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გავრცელებული მავნე და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვევები, აღეკვეთა თავგასული ფეოდალების საეკლესიო საქმეებში ჩარევის ცდები და მათ მიერ საეკლესიო ქონებისა და მიწების დატაცება. ეკლესია უნდა გამხდარიყო ძირითადი დასაყრდენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების განხორციელების საქმეში. „ამისთვის შემოკრება კრებაჲ დვთისმოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატრიოსანთა მღღელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტესმოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მუუდაზნოეთა“ (ე. გაბიძაშვილი, ძველისწერა, გვ. 184).

საგანგებო საეკლესიო კრება, „რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად-მსახურისა და ღმრთივ-დაცველისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაათა“, ჩვენი ვარაუდით, 1105 წელს (და არა 1103 წელს, როგორც ეს მიღებული იყო ისტორიოგრაფიაში, იხ. ე. გაბიძაშვილი, ძველისწერა, გვ. 14—19) შემდგარა საგანგებოდ შერჩეულ ადგილას „სანახებთა ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა — რუისა და ურბნისისა“ (იქვე, გვ. 124) და ამიტომ იგი „რუის-ურბნისის საეკლესიო კრების“ სახელით არის ცნობილი.

ჯვრი არ არის, რომ კრების მოწვევას დიდი მოსაზრადებელი სამუშაო უსწრებს წინ. უპირველეს ყოვლისა რუის-ურბნისის კრების დადგენილებები უნდა დაყრდნობოდა მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითად სამართლებრივ კანონმდებლობას, ამიტომ, საფიქრებელია, რომ არსენ იყალთოელმა „დიდი სჯულის კანონი“ ქართულად თარგმნა სწორედ საეკლესიო კრების მოწვევის საშუადისთან დაკავშირებით და, გამორიცხული არ არის, დავით აღმაშენებლის დავალებით. ასეთი მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ „ძველისწერა“ მრავალგზის ამაღვანებს „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანით სარგებლობის კვალს (იხ. ძველისწერა, გვ. 44—51). ამასთანავე,

კრებას უნდა დასწრებოდნენ არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები, არამედ უცხოეთის ქართული მონასტრების თვალსაჩინო მოღვაწეებიც, რომლებიც სავანეებში უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი. მართალია, რუს-ურბნისის კრების დადგენილებებში („ძეგლისწერაში“) და დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ამის შესახებ სავანეებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ ვახუშტი ბავრატონმა თავის ისტორიაში აღნიშნა: „ამისთვის შეკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და სამღვდელნი მამულითა თუსისანი და სხუა-კერძონიცა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 156). კრებაზე, დავითის ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერთი მრავალი“, რომელთა რიცხვში საეკლესიო პირებთან ერთად, ალბათ, საერო პირებიც იგულისხმება (რა თქმა უნდა, სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად).

რუს-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის საზღვარის და კრების მიმდინარეობა ბევრ რამეში ისე ჰგავს მსოფლიო საეკლესიო კრებათა ორგანიზაციას, რომ შეგვიძლია ვთქვათ: კრების შესვეურები ცდლობდნენ რუს-ურბნისის საეკლესიო კრება მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიმსგავსებით ჩაეტარებინათ: 1. მსოფლიო კრების მოწვევა ბიზანტიის იმპერატორის კომპეტენციას შეადგენდა. რუს-ურბნისის კრებაც „შემოკრბა ბრძანებითა... დავით... მეფისათა“, მაგრამ ფორმალურად იმპერატორი და მეფე ვერ ჩაეროდა კრების მიმდინარეობასა და კრების კანონმდებლობაში. მაგ. იუსტინიანე II-მ შექმნა (ტრულის) მსოფლიო კრების აქტებს ხელი ასე მოაწერა: „გავეცანი და თანახმა ვარ“ და არა „დავაშტკიცო“, როგორც ჩვეულებრივ აწერდა ხელს კრებაზე დამსწრე ყველა ეპისკოპოსი. აქ არ შეგვიძლია არ გავიმეოროთ ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები კრებაზე დავით მეფის დასწრებასთან დაკავშირებით: „და თუცა მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“ (ქართ. ცხოვ. IV, 156). 2. ისევე, როგორც მსოფლიო საეკლესიო კრება არ იყო მუდმივად, პერიოდულად მოქმედი ორგანო, ე.ი. მისი მოწვევა განპირობებული იყო სავანეებში და გადაუდებელი საეკლესიო საკითხების მოსაგვარებლად, ასევე რუს-ურბნისის კრება არ შეიძლება მივაკუთვნოთ რიგითი ადგილობრივი საეკლესიო კრებათა რიცხვს, „ის სავანეებში და განსაკუთრებული ყოფილა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტორია, I, 1928 წ., 3.40). 3. მსოფლიო საეკლესიო კრებას თავმჯდომარეობდა ბიზანტიის იმპერიის საპატრიარქო კათედრებს შორის უპირატესი ეკლესიის მამათმთავარი (თუკი თვით იგი არ იყო კრების მსჯელობის საგანი). რუს-ურბნისის კრების „თავ და წინამძღვარ და პირ... იყო... იოანე მთავარეპისკოპოსი — კათალიკოსი და ყოვლისა საქართველომხს და დიდი მამათმთავარი...“ (ძეგლისწერა, გვ. 184). 4. მსოფლიო საეკლესიო კრება დამთავრებისთანავე ეპისტოლით მიმართავდა იმპერატორს, მადლობას უხდოდა კრების მოწვევისათვის, მიმოიხილავდა ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს ეტაპებს და ეპისტოლეს ურთავდა კრების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ კანონებს (მაგ. იხ. ტრულის, ე.ი. VI მსოფლიო კრების „მიწერილი წმიდისა ამის კრებისაჲ კეთილად მსახურისა მეფისა იუსტინიანეს მიმართ, რომელსა შეუდგინეს მათ მიერ დასხმული კანონნი“ — დიდი სჯულისკანონი, გვ. 365). რუს-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში, რომელსაც „ძეგლისწერა“ ეწოდება, მსოფლიო კრების იმპერატორისადმი მიმართული ეპისტოლის ანალოგიაა წარმოდგენილი: არსენ მონაზონის პირით კრება ხოტბას ასახმს დავით მეფეს, როგორც ამ კრების მოწვევის ინიციატორს და მართლმწეს კრების ნაღვალს განსაჯელად: „რომელი-იგი აწ ძღუნად მოვაროუნა შენ მწყობრმან შენთა ნაზირეველთა სიმრავლისამან... რომელ მოსწრაფებით შემოკრება უბრძანე შენ“ (ძეგლისწერა, გვ. 194). რაც შეეხება ქრისტიანული სარწმუნო-

ების უმთავრეს მომენტებს, რომელსაც შეიცავს მსოფლიო კრების იმპერატორისადმი მიწერილი ეპისტოლე, ანალოგიურ თემს ეძღვნება „ძეგლისწერის“ ვრცელი შესავალი ნაწილი, რომელიც წინ უძღვის კრების მიერ მიღებულ კანონებს.

ჩვენ თუ დავუკვირდებით იმ საჭირობოტო საეკლესიო საკითხებს, რომელთა გადასაჭრელად იყო მოწვეული საეკლესიო კრება, აღარ დაგვატყვევებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შეფასება, რომ საეკლესიო კრება „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა“. მივევთ საკითხებს იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი კრების დადგენილებებში არიან წარმოდგენილი. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ „ძეგლისწერის“ ტექსტში კრების დადგენილებები არ არის დაყოფილი მუხლებად, ანუ კანონებად, ამიტომ კანონების რიცხვი სხვადასხვა გამოცემებში ერთნაირი არაა და ამ საკითხში მკვლევართა შორის უთანხმოებაა. აქ ჩვენ მათ წარმოვადგენთ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით (იხ. ე. გაბიაშვილი, რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბილისი, 1978 წ.).

1. რუს-ურბნისის კრების დადგენილებებიდან დიდი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი შინაარსისაა კრების პირველი კანონად მიჩნეული დადგენილება, რომელიც ასახავს დავით აღმაშენებლის მიერ საეკლესიო საკითხებში ჩატარებულ ახალი რეფორმების მნიშვნელოვან ნაწილს: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებთ შემოსრულნი პატრისა მღვდელთმთავრობისასა და უღირსნი... გაკუთენით... და ნაცვლად მათდა სხუანი დავადგინებით, რომელთა მასაკისავანცა და საქმეთაგან აქუნდა წამება და კეთილად განწუხარონეს კორცნი დამორნილებად სულითა“ (ძეგლისწერა, გვ. 184—185). კრების პირველი კანონად მიჩნეულ ტექსტს არც აქვს კანონის სტრუქტურა: იგი არ შეიცავს პირობას, რომელთა დარღვევა გარკვეულ სასჯელს იმსახურებს, მაგრამ იგი „ძეგლისწერის“ უმნიშვნელოვანესი პუნქტია, რომელიც აჯამებს კრების საქმიანობის, შეიძლება ითქვას, უმთავრეს საკითხს... „უღირს ეპისკოპოსთა“ ღირსეული კანდიდატებით შეცვლა არა მარტო საეკლესიო პოლიტიკის საკითხია, არამედ სახელმწიფოებრივიც, რადგან დავითის პოლიტიკის მიმხრე სასულიერო პირები სახელმწიფოს მძლავრ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში, რაც, რასაკვირველია, დადგენილების მხოლოდ ქვეტექსტიდან ჩანს.

რუს-ურბნისის კრების დანარჩენ დადგენილებებს საეკლესიო კანონების ფორმა აქვთ და მიმართული არიან საქართველოს ეკლესიაში შემჩნეული ორგანიზაციულ და მორალურ-ეთიკურ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, რომელთა მოკლე შინაარსი ასეთია:

2. მეორე კანონი ადგენს, რომ მკაცრად უნდა იქნას დაცული სასულიერო პირთა ასაკობრივი ცენზი სასულიერო იერარქიის ყველა საფეხურზე ხელდასხმისათვის. ეპისკოპოსი შეიძლება ხელდასხმული იქნეს 35 წლის ასაკში, მღვდელი 30 წლისა, დიაკონი 25-ისა, ხოლო წიგნისმკითხველი 18 წლისა („ძეგლისწერის“ ტექსტში შეცდომით „რვისა წლისაჲ“ სწერია, რაც მექანიკური შეცდომაა—იხ. ძეგლისწერა; გვ. 98—100), როგორც ეს განსაზღვრულია მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი კოდექსითაც (დიდი სჯულისკანონი, 133).

3. კრების მესამე დადგენილება გამოტანილია იმ „უწესო წესის“ აღმოსაფხვრელად, როდესაც ეპისკოპოსობის კანდიდატს ერთი დღის განმავლობაში შეეძლო მიეღო ხელდასხმა თანმიმდევრობით: წიგნისმკითხველად, კერძოდ კონად, დიაკონად და მღვდელად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა“. კრებამ დაადგინა, რომ თუკი ხელდასხმა გადაუდებელი მიზნებით არის ნაკარნახევი, შერჩეულ კანდიდატს ერთი დღის განმავლობაში შეიძლება ხელი დაესხას ჯერ წიგნისმკითხველად და შემდეგ კერძო დიაკონად და მერე დიაკონად“. მღვდელად ხელდას-

ხმაღე დიაკონმა უნდა „ჰმსახუროს მდღელთა არა მცირედელთა დღეთა, მერმეჲა მოიყვანონ მდღელთად“. აქ არ ჩანს „არამცირედნი დღენი“ რამდენ დღეს გულისხმობს, ხოლო მდღელთა ბიდან ეპისკოპოსად ხელდასხმა, რაც უნდა საჩქარო იყოს, არ შეიძლება შეიდ დღეზე ადრე. თუკი ასეთი სასწრაფო მიზეზები არ არის, ხელდასხმისათვის შერჩეულმა კანდიდატმა „წელიწადი და წელიწადნი დაევენ თითოეულსა ხარისხსა შინა და უფრომს დიაკონობისასა“.

4. რუის-ურბნისის კრებამ მეოთხე კანონით დაადგინა, რომ ხელდასხმის რიტუალი, ეკლესიის და მირონის კურთხევა გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი „დიდი კურთხევანის“ მიხედვით ხდებოდა. ამ დადგენილების საჭიროება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სანქცია მიეცა გიორგის შრომის კანონიკურობისათვის, რადგან, ალბათ, ზოგიერთი ეკლესია ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმიდლის მიერ თარგმნილი შემოკლებული რედაქციით სარგებლობდა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო იმდროინდელი გავრდილი ლიტურგიკული მითხვინილებების დაკმაყოფილება.

5. სასულიერო პირის ხელდასხმაში ხელდასხმელის მიერ საჯაროს ანუ გასამრჯელოს ადგებას ქრთამი ეწოდება და ქრისტიანული რელიგიის ისტორიაში „სიმონის“ სახელით არის ცნობილი („საქმე მოციქულთა“—დან სვიმონ მოგვის სახელის მიხედვით). რუის-ურბნისის კრების მეხუთე კანონი სასტიკად კრძალავს მქროამეობას, ისევე როგორც თითქმის ყველა მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრება და „წმიდათა მოციქულთა და მამათა მიცემისაებრ“ დამნაშავეს განკვეთას ადასტურებს.

6. საეკლესიო ჭურჭელი, ტანსაცმელი და საერთოდ ყოველგვარი ნივთი და სიმდიდრე, რაც დვითსადმი შეწირულია და ეკლესიაში ინახება, პირადი ინტერესებისათვის ან საზოგადოებრივ-საერო საჭიროებისათვის მისი მოხმარება რუის-ურბნისის კრების მეექვსე კანონით აკრძალულია. კანონის ტექსტის მიხედვით აკრძალვა ეხება საეკლესიო ქონების ყველაზე პუბლიკური მიზნით გამოყენებასაც — „არცა ტყუეთა საცხრად, დაღათუ ცუდადცა და უკმრად მდებარე იყვნენ და ფერკითა და საორგუენოდ იხსნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭელსა მისსა“. ეს სიტყვები, თითქოს სპეციალურადაა მოტანილი, რომ არ დაეთანხმოს იუსტინიანე დიდის კოდექსში გამოთქმულ დებულებას: „სამდღელინი ჭურჭელნი არცა განივარტებიან, არცა დაიწინდებიან, თვნიერ ხოლო საცხრად ტყუეთა“ (დიდი სჯულისკანონი, 146,33).

7. რუის-ურბნისის კრება, რადგან სპეციალურად ადგენს (მე-7 კანონი), რომ ნათლისცემა და საქორწინო გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიის საკურთხეველში უნდა შესრულდეს, ცხადია, ამ რიტუალთა სახლებში შესრულება იმდროინდელ საქართველოში გავრცელებული ყოფილა. ეგვე კანონი კრძალავს მონაზვნის კურთხევას „ერისაგანი მღვდლის“ მიერ, ე. ი. თეთრი, ანუ სამრევლო სამღვდლოების მიერ. ამ დადგენილების ყველა პუნქტი პარალელს პოულობს მსოფლიო და ზოგიერთ ადგილობრივი საეკლესიო კრების კანონებში („მეგლისწერა“, გვ. 115—118).

8. ქრისტიანული ეკლესია შესაძლებლად თვლის სამჯერ ქორწინებას, რა თქმა უნდა, საბატო მიზეზების გათვალისწინებით, მაგრამ ამ სამი ქორწინებიდან ბატონისცემას მხოლოდ პირველი იმსახურებს, წარმოადგენს ერთ-ერთ საიდუმლოს და საზოგადო სრულდება. მეორე და მესამე ქორწინება შესაბამისად მეტ-ნაკლები სასჯელის შესრულების შემდეგ იყო შესაძლებელი („სინანული იძიების მიერ ქორწინებულისაგან“—ნეოკესარიის კრების მე-7 კანონი — დიდი სჯულისკანონი, გვ. 241). რუის-ურბნისის მე-8 კანონიდან ჩანს, პირველი და მეორე ქორწინების დღეს ცოლ-ქმარმა აუცილებლად საიდუმლო ზიარება უნდა ადასრულონ, მაშინაც კი, თუ კი ისინი უზიარებლობით არიან განკანონებული, ხოლო სასჯელის შესრულებას მეორე დღიდან უნდა შეუდგნენ. ამ საკითხში რუის-ურბნისის კრების ეს დადგენილება უძველეს საეკლესიო კანონებს არ ეთანხმება, რადგან ლაოდიკიის კრება (1 კანონი) მეორედ დაქორწინებულს ადებს ეპიტიმიას — გარკვეული დროით უზიარებლობას, ხოლო ბასილი დიდი (მე-4 კანონით ეპიტიმიას 1 წლით განსაზღვრავს, ე. ი. მოტანილ კანონმდებლობით მეორედ დაქორწინებულისათვის ქორწინების დღეს ზიარების მიღების აუცილებლობა აღნიშნული არ არის.

9. რუის-ურბნისის კრების მე-9 კანონის მიხედვით მეორე ქორწინების მაკურთხებელ ხუცესს განკვეთის სასჯელის მუქარით აკრძალული ჰქონდა დაქორწინებულია ლხინში მისვლა. ამით ეკლესია თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა მეორე ქორწინებისადმი. ამავე კანონით და ასეთივე სასჯელით იკრძალებოდა მეორე ქორწინების ისეთი რიტუალური შესრულება, როგორც სრულდებოდა პირველი ქორწინება („გვრგვინთა კურთხევის“ საიდუმლო).

10. რუის-ურბნისის კრებამ თავისი მე-10 კანონით აკრძალა „ჩუღთა ქალ-ყრმათა“ ქორწინება და ქალის ქორწინების ასაკი 12 წლით განსაზღვრა. მართალია, ვაჟის ქორწინების ასაკი ამ კანონში განსაზღვრული არ არის, მაგრამ იგი ისეთივე იყო, როგორც ბიზანტიურ კანონმდებლობაში—14 წელი.

11. მე-11 კანონი ადგენს მითხვინილებებს, როგორი უნდა იყოს მღვდელთაგან ან დიაკონთაგან კათალიკოსის ან ეპისკოპოსის მიერ შერჩეული ქორეპისკოპოსი. ქორეპისკოპოსის ხარისხი, რომელიც უძველესი საეკლესიო კანონმდებლობიდან ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში უკვე XII ს-ში გამქრალი იყო, ხოლო ქართულ სინამდვილეში XIII ს-ში და კიდევ უფრო გვიან თავის უფლებებშია, თუმცა იმის გარდა, რომ ქორეპისკოპოსს მღვდლის ან დიაკონის ხარისხი უნდა ჰქონდეს და ამ თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატის შერჩევა კათალიკოსის ან ეპისკოპოსის კომპეტენციას შეადგენდა, ჩვენ არაფერი ვიცით, ე. ი. ქორეპისკოპოსის მოვალეობის შესახებ წყაროებში არაფერია ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, მას „სოფლის ეპისკოპოსთან“, ე. ი. მის თავდაპირველ დანიშნულებასთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი.

12. რუის-ურბნისის კრების მე-12 დადგენილება ეხება „მომღვართა“ ინსტიტუტს და მათ ზედმეტად მომრავლებასთან დაკავშირებით („ერთსა მონასტერსა შინა ზუთნი და ათნი, მრავალზოის ოცნიცა და ოცდაათნი იპოვებიან“) ადგენს, რომ „დიდათა მონასტერთა შინა ორ-ორნი, ხოლო მცირეთა შინა თითო ხოლო კმა იყოს მოძღვარი“. მართალია, ამ კანონში არ ჩანს, მაგრამ მოძღვართა მოვალეობა ცნობილია სხვა საეკლესიო წყაროებით. „მცირე სჯულისკანონში“, კერძოდ VI მსოფლიო კრების მე-40 კანონში ექვთიმე მთაწმიდელი წერს: „რომელნი მონაზონებისა წესსა მოვიდნენ, უკმს... სამ წელ მორჩილად წინამძღუარსა მას და მოძღუარსა სულიერსა ყოველითა მორჩილებითა და სიმდაბლითა“. ხოლო 43-ე კანონში კი აღნიშნულია: „სულიერთა მათ მოძღვართა, რომელთა აღსარებაა იგი შეცოდებულისაა შეიწყნარონ... კელწიფების შემოკლებამაც კანონისა და განგრძელებამა“.

13. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მსგავსად კრძალავს მონასტრებში ლხინსა და ღრეობას, აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებების მოწყობას: „წესი იგი, რომელიც კრებულთა დასხლომად უწესენ, ნულარმცა კადრებულ არს ქმნად ამიერთგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნა სავაჭროთა ერის კრებათაა“. „კრებულთა დასხლომად“ უნდა გულისხმობდეს უძველეს ქრისტიანულ „სიყვარულის სერობას“ (საიდუმლო სერობის მოგონების აღსანიშნავად), რომელიც მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა ერ-

თბილისი მონაწილეობით ლხინისა და დღესასწაულის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მოგვიანებით ეს წესი აიკრძალა, რადგან თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. ლაოდიკის კრების 28-ე კანონი ადგენს: „არა ჯერ არს საუფლოთა სახლთა და ეკლესიათა შინა ქმნაჲ სიყუარულად სახელდებულთა მათ სერობათა და შინაგან ეკლესიისა ჭამაჲ და დაგებაჲ ტაბლათა“.

14. თავისი მე-14 კანონით კრებამ ლიტურგიული ხასიათის რამდენიმე დადგენილება გამოიტანა:

ა) საკურთხეველში ერთდროულად არ შეიძლება რამდენიმე სულის მოსახსენებლად რამდენიმე მღვდლის მიერ ჟამისწირვის ჩატარება.

ბ) დიდი ეკლესიის და მონასტრის მთავარი ეკლესიის საკურთხეველში არ შეიძლება ჟამისწირვის ჩატარება ერთი პირისათვის, ცოცხალი იქნება თუ გარდაცვლილი, თუკი ეს დღე ამ პირის საპატრიარქოლოდ დაწესებული სულის მოსახსენებელი დღე არ არის.

გ) დიდი ეკლესიების საკურთხეველში შეიძლება მხოლოდ ამ ეკლესიის მაშენებელთა, შემომწირავთა, გარდაცვლილ და ცოცხალ ქრისტიანეთა ჯგუფური მოხსენებისათვის ჟამისწირვის ჩატარება.

დ) ერთი პირისათვის ჟამისწირვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ეკლესიის სტოაში, ან ეგუტერში. დასახლებული საეკლესიო წესების დარღვევა მექრთამეობის საფუძველი იყო და ამიტომ კრებამ ცნო საჭიროდ ასეთი დადგენილებები გამოეიტანა.

15. კრების მე-15 კანონი განსაზღვრავს, თუ როგორი წესით უნდა მიეღო მართლმადიდებლურ ეკლესიას სომეხი, რომელიც „სანქციარის“ წვალების მიმდევარი იყო და გადაწყვიტა მართლმადიდებელი გამხდარიყო. კრება ადგენს, რომ ასეთ პირს „სრულიად ნათელ-სცემდენ, ვითარცა წარმართსა“, ე. ი. თაყვანს უნდა მონათლოს.

16. რუის-ურბნისის კრების მე-16 კანონი კატეგორიულად კრძალავს ქრისტიანის ქორწინებას მწვალებელთან და წარმართთან (იგულისხმება, ჩვენი აზრით, ეველა არაქრისტიანი და არა მხოლოდ კერპთაყვანისმცემელი) ყოველგვარი გაზონაკების გარეშე, წინააღმდეგ მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში უშეგებენ ასეთ გამოჩინების (იხ. ლაოდიკის კრების მე-10 და 31-ე კანონები, კართაგენის 21-ე და ქალკედონის მე-14 კანონები, განსაკუთრებით კი VI კრების 72-ე კანონი).

17. მომდევნო დადგენილება კრძალავს, ერთი შეხედვით, ქართული სინაგოგისათვის მოულოდნელ ქორწინების ფორმას - კიდეს-კიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გვრგვნთაჲ ქორწინებით ერთგორცქმნადთა მუედლეთაჲ“, ანუ ივ. ჯავახიშვი-


ლის მიერ შერჩეული ტერმინოლოგიით „წარმომადგენლობით“ ქორწინებას, რომელიც უფრო დასავლეთის ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი: ცოლ-ქმრის გვირგვინის კურთხევა ხდებოდა ტერიტორიულად დაშორებულ ორ სხვადასხვა პუნქტში: საცოლესთან მიდიოდა საქმროს წარმომადგენელი მამაკაცი და საქმროს სახელით იდგამდა საქორწინო გვირგვინს პატარ-ძალთან ერთად, ხოლო საქმროსთან მოდიოდა საცოლის წარმომადგენელი მამაკაცი და საცოლის სახელით იდგამდა საქორწინო გვირგვინს საქმროსთან ერთად. ორივე შემთხვევაში ქორწინებას ხუცესი აკურთხებდა. რუის-ურბნისის კრება, რომელსაც, რა თქმა უნდა, საქართველოში მომხდარი ასეთი უწყესობა ჰქონდა მხედველობაში, ასეთ ცერემონიაში მონაწილე ეკვესივე პირს „განკანონებით“ დაემუქრა.

18. ასევე მოულოდნელია კრების მიერ შემდრწუნებული ტონით დადგენილი მე-18 კანონი, რომელიც „სოდომურ ცოდვას“, ანუ მამათმავლობას ეხება და ემუქრება მათ: „რომელმან შემდგომად ამის მეგლისა წარკითხვისა არა იჯმანს ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან... უეჭუელად მოიწიოს მის ზედა ამას საწუთოსა საშინელი რაიმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთაძედელი რისხვაჲ“. ამ დადგენილებაში გამოთქმულ მწუხარებას „თუ ვითარ შეეთუხა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა“, კავშირი უნდა ჰქონდეს საქართველოში თურქ-სელჯუკთა მიერ დამკვიდრებულ გარყვნილებასთან და ცხოვრების ამირალურ ჩვეულებებთან.

19. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ბოლოს მე-19 კანონი (ჩვენი დაყოფით) გამოტანილია ხატმებრძოლობის დასაგმობად: „რამათა ესეცა... ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოვლი-საგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა“. თუ გავიხსენებთ ექვთიმე მთაწმიდლის სიტყვებს „მცირე სჯულისკანონიდან“ (88-ე კანონი), ხატმებრძოლობა მას მხოლოდ სომხურ ეკლესიასთან კავშირში აქვს განხილული, „ესეცა მოიწია სასმენელთა ჩუენთა, ვითარ ქუყანასა სომხეთისასა წმიდათა და პატრიოსანთა ხატთა გამოსახვასა არა შეიწუნარებულ“. ერთი საუკუნის შემდეგ ამ მწვალებლობას ეხება რუის-ურბნისის კრება, როგორც საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებულ წვალებას. როგორც ჩანს, ხატმებრძოლობა ჩვენში საქართველოში მცხოვრები სომხური მოსახლეობიდან გავრცელდა.

რუის-ურბნისის საგანგებო საეკლესიო კრებამ თავისი დადგენილებებით უდიდესი მნიშვნელობის საეკლესიო-სამართლებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტი შეასრულა. კრების საქმიანობაში აისახა დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული რეფორმების იდეური საფუძველები, რომელმაც ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო კავშირით მონოლითური ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა.

ენრიკო გაპიაშვილი





შიომღვიმის მონასტერი. VI ს.

დავით აღმაშენებლის

ანდერძი შიომღვიმის

მონასტრისადმი



გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1124 წელს, შირვანში ერთ-ერთი ლაშქრობის წინ, საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა მოინახულა შიომღვიმის მონასტერი. მეფის მონასტერში მისვლის მიზანი იყო მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო: ლაშქრობის წინ წმ. შიოს საფლავის მოლოცვა და მისგან შეწვევის მიღება, მონასტერში მეფის განკარგულებით აშენებული და ახლადამთავრებული ღმრთისმშობლის დიდი ტაძრის მოხილვა, არსენი ბერისა და მეფის სულიერი მოძღვრის იოვანე ბერის თხოვნით მონასტრისათვის ტიპიკონის (წესდების) შედგენა-დამტკიცება და შიომღვიმის მონასტრისათვის ძველი შეწირულებების დამტკიცება-განახლება და ახლის გაცემა.

მეფის მონასტერში სტუმრობის შედეგად შედგა მეტად მნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტი, რომელსაც ტექსტში „ანდერძი“ ეწოდება. სწორედ მასშია მოთხრობილი ყოველი ის, რაც ზემოთ აღინიშნა. როგორც ჩანს, გარდა აღნიშნულისა, მეფეს განზრახული ჰქონია სხვა საკითხების განხილვაც და ამის შესახებ უფრო ვრცელი საბუთის შედგენა, მაგრამ უდროობის გამო ეს ვერ მოუსწრია და ამის შესახებ პირდაპირ აღნიშნავს ანდერძის ტექსტში—„დაკლებული სისწრაფისაჲ არს“-ო.

მეფე იქვე აღნიშნავს, რომ „თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შიომღვიმისა, უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა—ეუ იყოს აწინდელი“-ო. პართალია, მეფე შირვანს ლაშქრობიდან ძველმოსილი დაბრუნდა, მაგრამ მომდევნო, 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა, და ამდენად, შიომღვიმის მონასტრისათვის ახალი ანდერძი ან სხვა საბუთი, რამდენადაც ცნობილია, მეტად არ შეუდგენია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დოკუმენტი დამკვიდრდა შიომღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის სახელწოდებით. არსებობს დავით აღმაშენებლის მიერ, თუ მისი სახელით, შედგენილი მეორე ანდერძიც საქართველოს სამეფოს უკველთა დიდებულთა და წარჩინებულთადმი“, რომელიც სამეფო ტახტის მემკვიდრეობის და სამეფო სამარხავის, სამვალეს, გელათის მშენებარე მონასტერში დადგენის, აგრეთვე, სხვა საკითხებს შეეხება. ეს ანდერძი ცალკე მსჯელობის საგანი და მას აქ არ განვიხილავთ.

შიომღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის დედანმა, როგორც ჩვენი კულტურის უძვირფასესმა რელიკვიამ, ჩვენს დრომდე მოაღწია, თუმცა ამ წერილობით ძეგლს მეტად სავალალო ბედიც აღმოაჩნდა და ამის შესახებ კვებით იქნება დაწერილებით აღნიშნული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძის ნუსხახუცურით დაწერილი ვრცელი ტექსტის პირ-

ველი და უკანასკნელი სტრიქონები დაწერილი იყო მხედრული დამწერლობით და, როგორც პირველი სტრიქონის სიტყვებიდან ჩანს, თვით მეფის ხელით. ცხადია, ეს გარემოება განსაკუთრებულ სიმტკიცეს და უფლებამოსილებას ანიჭებდა ამ დოკუმენტს. სამწუხაროდ, ანდერძის ტექსტის ხელნაწერის ის ადგილები, რომლებზედაც ეს სტრიქონები იყო მოთავსებული, ამჟამად დაღუპულია. ანდერძის ტექსტის შემორჩენილი ფოტოასლებიდან შესაძლებელი შეიქნა მეფის ხელით დაწერილი სტრიქონების გრაფიკული მონახაზების, ზუსტი ასლების დამზადება, რომელთაც აქვე ვაქვეყნებთ.


საერთოდ, შიომღვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის დაწერილი ანდერძის ტექსტის ხელნაწერის თავდადასავალი ასეთია:

1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქეთიდან მოსალოდნელი თავდასხმისაგან დაცვის მიზნით, თბილისის ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები გახიზნეს ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა პუნქტში. კრასნოდარის მხარის ქ. კრაპოტკინში გადაიტანეს თბილისის საგუბერნიო მიწათმოქმედების სამმართველოს არქივი. ამ არქივში, სხვა მასალებთან ერთად ინახებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების 3000 სიგელ-გუჯარი, მოთავსებული 4 ყუთში. აქ ინახებოდა ყველაზე ძვირფასი ქართული საბუთები, რომელთა კვება ქრონოლოგიური ზღვარი XI ს-ს აღწევდა. 1919 წლის თებერვალში (დაახლოებით შუა რიცხვებში) ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში, ეს მასალა მთლიანად განადგურდა. მათ შორის აქ დაიღუპა სამი უძვირფასესი ქართული ისტორიული დოკუმენტის დედანი: 1. გიორგი II-ის სიგელი შიომღვიმისადმი 1072 წლისა, 2. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი 1124 წლისა და 3. თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი 1201 წლისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ანტონ ჭყონდიდის სიგელის სახელწოდებითაც. ამ საბუთებზე მოთავსებული იყო ხელრთვები გიორგი II-ისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, დავით სოსლანისა და ანტონ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა, მწიგნობართუხუცესისა და პროტოპეტროსისა.

ამათგან მხოლოდ თამარ მეფის ხელრთვა შემონახული ორ სხვადასხვა დოკუმენტზე; ესენია: 1. 1187 წლის შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი და 2. შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა შიომღვიმისადმი.

1923 წელს ს. კაკაბაძემ საქართველოში დააბრუნა მცირე ფრაგმენტები გიორგი II-ის სიგელისა და დავით აღმაშენებლის ანდერძისა. ორივე მათგანი ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში.

ამ საბუთების ტექსტები შემონახულია თ. ჟორდანიასული



დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისაღმ. ტექსტის დასასრული

და ს. კაკაბაძისეული გამოცემების მიხედვით. ამავე დროს ს. კაკაბაძისეული გამოცემის საბუთების ფოტოსურათებიცერთის, მაგრამ ეს ფოტოსურათები (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტო) იმდენად დაბალი ხარისხისაა (მასშტაბის მეტისმეტი შემცირების გამო), რომ მათი პრაქტიკული გამოყენება დოკუმენტების კრიტიკული ტექსტების დადგენისათვის შეუძლებელია.

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ გამოსაცემად მომზადების დროს, სიძველეთსაცავებში დაცული მასალების საგანგებო გადასინჯვისას, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მდიდარ ფოტოთეკაში აღმოჩნდა სამივე აღნიშნული საბუთის მაღალხარისხის ფოტონეგატივები, შესრულებული მინახე, დაზაადებული XIX ს-ის ბოლოს ცნობილი ფოტოგრაფის ალ. როინაშვილის მიერ თ. ჟორდანიას შეკვეთით. ამ ნეგატივებიდან შესაძლებელი გახდა აღნიშნული საბუთების დედნის, ან დედანთან ძალზე მიახლოებული ზომის

ფოტონახეტივების დაზაადება, რომელთაც დედნის მნიშვნელობა ენიჭებათ. ამჟამად ეს ანახეტივები, ხელოვნების მუზეუმის ნეგატივებიდან დაზაადებულ მეორად ნეგატივებთან ერთად, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული დოკუმენტებისა და საარქივო მასალათა საცავის ფოტოპირების ფონდში (№№ 136, 137, 141). აღნიშნული ნეგატივების გამოვლენით შესაძლებელი გახდა ამ ძვირფასი საბუთების თავდაპირველი სახით წარმოდგენა. მოპოვებული მასალებიდან შეკერდებით დავით აღმაშენებლის ანდერძზე.

შემოგვრჩა ამ საბუთის დედნის მცირე ფრაგმენტი — გრაგნილის მეოთხე კუთხის ზედა ნახევრის მარცხენა ნაწილი; ზომა: 28X26 სმ., მასზე წარმოდგენილია ტექსტის 106—123-ე სტრიქონების დასაწყისები და 124—127 სტრიქონების ფრაგმენტები; მხოლოდ ერთი — 122-ე სტრიქონია შემონახული თითქმის მთლიანად, აკლია ბოლო 4 ასო.

ქართული ენის დაცვა

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. პირველი სტრიქონი, დაწერილი მეფის ხელით.

ქართული ენის დაცვა

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. ბოლო სტრიქონი — მეფის ხელრთულობა-დამტკიცება.

საბუთის დედნის აღწერილობა თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით ასეთია: სინოდალური კანტორის საბუთი; ეტრატის გრაფიკა; 5 კვადრატული; დაწერილი ნუსხა-ხუცურით (პირველი და ბოლო სტრიქონები — მხედრულით, დავით აღმაშენებლის ხელით); ზომა: 212X28 სმ. (ს. კაკაბაძის ცნობით), 3 არშინი X 6 ვერშოკზე (თ. ჟორდანიას ცნობით).

მაშასადამე, დღეისათვის გვაქვს: საბუთის ტექსტის სრულ დედანზე დამყარებული სამი გამოცემა (ორი-თ. ჟორდანიასი და ერთი-ს. კაკაბაძისა); ერთ-ერთი (ს. კაკაბაძის) გამოცემისათვის დართული სრული დედნის ძლიერ შემცირებული ზოტო; დედნის თავნაკლული ფოტონეგატივი და მისგან მიღებული დედნის ზომასთან ძალზე მიახლოებული ფოტონაბეჭდები, რომლებზედაც წარმოდგენილია საბუთის ბოლო ოთხი სტრიქონი — 63 — 165-ე სტრიქონები; თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძის გამოცემებზე დამყარებული მეოთხე გამოცემა (ი. დოლიძისა). ამ მასალებზე, ძირითადად — მოპოვებულ ზოტოანბეჭდებზე დაყრდნობით, ამ ძვირფასი საბუთის ტექსტი კიდევ ორჯერ გამოქვეყნდა ბოლო ხანებში (იხ. „მრავალაზი“, IX, 1982; „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, ტ. I, თბ., 1984, № 8).

დედნის შემორჩენილი ფრაგმენტიდან ჩანს, რომ საბუთი დაწერილი ყოფილა კარგი ხარისხის თეთრ ეტრატზე. ტექსტი დაწერილია შავი მელნით. ზოგიერთი ასოს მოხაზულობის კვებით, ადგილ-ადგილ შეინიშნება ბაცი ფერის სინგური. ასეთივე სინგურითაა ტექსტში დაწერილი რამდენიმე სიტყვა. როგორც ჩანს, ტექსტი თავდაპირველად ბაცი ფერის სინგურით

იყო დაწერილი და ნაწერი შემდგომში მუქი, შავი მელნით გაუცხოველებიათ. ტექსტი დაწერილია მოზრდილი, მსხვილი ნუსხური ასოებით; ხელი—XII ს-ისაა.

სამწუხაროდ, ხელოვნების მუზეუმის ფოტონეგატივზე საბუთის მთელი ტექსტი არ არის წარმოდგენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის მთლიანად იყო გადაღებული, მაგრამ ნეგატივი სიგელის დასაწყისი ნაწილის ტექსტით არ შემონახულა. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ფოტოსურათი, რომელზედაც მთელი საბუთია წარმოდგენილი, იმის საშუალებას მანიც იძლევა, რომ დადგინდეს სტრიქონთა საერთო რაოდენობა. 212 სმ. სიგრძის ეტრატზე საბუთი დაწერილი ყოფილა 165 სტრიქონად. მიკვლევულ ნეგატივზე ტექსტი იწყება 63-ე სტრიქონიდან („... მე მომიკსენებია და რომელი არსენის დაუდგამს...“). როგორც ვხედავთ, ხარვეზი ტექსტის დაახლოებით ერთ მე-სამედს მოიცავს.

საბუთის თარიღად მისი ყველა გამოცემელი 1123 წ. მიიჩნევა. ასეთი დათარიღების საფუძველს მათ აძლევს ანდერძის დასაწყისში აღნიშნული ცნობა: „უამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა... ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“. ამ ცნობის მიხედვით მიჩნეულია, რომ ანდერძი დაწერილია 1123 წ. დავით აღმაშენებლის მიერ შირვანში ლაშქრობის წინ. საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს:

დავით აღმაშენებლის „შარვანსა ზედა განმართვას“, ანუ გალაშქრებას ხუთჯერ ჰქონდა ადგილი. დავით მეფის ისტორიკოსი ამ დაშქრობებს შემდეგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოსცემს:

1. 1120 წ. „შუღელულსა პირმარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა“.

2. 1120 წ. 7 მაისს „ჩავიდა შარვანს, არბია ლიჯათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტლანთამდე“.

3. 1123 წ. იენისს „კულად წარვიდა შარვანს, აიღო გულისტანი, სახლი თავიდა შარვანისა... მითრით შარვანი და ადავსნა კეთილითა ყოველი მორჩილი ბრძანებათა მისთანინ“.

4. 1124 წ. აბრილს „დეხსნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყვდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნა შარვანისა ციხენი დასანნი და ხოზონდი და მიმდგომი მათი ქუყანა“. დავით აღმაშენებლის პირადი მონაწილეობა ამ ლაშქრობაში ტექსტიდან არ ჩანს.

5. 1124 წ. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში, ანისის შემოერთების შემდეგ, „ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად. და მცირედთა დღეთა მოუხუენა საბათ თვსითა“. უშუალოდ ამის შემდეგ, როგორც ჩანს, 1124 წლის სექტემბრის დასაწყისში დავით აღმაშენებელი „წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი, ჰერნი და კახნი“. ეს ლაშქრობა არის დავით აღმაშენებლის ყველაზე ფართო მასშტაბის ლაშქრობა შირვანში, როდესაც მან „აიღო... სრულად ყოველი შარვანი“, ციხე-ქალაქებში ჩააყენა თავისი ლაშქარი და გარდა ამისა „განმგებულად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თვისი სუმეონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მამინ ბედიელ-ალავერდელი“. სემეონ ბედიელ-ალავერდელი ანდერძის ტექსტშიც არის დასახელებული (სტრ. 123—124)—მისადმი შევედრებული შიომღვიმის ლავრა.

რომელი ლაშქრობის წინ არის დაწერილი ანდერძი?

1120 წლის ორივე ლაშქრობის წინა ხანა ანდერძის დაწერის თარიღად გამოიჩინება, რადგან თვით ანდერძის ტექსტიდან (სტრ. 54—56) ჩანს, რომ თბილისი ანდერძის დაწერის დრო-

სათვის შემოერთებულია, ხოლო თბილისი დავით აღმაშენებელმა 1122 წელს შემოიერთა.

დარჩენილი სამი ლაშქრობიდან, 1124 წლის აბრილის ლაშქრობაში როგორც აღინიშნა, დავით აღმაშენებლის პირადი მონაწილეობა ტექსტიდან არ ჩანს.

1123 წლის იენისის და 1124 წლის სექტემბრის დასაწყისის ლაშქრობათა წინა ხანა ერთნაირად შეიძლება მივიჩნიოთ ანდერძის დაწერის თარიღად. ამ ორი ლაშქრობიდან 1124 წლის ლაშქრობა, შირვანის საბოლოოდ შემოქრისტიანების მიზნით, ფართო მასშტაბით ჩანს მომზადებული. ანდერძის დაწერის თარიღი შეიძლება სწორედ ამ ლაშქრობის მოწყობის წინ ვივარაუდოთ და ეს ისეც არის სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელი გამოკვლევებით მიღებული.

დავით აღმაშენებლის 1124 წლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი მრავალმხრივ გამორჩეული, უნიკალური წერილობითი ძეგლია. იგი გადმოგვცემს ბევრ ახალ, სხვა წყაროებით უცნობ ცნობას დავით აღმაშენებლის მეფობის და იმ ეპოქის საქართველოს სინამდვილის შესახებ. ანდერძის მიხედვით დავით აღმაშენებელი წარმოგვიდგება როგორც გონიერი, დრამდ განსწავლული, ღმრთისმოსავი, ეკლესიათა მფარველი, მოწყალე და ამავე დროს, მტრების მიმართ უკომპრომისო ხელისუფალი. ეს საბუთი იმითაც არის გამორჩეული ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე ათეულ ათას ძველ ქართულ საბუთს შორის, რომ მასში მეფის პირადი ნება, მისი სურვილი, გამჟღავნებულია და გაერთიანებული მეფის, როგორც უმაღლესი ხელისუფლის გადაწყვეტილებასთან. ეს ძეგლი წერილობითი ძეგლი, ჩვენი წარსული წერილობითი კულტურის ნამდვილი მარგალიტი, არაერთხელ ყოფილა შესწავლილი და გამოკვლეული; იგი მომავალშიც ახალ თაობებს საამაყოდ აღაფრთოვანებს და მუდამ იქნება დრამა მოწიწებისა და ყოველმხრივი შესწავლის საგანი.

ანდერძის ტექსტი

[ქ. თავს] დებთა ღმრთისათა. მე, დავით ს მიწიყეს. ჟამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა შევედრე შეწევნად ჩემად შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ, ჩემ მიერ აღშენებული, დასრულებულად. მივიღე ღოცვაჲ ყოველთა მამათაჲ, და სასომან და განმანათლებლმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა. დაკლებული სისწრაფისაჲ არს. თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა — ესე იყოს აწინდელი.

ვინათგან მსთუბან წყალობად და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყუარულითა თვისისა მიმართ მიშიდევლმან ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა ანუშნა მიუწოდებელი ქველის-მოქმედებანი, რომელთათვის ყოვლად უმაღლოჲ ესე ჯერისებერ ვერ მშადლობელიცა არა მომიბაგა და არა დააცადა ჩუწულებითი წყალობაჲ დღეს დღემდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხვითაგან ერთი მიზეზად თხრობისვე მივსცე თხრობასა. თუ იგი, ოდეს მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა, თვისითა რაჲთმე განგებითა, არა უღირს-მწენელმან შარვანდსა შინა ბატონისანსა უპატიოებისა ჩემისამან, აჟამათგანვე აიღო კელი სიტკბობითა თვისითა განმებედა ჩემდა. და თუ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღმდეგომთა განგებულებასა თვისისათა მისცემდა მოსასრველად; იღუმალითა, კულად ზაკუვისა თვის შორის მფარველთა, არა შეუნდობდა სიცბილად, რომელთა თანად თუთ მიიღეს ზაკუვისა მათისათვის საცთური.

და ერთმან მთიანდეს, ძაგანძანი, შემაწუხებელმან ღმრ-

თისა და მონათაჲ მისთამან, მძლავრებით ღმრთისაცა არამრძებან, თანავე ძმისა თვისისა, მოღირსო — წინა-უცმობასა მდღელთ-მოძღურისა, რომელმან ერთმან პატრონთა თვისთა წყალობაჲ მათ ზედა საისრელად აღმხუა, ხოლო მეორემან ღმრთისადა განკუთხენითა ეკლესიები საუხესმწინოდ თვისად მიიტაცა. რომელნი-ესე არა ითნნა ესრეთ ყოფად საშჯელმან გამოუძიებელმან, — ცხად არს, რამეთუ ღმრთისამან, და არცა მიუშუა კუჭრთხი ცოდვითა ნაწილსა ზედა მართალთასა: მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემუჟა და ძაგანი, მღვმეს შულტოვლი, მოცა ღმერთმან, რომელსა შინა არა-მცირედი ერთგულებაჲ ანუშნეს ჩუშნად მომართ მამათა მემღვმეთა. რამეთუ იხარებს მართალი, რაჟამს იხილოს შურისგებაჲ, მაღლობაჲ აღუვარე და მბადებელსა ღმერთსა და თაყუანისევე ღმერთ-შემოსილისა წმიდისა მამისა შიოს საფლავსა.

ვიხილე წმიდაჲ მთავარ-მამა მიქაელ და სულითა ღმრთისაჲთა განათლებულნი მამანი. განვიშუ სულითა საწადელითა მისთვის კრებულისა და მხიარულებით ადვილეს სამოთხის მსგავსისა მის ღმრთისათვის. მეს სმოწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღმენებად ეკლესიაჲ საშუად მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა და მომადლებითა მისითა სრულად ვიხილე.

მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი, და თუთ სულგრძელმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან იოვანე, რაჲთამცა წესსა ზედა სვეონწმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვმისა

წინი, რომელი თვით მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად უცნობად: უცნობელი გზა და წესიერი ცხოვრება და ანგე-
ლიზები მოქალაქობა, რათა ღმრთისათვის ოდენ განკუთ-
ვნილი, მას მხოლოდ, თვნიერ საწუთუთადას ზრუნვისა ჰზრ-
აოდენ და წინაშე ღმრთისა შეიხებოდ კანდიერ იყვნენ.

შეწევნითა ყოვლად სახიერისა ღმრთისათა და მადლითა
კვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და მეოხებითა შე-
ხედრებულისა ჩემისა წმიდისა შიოხსითა მიეცინ სიმ-
ტაცე კვლესიასა, ჩემ მიერ აღშენებულსა!

თუ მე ღირს-მეოს ღმერთიან ენევიობაა მისი ვიხილო,
ღმრთულ არს სულგრძელებად მისი, თუ არა—არსენის
ბესა, რომელ აქუს კოსტანტი და პერპერა, კალაპოტი
გამოყარონ, მოლესენ(!) მოხატონ და ძემან ჩემან დე მეტრ-
ე. თანადგომითა კურთხეულის მწიგნობართ-უხუცესისა და
ჩუბთა ბერთაათა, აკურთხონ კვლითა იოვანე ქართლი-
სა ქათალიკოზისათა, თანა-დახუდომითა იმერთა და
აღრთა ყოველთა ეპისკოპოსთათა.

ვითარად მამათა და ბაბათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სო-
ფლიათუს მათთა წმიდისა ამას უდაბნოსა, რამცა სიბოროტითა
მათათა შეცვალეს იყო, მე კულა გამაიხლებიან იგი სიგელ-
ნი ანუ მეფეთა შეწირულთა, ანუ მთავართა ვიეთმე. და თვით
ძეული და ბუჭლის ბუჭლი ნასყიდი მონასტრისაგან ყოველი
უპკროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიკსენებია წმიდისა
ბებისა შიოხსათუს.

ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონე-
ბა. და რომელი აწ უყიდა, და რომელი მე მომიკსენებია, იგი
ღმრთელად მთავარს იგიცა, ყუელად უბაჟოდ და უსუხროდ
კვლისა სასეფობასა გამოსავლისაგან ჰქონდეს.

ვითა წინამძღვარსა შჯულისა ჩუწნისასა, მეუფესა იო-
ვანეს ქართლისა ქათალიკოზისა, უბრძანებია და
ბუნებებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სო-
ფლინი და აგარანი ჰქონან მღვმესა, საშჯულოდ სამრებლოდ არს
კვლად, თვით მემღმესა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლე-
სიისა ზეთად მოაგმაროს.

და ამისთვის, რომელ მიპრონსა მონიჭებდეს ქართლისა
ქათალიკოზი, ჩემსა ეკლესიასა შინა სახელი მისი მოიკსენებო-
დეს პირველთა თანა მღვდელისაგან.

ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე
მომიკსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცად
ვის უკადრებია გამოდებია. სასანთლები, სიწმიდის სამსახური
ღმრთისა უნდა მისთვის—ოცდაათი ლიტრად ვეცხლი წმიდად,
არსენის კვლას არს.

ცვლი, ვითა გამიჩენინან (!) ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი,
იგი ამსახურონ.

საზრდელი ძმათა — პური, ხილი ფურნისა, ხუთასისა დრა-
ხისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდები.

სამღვრიოდ ღვინო ჟამსა სთულისასა შემსგავსებულად
მხულისა შინათ მართუან მსახურთა მონასტრისათა ყოველ-
თა ერთი საწყაი; ეგრეთვე სხუა ყოველი საჭიროდ საჭმარი,
შემოსავალთაგან მონასტრისათა.

სხუად, ნაბჭობი და ქულბაგთა და სახეთეთა და წისქულ-
თა ყოველი შესამოსლად განეყოფოდის.

ოცდაათი ჯორი, რომელი აწ მე მომიკსენებია, ამას ნუ დააკ-
ლდები.

ბუჭლითგან, ვითა სიგელი შეუვალობისა აქუს ცხუარ-
თათუს უსაბანჯრობისა, სამი ათასისა ცხურისა მთას და
ხარს, აწ მე მომიკსენებია ორი ათასი ცხური. და ხუთი ათასი
ცხური, თვით სასეფობა მონასტრისა და მათთა მეცხოვრეთა
გაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად დგეს და იარებოდის
წინსა ჭამბარსა გუჭრდით. და ამისი გამოსავალი ცხური
ჯორსა იყიდეს. მატყლი—მსახურთა მონასტრისათა, და წუ-
რად—ძმათა მიეცემოდის.

ასი ფური მომიკსენებია, რომელ თრიადეთს, მათსა
სოფელსა ბჭითს და ბჭითის ზეით სოფლებს და მათსა
საფურესა მუხნარს დგეს.

მომეტებული ზროხაა ჯორსა და ცხენსა მონასტრისა სამ-
სახურებელსა იქმოდეს.

ვარი სამცხოვრებლთა სამუშაოთა აღვიდთა მოვიპარონ.
სუალი და მარგალიტი, ჩემისა ხატისათს რომელი დამოც-
და ორნი ბროლისა სასანთლენი მას ემსახუროს უკლებად.
ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშუქში სიწმიდისა გან-
ახლებისა სამსახურად მოვიპარებოდის.

სხუად ჭურჭელი, იავარი სპარსთა, რომელი არსენის-
და დიოვანეს და მიითუალავს, იგი, მისსა ჟამსა, ჩემსა
მონასტრისა (!) გაგზავნოს ძემან ჩემან დე მეტრე.

ძელი ცხოვრებისა და ნაწილი წმიდათანი, ორი მოთხე
სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს.

წმიდათა დიდთა მარხვითა ყოველთა პარასკევთა ეკლესიას
ტულისა სეფისკუჭრსა განუყოფდენ საკსენებლად ჩემდა. და
პირველისა შჯულისა პარასკევს თითო კარასეული მიეცეს,
სეფისკუჭრსა და თესლსა თანა შესუან ყოველთა და მილოცონ
ესრეთ: „უფალო დემეტრო, დავითს მიუტევენ
ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილები-
სანი“.

მემსგეფეს ყოველთა კურიაკთა ჩემთვის წირვიდეს ჩემსა
ეკლესიასა შინა და მამად მემღვმე მას დღესა სერსა უყოფდეს,
რომელსაცა დღესა ჩემი განყოფა იქმნას კორცთა ამთაგან,
უბადრუკთა და მრავალ-მცოდნელთა, დამის-თევდა და ღოცვად
ყონ ყოველმან სიმრავლემან და მას დღესა ჟამისწირვად ჩემ-
თვის აღესრულებოდის.

სოხასტერი, ვითა ბერსა, განმანათლებელსა ჩემსა, არსენ-
ის გაუწესებია, და მე ხუდაბუნი შემიწირავს მუხრანს
წმიდისა სუმონს საკურველთომქედისადა, რომელმან სამისა
დღისა მკუდარი აღმადგინა, იგი, ვითარცა თვით არსენი გა-
ნაწესის, ეგრე იქნას, გარნა ჩემ მიერ ესეიღენი, რომელ შემ-
დგომად არსენისსა განკრძალული მღვდელი იყოს მაკსე-
ნებელი ჩემი შეუცვალებლად.

ტფილისს საამიდიოთ, ვითა სხუთაცა იწმინთა, თვით
ველითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღვდელთა და მგალო-
ბელთათუს, ნუვინ დააკლდეს. მას დღესა, რომელსა მომიკსენოს
ღმერთმან, გაიყონ მღვდელთა და მგალობელთა.

ვითა აწ არსენის გაუწესებია, ყოველთა კურიათა დამე
ყოველ დამისევადა, ნუვინ შესცვლის ამას წესსა.

და ტურათისუბანსა, რომელ მეხურენი დაუსხმან
და ზუარნი და მიწანი—ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის
თითოე კურიათა ძალითა და თითო კარასეული ღვინო.

ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანის ბუჭლი-
თგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნება ჩემი,
მამამან ჩემან უბოძა, მით რომელ სხუათაცა ჰქონებოდა
მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუწნი ერთგულობა.

აქ ძაგანმან სადგომად საეპისკოპოსოცა უდიდესნი
გარნა სამთავროდ თვით, ადრითგან მამულობისა ეწერა-ყე — სა-
ეპისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი და-
ემჭირნეს, და წილკანი საყდრისა მონასტრისა რაცა იყო,
მთასა ციხე, მარანი ანუ მატური იგი სოფელი; და მღვმე
მონასტერი — შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვით.

ოდეს მოიქცეს საღმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოვ-
ლითავე უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ თვებულები და
მღვმეს ქონებანი მისნი, საავაზაკონი და წარტყუწნილი;
ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია.
ადარ ოდეს მიგეღოს იგი. და არცა ვის სხუასა საქმე უც
მღვმესა თანა და არცა მღვმისა ქუბთა, ვითარ-იგი თვით
სანატრელისა, მამათა ნათლისა შიოხს ანდერძში სწერია —
უფალი მღვმისა დემეტრია, მეუფე წმიდა მამა შიო.

და მეფეთათვის ლოცვა აღასრულონ, ვითა თვთ წერილინი წმიდანი უმოდურებენ და ვითა თვთ ივინი; თვნიერ მეფეთა საწირავისა, არაჲ საქმე ყოფილა მღვმესა თანა, არცა ვის აწ უც საქმე, თვნიერ ლოცვისა და შეწირვისა.

აწ ს ვ ე ო ნ ბ ე დ ი ე ლ - ა ლ ა გ ე რ დ ე ლ ი ს ა ი ყ ო ს შევედრებულ; რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოფოდის, რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუაჲ მწიგნობართ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის.

და თვთ ძუცლთა და აწინდელთა ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი - კ ო ზ ო ბ ა კ ე ლ ნ ი ვ ი თ ა რ ა დ ჰ ო ნ ა ნ , ა რ ც ა ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი - კ ო ზ ი ს ა ს ა ქ მ ე ა რ ს მ ღ ვ მ ე ს ა ზ ე დ ა , ა რ ც ა ვ ი ს ს ხ ვ ს ა ე პ ი ს კ ო - პ ო ს ი ს ა , ა რ ც ა ზ ე ვ რ ი , ა რ ც ა მ ე ფ ე თ ა , ა რ ც ა მ უ ხ რ ა ნ ი ს ა მ გ ე - თ ა .

არცა მღვმისა შედგომად ვის აქუს კელმწიფებაჲ; არცა მათთა ავარაკთა და საქონებელთაჲ თანა ვის საქმე უც.

და ესე ჩემგან აღშენებული ეკლესია ნიჭად ჩუწნობისად კმა ყვოს ყოველთა.

ოდეს მ უ ხ რ ა ნ ს ვ ი ყ ე ნ ე თ , წ მ ი დ ი ს ა შ ი ო ა მ ხ ა ტ ს ა მ ე - გ ვ ა მ თ ხ ე ნ ე ნ , ს ა მ ი ს ე ფ ო ს ი კ უ მ რ ი ; ე რ თ ი ფ ი ლ ა ს ს ა ზ ე დ ა შ ე დ ა ფ ა რ ი თ ა კ ა პ ა რ ი გ ვ ე ლ ო ა გ ო ნ ; მ თ ა ვ ა რ მ ა მ ა მ ა ნ მ ე მ ღ ვ მ ე ს ა მ ა [მ ო - ს უ მ ნ ო ს] ჯ უ ა რ ი მ ი ს ი , მ ა ს გ ვ ა ა მ ო რ ო ნ . ჩ უ მ ნ პ ა ტ ი ვ ს ც ე თ , ვ ი - თ ა რ ც ა ს უ ლ ი ე რ ს ა მ ა მ ა მ ა ს ა მ შ უ მ ნ ი ს , ს ა ჯ დ ო მ ე ლ ი თ ა დ ა ს ე რ ი თ ა .

თვნიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თვთ წესი არს, მის წმიდისა შ ი ო ა ს საფლავსა ზედა წილგდებაჲ, ამით სხუაჲ განაჩინონ და ჩუწნა დარბაზსა მოიყვანონ და ჩუწნა არგანი მოვაქსენით და შევპედროთ მონასტერი.

და თქუწნ, შემდგომად მოძავალნო მეფენო, ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შემოგვედრებ, წინაშე ღმრთისა შეკრებასა ჩუწნსა, რომელ არ სირცხვილისა თანამდებად იხილენთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან, მოიკსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ და ვ ი თ ს , მ ნ ა ხ ე ვ ლ ი თ გ უ ლ ს მ ო დ გ ი ნ ე ბ ი თ ქ მ ნ ი ლ ს ჩ ე მ ს ა ე კ ლ ე ს ი ა ს ა , დ ა

ნუ ოდეს ვის გაარყუნეთ კულა მას დიდებულსა ლავრასა.

და აწ შემდგომად ამისსა, ანუ მეფემან, ანუ მთავარმან, ანუ ეპისკოპოსმან, გინა მონაზონმან, გინა კელისუფალმან ვინ, თუნდა გლეხმან და თუნდა აზნაურმან ანუ ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს, ანუ ვინ საურავი მოუღოს, ანუ ქრთამისათვის, ანუ თვთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და ანუ თუ ღმრთის მსახურებასა რასმე ანუწმებდეს, ანუ მღვმესა შიგან სადგომად იურვოდეს, ანუ თავისათვის რადმე მოსაქმარებლად, ანუ გარეშე მონაზუნისა მწიგნობართ-უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გუარი, გინდა ვინ იყოს, პირველად შენ, დაუსაბამო და დაუსრულებლო ღმერთო, მააწიე რისხვაჲ შენი დაუსრულებლად მის ზედა, ნუცა უხილავს ნათელი ღმრთეებისა შენისა, ნუცა მიეცემის წყალობაჲ შენი, ნუცა ცუარისაგან ზეცისა, ნუცა ნაყოფისაგან ქუწყანისა; ივან სამკვდრებელი მისი ოკერ და ნაშობი მისი მოსასრველ; მოლოდებასა შინა წყალობისასა — რისხვაჲ შენი ეწიენ; გონებისა, ცნობისა და ხედვისაგან ოკერ ყავ იგი, ღმერთო.

ხოლო შენ, ყოვლად წმიდო ღმრთისშობელო, განყოფასა მისსა ჯორცთაგან განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე, ვითარცა გემობარსა შენსა ნესტორს ზედა.

ხოლო შენ, წმიდო ღმერთშემოსილო მამო შ ი ო , ო დ ე ს დაჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდევ და განესაჯე და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისაჲთა.

უკუეთუ ჯამი მომცეს ღმერთმან და სხუა უახლესი ანდერძი დაეწერო, იგი თქუწნ, თქუწნ მიერთა კანონითა, უჯუარობითა, წვევითა და შეწუწნებითა დაამტკიცეთ, წმიდო მეუფეო ქ ა რ - თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ო , დ ა ყ ო ვ ე ლ ო მ ღ ღ ე ლ თ ო მ ო დ ლ ო ო რ ო .

და თუ სხვსა დაწერად ჯამი აღარ მომხუდეს, თვთ ესე დაამტკიცეთ. და რაჲთაცა რას ვინ მღვმესა დააკლებდეს, კანონითაჲცა თქუწნ მიერთა კრული არს გაუგნხელად.

ს ი მ ტ კ ი ც ე ო ყ ო ვ ე ლ ო ო ღ მ ე რ თ ო , დ ა ა მ ტ კ ი ც ე მ ტ კ ი ც ე ლ ა მ - ც ო ე .

პ ა ლ მ რ ი ს ი ლ ო გ ა ვ ა

„დავით აღმაშენებელი და დიდგორის ბრძოლა არა მარტო ისტორიკოს მკვლევართა ყურადღებას იქცევდა, იგი არა ერთხელ ყოფილა ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების შემოქმედების წყაროც. იმდენად მიზიდველი ჩანდა ეს ისტორიული თემა, რომ არათუ მწერლებს, ზოგჯერ თვით ისტორიკოსებსაც კი უცდიდათ მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები მხატვრულ სახეებში გადმოეცათ. ცნობილმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა ვრცელი პოემა უძღვნა დავით აღმაშენებელსა და დიდგორის ბრძოლას. ბევრი სხვაც დაიწერა მოთხრობის, ლექსის, პოემისა თუ ლეგენდის სახით. მაგრამ დიდი მხატვრული ტილო დავით აღმაშენებელ-

ზე შექმნა კონსტანტინე გამსახურდიამ. მხატვრული სიტყვის დიდოსტატმა ძველი საქართველოს დიდ სახელმწიფო მოღვაწეს ოთხწიგნიანი რომანი უძღვნა; მეოთხე წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდგორის ბრძოლას დაუთმო და ეს ისტორიული მოვლენა, უმთავრესად დავითის ისტორიკოსის, ალ-ფარაბისა და გოტიეს ქრონიკების მიხედვით, მხატვრულად აღწერა. დიდგორის ბრძოლის ამბების დიდი სიზუსტით გადმოცემის მიზნით ავტორმა საჭიროდ მიიჩნია, ნაშრომის ამ ნაწილისათვის თვით პირველწყაროთა თარგმანები და ორიგინალური ტექსტებიც დაერთო.“

დავით აღმაშენებლის ძვირფასი სახე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხიბლავდა. მახსოვს ის ბედნიერი დღეები ჩემი სიყრმისა, როცა სიკეთისა და სათნოების ჩემს პირველ შთამბავონებელს, ჩემს საყვარელ დედას, ფეხშიშველა დავეყავი გელათში.

აღტაცებული შევცქეროდი დავითის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ნიკაბთან ოდნავ გაფლავებულ წვერს, აღმასებით მოოჭვილ გვირგვინს, კეისრულ წითელ წადებსა და ლოროს, მის ომახიან ფიგურას, ფრესკაზე გამოსახულს.

... მოგზაურობისა და განსწავლის წლებში დიდხანს ვატოლებდი და ვაზომებდი მას ბიზანტიის იმპერატორებს: მაკედონელთა დინასტიის მოუხეშავ კეისრებს, უზურპატორ კომნენებს, კაპეტინგებსა და მეროვინგებს, არაბეთის ხალიფებსა და სასანიდთა მეფეებს, ჰიპოხოზდრულ ბურბონებს და ექსცენტრიულ ვალუას, იტალიის გარყვნილ ტირანებს, ჩეზარე ბორჯიასა და სფორცას თავადებს, ბნედიან ჰოპენცოლლერებსა და ვიტტელსბახებს, საქართველოს დამხობისა და დაქვევის პერიოდში წარმოშობილ უჭკუო მეფეებს, რომელთაც ისეთივე უნიჭო შაირები დაგვიტოვეს, როგორც პოლიტიკა ჰქონდათ.

ამ შედარებისას უფრო და უფრო იზრდებოდა ჩემს გულში სიყვარული და თავდადება დავით მეფისადმი, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ უპირატესად, როგორც თავკაცს ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა ისლამური ობსკურანტიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ისლამს ებრძოდნენ როგორც პაპა დავითისა ბაგრატ IV, ისე მამა — გიორგი მეორე. მხოლოდ დავითმა შესძლო ამ ბრძოლის გასაწევად არა მარტო შეკრება ქართველი ტომებისა, არამედ კონსოლიდირება კავკასიელი ხალხებისა, სომხების, ოსების და შირვანელებისა, ბოლოს მან თვით ჩრდილოელი თურქები — ყიფჩადები გამოიყენა და ამ გზით დაამარცხა უზარმაზარი თურქული კოალიცია, რომელსაც დიდი ამირი ნეჯმ-ედდინ ილ-ლაზი მეთაურობდა.



ბიზანტია უკვე სავსებით დაუძღვრებული იყო. სომხეთის სახელმწიფოს ჯერ კიდევ ბიზანტიამ მოუღო ბოლო, ასე რომ დავითის სახელმწიფო პირისპირ შეება სელჯუკების უზარმაზარ იმპერიას, რომელიც გადაჭიმული იყო ჩინეთის კედლებიდან ვიდრე აფრიკამდის.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, დავითის ვაჟაცობამ, მისმა ბრძნულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავამეტებულმა ბრძოლამ გადაარჩინა XII საუკუნეში კავკასია, როგორც გამუსლიმებას, ისე ფიზიკურად განადგურებას.

კონსტანტინე გამსახურდია



გ ე ლ ა თ ი ს ფ რ ე ს კ ა .

პოი, ყოვლადწმიდაო დედუფალო, ღვთისშობელო, უმაღლესო წმიდათა ანგელოზთა და მთავარანგელოზთაო, და ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესო, შეუწვეველთა შეშწეო, უსასოთა სასოო, გლახაკთა შესავედრებელო, მწუხარეთა ნუგეშინსმცემელო, მშვირთა გამოშრდელო, შიშველთა სამოსელო, სნეულთა მკურნალო, ცოდვილთა ცხოვრებაო, და ყოველთა ქრისტიანეთა შეშწეო, და შესავედრებელო... მოწყალეობითა შენითა აცხოვნე და შეიწყალე ღვთივდაცული ერი ჩვენი

„აღავესო

ზღვა და ხმელეთი

ქველის საქმეებს

მისთან“



ასე ხატოვნად აფასებს მემატრიანე ერისგან წმიდანად შერაცხული სახელოვანი ქართველი მეფის, მტერთაგან საქართველოს გამოძახისნელის, ქვეყნის ერთიანობის აღმდგენელის დავით აღმაშენებლის ნაღვაწს. მისმა თანამედროვეებმა და შთამომავლებმა ღირსეული პატივი მიაკეს მას. ქართველმა ისტორიკოსებმა მთელი სისრულით გამოავლინეს ამ დიდებული პიროვნების როლი ქართველი ერის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ისტორიაში. დღეს, როდესაც მთელი საქართველო შეკრებილია თავისი დიდი წინაპრის, ერისთვის მრავალ—„ძღვევითა საკვირველთა“ მომპოვებლის ხსოვნის უკვდავსაყოფად, იმ ადამიანისა, ვინც საქართველოს „სრულითა გულითა მსახურება“, ალბათ, საჭიროა მოვიგონოთ, რა დიდი ღვაწლი დასდო მეფე-რაინდმა, მეფე-შედარმა ქართული კულტურის განვითარებას. საჭიროა გავიხსენოთ, ეროვნული ხელოვნების რომელ ძეგლს ატყვია ხელი მეფისა, რომლისთვისაც ჟამთა სიავესა და მუდმივ ბრძოლებში წიგნები იყო „შეება, განცხრომა საწუთელ და სარგებელ“, რომელსაც ლაშქრობისა და ნადირობის დროს „წიგნნი აქუნდა ხელთა“.

საქართველოს კულტურისა და ხელოვნების აყვავების ეპოქა, „ოქროს ხანად“ წოდებული XII საუკუნის დასაწყისი ხომ დავით აღმაშენებლის დიდებული საქმეებით აღინიშნა. ფართოდ განათლებული, აღმოსავლურ ენათა მცოდნე, მწიგნობარი მეფე, დიდად მოჭირნახულე ერისათვისა „კეთილად და გონივრად“ იღვწოდა ქვეყნის ხულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის.

ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცება, საქართველოს ერთიანობის აღდგენა, საეკლესიო რეფორმების განხორციელება, სამხედრო საქმის სრულყოფა, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცება — ყველაფერმა აბან შექმნა მტკიცე საფუძველი ქვეყნის კულტურული ამაღლებისათვის. ერთიანმა, ძლიერმა საქართველომ მოიცალა თავისი ეკლესია—მონასტრების ასაკებად და გასამშენებლად, ტაძართა კედლების მოსახატად და მოსაწიქურთმებლად, ხელნაწერი წიგნების დასასურათებლად, ჯვარ-ხატთა შესამკობად. ქართველმა კაცმა მიხვილისა და შუბის ნაცვლად ხელში აიღო ჩაქუჩი და საჭრეთელი, ფუნჯი და კალამი. დიდგორისა და თბილისის ბრძოლაგადახდილი ქართველნი კვლავ

იქცნენ ქვით-ხუროებად, მხატვრებად, ოქრომქანდაკებლებად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მრავალ სამეფო საქმეთა შორის ახსენებს „მსახურებელთა ნიჭ-მრავლობას“. ამ მცნებაში ბევრი რამ არის ნაგულისხმევი და, ალბათ, პირველ რიგში გასათვალისწინებელია დავითის თანამედროვე ქართველ ოსტატთა „ნიჭ-მრავლობაც“. ხუროთმოძღვრება, ფერწერა, ოქრომჭედლობა, ხელნაწერი წიგნების მორთვა-დასურათების ხელოვნება. ყველა დარგში XII საუკუნის დასაწყისიდან იქმნება განსაკუთრებით გამორჩეული ნაწარმოებები. თუმცა ჩვენ არა ვართ განებივრებული (ევროპულ ქვეყანათაგან განსხვავებით) წერილობითი წყაროების სიმრავლით, ჩვენამდე მოღწეულ ხელოვნების ძეგლთა მეშვეობით მაინც ხერხდება ამ ეპოქის ქვეყნის კულტურული ცხოვრების სურათის წარმოდგენა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მჭკერმეტყველად აღწერს მის მრავალმხრივ მოღვაწეობას და საქვეყნო საქმეთა შორის ჩამოთვლის: „ხოლო ამით თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვანა, რაოდენნი ეკლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი განწმინდნა...“

ამ მრავალმხრივ სამშენებლო მოღვაწეობაში თავისი მასშტაბებითა და მხატვრული სრულყოფით გელათის დიდებული ტაძარი გამოიყოფა. სხვა რომ არა, მარტო გელათის აშენება ეყოფოდა დავითს შთამომავალთაგან პატივის მისაგებად. ერთ-ერთი ხელნაწერის, შემოქმედის გულანის მინაწერიდან ჩანს, რომ დავით მეფე 1106 წელს შესდგომია გელათის მშენებლობას: „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა... ადგილსა ყოვლად შეუნიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლისა წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა...“—გადმოგვცემს მემატრიანე.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები ბუნებასთან ადამიანის ხელთქმნილი მშვენიერების შერწყმის იშვიათი მაგალითია. ადრექრისტიანული ხანიდან მოყოლებული ქართველ ხუროთმოძღვართა ეს უნარი თვალნათლივ ჩანს მათ უკვდავ ქმნილებებში. ყოველი ძეგლი უნიკალურია არა მარტო თავისი ხუროთმოძღვრული

ფორმებით, არამედ ბუნებასთან საოცარი შეთავსებით. გავიხსენით კლდის სილუეტთან შერწყმული მცხეთის ჯვრის კრისტალისებრი მკაფიოება, უკიდევანო სივრცეში ზეცად ისრისებურად ატყორცნილი ალავერდის ტაძარი, ოაზისებრი ხეობაში გარინდული საფარის სამონასტრო კომპლექსი. მაგრამ სრულიად გამორჩეულია გელათი. ქუთაისის მახლობლად მთის ფერდობზე ზურ-მუხტისფერ გარემოში ლაღად მხრებგაშლილი ტაძარი მედიდურად გადმოსცქერის მის წინ გაშლილ თვალწარმტაც სანახებს. რიტმულად, მწეობრად ნაწილდება საფეხურებად განლაგებული, გუმბათით დავერგვინებული არქიტექტურული მასები. ტაძრის კედლები შექმნილია ლილვების კონებით შექმნილი ნატიფი თაღებით, რომელნიც ამბლდების, ზესწრაფვის გრძნობას ქმნიან. განუმეორებელია გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ხუროთმოძღვრული სახე, რაც გაპირობებულია, როგორც არქიტექტურულ ფორმათა თავისებურებებით, ასევე მთელი გარემომცველი გარემოთი. ყოველი კუთხიდან, ხედვის სხვადასხვა წერტილიდან ტაძარი ახალი ასპექტით წარმოგადგება, და ამაში დიდად არის მნიშვნელოვანი ბუნებრივი ფონი, გარემო, რომელშიც ასე ღვათაებრივად არის ჩაწერილი შუა საუკუნეების არქიტექტურის ეს დიდებული ქმნილება.

დავითის გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელებას დიდი დრო დასჭირდა. წლების მანძილზე ამოკყავდათ ტაძრის მძლავრი კედლები, მის ფასადებზე კვეთდნენ დახვეწილ ატყორცნილ თაღებს. საკურთხეველსა და გუმბათის ყელში ატანდნენ ფართო, მაღალ სარკმლებს. მათში შემოდგომილ შუქს უნდა გაენათებინა მდიდრულად მოხატული ტაძრის კედლები, აველვარებინა საკურთხეველში მოთავსებული ღმრთისმშობლისა და ყრმა იესოს გრანდიოზული მოზაიკური გამოსახულება, საჩინო გაეხადა „წმინდა ხატნი და სიწმიდისა სამსახურებელნი ყოვლად დიდებულნი და სხვანი ნივთნი ძნიად საპოვნელნი“, რომლებითაც აღავსო ტაძარი მეფე დავითმა.

ტაძრის გრანდიოზული, შუქითა და მზით სავსე სივრცეში თვალს იტაცებს მთავარანგელოზთა თანხლებით წარმოდგენილი ღმრთისმშობლის მოზაიკური სახე. მოელვარე ოქროს ფონზე, თითქოს ირეალურ სივრცეში, ზეციურ სამყაროში წარმოადგინა ეს დიდებული წმიდა სახე დიდად განსწავლულმა ქართველმა ოსტატმა. ერთ აკორდად ჟღერს მარიაშის მუქი ლურჯი ოქროსქობიანი სამოსელი, თბილ შუქს ასხივებს ქრისტეს ოქროსფერი ჩაცმულობა. ძვირფასი სამეფო ტანსაცმელში გამოწობილი ზეციური გვარდიის წარმომადგენლები — მთავრანგელოზები საბატო ამალას განასახიერებენ. მოზაიკის დახვეწილი ოსტატობით, წმიდა სახეთა უნატიფესი შესრულებით, განსაკუთრებული ფერადოვნებით გელათის მოზაიკა ტოლს არ უდებდა თავისი დროის მსოფლიოს უბრწყინვალეს ნაწარმოებს.

დავით აღმაშენებლის ეპოქას განეკუთვნება, გელათის მთავარი ტაძრის გარდა, მისგან დასავლეთისკენ მდებარე აკადემიის შენობა — დიდი ღარბაზი ოთხსვეტიანი სტოათი, კედლების გასწვრივ განლაგებული ქვის განიერი მერხებით, კედელში დატანებული თახჩებით. ღარბაზის შუაში იყო მერხი „მოდვართმოდვრისთვის“, აკადემიის რექტორისათვის. გადმოშო სენაკების ნანგრე-

ვებია. ამავე დროისაა სამხრეთ—დასავლეთის კარიბჭე, სადაც მეფე დავითის საფლავის ქვა დევს. მაშინვე იყო აგებული ქვის საჩრდილობელი წყაროზე. გელათის სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაგებობები — წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო და სხვა — მომდევნო თაობების სამშენებლო მოღვაწეობის შედეგია. მაგრამ ცხადია, რომ შექმნილი მშენებლობის დროს განმსახვრელი და წარმართველი იყო დავითის პირვანდელი ჩანაფიქრი და დიდი ტაძარი კვლავაც ბატონობს ამ საუცხოო ანსამბლში.

დავითმა თავის სიცოცხლეში ვერ დაასრულა გელათის სამონასტრო მშენებლობა, თუმცა საშუალოთა მეტი ნაწილი მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა. აკადემია მის დროს ამოქმედდა. დავითმა თავი მოუყარა იქ სწავლულებსა და მწიგნობრებს. აქ მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭისძე. მონასტერი ჩაფიქრებული იყო არა მხოლოდ რელიგიურ ცენტრად, არამედ მეცნიერებისა და განათლების კერად. მისი მნიშვნელობა კარგად ჩანს თანამედროვეთა შეფასებაში, რომელთაც იგი მიანდით „...ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლელად ყოვლის კეთილისად, მოძვრად სწავლულებსად, სხვა ათინად“ (დავითის ისტორიკოსი). მეფე დავითის წუხილი ამ დაუმთავრებელი საქმის გამო ჩანს მის ანდერძში: „ხოლო დამჩნა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შეილთა ჩემთა უსრულად და წამყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შეილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის“. ფიქრობენ, რომ გელათის მთავარი ტაძრის ფასადების შეუმკობლობა იმით არის გამოწვეული, რომ დავითის სიკვდილმა შეაწყვეტინათ მუშაობა ტაძრის გაფორმებაზე.

დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული შიო მღვიმის მონასტრის გაფართოება, ზედა კვლესიის აგება, დავით გარეჯის კლდის მონასტერში დიდი სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

მაგრამ დავითის მთავარი საზრუნავი მაინც გელათის მონასტერი იყო. მან არა მარტო ააგო ღმრთისმშობლის დიდებული ტაძარი, არამედ იზრუნა მისი საგანძურის აღდგენაზე, შესწირა მას „სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი... და კულად გვირგვინნი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი... სახსენოდ და სამადლობელოდ ძღვეისა მის საკვირველისა...“ გელათში დავითის დროიდან მოყოლებული დაგროვდა დიდძალი განძი: ფერწერული და ტყეღური ხატები, მდიდრულად დასურათებული ხელნაწერი წიგნები, ოქროსა და ვერცხლის ჯვრები, ძვირფასი საღვთისმსახურო ნივთები, ლიტურგიკული ტურჯული.

გელათის საგანძურიდან პირველად მაინც ხახულის ბრწყინვალე ტრიბიტქი უნდა ვახსენოთ, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ოქრომჭედლური ნაწარმოები. მას მეტოქეობას უწევს მხოლოდ ვენეციის წმ. მარკოზის ტაძარში დაცული სახელგანთქმული პალა დ, ორო. ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი მინანქრის ხატი, რომელიც ხახულის მონასტერში ინახებოდა, მტერთაგან დასაცავად დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერში გადაიტანა. შუა საუკუნეების სამინანქრო ხელოვნების შედეგად — მსოფლიოში უდიდესი ტიხრული მინანქარი,

განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი იყო. სწორედ ამ მინაქრის ხატისთვის ბრძანა დავით მეფემ კარედის შექმნა. ეს ურთულესი საოქრომჭედლო ძეგლი ძირითადად დემეტრე I-ის მეფობაში შესრულდა. ზუსტი ცნობები დაცულია კარედის წარწერაში. XII საუკუნის დასაწყისის ეს ნაწარმოები ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების მაღალი დონის იშვიათი საბუთია. კარედის ცენტრალური ნაწილი მაღალი სინჯის ოქროსია. კარები მოქროული ვერცხლისა. მინაქრებითა და ძვირფასი თვლებით ჭარბად შემკული ხატი გასაოცარი ბრწყინვალეების შთაბეჭდილებას ტოვებს. აფურული ვარდულები, ფონზე გაშლილი ყლორტების ხლართები ქმნის ცოცხალ, მოელვარე ზედაპირს, რომელზეც გარკვეული დეკორატიული პრინციპით მინაქრის ფერადოვანი აქცენტებია განაწილებული. ხახულის ტრიპტიქი, ქართული ოქრომჭედლობის ეს უნიკალური ნაწარმოები, დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობის თავისებური ანარეკლია.

უშუალოდ დავითის სახელთან სულ რამდენიმე საოქრომჭედლო ძეგლია დაკავშირებული; აღსანიშნავია ე. წ. გელათის ჯვარი, რომელზეც დავითის წარწერაა მთავრებული. გადმოცემით, ეს ვერცხლის ჯვარი თან ახლდა მეფეს ყველა ლაშქრობაში და წარმატება მოჰქონდა მისთვის. აკად. ჩუბინაშვილის ვარაუდით, ოქროს ფირფიტაზე მოთავსებულმა დავითის წარწერამ დაამშვენა ძველი სასწაულმოქმედი ჯვარი, რომელიც, ალბათ, წარსულ გამარჯვებათა მოწმე და შემწე იყო. წარწერაში ნათქვამია:

„ღმერთო, ყოვლისა დამაღებულო, ადიდე შენს მიერ გურგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, შვე ქრისტიანობისაჲ, ამინ“.

დავითისვე წარწერა ამშვენებს ხობის საწინამძღვრო ჯვარს.

დავით აღმაშენებლის ბრძანებით უნდა იყოს ვერცხლით მოჭედილი ხის მრგვალი ლანგარი, რომელიც ლეგენდის თანახმად, საიღუმლო სერობის დროინდელია. იმ მოჭედილობის ფრაგმენტები სხვადასხვა მუზეუმებში ინახება.

დავითის (ან მისი მეგვიდრის, დემეტრეს დროს) არის შესრულებული ქრისტეს ტიხროვანი მინაქრით შემკული ხატი გელათიდან, შეწირული დავითის თანამედროვის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის და მწიგნობართუხუცესის სვიმონის მიერ (1118–1141 წ. წ.).

გელათის საგანძური, რომელსაც დავით აღმაშენებელმა დაუდო საფუძველი, საუკუნეების მანძილზე ივსებოდა ჭედური ნაწარმოებებით.

XI–XII საუკუნეების საქართველოში მონუმენტური ფერწერის არაერთი ბრწყინვალე ძეგლი იქმნებოდა. უშუალოდ დავითის სახელთან დაკავშირებული მოხატულობა არ არის ცნობილი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გელათის დიდი ტაძრის მოხატვის საკითხები უთუოდ მეფე დავითის მონაწილეობით წყდებოდა, თუმცა მას არ დასცალდა ბოლომდე შემკული ეხილა თავისი გელათი. ამჟამად გელათის მთავარი ტაძრის მოხატულობა სხვადასხვა დროს შესრულებული ნაწილებისაგან შედგება. ადრეული ფერწერიდან აღვნიშნავთ დასავლეთის ნარტექსის მოხატულობას საეკლესიო კრებათა

გამოსახულებით. თუ გავიხსენებთ დავითის მიერ საქართველოში ჩატარებულ საეკლესიო კრებას (რუის–ურბნისის). მისი თავმჯდომარეობითა და მონაწილეობით. აღმოჩნდება, რომ გელათის საეკლესიო კრებათა ცენტრები რეალურ ისტორიულ ვითარებასთან არის დაკავშირებული. ეჭვს გარეშეა, ამ კომპოზიციებს გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ძველი ქართველი ოსტატები და მათი შემკვეთნი კარგად იყვნენ ჩახედულნი რთულ თეოლოგიური დეორ საკითხებში და მოხატულობათა შესრულებისას მხატვრულ მხარესთან ერთად ითვალისწინებდნენ ფერწერული კომპოზიციების სხვა ასპექტსაც.

XI–XII საუკუნეთა მიჯნაზე, ე.ი. დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართული ფერწერის მაღალი მხატვრული დირსების წარმოსადგენად უნდა ვახსენოთ ზუსტად დათარიღებული მონუმენტური ფერწერის ძეგლები სვანეთში. ეს არის „ხელითა თევდორე მეფის მხატვრისაჲთა“ შესრულებული მოხატულობა მთავარანგელოზთა ეკლესიაში ივარში (1096 წ.) და კვირიკესა და ივილიტეს ეკლესიის კედლის მხატვრობა (1112 წ.). ამ ფერწერულ ნაწარმოებებში ნათლად ჩაისახა ამ ეპოქის მონუმენტური მხატვრობის მიღწევები, გამდიდრებული ადგილობრივი მხატვრული ტრადიციებით.

დავით აღმაშენებელი, მწიგნობარი მეფე, დიდად უწყობდა ხელს საქართველოში მწიგნობრობის განვითარებას. XI–XII საუკუნეები საერთოდ აღინიშნა წიგნის დასურათების ხელოვნების ნამდვილი აყვავებით, ხელნაწერი წიგნის შემოება სულ უფრო მდიდრული და საზეიმო გახდა. XII საუკუნის ხელნაწერის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ გელათის ცნობილი ოთხთავის წიგნის ხელოვნების იშვიათი მაგალითი. მდიდრულად მორთული ეს ხელნაწერი 244 მინიატურას შეიცავს. ოქროს ფონზე შესრულებული მინიატურები ოსტატურად არის განაწილებული წიგნის ფურცლებზე, მახარობლების პორტრეტები, დეკორატიული კამარები, ორნამენტში ჩართული ფიგურული გამოსახულებები გასაოცარი ფერადოვნებით, იშვიათი ოსტატობით გამოირჩევა.

დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მეფემ თავისი მზრუნველი ხელი დააჩნია არა მხოლოდ საქართველოს ძეგლებს, არამედ წმიდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ სავანეებს. ათონის მთაზე, კვიპროსზე, ასურეთსა და პალესტინაში. განსაკუთრებულად არის მოთხოვნილი „**მთასა სინას, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია**“ მონასტრის აღშენების შესახებ, რომელსაც „**წარსცა ოქრო მრავალათასეული და მოსაკიდლნი ოქსინონი და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა**“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ჩამოთვლილია „**რაოდენნი საქმენი ეთხოვებან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაკებლნი**. „**წმიდა მეფე დავითის, აღმაშენებლის, სარდლის, ბრძენისა და მწიგნობრის „განგებულნი საქმენი**“ ჩვენს დრომდე მოვიდნენ საუკუნეთა ქართველებში გამოვლილ დიდებულ ტაძრებად, იშვიათი ოქრომჭედლურ ნაკეთობებად, ხელნაწერი წიგნების ეტრატის ფურცლებად, მოზაიკის საზეიმო ელვარებად.

კიტი მაჩაბლი




დმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ
გურიგუინოსანი **და ვ ი თ**, აფხაზთა და ქართველთა, პერ-
თა და კახთა მე ფე, **მ ზ ე ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა დ**

**წარწერა დავით აღმაშენებლის სასწაულმოქმედ,
საწინამძღვრო ჯვარზე**

ორი საწინამძღვრო ჯვარი

დავით აღმაშენებლის წარწერით



საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ძველი ქართული ოქრომჭედლობის ძეგლებს შორის, შემონახულია ორი ჯვარი, რომლებზედაც დავით აღმაშენებლის სახელია მოხსენიებული. ორივე ჯვარი საწინამძღვროა. ერთი გელათიდანაა ჩამოტანილი, მეორე ხობის მონასტრიდან.

საწინამძღვრო ჯვარი, ჩვეულებრივ ვერცხლისაგან გამოჭედილი, სიმაღლით 25—50 სმ. და ფეხით ხის ტარზე დაგებული, გვირგვინთან, პორფირთან, სკიპტრასთან, მახვილთან, საყდარ—საჯდომთან და დროშასთან ერთად, მეფის ხელისუფლების ნიშნად ითვლებოდა. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, იგი იყო „მცველ და მფარველ მეფეთა სკიპტრისა“; „სკიპტრა და ჯაჭუჭურ მეფეთა“. ჯვრის ტარება მეფის წინ რაიმე პროცესიის დროს დაკისრებული ჰქონდა განსაკუთრებულ სამღვდელთა პირს, რომელსაც ჯვარისმტვირთველი ეწოდებოდა. ჯვარისმტვირთველი და საწინამძღვრო ჯვარი თან ახლდა საერო და სასულიერო ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფაქტს — ლიტანია. კალმასობა, ნადირობა, მეფედ კურთხევის ცერემონიალი და სხვა. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა საწინამძღვრო ჯვარი ლაშქრობისას. ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთი ცნობაა შემონახული, რომელიც საწინამძღვრო ჯვრების „მოღვაწეობის“ ამ სფეროს შეეხება. ყველა ეს ცნობა ნათლად მოწმობს, რა „ძალა და შეწევნა“ ჰქონდა საწინამძღვრო ჯვარს, რა „დიდი იყო მისი მფარველი ძალა და ზემოქმედება“. ამიტომაცაა, რომ საწინამძღვრო ჯვარი ხშირად ჩვეულებრივი ჯვარი კი არაა, მხოლოდ გარკვეული რიტუალის შესასრულებლად გამოხნული უბრალო საეკლესიო ნივთი, არამედ სათანადოდ გაწყობილი და გაფორმებული განძიცაა, „განშუენებული ოქროთა და ანთრაკითა“, როგორც ჩვენი მემკვიდრე ამბობს. ამიტომაცაა, რომ დღეს, როცა საწინამძღვრო ჯვარმა არსებითად დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება, ბევრი მათგანი ამშვენებს ჩვენს მუზეუმებს, როგორც მაღალი ხელოვნების ნიმუში. საკმარისია გავიხსენოთ იშხნის, ბრეთის, ბრილის, მარტვილის საწინამძღვრო ჯვრები — შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ძეგლები. ვერც გელათისა და ვერც ხობის ჯვარი მხატვრული თვისებებით ვერც გაუტოლდება ვერც ზემოთნახსენებ ჯვრებს და ვერც ამ რიგის სხვა პირველხარისხოვან ნიმუშებს, მაგრამ

ორივე მათგანი დავით აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული, და, გასაგებია, პირველ რიგში, სწორედ ამიტომ აქვთ მათ ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა და განუზომელი ღირებულება.

გელათის ჯვარი, გადმოცემის თანახმად, მუდამ თან ახლდა დავით აღმაშენებელს ლაშქრობა—ომიანობისას. დავითისეული ამ ჯვარს მხოლოდ წარწერა შემორჩა — სვედალით გამოყვანილი ასომთავრული, ექვს სტრიქონად, ქვედა მკლავის ქვედა კიდეზე დაზარებულ ფირფიტაზე. წარწერა ასე იკითხება: „**ღმერთო, ყოვლისა დამბადებულო, ადიდე შენ მიერ გუირგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, პერთა და კახთა მეფე, შუე ქრისტიანობისაჲ, ამინ**“.

ექვთიმე თაყაიშვილის განმარტებით, „სრულიად უეჭველია, რომ წარწერა... მიძღვნილია დავით აღმაშენებლისადმი. ამას გვაძენებს მისი სახელი, წოდებულობა და წარწერის ასოთა რაგვარობა. ესეც რომ არ იყოს, გამოინათქვამს „შუე ქრისტიანობისაჲ“ ვერ მიეუყენებთ დავით აღმაშენებლის გარდა ვერც ერთ სხვა დავითს, რომელიც კი ყოფილა საქართველოს მეფე“.

რაც შეეხება საკუთრივ ჯვარს, იგი ბევრად აღრინდელი ჩანს. კერძოდ, X, შესაძლოა IX საუკუნისაც კი. ამაზე მეტყველებს ჯვრის წინაპირზე წარმოდგენილი ფიგუროვანი რელიეფი — მათი სრულიად პირობითი ხასიათი და გამოსახულებათა განმარტებელი წარწერების ასოთა მოხაზულობა. აღრინდელ ეპოქაზე მიგვიითებებს, უთუოდ, პერსონაჟთა რიგიც: ქვემოთ სრული ტანით გამოსახულია წმ. ბარბარე. ზემოთ — ორი ანგელოზი; ამას გარდა, ჯვრის მკლავებზე ჩართულია ექვსი მედალიონი, ოთხი მახარებლისა და ორი მოციქულის ნახევარფიგურებით. ამგვარი იკონოგრაფიული სქემა უჩვეულოდ გამოიყურება. ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, X საუკუნიდან მოყოლებული, საწინამძღვრო ჯვრების წინაპირზე, ცენტრში, როგორც წესი, ჯვარცმული მაცხოვარია ხოლმე წარმოდგენილი. გამოინაკლისია ჯვრის ფორმაც: იგი ერთიანი ვერცხლის ფურცლისაგანაა ნაჭედი და აქვს ოთხი სრულიად სწორკუთხა მკლავი.

უნდა ვიფიქროთ, გელათის ეს ჯვარი აღრევე იყო დიღობით მოსილი — როგორც მტერთა მძლევი და გამარჯვებათა მომტანი. ამიტომაც თუ მიმართა დავითმა ამ ჯვარს, ამიტომაც თუ შეამკო იგი თავისი წარწერით, ამიტომაც არ იშორებდა, იქნებ, მას ლაშქრობებში.

მეორე, ხობის საწინამძღვრო ჯვარი ტიპიურია, როგორც თავისი ფორმით, ისე თავისი იკონოგრაფიით, ეს არის ოქროლაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომლის ოთხივე მკლავის ბოლოზე მედალიონებია გამოხატული, კიდევებში კი პატარა მომრგვალებებია. წინაპირზე, შუაში, ჯვარცმული ქრისტეს ფიგურაა, მედალიონებსა და კიდურა მომრგვალებებში ძვირფასი თვლებია მოთავსებული, ზურგზე კი — წარწერა და ორნამენტი. ასეთი ჯვრები, ბოლოგაფართოებული მკლავებით, ოთხსავე მკლავის ბოლოზე მრგვალი მედალიონებით და კიდევებში პატარა მომრგვალებებით, საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ჩვენში (საწინამძღვრო ჯვრის მეორე ტიპი, რომელიც, აგრეთვე, ფართოდ იყო საქართველოში გავრცელებული, ესაა ჯვარი, რომლის მკლავები თანაბრად ფართოვდება ცენტრიდან გარეთ, თითოეული მკლავის ორივე კუთხე კი პატარა გამონახარდებით ბოლოვდება — იშხნის, ბრილის, მარტვილის ჯვრები).

ხობის ჯვრის იდეური და კომპოზიციური ცენტრი ჯვარზე გაკრული ქრისტეს ფიგურაა. ჯვარცმული გარდაცვლილის პოზითაა წარმოდგენილი: თავი მარცხნივ გადახრილი, დახუჭული თვალებით, ჰორიზონტალურად გაშლილი ხელები ოდნავ მოხრილი იდაყვში, სხეული გვერდზე გახსნილი, წელზე არდავით, რომელიც მუხლებამდე ეშვება, პარალელურად გამართული ფეხები „ფერხთა ფიცარს“ ეჯიანება. ზემოთ, ჯვარცმულის თავზე, პატარა წარწერაა, ასომთავრულით შესრულებული: „ესე არს იესუ ქრისტე, მეუფე პურიათა“. განსაკუთრებული ფონს ქმნის უხვად გამოყენებული ძვირფასი თვლები (უმეტესწილად საფირონი ან მინა — საფირონის მიბადვა). თვლები მოთავსებულია მედალიონებში, თვით ჯვარზე, ჯვარცმულის ძელის ბოლოებთან, და კიდურა მომრგვალებებშიც.

ჯვრის ზურგი წარწერითა და ორნამენტითაა დაფარული. წარწერა განაწილებულია ჯვრის მკლავებზე, ორნამენტით კი მედალიონები და პატარა მომრგვალებებია შემკული. წარწერა ზედა მკლავზე იწყება, გრძელდება ჰორიზონტალურ მკლავებზე, მარცხნიდან მარჯვნივ, და შემდეგ ქვედა მკლავზე ეშვება. იგი მოხდენილი ასომთავრულით არის ამოკვეთილი და ადვილად გასარჩევია. საშუალოდ, წარწერის ბოლო სტრიქონები ჯვარს აღარ შემორჩა: მის ზურგზე, მკლავის სწორედ ამ ქვედა მონაკვეთში, დაკრულია რკინის მასიური ფირფიტა (გამაგრების მიზნით). ვერც ამ ფირფიტის ახსნას მოჰყვა რაიმე შედეგი: ხელოსანს, რომელსაც შეუკეთებია ხობის ჯვარი, გადაუქლიბავს წარწერის ბოლო სტრიქონები, ე.ი. ის ნაწილი, რომელზედაც რკინის ფირფიტა უნდა მოერ-


გო, უთუოდ, მეტი სიმტკიცისათვის. წარწერის ძირითადი ტექსტი კი ასეთია: „**პატიოსანო ჯვარო, ადიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე დავით და შემოწალე მე გლ...**“ აქ წვდება წარწერა — დანარჩენი გადაშლილია. ბოლო დაქარაგმებული სიტყვა ზოგს „გრიგოლი“ მიაჩნია (ბროსე, რაფიელ ერისთავი), ზოგს კი „გლახაკი“ (ჟორდანიას, თაყაიშვილი). ახლა, როცა წარწერის მომდევნო სტრიქონები დაკარგულია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, „გრიგოლს“ ვიგულისხმებთ აქ თუ „გლახაკს“. ტექსტის შინაარსს არც ერთი მატებს რაიმეს და არც მეორე.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ წარწერაში მოხსენიებული „მეფე დავითი“ — დავით აღმაშენებელია. ყველა ავტორი, რომელიც ხობის ჯვრის ეპიგრაფიკას შეჰხებია, ამ აზრისაა. და მართლაც, ასეთი ტიტულატურით — „უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“ — არც ერთი სხვა დავით მეფე არ არის ცნობილი ჩვენში (იგივე ტიტულატურა გვხვდება დავით აღმაშენებლის მონეტაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული). მაგრამ ხობის ჯვრის თარიღთან დაკავშირებით მეტის თქმაც შეიძლება. დავით აღმაშენებელი პირველი ქართველი მეფეა, რომელმაც „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფობასთან“ ერთად „სომეხთა მეფობაც“ მოიპოვა: 1124 წელს მან ქ. ანისი აიღო და თავისი მფლობელობა სომხეთზეც გაავრცელა. მხოლოდ ამ წლიდან შეიძლება დაგანვილიყო ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „მეფე სომეხთა“. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართველ მეფეთა ამ წოდებულებაში — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და ა.შ.“ „საუცხოოდ გამოიხატება საქართველოს თანდათან გაერთიანების ისტორია“. დავით აღმაშენებელამდე ქართველი მეფეები „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფეები“ იყვნენ. თვით დავითიც „რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერაში“ (1103 წ.) „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფედ იწოდება; ანდა შეადარეთ გელათის ზემომოტანილი ჯვრის წარწერა — „... დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე“.


ერთიც უნდა ითქვას. არც გელათისა და არც ხობის საწინამძღვრო ჯვარი, როგორც აღნიშნული იყო, არ გამოირჩევა არც განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით, არც საგანგებოდ მორთული მდიდრული დეკორით. ხომ არ არის ესეც (ისევე როგორც მისი საფლავის ლოდიც და მისი ეპიტაფიაც) დავითის პიროვნული ბუნების გამონათება?

თეიმურაზ საფარაძე.





ხობის სასწაულმოქმედი საწინამძღვრო ჯვარი. ზურგი.



დავით აღმაშენებელი

ეს მეფური მართვა — კიდევ უნდა დავლოცოთ გენია ქართული სიტყვისა: „მართვა“, ანუ აღვინება „მართლისა“ — ეს მეფური მართვა, საკრალურად მიჩნეული, გვხვდება არა მარტო ქართულ „მითოსში“, არამედ ქართულ „ისტორიაშიც“. „რამეთუ თქვენ ხელმწიფენი ღმერთმა ქვეყანასა განგებასა“ — ვკითხულობთ გიორგი მერჩულიის უკვდავ ნაწარმოებში: „ცხოვრებაჲ წმიდა გრიგოლ ხანძთელისა“, „სამეფო ტახტი მერწმუნა პირველ ღვთისაგან და მერე მშობელთა ჩემთაგან, — ამბობს დიდი დედოფალი თამარ. კიდევ უფრო საოცარი: საქართველოში ჩვენ გვხვდება თვით „მეფე-ღვდელიც“. სახელი მისი აღმაშენებელი დავით, დიდი მხედარი და ნათელმოსილი პიროვნება. ომში მას „საღმართო წერილიც“ მიჰქონდა ხოლმე თან. ერთხელ, „სამოციქულოს“ კითხვამ ისე გაიტაცა იგი, რომ კინაღამ წააგო ბრძოლა. თავის სახელს იგი სჭრიდა ფულზე ხან როგორც „ხრმალი ქრისტესი“, ხან კი როგორც „ყმა ქრისტესი“: ხრმალი აქ მეფეა, ყმა კი მღვდელი. გავიხსენოთ „Sain Bernard და მისი „Regle de L'Ordre du Temple“, მის მიერ როგორც „Milice de Dieu“ წოდებული. ჯვაროსანთა მიერ დავითი უდიდეს პიროვნებად იყო მიჩნეული. მოვიყვანოთ ის ცნობანი, რომელნიც შესანიშნავად „მონივთა“ ზ. ავალიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში. 1109 წელს პარიზში მიიღეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტე აცვეს გადმოცემით. გამოძგზავნი იყო ანსელიუს, წმინდა საფლავის კანტორი იერუსალიმში. ჯვარი დაასვენეს დიდი მოწიწებით ერთ პატარა ბაზილიკაში, რომლის ალაგს შემდგომ აღიმართა ცნობილი ტაძარი „Notre Dame“. 1793 წელს, რევოლუციის დროს, ეს ტაძარიც დაარბიეს და ააოხრეს: ჯვარი დაიკარგა უკვალოდ. კანტორი წერს თავის ეპისტოლეში: მე ეს ჯვარი საქართველოს მეფის დავითის ქვრივისაგან მივიღეო. ნუ გამოვუდგებით აქ ისტორიულ შეცდომას: დავითი ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჩვენთვის საგულისხმობა ეპისტოლეში ერთი თქმა: დავითმა „გოგსა


და მაგოგს“ კასპიის ბჰენი გადაურაზა და გზები მოუჭრაო. ვინ არიან ეს გოგი და მაგოგი? ჰინდოარიულ ტრადიციაში ხშირად იხსენიება „საკრავატრი“: მეუფე ქვეყნისა, რომლის სამყოფელ ადგილად იგულებენ ჩრდილო პოლუსის არეს, საიდანაც იგი ებრძვის ბნელსა და ქაოტურს. „მზე-მეფენი“ — გადმოცემათა მიხედვით — ამ „საკრავატრის“-ის მსახიერებელი არიან, რომელნიც ავსა და უკუღმართთან ბრძოლაში წარდგნას გადაურჩებიან ხოლმე და მაღალ მთებს აფარებენ თავს — გავიხსენოთ ნოე და მისი კიდობანი. ისინი მეფეებად ითვლებიან თორმეტისა: როგორც ზიგფრიდი, კარლოს დიდი და მეფე არტუს. ხალხთა თქმულებებში აშაირადვე იხსება ალექსანდრე დიდი, აგრეთვე ცეზარიც. ახლოვდება თუ არა ბნელი ხანა, ანუ „ღმერთთა დაბნელება“, ეს მზე-მეფენი ევლინებიან კვლავ ქვეყანას სხვადასხვა განპიროვნებით, აღვივებენ თავიანთ ქმედით ძალას ღვთიურისა მოწოლილი ბნელისა და ქაოტიურის წინააღმდეგ. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხია: ბოროტისა და უკუღმართის მატარებელი. საკვირველი არაა, თუ ეს რწმენა გაცხოველდა ჯვაროსანთა რიგებში, რომელნიც იბრძოდნენ წმიდა საფლავის განთავისუფლებით. და აი, ერთი ჯვაროსანი აღნიშნავს სიხარულით — დავითმა, საქართველოს მეფემ, გოგსა და მაგოგს კასპიის საზღვარზე ბჰენი გადაურაზაო. და ვის შეეძლო ეს, თუ არ „მზე-მეფეს“, ანუ „მღვდელ-მეფეს“? ხედავ კარდუსად ასულა სახელი აღმაშენებლისა? გავყვით ქვეყით. სირიაში და პალესტინაში საქრისტიანო სამთავროების დაარსებით საგრძნობლად შელახეს მუსლიმის სამფლობელო. ხოლო უკანასკნელი არ თვდის თავის თავს დამარცხებულად: იგი იკრებს ძალას და უცდის ხელსაყრელ ჟამს, რომ შეუტოს ჯვაროსნებს და უკუაგდოს იგინი. 1119 წელს ნადიმ ედდინ ელდაზმა, ალექსის სულთანმა, დაამარცხა ანტიოქიის მმართველი როჟერ, ანტიოქიელად წოდებული. მუსლიმთა სამფლობელოს


იმედი მიეცა. ხოლო ამ იმედს ჩრდილიც მოადგა: სწორედ ამ დროს მძლავრდებოდა ჩრდილოეთში ერთი საქარისტოიანო მხარე: საქართველოს მუსლიმთა წინაშე გეგმა წამოიჭრა: ჯერ საქართველოს მოსპობა და შემდეგ ჯვაროსანთა გარეკვა. გეგმა სწორი და კარგად ნაანგარიშევი. 1121 წლის აგვისტოში, საქართველოს მოადგა ნადიმ ედლინ ელდაზის მეთაურობით დიდი ლაშქარი: 600000 მხედარი—არაბები, სელჯუკები, თურქმენები. აგვისტოს 14-ს დიდგორის ველზე დავით აღმაშენებელმა დიდი საომარი ოსტატობით დაამარცხა ეს ურდოები. ნადიმ ედლინ ელდაზ თავში დაიჭრა და განადგურებული ჯარი უკუიქცა. დავითმა განათავისუფლა ტფილისი ხაემიროსაგან და ძველი ქალაქი სომხეთისა ანი საქართველოს შემოურთა. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდ შთაბეჭდილებას გამოიწვევდა ჯვაროსანთა რიგებში დიდგორის გამარჯვება. დავითმა ამ გამარჯვებით არა თუ იხსნა მხოლოდ საქართველო განსაცდელისაგან, არამედ ამით მან ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ჯვაროსნებსაც. და აი, იზრდება მისი სახელი ლეგენდად კიდითი კიდემდე. ერთი ინგლისური ქრონიკა — როგორც ეს აქვს მოყვანილი ტიტე მარგველაშვილს ერთს ისტორიულ ნარკვევში, აგრეთვე ა. ხანდერსს წიგნში „კაუკაზიან“ — მოგვითხრობს: დავითმა, საქართველოს მეფემ, დაირქვა სახელი „Presbyter Iohannes“, გადავიდა აღმოსავლეთში და იქიდან მოდის ეხლა საქარისტოიანოს მოსაშველებლად. შევჩერდეთ ამ ცნობაზედ. საშუალო საუკუნეებში წამოიჭრა მძაფრად ევროპაში იდეა „მღვდელ-მეფისა“. „Das Heil ige Romische Reich“ გერმანულ მეფეთა მიერ ქმნილი, მსოფლმნიშვნელოვანი ცდა იყო ამ იდეის განხორციელებისა. ცდა ცდად დარჩა, რადგან „მღვდელისა“ და „მეფის“ შეერთება ერთ პიროვნებაში არ მოხდა. კიდევ მეტი: იგი მღვდელისა და მეფის ერთმეორესთან შეხლად იქცა. ამ შეხლადი მღვდელი დარჩა თავისთვის და მეფე თავისთვის. მარცხი ამ ცდისა საბედისწეროდ იქცა მთელი დასავლეთისათვის. ნატვრა მღვდელისა და მეფის ერთ-სახედ ქცევისა

ისე ღრმად იყო საშუალო საუკუნეთა ევროპაში ფესვგამდგარი, რომ მნატვრელთ მონატრებული სინამდვილედ წარმოესახათ: შორს აღმოსავლეთში არსებობს მფლობელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს „მღვდელიც“ არის და „მეფეც“, სახელით: პრესბიტერ იოჰანეს, ფიქრობდნენ დასავლეთში. პრესბიტერ: მღვდელმთავარი. და აი: ინგლისურ მატთანეს ეს მღვდელმთავარი დავით აღმაშენებელი ჰგონია. არც ერთს ისტორიულ მფლობელს, თუ გინდ „შხემეფედ“ სახულს, არ რგუნებია სახელის ასეთი ამაღლება: მითიური რეალობის ისტორიულ პიროვნებად ქცევა. ეს ქცევა არ არის შემთხვევითი ამბავი. წიადში იმ ხალხისა, რომლის მღვდენს პირველხილვით მფლობელი „მწიფე ხელიანია“, ესე იგი, ხელკურთხეული და ხელმადლიანი, ერთხელც არის, „ხელმწიფე“ უნდა მოვლენილიყო. დავით აღმაშენებელი არის ხელმწიფე შენი გაგებით, კარდუ, და როგორც ასეთი: მღვდელი და მეფე ერთსა და იმავე დროს. მისი ხელის „სიმწიფეს“, მის სიმარჯვეს, საქართველოს ისტორიაში შემდგომ განმტკიცებულს, განუწყვეტლივ გრძნობდნენ ჯვაროსანნი შემდეგშიაც. ერთი რაინდი ჯვაროსანის სწერს ბეზანსონის მთავარ-ეპისკოპოსს: საქართველოს ჯარმა, თამარ დედოფლის ახალგაზრდა ვაჟის მეთაურობით, გადმოლახა მძლეობით მცირე აზია, აიღო ცხრა დიდი ქალაქი და სამასი ციხე შეანგრია: გამარჯვებულ სარდალს თან მოაქვს ნეშტი განსვენებული დედისა, რომლის სურვილი იყო იერუსალიმის განთავისუფლება: აღფრთოვანებით მოველით აქ ჩვენ მასო — აბოლოვებს რაინდი. ეს ლეგენდაა მხოლოდ, ჯვაროსანთა ნატვრით შექმნილი, მაგრამ ხ შირად ლეგენდა უფრო ნამდვილია, ვიდრე ისტორიული ამბავი.

„აი დავით, დიდი მეფე ჩვენი, შენ მიერ კურთხეული, კარდუ!“
 „იგი მარჯვენაა ჩემი!“
 „მარჯი შენს მარჯვენას, კარდუ!“

ბ რ ი ბ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე
 ბედი ქართლისა, № 4





საიკტრა და საფლავი

ქართველი მწერლისათვის არაფერი ისეთი ძნელი არაა, როგორც დავით აღმაშენებელზე რაიმე ღირსეულის თქმა. კალმის ხელში აღებას აძნელებს მისი საკვირველად რთული და დიადი პიროვნების ჭკრეტა: იგი ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამდგენელი, მთლიანი საქართველოს შექმნელი და თანაც გენიალური პიროვნებაა. მისი მომხანებელი იყო. მისი შეუდარებელ მემკვიდრეებს კარგად ჰქონდა შეგნებული სიტყვის უმწეობა ამ განუმეორებელი ისტორიული ფენომენის დახასიათებისას.

ცოცხალი ლეგენდაა დავით აღმაშენებლის ცხოვრება, მაგრამ ეს ლეგენდა ისტორიულად ზუსტი თარიღებითაა ცნობილი. ჭეშმარიტად: ეს მან იხსნა ქართველი ხალხი იმ კატასტროფისაგან, რომელსაც უქაღდა მას ე.წ. „დიდი თურქობა“. მემკვიდრე ასე გვიხასიათებს ხანას, დიდი ბაგრატიონის ამ ქვეყნად მოვლინებას წინ რომ უსწრებდა.

„და გაგრძელდა ესევეთარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა, რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი, და მათვე პირველთა საქმეთა იქმლიან, ზამთრის წარვიდიან; და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა; მოხრდა ქუეყანა და ტყედ გადაიქცა, და ნაცულად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკუდრნენ მას შინა“.

დავით აღმაშენებელმა დაუდო ზღვარი თურქთა ურდოების მიერ ქვეყნის მუდმივ რბევას და აწიოკებას და ქვეყანა მის მკვიდრთ დაუბრუნა. კახეთის შემოერთებით მან სავსებით დააბოლოვა საქართველოს გაერთიანების საქმე. შემდეგ ამას მოჰყვა ის განთქმული საეკლესიო რეფორმები, რომელსაც 1103 წლის რუის-ურბნისის კრებამ დაუდო სათავე და რაც მსხვილ ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვასა და ეკლესიის იერარქთა უფლებების ერთი პირისათვის მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელისათვის დაქვემდებარებაში ჰპოვა გამოხატულება. მან მახვილი ჩასცა ფეოდალურ სეპარატიზმს, რაც ასე უშლიდა ხელს საქართველოს მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. არანაკლები მნიშვნელო-

ბისა იყო ის სამხედრო რეფორმებიც, რასაც რეგულარული ჯარის შექმნა მოჰყვა შედეგად და რამაც უმაღალითო ნაყოფი გამოიღო. დავით აღმაშენებლის სამეფო მისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად იქცა მსოფლიოში. შინ მომხდური მტრის მოპყვრიებულ ქვეყნიდან მეზობელი აგრესიული იმპერიებისათვის თავზარდამცემ და შემტევ სახელმწიფოდ საქართველოს გარდაქმნა ქართველი საჭეთმყრობლის უზარმაზარი გონების გამოსხივებას უნდა მიეწეროს. დავით აღმაშენებლის სამხედრო მარტიროლოგი ბრწყინვალე და გაბმული გამარჯვებებითაა აღსავსე. ამ მარტიროლოგიდან განსაკუთრებით ორი გრანდიოზული ფაქტია აღსანიშნავი — 1121 წლის აგვისტოში დიდგორის ველზე მაჰმადიანთა კოალიციის განადგურება და მომდევნო წელს თბილისის აღება. ანონიმი მემკვიდრე „ახალთ აღექსანდრეს“ უწოდებს მას, მართლაცა — დიდგორის ბრძოლის ანალოგს ჩვენ ალექსანდრე დიდის გამარჯვებათა ციკლში თუ ვიპოვით. სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით დიდგორის ომი არაფრით დაუვარდება აუსტერლიცის ეპოპეას, თუ, რასაკვირველია, ისტორიულ პერსპექტივასა და მასშტაბებს გავითვალისწინებთ. იგი არც იულიუს კეისრის მიერ რუბიქონის გადალახვას დაუვარდება. და როცა ქართველი მემკვიდრე მოგვითხრობს, რომ „დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი, მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტიენნი, მტყუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მოავარნი მათნი“ — ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან აქემენიდების ქალაქ პერსოპოლისის ბარელიეფები, რომლებიც პატიმარი და თავდახრილი მეფეების რიგს გამოხატავენ, ან რომელ მარკუს ავრელიუსს ბარბაროსთა შორის!..

... ჩვენს ეტიუდს ოდნავადაც არ აქვს პრეტენზია დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი პიროვნების დახასიათებისა, რადგან მისივე ისტორიკოსის სიტყვების არ იყო:

„ხოლო კულად საღმრთოთა სათნოებათა და სული-
ერთა საქმეთა მისთა ვიეთი გუნება მისწუთეს, ანუ მოუ-
გონებელსა ვისმან ენამან შეუძლოს თხრობად“.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი
საგულისხმო შტრიხი დავით აღმაშენებლის ცხოვრების
მატიანეში.

დავით აღმაშენებელს წილად ზედა ისტორიული მი-
ხია: შეექმნა ისეთი მტკიცე სახელმწიფოებრივი ორგა-
ნიზმი, რომლის მთლიანად მოშლა და პირისპირად დედა-
მიწისა აღგვა ვერ მოხერხდა შემდგომში, თვით მონგოლ-
თა შემოსევისა და ქართველი ხალხის საუკუნეობრივი
ნაგვისისა და რბევის პირობებშიაც. საქართველოს არ გა-
უხიარებია ბიზანტიის იმპერიის ბედი. ქართველი ერის
ხერხემლის ისე გამაგრება, რომლის გარდატეხა შემდეგ
ვერავინ შესძლო — ეს გარემოება დიდი ქართველი ზაგ-
რატონის ისტორიული მოღვაწეობის ნაყოფი გახლდათ.
ამიტომაც, ქართველი ერის საამაყო მამა — დავით აღმა-
შენებელია, ხოლო ყველა ღირსეული ქართველი — მისი
შვილი!

და აი, ამ მონარქს, დამაშვრალს თავისი ერის აღ-
ზრდისა და ავბედითობასთან ბრძოლის ჟამს გაკაჟები-
სათვის საძირკვლის ჩამყრელს — ერთგულებისა და მად-
ლიერების ნაცვლად აურაცხელი ორგულობა და ღალატი
მოუხდო ცხოვრების გზაზე. დავით აღმაშენებლის ისტო-
რიკოსი იძულებულია თავზარდამცემი რეპლიკა ისრო-
ლოს იმ ხალხის მიმართ, რომლის გადარჩენისა და ხელ-
ახალი აღზრდისათვის ესოდენ ბევრი იღვაწა ამ ხალხის
ვევლაზე დიადმ შვილმა. აი, ეს რეპლიკაც, რომლის
დავიწყებაც შეუძლებელია: „ხოლო ვთქუა მეორეცა მიზე-
ლი ამისვე პირისა, ვინათგან ნათესავი ქართველთა ორ-
გულ ბუნება არს პირველითაგან თუისთა უფალთა; რამე-
თუ რაჟამს განდიდნენ, განსუქდეს და დიდება პოვეონ
და განსუენება, იწყონ განზრახვა ბოროტისა, ვითარცა
მოკუითხრობს ძუელი მატინე ქართლისა და საქმენი
აქ ხილულნი“.

ეს სიტყვები შემამრწუნებელია თავისი შინაარსით.
ისინი არეკლავენ იმ საშინელ უმადურობას, რომლითაც
აჯილდოვებდნენ თანამემამულენი დავით აღმაშენებელს
მისი დიადი გონებისა და ასეთივე დიდი მარჯვენის
აქტიური მოღვაწეობის ჟამს. და ეს უმადურობა ჩვენი
ხალხისთვის ისტორიულ თვისებადაა მიჩნეული მემატი-
ანის მიერ! რა თქმა უნდა, ვერდიქტი ულმობელია, მაგ-
რამ მისი ჭეშმარიტებად აღიარება ისევე შეუძლებელია,
როგორც ყოველგვარი პიპერტროფიული მოსაზრება.

მაგრამ თვითონ დავით აღმაშენებელი, ქართველ მე-
წათა შორის ყველაზე უშიშარი, სტოვებს საკუთარ მდუ-
ღარე სულის აღსარებას, რომელშიაც იგი ყველა შესაძ-
ლებელ და შეუძლებელ, არსებობდა და ეფუძნებოდა
მოდვებს მიაწერს თავის თავს. მხედველობაში
გვაქვს მისი განთქმული „გალობანი სინანულისანი“.

ამ ძეგლთან შედარებით, სულის უდრემსი პლასტების
ვაშიშვლების თვალსაზრისით, ნაპოლეონის მემუარები—
ოციციკალიური ბუტაფორიაა მხოლოდ, ხოლო იულიუს კე-
სარის უბუღსაცოთ თხრობა გაღლებთან ომისა და სამო-
ქალაქო ომის შესახებ — მაღალი არტისტიზმით აღბეჭ-

დილი თვითშენიღება. არც ერთს არ დაუსახავს მიზნად
თავისი მე-ს სიღრმეში ჩახედვა.

დავით აღმაშენებლის პოეტური შემეკვიდრეობა სრუ-
ლიად უნიკალური მოვლენაა არამარტო ქართული, არა-
მედ მსოფლიო პიმნოგრაფიის ისტორიის თვალსაზრი-
სით. „გალობანი სინანულისანი“ აღბეჭდილია ვეება
პიროვნების გასაოცარი გულწრფელობითა და ინტიმუ-
რობით. მე არ მეგულება მეორე შემთხვევა ქართულ
პოეზიაში (ნიკოლოზ ბარათაშვიდაძემ მაინც), რომელ-
საც ასეთი კოლოსალური მხატვრული ძალით გადმოეცეს
უზენაესის წინაშე სულის თრთოლვა. „გალობანი“ —
სრულიად უნაკლო პოეტური კონტრაპუნქტია.

დავით აღმაშენებელმა არა მარტო საქართველო და
გელათი აღაშენა, არამედ ამათი ბადალი პოეტური ძეგლი
დაუტოვა თავის თავს.

ამასთან, „გალობანი“ ქართული ენის ზეიმია, აბზა-
ცებისა და იდეალური ლექსიკური დახვეწილობა მასში
იმ მწვერვალს აღწევს, რომლის გადალახვა შეუძლე-
ბელია სხვა ვინმეს შესძლებოდა, თუ არა ამ ნაწარ-
მოების გენიალურ ავტორს. დავით აღმაშენებელს ხელი
უპყრია თავისი ბიბლიური სეხნისი დავითის ქნარი
და ჩვენ ვხედავთ, რომ მხოლოდ დიდ ქართველ მწვეს
შექმლო გასტოლებოდა ფსალმუნთა შემოქმედს. დავით
წინასწარმეტყველივით „გალობანის“ ავტორიც მუხლ-
მოდრეკილია უზენაესის წინაშე და მისი დღადადისი
ფსალმუნის სიმადლეზეა.

უწინარეს ყოვლისა, „გალობანი“ ღრმად განსწავლუ-
ლი და სულიერად უადრესად რთული ქრისტიანის აღ-
სარებაა, აღსავეს თეოლოგიური დეფინიციებით, ისტო-
რიული ანალოგიებითა და ისეთი პიროვნული შედარე-
ბებით (მაგალითად, სოლომონ ბრძენთან ან სხვა ბიბლი-
ურ მეგვებთან), რომლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ
მას ჰქონდა. პირველივე მუხლი ლოცვისა აღველინება
მაცხოვარს, „სიტყვას“ ანუ ლოგოსს, სამების მეორე
იპოსტასს, ქრისტეს:

„რომლისა წინაშე ქედადრეკილ არს ყოველი მუხ-
ლი, ყოველი მორეკების და ენა ყოველი შენსა ხმობს
აღსარებასა; მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ!“

შემდეგ იწყება ჩამოთვლა უმძიმესი ცოდვებისა, ხში-
რად პათოლოგიური შეცოდებებისაც. უშიშარი მონარქი
აშიშვლებს თავის სულს ისეთი თანმიმდევრული სისას-
ტიკით, რომ ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება განზრახ
ხაზგასმული თვითგვემისა. მეფე აღიარებს, რომ მთელი
სიცოცხლე „ვენების კერპს ემსახურა“.

ამა თუ იმ ლიტერატურულ ჟანრს იმანენტური კანო-
ნები წარმართავს და „ბიოგრაფიული“ ნაწარმოები ყო-
ველთვის როდია ნამდვილი სარკმელი, ავტორის ცხოვ-
რებაში გადასახედად რომ გამოგვადგეს. ამოცანა მხო-
ლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თვითონ ქმნილე-
ბის მაღალმა ესთეტიურმა ხარისხმა მოგვაჯადოვოს. „გა-
ლობანი“ ამ მხრივ სწორუბოვარია.

„გალობანი“ უდრემსი სულიერი სიმძიმის, საკუ-
თარი თავის გამოტირილის და გაუგონარი თვითგვემის
გადმოცემაა. თვითეული განცდა აქ შეგნებულად პედა-
ლიზებულია. ჯვარცმულის ფერხთა წინაშე მიტანილი

ყველაფერი იმ გვირგვინოსანის მიერ, რომელსაც სარწმუნოებრივი შემწვანებლობა ახასიათებდა და რომელიც მაჰმადიანებს ღვთისმეტყველურ დებატებს უმართავდა.

დავით აღმაშენებლის აღსარება ისე ძლიერ არხვევს ქართველი ადამიანის სულს, რომ იგი ტკივილის შეგრძნებებს იწვევს. „გალობანის“ ემოციური ზეგავლენა—ზეადამიანური ძალისაა. იგი ანტიკური კათარზისის ღონეზება.

დავით აღმაშენებელი ყოველგვარ „სიბილწეს“ მიაწერს თავის თავს. „ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევედ!“—აცხადებს საქართველოს ისტორიაში ყველაზე სრულქმნილი ხელმწიფე, რომლის მახვილის წინაშე სხვანი იდგნენ თავდახრილნი. თავისი დადასის დროს კი დავით აღმაშენებელი თვითონაა ქედადრეკილი უფლის წინაშე, ვითარცა ცოდვილი:

„მისთვის იყო ქალწული და ხორცქმნა სიტყუსაჲ, რათა დედობრივთა ოხათა მიერ ცხონდნენ ცოდვილნი, რომელთაჲ პირველი, საშუალი და დასასრული მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწების ღუართაჲ“.

არცა ერთს მონარქს არ მიუმართავს ასეთი საკვირველი თვითგვემისადმი. „პირველი, საშუალი და დასასრული მე ვარ!“—უშიშრად აცხადებს იგი. დავით აღმაშენებლის „კვეტიზმი“—უდიდესი მონარქის არისტოკრატიზმითაა შეფერილი.

გალობანის ამ მუხლს ისევ მისდევს შემადრწუნებელი ჩამოთვლა ცდუნებათა და დანაშაულთა, ლოცვის ეს პასაჟები პირდაპირ გამოგონებულია. „თითოეულსა მცეტთაგან შეზავებულსა მხეცსაც ვემსგავსე მრავალგუარსა“; „სოლომონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერმადარი სხუათა სოფლისა კიდეთა ვეძიებდ დასაბყრობელად“; მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ სარეცელთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელი“, „ვიუწჯენ და თაყვანის ვეც ანგარებისა მამონას, ვითარ იგი ძუელთა მათ ბაალის და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა“, — ასეთია დავით აღმაშენებლის აღსარებანი.

მაგრამ დავით მეფე უფრო გულწრფელია მეორე ხასიათის აღსარებაში. აი ერთი მათგანი:

„დადაცათ უ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლად—ხრწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ ხელნი, არცა დავდევ სასიებაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა უცხო თესლი რაიმე სარწმუნოებაჲ საწურთელ ვჰავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავლეს ღმრთისმეტყველთა შენთა“.

ამ აღსარებით განიბერტყავს ყველა ცოდვას საქართველოს უდიდესი საჭეთმყრობელი!

და ბოლოს — ორი ფინალური პასაჟი ლოცვისა, შესრულებული უმაღლესი რეგისტრით:

„ჟამი რაჲ წუხილთა და ავთა აღმოფშვნათაჲ წარმოდგეს, ხარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შეუბანი უქმ იქმნენ, ყუავილოვანებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი,—მაშინ შემიწყალე, მსაჯულს ჩემო!“

გან—რაჲ—ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისაჲსა, და მე ქედადრეკილი წარმოვიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუა ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,—მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!“

ეს ორი აბზაცი — მწვერვალია დავით აღმაშენებლის აღსარებისა. მათი ემოციური ვიბრაცია ბარე ცხრა საუკუნეს გაუძლებს. არც ნეტარი ავგუსტინეს „Confessiois“, არც თვით მისი „ლოცვები სულისა ღმრთისადმი“, არც მარკ ავრელიუსის „ფიქრები“ არ აღწევენ უფრო მიუწვდომელ ზღვარს სულიერი დრამატიზმის გადმოცემისას. არაგინ არ დგას ისე შემოძარცული ყოველგვარი დიდებისაგან მაცხოვრის წინაშე, როგორც საქართველოს სეპტროსანი.

არც ერთ მონარქს, წარმართსა თუ ქრისტიანს, არ დასცდენია უზენაესის პირისპირ დგომისას ზემოთ მობრუნებული სიტყვების ბადალი რამ.

X X X

როდესაც დავით აღმაშენებელი მიიცვალა, ანუ წავიდა „ზენიტ სუფევად“, მებატიანემ შემდგენიარად დაასრულა თავისი თხრობა:

„რამეთუ მუნ (საიქიოში, ა.გ.) არის შრომა, შუება და სიხარული, და რომელსა არა აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგეს სიგლახაკე, და რომელსა არა გაჰკუეთს ურვა და მეფობა, რომელსა არა აქუს დასასრული, და მუნ არს ცხოვრება, რომელსა არა შეამრღვევს სიკუდილი“.

მატიანის ეს დასასრული თითქმის „გალობანის“ ფინალური აბზაციების რანგისაა. ხელმწიფის მეორე არსებობა დაუსრულებელ და მარადიულ ნეტარებადაა მიჩნეული, რასაც ვერ დაემუქრება სიკვდილი, რომელიც თავის უღმობელ სუვერენიტეტს მხოლოდ მიწაზე დარჩენილებზე ავრცელებს. დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერელმა ქრისტიანული ირაციონალიზმით გამსჭვალული ფარდა ჩამოუშვა საქართველოს აღმაშენებლის მუღმივ სამკვიდროზე.

მაგრამ ნეშტი აქ დარჩა და იგი გელათის მონასტერში, ღვთისმშობლის სამხრეთითაა დაკრძალული. მეფის საფლავზე ამართული მცირე ეკლესია ცალკე ნაგებობაა და იგი არსებითად მონასტრის ჭიშკრად ითვლებოდა. XVII საუკუნეშია ფიქსირებული ძველთაგან მომდინარე ცნობა იმაზე, რომ დავით აღმაშენებელს განგებ შეურჩევა თავისი განსასვენებლის ადგილი ისე, რომ ყველა ჭიშკარში შემომსვლელს მისი საფლავის ქვაზე დაეღვა ფეხი.

ცხრა საუკუნის მანძილზე აბიჯებენ ფეხს საქართველოს მკვიდრნი იმ კაცის საფლავის ლოდს, რომელმაც ეს საქართველო შექმნა.

ლოდზე წარწერილია ქართველი მეფის დიდი სეხნიის დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვები: ქ. ესე არს განსასუ (ენებელი) ჩემი (უკუნითი უკუნისამდე), ამაჲს დავემკვიდრო მე, (რამეთუ მთნავს ესე). ეს ფაქტიც ისევე დიდებულია, როგორც დავით აღმა-

შენებლის პიროვნება, მისი ღვაწლი ერის წინაშე და მისი გენიალური „გალობანი სინანულისანი“.

ჩვენთვის უცნობია, როგორი წარწერა ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელის სარკოფაგს. პლუტარქე და სხვა შემატყინენი ამხუე სდუმან. ყოველ შემთხვევაში, წარმართ მეფეს მისი პატივმოყვარეობის შესაფერ ხოტბის სტრიქონებს არ დააკლებდნენ.

იულიუს კეისრის ბედი ცნობილია: სენატში მისი მოკვლის შემდეგ დიქტატორის ცხედარს დიდხანს ათრევდნენ რომის ქუჩებში, ხოლო დაკრძალვის ადგილი მიახლოვებითაა დადგენილი.

მარკუს ავრელიუსი დღესაც შესანიშნავ ცხენზე ზის რომში და ქანდაკების კვარცხლბეკი მიქელანჯელოს ნახელავია.

ისტორიაში რამდენი მონარქის საფლავი ან უცნობია, ან მდიდრულად შემკული. ნაპოლეონის მუქწითელი სარკოფაგი და მთელი გარემო ძალზე პომპეზურია.

მხოლოდ საქართველოს უდიდეს ხელმწიფის საფლავის ლოდზე დააბიჯებენ მონასტერში შესვლისას ყველანი — მეფიდან მოყოლებული ძონძით მოსილ გლახაკამდე. თვითონ მეფის ზეპირი ანდერძის მიხედვით, რაც ასე ჰარმონიულად შეესიტყვება „გალობანის“ მუხლებში განცხადებულ ქედადრეკასა და უხეჩაესისაგან მიტევებისა და მყუდროების გამოთხოვნას.

არც ერთი ერის მიწაწყალზე არ მდებარეობს ყოფილი გვირგვინოსანის ისეთი შთამბგონებელი და მართლაც მუხლმოსადრეკე საფლავი, როგორც არის დავით აღმაშენებლის მიწიერი სამკვიდრებელი.

აკაკი ბაწრქელია

დიდგორის ველზე, საკვირველი გაგარჯვების ადგილზე, დღემდე შემორინახა 900 წლის წინათ მომხდარი ბრძოლის არა ერთი ნაკვალევი.

... დიდგორის უბაღლეში ყორღანი ხელოვნურების უტყუარი ნიშნების მქონეა; იგი ხალხში შემონახული გადმოცემებით „დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ კმათა სმართო სმარაა“. დიდგორის ერთ-ერთი მცხოვრების სიტყვით, ამ სმართო სმარეს გაგარჯვებულზე „ლაშქარა აუარ-ჩამოუარა და მუჭა-მუჭა, ზოგა კი კალთაკალთა მიაჩარა დიდგორის მიწა“ — და ასე შეიქმნა ეს ხელოვნური ბორცვი.

ეს და სხვა მსგავსი გადმოცემა არ არის საფუძველს მოკლებული — დიდგორის ველი, მისი ბორცვები, მართლაც, ალბათ, მრავლად ინახავს ჩვენთვის უცნობ და

უსახელო თავდადებულ მებრძოლთა უკვე მტვრად ქმულ ნაშთს და იარაღ-საჭურველს. ამ ადგილებს არქეოლოგიური შესწავლა, როგორც ზემოთაც ითქვა, მნიშვნელოვან ახალ მასალას შეგვძენდა ამ გამართული ბრძოლისა და მოკრძეული გაგარჯვების მრავალი დეტალის დასაზუსტებლად.

შემთხვევით არ მიგვაჩნია ისიც, რომ „დიდგორის“ ხალხური ყოველწლიური დღესასწაული აგვისტოში, მაინცდამაინც დიდგორის ბრძოლის დათმავებისა და მარიაშობის (15 აგვისტო) მომდევნო კვირას იმართებოდა. იქნებ ეს ხალხური დღესასწაული, დამოუკიდებლობისა და კრობრმისისათვის მებრძოლთა დიდგორის გვირგვინის — ხსოვნასაც ეძღვნებოდა.

შოთა მუსხიანი



ჩვენი ისტორიის დიდგორი

საქართველოს მრავალ გორას შორის არის ერთი, უპირველესი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით. არა, იგი არც ლაშარის გორია, არც სპათაგორი, არც ლომი-სა თუ მთაწმიდა... მე დიდგორს ვგულისხმობ. იგი საქართველოს ძველი ძლევამოსილების სახედ და სიმბოლოდ წარმოგვიდგება. დიდგორი მართლაც ჩვენი ისტორიის დიდი გორია! აქ შემობრუნდა ჩვენი ერის ბედი ოქროს ხანის აღმავლობისაკენ. აქ გადაწყდა დედა-ტფილისის საბოლოო განთავისუფლების საქმე. ამიერიტ—გზა დიდგორული, ქართველობის ახალი სულისკეთების მამოძრავებელ ძალად იქცა.

1121 წლის 15 აგვისტოს აქ დატრიალდა გადამწყვეტი ბრძოლა ბრძოლა ქართველებსა და თურქ-არაბ-მოსახლერე ამირათა ნაერთ ლაშქარს შორის...

1971 წლის მაისის დამლევს ზემო ნიჩბისის გზით გავმგზავრეთ დიდგორის მოსახილველად (ამ ჩახლართულ მთა — ქედების შესანიშნავი მცოდნე, სასხორელი ტარიელ ხიზანიშვილი, გეოგრაფი და მთამსვლელი, ასეთ მიმოკვლევათა ხშირი მონაწილე — ჯუმბერ ჯიშკარიანი, გაზ-69-ის მძღოლი ვასო ცხადაძე და მე-ჩვენი წინაპრების მიწრილი ბილიკების ძველი მაძიებელი).

ტყის გზა წვიმებს ჩაეხრება და ახლა უსწორმასწოროდ წაშლილ ძველ სტრიქონებს უფრო მაგონებს... მაგრამ ის, რაც ამ მიდამოში „დაიწერა“, უკვე არ წაიშლება ერის მეხსიერებასა და „ქართლის ცხოვრებაში“.

ვაკე-ტყის ზევით უფრო გაძნელდა სავალი. აღმართი სულ აიკრიბა. მანქანასა თუ კლდოვან სავალს გააქვს გუგუნე. თითქოს შორეული ბრძოლის ჩქამია... დიახ, არის გამარჯვება, რომელიც მიწად და გზად ქცეული მუდამ გუგუნებს, შთამომავალს გვეულისხმება!..

გაველეთ საირმაც... ბოლოს მივადწიეთ ალბურ ზონას, გადავსერეთ კოშკის ყელის ძაბრივით ვიწრო გადასავალი. მის თავზე ახლაც არის კოშკის ნანგრევი. რა მინიშნებული, ხატოვანი სახელები იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა...

ქვევით, ნაქოხრების ვეება ფრიალოდ ჩამოსხლექტილ კლდის ტერფთან, ჩამხვევებულ მწვანე ხეობაში, მიხატულივით ჩანს ქვათახვევის გუმბათი. აქ კი, მაღალ თხემზე შემდგარ გორებს შორის ჩასირმული სავალი ხან საქანქლასავით ჩაევიდება, ხან მოინამგლება და ფართო კალთას მოჭრის... აი მთა—გორები-სანიავო, იქით საკურთხისი...მწვანე, ნანისლარ ბალახებში ამდგარი

უთავბოლო ზურგები, ბორცვები, დრმა ხეობებით ჩაღრანტული თხემები...ქვევით თითქოს ჩასაფრებული თუ ტყვეობაში ჩარჩენილი ტყე...

ეს უკვე დიდგორის ქედია. აი, მისი უმაღლესი წერტილი-ლუშტად ბალახოვანი, სწორ სამკუთხედად ამობორცვილი. აქ არის მცხეთისა და ვარდანის რაიონების ზღვარი, დიდგორი არსებითად ალბურ თხემსა და მრავალ კალთა-მწვერვალთან ქედს შეიცავს, თრიალეთის განშტოებას, კლდეკარიდან ქართის მთამდე. ალბათ ამასვე გულისხმობს „ქართლის ცხოვრებაც“, როდესაც დიდგორს მუდამ მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს... „აგვისტოს თორმეტს მოვიდეს (მტრის ლაშქარი) თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ აღგილთა“ (ქართლის ცხოვრება გვ. 341, მარიამ. ნუსხ.).

დიდგორის ქედი მრავალი ძველი გზისა და სავალის გზაჯვარედინზეა...დიდგორი—კლდეკარი—მანგლისი ან წალკა, დიდგორი—ბევრეთი—ლისი—ტფილისი, დიდგორი—ორბეთი—ტფილისი, დიდგორი—ნიჩბისი-ძეგვი-მცხეთა, დიდგორი—კავთა—ქვათახვევი—კავთისხევი და სხვა.

ისტორიულად, დიდგორი—კლდეკარის კვანძი ქართლზე თავდასხმის ძირითადი არხთაგანია. 1121 წელს კლდეკარი დავით აღმაშენებლის ხელში ჩანს. მტერს დარჩა გზა მანგლის—ორბეთი—დიდგორი, ასე რომ სრულიად არ არის შემთხვევითი მისი დიდგორზე მისვლა. მას სადღაც, მცხეთის ზემოთ, შიდა ქართლში სურდა გასვლა, დავითის ლაშქრის გამოჭერა, აღმაშენებელმა კი სწორედ აქ-დიდგორზე დაუგო მათ ხაფანგი.

ფრიალ საყურადღებოა, რომ დიდგორის ქედზე, სათოვლიასა და ნაბადრების თავზე, არის მთა, რომელსაც დავითის მთას ეძახიან. ეს სახელი დამოწმებულია ზუსტ რუკებზეც და ხალხშიც (სოფელ სათოვლიაში შალვა ზარიძის მიერ).

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სახელი დავით აღმაშენებელთან და დიდგორის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.

დიდგორის ძველი სოფლები ლელობი, ნატბური, ზუუბანი ახლა ჩასული არიან ბარში—ვარკეთილსა და მუხათგვერდში.

დიდგორის უმაღლეს წერტილზე (1800 მ.) არის საკმაოდ მაღლი ყორღანი. მისი ხელოვნურობა ახლაც კარგად იგრძნობა. საკმაოდ მაღალ მიწაყრილზე ჩასო-

ბილია მუხის მოზრდილი ტოტი და ლომი. ტოტზე ორი ზარი ჰკიდა. ხალხში შემონახული გადმოცემით — აქ დიდგორის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა საერთო სამარეა.

აქვეა ოთხკუთხად გათლილი ქვა-სვეტი (25:23 სმ.) ერთი ადლის სიმაღლისა. ქვა-სვეტის დასავლეთ მხარეზე ამოტვიფრულია ჯვარადმართული მარჯვენა. ერთ-ერთ ზარზე მხედრული წარწერაა 1840 წლისა...

„ქ. შევწირე მე კოშაძე ქიტესამ კონის ღვთისშობელსა ჩვენის სულის საოხათ და სალოცველოთ წელსა ჩემ“.

ეს ზარი რკინიდან ჩანს მოტანილი დიდგორის ერთ-ერთ დეკანოზ-გოგა წიკლაურის მიერ, რომელსაც რკონელი ცოლი ჰყოლია.

მეორე ზარი უფრო ძველი ჩანს.

დიდგორობას ახლაც ფრიადი გულდაგულობითა და ზეიმით იხდიან. მისი მტკიცე გარდმონაწესი არსებობს. მოჰყავთ საკლავი, უსათუოდ ბუდეები ან ყოჩები. ჰკლავენ და დააგორებენ ხოლმე წვერიდან. მოაქვთ შესაწირავიც: ვერცხლის ფული, ჯვრები, თეთრი თავსაფრები, ან მიტკალი. ჩვენ გადმოგვცეს, ჩანს შეწირული, კარგად შენახული ჩაჩქანიც.

ნიშნდობლივია დიდგორის ხალხში შენახული თარიღის გამოთვლაც.

ბრძოლის დასაწყისი, ჩვენს მეცნიერებაში, ყველა მასალის შეჯერებით, მართებულად მიღებულია 12 აგვისტო, დასასრული 15 აგვისტო. თუ 12 აგვისტო 1121 წლისა ხუთშაბათი იყო, როგორც შესწორების შემდეგ დადგენილი აქვს პროფ. შოთა მესხიას, „ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს დღეს“ (იხ. მისი „დიდგორის ბრძოლა“) მაშინ კვირა ყოფილა 15 აგვისტოს და იგი ემთხვეოდა მარიამობას. დღესაც დიდგორობას დღესასწაულობენ მარიამობის შემდეგ პირველ კვირას. მისი საერთო ხასიათი, ვფიქრობ, ამ გამოთვლაშიაც იგრძნობა. იგი ემთხვევა გამარჯვების დღესაც — კვირას და გამიჯნულია მარიამობისაგანაც.

ტარიელ ხიზანიშვილმა მოგვითხრო ხალხში დარჩენილი სახსოვარი დიდგორის ბრძოლისა. დიდი გამარჯვების შემდეგ ამ ბორცვზე ერთად დაუმარხავთ აქ დაღუპული მეტბრძოლნი, ხოლო ლაშქარმა „აიარ-ჩამო-იარა და მუჭა-მუჭა, ზოგმა კი კალთა-კალთა მიიყარა დიდგორის მიწა“.

ვფიქრობ — პირველი მუჭა მიწისა, თვით გამარჯვების სულის ჩამდგმელის — დავით აღმაშენებლისა იყო! ალბათ, მაშინ მისი სახელისა და საქმეთა სადიდებლად დიდგორის ერთ-ერთ მთას, გამარჯვების უშუალო მოწმეს, ერმა მიაკუთვნა დავითის სახელი.

დიდგორზე მრავალი გადმოცემა და ზეპირსიტყვაობა არსებობს, უკვე ჩახარვეზებული და პირვანდელსახე-ლაკარგული. ერთ-ერთი ფრაგმენტი, ნიჩბისში გაგონილი, ივანე წიკლაურმა ჩაგვაწერინა:

„... დიდგორი დიდი მთა არის,
გადასავალი ბედემი...“

ისეთი თოვლი მოვალის,
როგორც ქვითკირის კედელი...“

სასხორელი მეწისქვილე, მთქმელი გივი პაპიაშვილი უმატებს:

„დიდგორზე ომი, ბრძოლები,
სათქმელად დარჩა ენასა...“
„სამ დღეში ომი მოიგო,
უკუაგდო ქართლის მტერი,
დაუდალავად იბრძოდა
დავით აღმაშენებელი...“

მალე სრულდება 900 წლისთავი დიდგორის გამარჯვებისა, როდესაც ქართველმა ლაშქარმა გაანადგურა ვეპერთელა ნაერთი ლაშქარი არაბეთის მეფის დურბეზისა, სულთან მელიქ-ტოდრილისა, ელდაზისა და სხვათა; ათაბაგთა და ამირათა დამასკისა, ბალაბტისა, განძისა და მრავალ სხვათა.

„შეკრებს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა, ვითარცა ქვიშა ზღვსა, რომლითა ადივსო ქუეყანა... ხოლო მეფემან დავით, უშიშმან, და ყოვლად უძრავმან გულითა“, ბრწყინვალე საბრძოლო გეგმითა და შემართებით, ხმლითა და სიბრძნით გადაზომა დიდგორის სიგრძე-სიმაღლე... აჰა, შედეგიც — „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა...“ ისე, რომ „ადივსნეს ველნი, მთანი და დღენი მძორებითა... გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ“. (ქართ. ცხოვრ.).

ერის ისტორიაში არის ბრძოლა, რომელიც ყოვლად აუცილებელ ქვაკუთხედად დგას შემდგომი არსებობისა და განვითარების ჭიდილში...



... გადავყურებით დიდნაბრძოლ თხემს, კალთებს, ხეობებს დიდგორთა... ჯერაც რამდენ უთქმელ საიდუმლოებას ჰფარავენ ისინი... რამდენ თავდადებულ გმირობასა და საწუთისოფლო უანგარობას?! და თითქოს ყრუდ გუგუნებდა ნაბრძოლი მიწა, აჩხრიალებდა გამოჟანგულ ხმლებსა და აბჯრებს... ჭიხვინებდნენ დაძვალული ცხენები... აჩეხილი და დაღუპული მეომრები კიდევ ერთხელ განიცდიდნენ დიდგორულ დავლურსა და ყიჟინას, თავ-შემოვლებული გამარჯვების შეტევას!

... ჩუმად ვიდოდნენ მხოლოდ ნისლები... დრუბლები... დრონი... მწვანე მწვერვალებს ედებოდნენ და არც ედებოდნენ...

მალიერ შთამომავალთა ყოველ თაობას მუდამ ჰქონდა და მოჰქონდა თავისი სახსოვარი დიდგორს.. ზოგს-სულის სასოება, დალოცვა და სახლავი, ზოგს — ლომი და ზარი, ზოგს ჩაჩქანი და ქვასვეტი... ვფიქრობ ჩვენმა თაობამაც უნდა აღნიშნოს ეს სახელგონი თარიღი, ხოლო დიდგორზე — ადვართოთ სახსოვარი ობელისკი.

1971 წელი

ლევან გოთვა



მზისა შარავანდედთა

უბრძოლველესი

კლასიკიდან

მტერთა მახვილი იქმნეს, ვით ცვილნი,
მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს,
ექმნა წარმართსა და ერსა მართსა
განსახრწნელ, რომელ სრულ-პყრობილ იყვნეს.
რა მარზაპანთა და სპათა მათთა
შერისხდა ლომი, თვით ნანვად იწყეს.
მაშინ, დავით, მათ, მაშინ დავით მათ
მრჩობლად-სხეულთა სული განიყვეს.

იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა
გულის-მდებულად თვისთა სპათათვის,
გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის.
არ ვეჭვ, ეგ ზომი ბრძოლა და ომი
სხვასმცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის.
მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუნდნი
ხმა როსტომითა, უმჯნე ძალთათვის.

იოანე შავთელი

განმანათლებელი

რომელმან ცისა სამყარო

რომელმან ცისა სამყაროებრ შეამკვე სიმბრ-
გულე სულისა
შენისა ვარსკულავთა მიერ დაუვალთა კე-
თილთა

საქმეთათა, დავით მნათობო სოფლისაო,
სიმტკიცეო ეკლესიისაო, მეოხგუწყავ შემს-
ხმელთა შენთა

აქებდითსა ზედა დასდებელი,
მუჯღივ, კმაღ

დავით ელვთა სულისა მადლისათა
უმეცრებისა ღამეთა აცისკროვნებს,
დაცნისილებასა ჰსდევნის მცხინუარებითა
მხიარულისა სულისათა, ვითარცა
დიდსული ვინმე, ბრძენი სიბრძნის-მოყუარე.
უსწავლელობის შობილმან სილაღემან
მიციქულებრსა სიბრძნისა მოგებასა
შენსა, მეფეო, ვერ მიხედნა ვერ ოდეს,

რომელი სულმან განავრცო ღმერთთ-მთავარმან
ცეცხლებრითა მით, გარდამოსლვათა შენდა.
ქუჭმდებარება არა ზიარებადი,
ბუნება მსიტყუ, არსება განუჭრელი,
ნათელ მესაჭე, ღუთაებრ მკელმწიფებელი
დაუდგრომ ბიწთა არა აქუჭმდებარე
ზედ შემომყუანმან მზისა მსგავსებისამან.

წარსდიდი აქათ უკვანედ უზომოდ,
 მზისა სრბისათა დროთა ჰსცუალებდი დავით,
 დამისა მიმართ მზისა აღიციისკრებდი,
 მწუხრით უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის
 ტრფიალი სიბრძნით ნამდვლ სატრფიალოსა.
 რაჲ იხილეთ, ერნო ტფილისისანო,
 გკითხავ, მითხარყე უწყება ჭეშმარიტი,
 ოდეს საძაგნი განიგავოდეს თქუწნგან

რა იპყრა დავით ნინზად სკორესა დიდსა?
 იტყვან: ელუა ვერ შესაპყრობი ხედვთ.
 თქუწნცა ჰსთქუთ, ბილწნო, სიმყრალისა
 ვერ მგრძნობნო,
 სკორესა შინა, მომშთურისა მიერ მშთუარნო,
 ოდეს ძაძითა მგლოვარენი ჰრბიოდით
 მეფისა მიმართ სპარსთასა მბავთებულნი,
 რაჲთ განმტკიცდით უზომოდ შერყეულნი.

კათალიკოსი ანტონ I*


ს ა ღ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა
 გაოხრებულსა,
 მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო სიყრმით
 ცხებულსა,
 მხედართ-მთავარსა უძლეველს, გულმოწყალებსა
 მსაჯულსა,
 ზე-ჩაგონებით გასწავლულს, ენა მდინარე
 მეტყველსა!..
 დავით ჰსთქვი: „იყავნ ქალაქნი!“ და
 აღმოცენდნენ ქალაქნი!
 განჰვლე უდაბნო ოხერი,-სავსედ დაბებით
 შეჰქმენი!

დაჰკარ. წერაქვი,—და აღნდნენ ტაძარნი,
 ტურფად ნაშენნი!
 მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით
 შენნი ივერნი!
 ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ
 განახლებული,
 დიდების სხივით შემოსილ, მშვიდობით
 აღყვავებული!..
 აღმხედრდი ლაშქრად,— და ილტვის სულთანნი
 შეძრწუნებული,
 შირვან, დერბენდი ჰყავ სამზღვრად, შენი
 ხმლით შემოხაზული.

გრიგოლ ორბელიანი



ანტონ I კათალიკოსი ბრძანდება ავტორი დავითის ვრცელი
 საგალობლისა. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ ერთ ნაწევრს
 ამ საგალობლიდან. მთლიანი სახით და სათანადო კომენტარით
 იგი გამოქვეყნდება ჟურნალის მომდევნო ნომერში.




... ამ მთის ჩრდილოე კერძოდ და წყალწითელას აღმოსავლეთით, გორის კალთას, არის ეკლესია ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდშუენიერი, დიდნაგები და მხნული შიგნით სოფლის კეჭითა, გუგათიანი, კითილ-შუენიერს აღგილს. აღაშენა აღაშენებელგან დავით მეფეგან და უწოდა სასუფეველს გენათი, და აწ უწოდებენ გელათს. აქა არს ყოვლად წმიდის ხატი ხასულის ღვთისმშობელი ლუკა მახარებლის დახატული, ყოვლად წმიდის კითვე, და შეგებული ძვირფასითა ქვებითა აღაშენებლისა და თამარ მეფისათი, აქავ არს ვარძიის ჯუარი, შეგებული, დიდ ფრიად. და არიან ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლითა და ქვითა შეგულნი ძუელითვე მრავალნი, და ეკლესია შეგული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს ზღუდის კარი გჭესა მისსა, რკინისა, აღაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ. და ეკლესიის გჭეს ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გაერთილილი, უცხოთა ხელოვნებით მანდაკეული. ამას შინა დაფლულ არიან აღაშენებელი, ბიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით და სხუანიცა, და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა ივვლიან იმერთანი. პირველად იყო მონასტერი, შემდგომად კყო გაბრაბთ საეპისკოპოდ. ამას მისცა საფუძოდ არგუეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის საფუძონი...

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი

აღმატებული ყოველთა

წინადაღელთა ქმნულთა



სამოცდახუთი წელიწადი ღუმდა გელათის ზარი... აღარ ისმოდა მისი ხმა. იყო მოლოდინი... უიშვოდ, იმე-ლიანიც... აღარ ანთებდნენ სანთლებს, აღარ კითხულობ-დნენ სახარებას, აღარ ლოცულობდნენ წმიდა მამები დიდი ტაძრის საკურთხეველთან, საერთოდ, ტაძარში. ტკივილით, უსიტყვოდ ჩაუვლიდნენ მნახველნი დიდი დავითის ფრესკას, კედელზე გამოსახულს... მას, ვინც ეს ტაძარი და აკადემია აქცია „ყოვლისა აღმოსავლისა იე-რუსალიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღ-ვრად სწავლებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა საღმრთოთა შინა წესთა“ (ქართლის ცხოვრება, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი).

ძველ ხელნაწერებში ცოცხლადა შემონახული მრავალი ცნობა გელათის ოდინდელი ძლიერების შესახებ. ბაგრატ იმერთა მეფის მიერ გელათისადმი ბოძებულ 1545 წლის შეწირულების სიგელშიც „გენათის საყდარს“ მიემართება სახელწოდება „დიდისა“, „ზესთა აღმატე-ბულისა“, „ახლისა იერუსალიმისა“ (ქართული სამარ-თლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. II, გვ. 189).

გელათი და გელათის აკადემია იმდენად ძლიერ სა-უბუქველზე იყო აგებული, რომ იგი ერთიანი საქართვე-ლოს სამეფოს სამთავროებად საბოლოოდ დაშლის შემ-დგომაც ფეხზე იდგა. მხოლოდ სამოცდახუთი წლის წინ დაღუპდა მისი ზარი და მიწადა მლოცველთა ხმა. აქ კი, საქართველოს ცხელი გული ესვენა. აქ დიდი დავითის მაღალი სული ტრიალებდა. აქ მლოცველნი არაერთხელ ყოფილან მოწმენი სასწავლების... მტრი-საგან უამრავჯერ აოხრებული ქვეყნის კვლავ სიცოც-ხლის ძალით აღვსებისა და განახლების.

და აი, დადგა ნანატრი ჟამი... გელათში კვლავ დარეკა ზარმა. მორწმუნეებს მოუხმო და ღვთისმშობლის მიძი-ნების დღესასწაულის წინა დღეს, 27 აგვისტოს ქუ-თათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა კალისტრატემ კვლავ სასიცოცხლოდ აკურთხა დიდი გელათი.

შემდეგ კი, სექტემბერში, ისევ ღვთისმშობლობა დღეს (ღვთისმშობლის შობას) გელათს ეწვია კათალიკოს-პატ-რიარქი სრულიად საქართველოსა, მისი უწმიდესობა ილია II.

წვიმდა ქუთაისში 22 სექტემბერს. შავად ჩამობუ-რული ცა გამონათების იმედს არ იძლეოდა. მაინც ბედ-ნიერნი მიჰყვებოდნენ მლოცველები გელათის აღმართს... დავითის გზას... რეკდა გელათის ზარი. ტაძარი სავსე იყო საკმევის სურნელით, ანთებული კვლავტრებით, სანთლებით, საქართველოს ყოველი კუთხიდან დამის-

თევით მოსული ხალხით... სავსე იყო გალობით. ეს იყო დიდებული დღე, დიდებული წუთები.

მთელი ღამე (და დღისითაც) ჩაუქრობლად ენთო სანთლები დავითის საფლავთან. მთელი ღამე ისმოდა დავითის საგალობელი:

ჟამი რაჲ წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაჲ წარმოდგეს,

ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდება დაშრტეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნება დაჭნეს, სხვამან მიდოს სკიპტრაჲ, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყაღე, მსაჯულო ჩემო.

იცოცხლა ორმოცდაცამეტი წელი. იმეფა ოცდა-თექვსმეტი. დაიკრძალა აქ, მის მიერვე სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში... ქვის ფილაზე ფსალ-მუნის სიტყვებია ამოკვეთილი:

„ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამ-დე. ესე მინავს, აქა დავემკვიდრო მე“.

დილით, მთელი თავისი სასწაულებრივი სიმშვე-ნიერით გამოიხედა მზემ. განათდა იმერთის სანახები და შორს, დათოვლილი მთებიც გამოჩნდნენ. გელათი კვლავ ხალხით აივსო... მოდიოდნენ უსასრულოდ, მო-დიოდნენ ანთებული სანთლებით...

გელათში წირვა იდგა... წირავდა კათალიკოს-პატ-რიარქი ილია II. ტაძარში აღმართული ხარაჩოები ხელს ვერ უშლიდა ხალხს შიგ შესასვლელად. ხარაჩოებზე ჩიტებივით შემომსხდარნი, გაფართოებული თვალებით, სმენადქცეულნი შეჰყურებდნენ პატრიარქს ბავშვებიც.

ლოცულობდა საქართველოს კელესიის მამამთავარი, ლოცულობდნენ ყოვლადსამღვდლონი და სამღვდელო-ნი, გუგუნებდა გელათი. გალობდნენ ვაკთა და ქალთა გუნდები, დაჩოქილნი შესთხოვდნენ მლოცველნი მაღალ ღმერთს, ღვთისმშობელ დედას და დიდი დავითის უკვდავ სულს ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის კვლავ მფარველობას და მიტევებას ადამიანურ ცოდვათა მათთა.

მარტივო სრულო, სამ მზეო, ერთ ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რათა ვიხილო ნათელი.

ნათლითა უფლისაათა, სულითა ღმრთისაათა ძეჲ გამოგვიბრწყინეო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა.



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II გელათში.





გელათი. ერის პარაკლისი.



ქ ა ლ ბ ე ბ ა

ს რ უ ლ ი ა ლ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

კ ა ტ ა ლ ი კ ო ს - კ ა ტ რ ი ა რ ქ ი ლ ი ა II - ი ს ა

გ ე ლ ა თ შ ი , 23 ს ე მ ტ ი ა გ ე ა რ ს , ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს უ ო ბ ი ს ღ ღ ე ს

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სული-
სათა.

— ჩვენთან არს ღმერთი!

პასუხი: — არს და იყოს!

ღღეს არის დიდი და ბედნიერი ღღე მთელი საქარ-
თველოსათვის. ღღეს მონდა უდიდესი სასწაული, სა-
მოცდახუთი წლის ღღემილის შემდეგ კვლავ ღღადღეს
დიდი გელათი!

ვხედავთ ამ სასწაულს და ვხედავთ, რა დიდია უფალი.

ღავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: დიდ ხარ შენ,
უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნიო. ადამი-
ანისათვის აღმოჩენა ღვთის განგება. მრავალგზის მით-
ქვამს და ახლავ გავიმეორებ: იყო დრო, ჩვენი წინაპრები
დიდის რწმენით აშენებდნენ წმიდა სალოცავეებს... რო-
გორ წარმოიდგენდა დიდი ღავითი, დიდი თამარი, სა-
ერთოდ, ქართველი ერი, რომელიც იცავდა მამულს,
ენას და სარწმუნოებას, ამ სამ წმიდათაწმიდას, რომ
ოღესმე თვით ქართველი დაიწყებდა მის ნგრევას. ეს
ხომ საშინელებაა. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს,
დადგა დრო და ჩვენივე ხალხისაგან დაგვიჩინდა თავის
დაცვა. ამით უნდა განვსაზღვროთ, დავინახოთ, წინ მივ-
ღივართ, თუ უკან.

ადამიანი გაამპარტავნდა და დაკარგა სულიერობა.
მიიღო განათლება, მაგრამ რაა განათლება... თუ ადა-
მიანის სული მიწვდება ღმერთს. თუ ამას შეეძლებოთ,
მაშინ ტექნიკა, ასე რომ მოიცვა დღევანდელი მსოფლიო,
აღარ იქნება საშიში. კაცობრიობა უკვე მივიდა ამ დას-
კვნამდე და შეიგრძნო თავისი დანაშაული. ადამიანმა
დაიწყო ფიქრი ღმერთზე და დაიწყო ფიქრი სულზე.
არ არის საკმარისი მარტო მატერილური დოვლათი.
უპირველესად, საჭიროა სულიერობა, საჭიროა სულიერი
საზრდო... ეს მთავარია და, სწორედ ეს გამოგვაცადებს.
და აი, თავიდან ვაშენებთ ჩვენს სულიერ ტაძარს, ვა-
შენებთ სულს... მაგრამ ვართ ამისთვის მზად? ყოველ-
თვის არა. ძალიან დიდი ზარალი მივიღეთ... ბევრი
დაკვარგეთ, მაგრამ თუ რწმენა გვექნება, კვლავ მივ-
წვდებით ღვთაებრივ მადლს, მის მოწყალებას.

დიდი ძალა აქვს ღღეცვას... დიდია ძალა და მოწყა-
ლება გელათის ღვთისმშობლისა. როცა ღავითმა გელა-
თის მშენებლობა გადაწყვიტა, მას უნდოდა გელათი
ყოფილიყო არა მხოლოდ ბერების საფანე, არამედ დიდი
სამეცნიერო ცენტრი. მან აქ მოიწვია იოანე პეტრიწი,
არსენ იყალთოელი და სხვები. იოანე ცნობილი იყო
მსოფლიოში. მასზე ამბობდნენ, „ეს არის დიდი იოანე“.
შემთხვევით არ უწოდებდნენ გელათს მეორე იერუსა-
ლიმს და მეორე ათინას. ღავითს გელათი სწორედ ათენის
სიმაღლეზე უნდოდა ასულიყო... აქ ასწავლიდნენ არა
მარტო ღვთისმეტყველებას, არამედ პლატონს, არისტო-
ტელეს... საერთოდ, მთელს იმდროისათვის დაგროვილი
სიბრძნეს... მე ხშირად მეკითხებოდა, რა არის ქართული
ეკლესიის დამაბასიათებელი ნიშანიო და ვპასუხობ: თა-
ვიდანვე მასში იყო სწრაფვა ცოდნისა და სულიერო-
ბისაკენ.


ღღეს გაიხსნა გელათი და ღღეს იხსნება სასულიერო
აკადემია თბილისში... მიმდინარეობს გამოცდები. ეს
შემთხვევითი დამთხვევა არ არის. ეს გაგრძელებაა
იმ ძველი აკადემიისა, რომელიც იყო აქ. თითქოს ღმერთი
გვეუბნება, გეყოფათ ამდენი გლოვა, გაიხარეთო. ასევე
იხსნება შიომღვიმე, ანტონ მარტყოფელის მონასტერი
და მრავალი სხვა. ღვთისმშობლის მფარველობას ვხედავ
მე ამაში. უამისოდ საქართველო ვერ გაუძლებდა ამდენ
ტანჯვა-წამებას.

შეხედეთ ამ კედლებს, ამ გუმბათს. რა ხელმა აზიდა
ეს უზარმაზარი ქვები... ეს იყო რწმენის ძალით, ღვთის
სიყვარულით... ღღეს კი? მაგრამ საქართველო მუდამ
იყო მორწმუნე. ქართველ კაცს მუდამ უყვარდა ღმერთი...
თავისი ღმერთისთვის არაერთხელ იყო იგი ვაკრული
ჯვარზე. იგი ღვთის რწმენამ გადაარჩინა. ბევრი განსაც-
დელი გარდაგვხვდა და ავიტანეთ.

სოლომონ ბრძენი ამბობს: არის ჟამი ნგრევისა და
არის ჟამი შენებისა.

მადლობა ღმერთს, განვლო ჟამმა ნგრევისამ და დაღ-
ვა ჟამი შენებისა.

ამას გილოცავთ!



დავით აღმაშენებლის დროშა. აღადგინა მხატვარმა მ. ტუხაშვილმა



ატენი
მთავარანგელოზი გაბრიელი ხარებიდან

ველოცავ დიდ დავით აღმაშენებელს, მის შვილს დემეტრეს, რომელთაც ააშენეს ეს დიდებული ტაძარი. უფრო დიდი ზეიმი დღეს ზეციურ საქართველოშია.

ბედნიერები ვართ, რომ ბოლოსდაბოლოს, ვიხილეთ გაცოცხლებული, სიცოცხლეშემოსილი გელათი...

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო... კიდევ მრავალი ტაძარი გენახოთ ამოქმედებული.

ჩვენთან არს ღმერთი.

ღმერთმა ინებოს თქვენი და საქართველოს სიცოცხლე.

გელათის ზარების გუგუნში ქუთაისის სამღვდლო-ებამ შემოიტანა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ოქ-

როში შესრულებული მოზაიკური ხატი (ავტორი კარლო ბაკურაძე) და ამ დღის სახსოვრად კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ს გადასცა.

მის უწმიდესობას სიტყვით მიმართა ქუთაის-განათელმა ეპისკოპოსმა კალისტრატემ. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი დღესასწაული არ არის თუნდაც მხოლოდ ისეთი ტაძრის გახსნის დღესასწაული, როგორც დიდი გელათია... ეს მთელი ქრისტიანული საქართველოს ზეიმი და ჩვენ ვმადლობთ წმიდა სამებას, ვმადლობთ ღვთისმშობელ დედას, რომ ღირსგვყო ამ დღის ხილვად და განცდად... წმიდა სამება შეგეწოთ თქვენ და მთელ საქართველოს.



გელათის მოზაიკა. მთავარანგელოზი გაბრიელი



«Крест из виноградной лозы» Журнал грузинской патриархии

Журнал посвящен 900-летию юбилею творческой деятельности великого грузинского царя, Святого Давида Агмашенебели (строителя). Он открывается выступлением Католикоса—Патриарха всея Грузии Илии II «Солнце христианства», в котором содержится описание огромных заслуг св. Давида Агмашенебели перед Грузинской Церковью и грузинским народом.

В рубрике «Проповеди, учения» напечатаны проповеди епископа Зосимы (Шиошвили), а также — ушедших из жизни Патриархов Каллистрата и Леонида произнесенные в день памяти св. Давида Агмашенебели 26 января (по старому стилю).

В труде отца грузинской историографии Иване Джавахишвили «Личность Давида Агмашенебели, внутренняя политика и культурная деятельность» показаны главные этапы жизни и творчества великого царя.

В рубрике «Богословие» журнал предлагает читателю очерк М. Какабадзе «Поэзия Давида Агмашенебели». Здесь же печатается письмо писателя Гр. Робакидзе.

В рубрике «Поэзия» публикуется творение Святого царя Давида «Покаянные Песнопения».

Здесь же печатается письмо А. Бакрадзе «Вперед к Давиду Агмашенебели», в котором автор отмечает, что в истории Грузии существует столетний период, который справедливо называется «золотым веком». Этот период основан Давидом, им построен. Это не только действительность нашего прошлого, но и мечта будущего. Таким образом Давид Агмашенебели является ориентиром того пути, по которому в будущем должна идти Грузия. Наверно, наилучшим лозунгом сегодняшней Грузии был бы: «Вперед к Давиду Агмашенебели».

По сведениям европейских летописцев, во время легендарного дидгорского сражения Давида сопровождали крестоносцы. Именно об этом и о заслугах царя Давида перед крестоносцами беседует с читателем историк Ш. Бадридзе в своем письме «Великий крестоносец».

На эту же тему написано письмо Т. бурчуладзе «Крестом одолевший врага».

Известно, что Давид Агмашенебели произвел реформу Церкви, и это определило силу и мощь государства. Об этом говорится в статье Е. Габидзашвили «Руис-Урбинский Собор». Здесь же публикуется завещание Давида Агмашенебели о Шиомгвимском монастыре с комментариями В. Силогавы.

Журнал печатает отрывки из книги грузинского историка С. Какабадзе «Дидгорское сражение» и статью «Личность летописца Давида Агмашенебели».

Письмо М. Лорткипанидзе «Георгий Чкондидели» знакомит читателя о его заслугах перед Грузией времен Давида.

Журнал также предлагает читателю несколько отрывков из книги З. Авалишвили «Со времен крестоносцев».


В письме «Полна вселенная благими делами его» речь идет о созданных в период царствования Давида Агмашенебели памятниках грузинского искусства, об образцах чеканки и настенной живописи, литературы. Автором является профессор К. Мачабели.

Здесь же напечатана статья Т. Сакварелидзе «Два настоятельских Креста с надписью Давида Агмашенебели».


Читатель знакомится с письмами и очерками грузинских писателей: «Скипетр и могила» А. Гацерелия, «Давид Агмашенебели» Гр. Робакидзе, «Дидгори нашей истории» Л. Готуа.

Вновь в рубрике «Поэзия» представлены образцы грузинской классической поэзии, посвященные Давиду Агмашенебели.

Среди тех значительных мероприятий, которые за последнее время осуществились в жизни Грузинской церкви, можно выделить открытие церкви в Гелати, которая вновь наполнилась жизнью. Это тот собор, который построил Давид Агмашенебели. Осенью прошлого года в нем совершил богослужение Католикос—Патриарх всея Грузии Илия II. В журнале печатается статья об этом визите.



[GROSS OF VINE].



The journal is dedicated to the 900th anniversary of the life and creative work of the great georgian king David the Builder.

The journal is opened with the speech 'The Sun of christianity', by Catholicos—Patriarch of All Georgia ILIA II, giving a review of the immense merits of St. David the Builder to the Georgian church and georgian nation.

Under the heading 'Preachings and Teachings' the reader is acquainted with the preachings of Bishop Zosime [Shio-shvili]. The Preachings by the late Catholicos—Ratriarchs: Kalistrate and Leonide, delivered on the mentioning day of St. David the Builder [26 January] are printed here as well.

The article titled 'Personality of St. David the Builder, Hoze Policy and Cultural Activities', written by the distinguished georgian historiographer Ivane Djavakishvili, deals with the life and merits of the great king.

Under the heading 'Theology' the journal offers to us the essay 'David the Builders's Roetry', by M. Kakabadze. Here is printed the letter, written by the georgian writer Gr. Robakidze to his sister, giving us the writer's sharp impressions about above-mentioned essay.

Under the heading 'Poetry' the journal publishes the verse 'Singing of Regrets', by King David.

Here the journal presents the article, by a critic Ak. Bakradze 'Forward to David the Builder'. Observing king David's activities the author writes about a hundred years period in georgian history, justly called 'The Golden Age'. This period is not only the reality of our past, but also the day—dreaming of our future. Probably, the slogan 'Forward to David the Builder' would be the best orientation for today's Georgia.

According to European chroniclers, during the Legendary Didgory war David was accompanied by crusader knights. The article 'Great Crusader Knights', by the georgian historian Sh. Badridze, is dealing with all important events taking place in this war and with great services performing by king David for the Crusaders. The article on the same theme 'The Gross is Overcoming Enemy', by T. Burchuladze is printed here as well.

It is known, that David the Builder made the church reform, which defined the mightiness of the Georgian state and church. The journal publishes the article 'The Ruis—Urbnisi Meeting', by E.G. Gabidzashvili, concerning this question. Here is printed David the Builder's last will to the Shio Mgvimi monastery with some commentaries, by V. Silogava.

The journal presents the fragments from the book: 'Didgory War' and the article 'David the Builder's Chronicler, by the great georgian historian S. Kakabadze.

The article 'George Chkondideli', by M. Lortkiphanidze acquaints the reader with the noble merits and work of this great person to Georgia.

The journal also offers to the reader some extracts from the book: 'From the Time of Crusaders', by Avalishvili.

The journal presents the article 'his Deeds of charity Enriched Land and Sea,' by K. machabeli, acquainting us with the georgian works of art, frescoes, masterpieces of literature created during David the Builders reign and reverently preserved to our time.

The article under the heading 'Two Primatial Crosses', by T. sakvarelidze, bearing the inscription of David the Builder, is printed Here.

Here, the reader will be acquainted with the articles and essays of the georgian writers. These are: 'Skeptre and Grave', by A. Gatserelia, 'David the Builder'—by Gr. Robakidze, 'Didgory of our History'—by L. Gotua.

Under the heading 'Roetry'—the journal presents some verses of the georgian classical poetry, dedicated to David the Builder.

Among latest developments in the life of georgian church, the most important event is the opening of Gelati Monastery, which was built by king David.

In autumn of the last year, Catholicos—Patriarch of ALL Georgia paid a visit to Gelatim Monastery, where He conducted the Service. The detailed information about this visit is given in the article 'Gelati'.

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| ილია II — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ქრისტეს მხედარი | 6 |
| ზოსიმე — წილქნელი ეპისკოპოსი. გიხაროდენ დავით, მეფეო, ღვთიჯვირგვირვინოსანო | 10 |
| ილია მართალი. დავით აღმაშენებელი | 12 |
| კირიონ II — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. გიხაროდენ | 14 |
| ეპისკოპოსი ლეონიდე. მოძღვრება წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს | 15 |
| კალისტრატე ცინცაძე — დეკანოზი. სიტყვა დავით აღმაშენებლის დღეს თქმული | 16 |
| ივ. ჯავახიშვილი. დავით აღმაშენებლის პიროვნება, შინაური პოლიტიკა და საკულტურო მოღვაწეობა | 17 |
| ა. ბაქრაძე. წინ დავით აღმაშენებლისაკენ | 23 |
| დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულიანი | 24 |
| მ. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის პოეზია | 28 |
| შ. ბაღრიძე. დიდი ჯვაროსანი რაინდი | 35 |
| თ. ბურჭულაძე. ჯვრითა მტრისა მძლეველი | 40 |
| ა. კალანდიაძე. ვეხი დამადგით (ლექსი) | 44 |
| ზ. ავალიშვილი. წიგნიდან: „ჯვაროსანთა დროიდან“ | 46 |
| ს. კაკაბაძე. წიგნიდან: „დიდგორის ომი“ | 51 |
| მ. ლორთქიფანიძე. გიორგი ჭყონდიდელი | 55 |
| ე. გაბიაშვილი. რუის—ურბნისის საეკლესიო კრება | 58 |
| ვ. სილოგავა. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი | 63 |
| კ. მანაბელი. ალავსო ზღვა და ხმელეთი ქველის საქმემან მისმან | 71 |
| თ. საყვარელიძე. ორი საწინამძღვრო ჯვარი დავით აღმაშენებლის წარწერით. | 75 |
| გრ. რობაქიძე. დავით აღმაშენებელი | 78 |
| ა. გაწურელია. სკიპტრა და საფლაკი | 80 |
| ლ. გოთუა. ჩვენი ისტორიის დიდგორი | 84 |
| პოეზია. | |
| იონე შავთელი, კათალიკოსი ანტონ I, გრ. ორბელიანი | 86 |
| რეკენ სამრევლოს ზარები | 89 |

ჯვარი ვაზისა № 1 1989

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე**
(შიოშვილი)

ჟურნალის რედაქტორი **თინათინ კობალაძე**

**სარედაქციო კოლეგია: ზაზა ალექსიძე, ვახტანგ გურამიძე,
მკვდელი დავითი (შიოლაშვილი), ნოდარ ეპრალიძე, ზურაბ
კიკნაძე, ვიტროკოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე), შოთა
ლომსაძე, მარიამ ლორთქიფანიძე,**

საქართველოს საპატრიარქო.
თბილისი. 1989 წ. სიონის ქ. № 4 ტ. 72. 04. 53
შკკეო № 477

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი, 380060.
კუტუზოვის ქ. № 19

Джвари вазиса» (Лозовый крест) № 1 1989
Грузинская Патриархия
Заказ № 477
Набрано способом фотонабора
Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

